ნოდარ დუმბაძე

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

ნუ გეშინია, ლელა!

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

ნუ გეშინია, დედა!

ნოდარ დუმბაძე

უკანასკნელი ვარსკვლავი ჩაქრა. მამლებმა და ძაღლებმა შეთქმულებივით უცებ შეწყვიტეს ყივილი და ყეფა. ხეებმა სუნთქვა შეიკრეს.
ზღვა ისე დადუმდა, თითქოს არ არსებობდა. მთებზე სქელი ნისლი გაფერმკრთალდა და ღამეს დაზაფრული კაცივით სიფითრემ გადაჰკრა.
ყოველივე ეს რამდენიმე წამში მოხდა. მთელი სამყარო თითქოს აღმოსავლეთისაკენ შემობრუნდა და უნაგირა მთას მიაშტერდა რაღაცის მოლოდინში. საოცარია ეს სურათი და ჟამი, ვინც შესწრებია – ცაზე რომ უკანასკნელი ვარსკვლავი ქრება და მზე რომ ჯერ არ ამოსულა, დედამიწა ობოლს ჰგავს, უპატრონოს.
– ეი, შერბინა, ამოდი!
– რა გინდა?
– ამოდი, მზის ამოსვლას ვუყუროთ!
– გააჭირე საქმე, არ გამიგია ყოველდღე მზის ამოსვლის ყურება!
– ამოდი, უბედურო, ამაზე უკეთესს რას ნახავ!
– კარგი, თუ ძმა ხარ, თავი დამანებე!
– ამოდი, გეუბნები!
– ახლა ჩვენი ცვლა მოვა. ამოდი, ჩამოდი, ამოდი, ჩამოდი, ღმერთი არა გწამს? არ შემიძლია!
– აბა, ეგდე მანდ და უყურე, როდის აძვრება ის დაფეხვილი მოლა მინარეთზე და ატეხავს ყროყინს!
– ვერ ამოვალ!
– პარხომენკო სად არის?
– საფარშია!
– უთხარი, ის მაინც ამოვიდეს!
– ძაღლით?
– ძაღლი შენ დაიტოვე.
– სულელი ხომ არა ხარ, გინდა, შემჭამოს?!
და უცებ ამოვიდა მზე – ლამაზი, მაღალი, თბილი, ოქროსფერი, ცოცხალი და მაცოცხლებელი. თქვა თავმდაბალი სალამი, მერე გაიღიმა, გაიცინა, გადაიხარხარა და აშრიალდა ტყე, აყივლდა მამალი, აყეფდა ძაღლი, ამოძრავდა ზღვა, დადნა ნისლი და მიწამ ძალიან ძლიერად, ძალიან მძიმედ, მაგრამ შვებით ამოისუნთქა. გათენდა. ღამის სათვალთვალო ხელსაწყოს ბუდე ჩამოვაცვი და ცვლას დაველოდე.
– აღარ მოდიან, მოვკვდი კაცი შიმშილით და უძილობით! – ამომძახა შერბინამ. ბილიკს გავხედე. აღმართს სამი მესაზღვრე მოჰყვებოდა ზანტად.
– მოდიან!
– მადლობა ღმერთს! – შერბინა საფარიდან გამოძვრა.
ავტომატი კოშკის კიბეს მიაყუდა და გემრიელად გაიზმორა.
– ესეც ასე! წუხელ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგუშაგოს სახელმწიფო საზღვარზე არაფერი არ მომხდარა.
შაბაშ! – თქვა და პრიმა გააბოლა.
ნელ-ნელა დავეშვი სათვალთვალო კოშკის საფეხურებზე. ნალებით დაჭედილ ჩექმებს საფეხურებზე წკაპაწკუპი გაჰქონდა. ერთი, ორი, სამი, ერთი, ორი, სამი, – ვითვლიდი გუნებაში. რა უბედურებაა ეს ჯარი, ოთხამდე რომ გინდოდეს დათვლა, მაინც სამზე გაჩერდები.
ერთი, ორი, სამი... ვერ მოგართვეს, ოთხი, რაღაც დამოუკიდებელი ციფრივით ჰკიდია ჰაერში. ოთხი საზღვარია, შლაგბაუმი, და თუ მოახერხე და თქვი ოთხი, მერე მიდი, თუ გინდა, მილიონამდე ითვალე: ერთი, ორი, სამი...

პარხომენკო და შერბინა დაბლა მელოდებოდნენ.
– პარხომენკო, რაა თვალები რომ დაგსიებია, გეძინა? – ვკითხე ორმეტრიან პარხომენკოს.
– დაგაძინებს ეს შობელძაღლი? როგორც კი თვალს მილულავ, იმ წუთში ყურის ძირში გჩხაპნის თათით. ზუდოვის დედა ვატირე, ეს რა უსწავლებია! – თქვა პარხომენკომ და რაც შეიძლება ფრთხილად ამოჰკრა ჭიტლაყი ერთი წლის ნათმენ ბუღასავით ენაგადმოგდებულ ტანგოს.
– შენ გგონია, იმიტომ ასწავლა ზუდოვმა ფხანა, პარხომენკოს არ დაეძინოსო? ზუდოვს ქეცი აქვს და ძაღლს აფხანინებს, თვითონ ეზარება!
– თქვა შერბინამ.
– ძნელაძის უძლეველ არმიას გაუმარჯოს! – მივესალმე ახალ ცვლას.
– ჯაყელო! წესდების მიხედვით, კოშკზე უნდა დამხვდე, მომახსენო ვითარება და მორიგეობა ისე ჩამაბარო, – შემახსენა სალმის მაგივრად ძნელაძემ.
– ყველაფერი ჟურნალში წერია, ამხანაგო ძნელაძე, და ბევრს ნუ ტლიკინებ!
– წესი წესია, ჯაყელო! მაგას მოვახსენებ ჩხარტიშვილს!
– ვიდრე შენ მოახსენებ, ისეთ რამეს მოვახსენებ, ნაობახტში ამოგალპობს! – დავემუქრე ძნელაძეს.
– რას მოახსენებ? – დადარაჯდა ძნელაძე.
– რას, ჩემო შალვა, და იმას, ალი ხორავას მკვახე მანდარინებმა რომ დიზენტერია დაგმართათ შენ და შენს არწივებს.
– ვინ, ვინ გითხრა? – დაება ენა ძნელაძეს.
– ვინ და ამან, თვალები რომ აქვს ამოღამებული და ჭიპი ხერხემალზე მიკრული. ვერ ხედავ, ძლივს დაათრევს ავტომატს?
– გაგვყიდე, უდღეურო? – მიუბრუნდა იგი მიკნავებულ პეტროვს.
– რა მექნა, შალვა, ჩაიკეტა ეს ვირიშვილი გუშინ საპირფარეშოში და სანამ ყველაფერი არ მოვუყევი, კარი არ გამიღო, – ამოიკვნესა პეტროვმა.
– გასაგებია, ძნელაძე?! – ვკითხე მკაცრად.
– გასაგებია, გასაგები! – ჩაიქნია ხელი ძნელაძემ და კოშკის საფეხურებს აჰყვა, ეტყობოდა, არც მას ჰქონდა მთლად დალაგებულად კუჭის საქმე.
– დივიზიაა, სწორდი! – გავეცი ბრძანება. წინ პარხომენკო დადგა ტანგოთი, უკან – შერბინა.
– სმენა! საგუშაგოსკენ ნაბიჯით იარ! ერთი, ორი, სამი. ერთი, ორი, სამი. პარხომენკო, დაიწყე!
პასტროილის ვდვა რიადა
გორი კავკასიონა...
დაიწყო ზარივით გამჭვირვალე ხმით პარხომენკომ.
ვდვა რიადა,
გორი კავკასიონა...
აჰყვა შერბინა და შემდეგ სამივემ ვჭექეთ ერთად:
ნაშა როტა ვნარიადე
პაიმალა შპიონა...
სული ამოვხადე ამ უბედურებს ერთი წლის განმავლობაში, ვიდრე ორ ხმაში სიმღერას ვასწავლიდი...
ჰეი, პასტროილის ვდვა რიადა
გორი კავკასიონა,
ნაშა როტა ვნარიადე

პაიმალა შპიონა... ჰეი!
მივიმღეროდით ჩემს ტექსტსა და მუსიკაზე შექმნილ ჰიმნს ვალმოხდილი მესაზღვრეები და გეზი საგუშაგოს სასადილოსაკენ გვეჭირა.
ერთი საათის დაძინებულები არც ვიყავით, რომ ზემდეგის ყვირილმა წამოგვყარა.
– აბა, სწრაფად, ეზოში!
– რა მოხდა, ომი დაიწყო?! – იკითხა შერბინამ და საწოლზე წამოჯდა.
– ლაპარაკი! – გააფრთხილა ზემდეგმა.
– თქვი, ზუდოვ, რა მოხდა, მუცელზე ფეხდაჭერილივით რომ ღრიალებ? – სთხოვა პარხომენკომ.
– ყველანი ეზოში, ჩხარტიშვილის ბრძანებაა, აბა, სწრაფად, ორი წუთი მომიცია! – თქვა ზუდოვმა და კორიდორში გავარდა.
– რა გვჭირს, ჯაყელო? – მკითხა განცვიფრებულმა შერბინამ.
– ნუ გეშინია, ომი არ უნდა იყოს, თორემ სროლას გავიგონებდით, – დავამშვიდე შერბინა, თან ვფიქრობდი, მართლაც, რა უნდა მომხდარიყო ასეთი. საზღვარზე წესია, ქვეყანა რომ დაიქცეს, თუ მართლა ომი არ დაიწყო, ღამენათევ გუშაგს არ აღვიძებენ, ალბათ, უფრო დიდი რამ მოხდა.
ხუთ წუთში მთელი ასეული ორ რიგად მოეწყო საგუშაგოს ეზოში.
– ასეულო, სწორდი, სმენა! – გვიბრძანა ზუდოვმა.
ყაზარმიდან მაიორი ჩხარტიშვილი გამოვიდა სამი ოფიცრის თანხლებით. ორნი ჩხარტიშვილის მოადგილეები იყვნენ: ერთი – პოლიტდარგში, მეორე – საბრძოლო დარგში – ლეიტენანტები კოროლიოვი და პავლოვი. მესამე ლეიტენანტს პირველად ვხედავდით, მას თავისუფლად ეჭირა თავი, იღიმებოდა, ფორმა სულ არ უხდებოდა და დგომაზე ეტყობოდა, სამხედრო არ უნდა ყოფილიყო, ქართველს ჰგავდა, ოდნავ ღიპიანი, დაბალზე ცოტა მაღალი, შავგვრემანი და ჭაღარა, ასე 40 წლის იქნებოდა.
– ან დეგენერატია, ან დიდი რანგის მზვერავი, თორემ ამ ხნის კაცი პოლკოვნიკი მაინც უნდა იყოს, – ცალყბად გადავულაპარაკე შერბინას. შერბინამ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.
– უფრო დეგენერატს ჰგავს, – მითხრა ცოტა ხნის შემდეგ.
ჩხარტიშვილი მწკრივის წინ გაიჭიმა. მოადგილეები საპატიო მანძილზე გაჩერდნენ, ის საკინძშეხსნილი ლეიტენანტი კი გვერდით ამოუდგა, ხელები ზურგს უკან შემოიწყო და სულ ახალი ხრომის ჩექმის წვერით მიწიდან კენჭის ამოთხრას შეუდგა.
ზუდოვი ლუკმაგადაცდენილი კაცივით კისერგაშეშებული და თვალებგადმოცვენილი დაიძრა მაიორისაკენ, მერე რეტდასხმულივით მარჯვენა ხელი საფეთქელზე იტაცა და იკივლა: – ამხანაგო მაიორო, სასაზღვრო საგუშაგო მოწყობილია და ელოდება თქვენს განკარგულებას.
– Здравствуйте! товарищи! – დაგვახალა ტყვიამფრქვევივით მაიორმა. ასეულმა ღრმად ჩაისუნთქა და უცებ იქუხა:
– Здравье желаем, товарищ майор!
– თავისუფლად! – თქვა მაიორმა.
ასეულმა ამოისუნთქა.
– ამხანაგებო! – დაიწყო მაიორმა. – დღეს ჩვენს საგუშაგოზე ჩამოვიდა ქართველი მწერალი ვლადიმერ მდინარაძე. იგი გახლავთ რამდენიმე პრემიის ლაურეატი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, დეპუტატი, ორდენოსანი... თქვენ გაქვთ წაკითხული მისი ნაწარმოებები: ლექსები, მოთხრობები და სხვ... – მაიორმა პაუზა გააკეთა და ასეულს გადახედა. ასეული ძალიან საეჭვოდ დუმდა.
– ლექსები, მოთხრობები და სხვა! – გაიმეორა მაიორმა.

მწერალმა გაიღიმა და, როგორც იქნა, ჩექმის წვერით ქვა ამოთხარა.
– გაგიგია? – ვკითხე შერბინას.
შერბინამ მხრები აიჩეჩა:
– პირველად მესმის!
– შენ? – გავხედე პარხომენკოს.
– რა ენაზე წერს? – შემაგება კითხვა პარხომენკომ.
– ალბათ, ქართულად.
– ჰო, მაშინ ვერაფერს გეტყვი.
– რუსულად რომ წერდეს, გეცოდინებოდა ხომ? – შესცინა შერბინამ.
– ლაპარაკი! მწკრივში! იგი დღეიდან ჩვენთან იცხოვრებს, ჩვენთან იმსახურებს... მას სურს, შეისწავლოს ჩვენი, საბჭოთა მესაზღვრეების ცხოვრება და დაწეროს წიგნი ჩვენს შესახებ. გასაგებია? – იკითხა მაიორმა და გადმოგვხედა.
ასეული კვლავ საეჭვოდ დუმდა.
– იქნებ თქვენ უთხრათ რამე?! – მიმართა მაიორმა მწერალს.
მწერალმა კენჭს თავი დაანება და კვლავ გაიღიმა.
„რა აცინებს ამ უბედურს“, – გავიფიქრე გუნებაში.
მან დიდხანს გვიყურა, მერე ჯიბეში ჩაიყო ხელი, ზეწრისოდენა ცხვირსახოცი ამოიღო, გაშალა, მერე დაკეცა გულმოდგინედ, საიდანაც ამოიღო, ისევ იქ ჩაიდო და, ლეიტენანტისათვის შეუფერებელი ბოხი ხმით, დაიწყო:
– მე, მეგობრებო, როგორც მომხსენებელმა... ბოდიშს ვიხდი, როგორც მაიორმა ჩხარტიშვილმა მოგახსენათ, მწერალი გახლავართ...
დღეიდან, ამხანაგებო, ბოდიშს ვიხდი, ამხანაგებო, რუსული მაინცდამაინც არ მეხერხება... გადაწყვეტილი მაქვს თქვენს შესახებ რასაკვირველია, დავწერო წიგნი, თქვენი დახმარებით, რასაკვირველია!..
– კარგადაა ჩვენი საქმე, ამან თუ ჩვენ გვაწერია წიგნი, – თქვა შერბინამ და, სიცილი რომ დაეფარა, თავი ჩაღუნა.
– ... მაგრამ მაინც, ამხანაგებო, ვეცდები, თქვენი იმედი გავამართლო და არ შეგარცხვინოთ. ერთად ვიმსახუროთ, ერთად ვიძინოთ, ვისადილოთ, ვივახშმოთ...
– მგონი გვღუპავს, საუზმე დაავიწყდა, – თქვა შეშინებულმა პარხომენკომ და იდაყვი გამკრა.
– მე თქვენ არაფერს არ გასწავლით... – განაგრძო მწერალმა, – პირიქით, თქვენგან უნდა ვისწავლო ყველაფერი. ჯაშუშებიც ერთად დავიჭიროთ, მეგობრებო, და... ვნახოთ, წიგნი როგორი გამოვა. მთავარია, თქვენ მოგეწონოთ, ჩემო ამხანაგებო. აი, ყველაფერი ის, რისი თქმაც მინდოდა. მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, – დაამთავრა მწერალმა და შუბლზე მომსკდარი ოფლი ორთავე სახელოთი მოიწმინდა.
– შეკითხვები ხომ არ გაქვთ, ამხანაგებო? – გვითხრა მაიორმა.
– მე მაქვს შეკითხვა! – თქვა შერბინამ. – რამდენი ხნით ჩამობრძანდა პატივცემული მწერალი?
– ორი თვით! – თქვა მწერალმა.
– მერედა, ორ თვეში ჯაშუში რომ არ გამოჩნდეს, რას შვრება? – ასეულმა ვულკანივით იფეთქა.
– Рррразойдись! – იჭექა მაიორმა და ხველება აუტყდა.
ჩხარტიშვილის მოადგილეები ერთმანეთს შეასკდნენ. მწერალი დაიბნა. არ იცოდა, წყენოდა თუ ხუმრობად მიეღო შერბინას ნათქვამი.
მერე ნელ-ნელა გაეხსნა შუბლი, გაიღიმა, გაიცინა და ბოლოს ისე გულიანად ახარხარდა, რომ მივხვდით, ცუდი კაცი არ უნდა ყოფილიყო.

ავტობიოგრაფია
მე, ავთანდილ გაბრიელის ძე ჯაყელი, დავიბადე 1950 წელს, ქალაქ თბილისში, 2 მაისს, მოსამსახურის ოჯახში. მამაჩემი, გაბრიელ ისიდორეს ძე ჯაყელი, დაბადებული 1925 წელს, ექიმი, და დედა, მანანა ისიდორეს ასული ბახტაძე-ჯაყელისა – დიასახლისი, დაბადებული 1928 წელს, 12 მაისს, დაიღუპნენ საავტომობილო კატასტროფის შედეგად რიკოთის უღელტეხილზე 1960 წლის ორ მაისს, ღამით, ღორეშასთან, დედაჩემის სამშობლოდან, ხონიდან რომ ბრუნდებოდნენ, რის გამოც ბაბუამ, ისიდორე ჯაყელმა, სწავლის გასაგრძელებლად სოფელ ბუკისციხეში წამიყვანა. ბაბუაჩემი ისიდორე ძველი რევოლუციონერი იყო და ზედმეტ სახელად ღრანჭიანს ეძახდნენ. როგორც თვითონ მიყვებოდა, თავიდან ღრანჭიანი არ ყოფილა. 21 წელში, მენშევიკები რომ გაქცეულან და ბოლშევიკები რომ შემოსულან, თვითონაც 21 წლის ყოფილა, და ცოლად ბჟოლიეთელი ანთიძის ქალი მინა ჰყოლია. მინა, ჩემი ბებია. ბაბუაჩემი ისიდორე, ჯაყელებს ამორეცხილი ჰყოლიათ გვარიდან ორი მიზეზის გამო: ერთი, კომკავშირში რატომ შეხვედიო და მეორე, გლეხის ქალი რატომ მოიყვანეო. ბაბუაჩემი ჯაყელების ჯიბრზე კომკავშირის უჯრედის მდივანიც გამხდარა, წელზე ნაგანიც დაუკიდია და მიქელგაბრიელის ეკლესიის გაღმა გორაზე რომ საირაოა, იქ აუზიდია მამამისის ტყეში მოჭრილი თავისი წილი წაბლის მასალა, ორთვალიანი ოდა აუგია და ასე სოფლიდან მოწყვეტილად დასახლებულა.
ჰოდა, 21 წელში, ბოლშევიკები რომ შემოსულან, ეკლესიის დანგრევა მოუნდომებიათ. სოფლის მასწავლებელს კაპიტო შონიას უთქვამს – ნუ დაანგრევთ ეკლესიას, სოფსაბჭო გამართეთ შიგო, ამის თქმა ერთი იყო და შესევიან კომკავშირელები ეკლესიას, გამოუტანიათ ხატები და შიგ მარქსისა და ფილიპე მახარაძის სურათები ჩამოუკიდიათ. ვიღაცას უთქვამს მერე, ასე არ გამოვა, რევოლუციის ბელადების სურათებს ეკლესიაში რა უნდაო, ჯვარი უნდა მოვხსნათო. დაუხევიათ უკან კომკავშირელებს, ვერავის გაუბედია ეკლესიის გუმბათზე ასვლა.
– მაგას ვერავინ მოხსნის ისიდორეს გარდა! – თქვა ვიღაცამ.
– ისიდორე, გვიხსენი სირცხვილისაგან! – სთხოვა პარტუჯრედის მდივანმა.
ბაბუამ ნაგანი მოიხსნა ქამრიდან და შიგ სატეხი და ჩაქუჩი გაირჭო.
– არ შეცდე, ისიდორე, ოჯახი დაგვეფსება! – ჩამოეკიდა ბებიაჩემი კისერზე. ბაბუამ ბებიაჩემი უხმოდ მოიშორა და კიბეს აჰყვა.
– რვა საჟენია, ისიდორე, იცოდე, გულმა არ გიღალატოს!
ბაბუას ხმა არ ამოუღია, გზა განაგრძო.
– მიქელგაბრიელო, მთავარო ანგელოზო, მაგის ოჯახის კისერზე იყოს ყველა ცოდვა!
– თქვა ვიღაცა ქალმა და მუხლებზე დაემხო.
ხალხი შეტოკდა, ატყდა ჩოჩქოლი.
– მიქელგაბრიელო, შენ დაატეხე შენი რისხვა შენს წამბილწველს და გამათახსირებელს! – შეჰღაღადა ვიღაცამ.
კომკავშირელებისა და პარტიულების გარდა, ყველა მუხლებზე დაემხო.
– ვანო, თუ ხარ პარტუჯრედი, მომაცილე აგი ქალები, ადამიანი ვარ მეც! – ჩამოსძახა ბაბუამ ვანოს. ხმა უკანკალებდა ბაბუას. ბებიას გული წაუვიდა, ქადაგად დავარდნილი ქალები გაათრიეს ეკლესიის ეზოდან.
ბაბუა ნელა მიყვებოდა კიბეს, ბოლო საფეხურზე რომ ავიდა, ხალხს გადმოხედა და შვებით ამოისუნთქა – ათასი თვალი შიშით, ცნობისმოყვარეობით და სულგანაბული შესცქეროდა ბაბუაჩემს. ბაბუამ ზევით აიხედა, მის წინ მკლავისსისხო ჯაჭვი ეკიდა,

ჯაჭვი ბოლოთი ჯვარზე იყო გამობმული და მთავარი გზა გუმბათისაკენ ახლა იწყებოდა.
ბაბუამ ჯაჭვს ხელი შეავლო. იგრძნო, როგორ დაუარა რკინის ჟანგიანმა სიცივემ ტანში და შეაჟრჟოლა, ცივმა ოფლმა დაასხა, მუხლებში სისუსტე იგრძნო. ისევ მოიხედა ხალხისკენ. ეკლესიის ეზო შავი და ცარიელი მოეჩვენა. ეზოში არავინ იყო. მეორე ხელიც სტაცა ჯაჭვს, რომ არ ჩავარდნილიყო. თვალები ისე მაგრად მოხუჭა, რომ წითელ-ყვითელმა რგოლებმა დაიწყეს მის წინ ცურვა. ისევ გაახილა თვალები. ეზო გაჭედილი იყო ხალხით, გატრუნული, დამუნჯებული ხალხით.
ბაბუამ გუმბათს ახედა. უკან დაბრუნებას სიკვდილი სჯობდა, და ჯაჭვი თავისკენ მოქაჩა. ჯაჭვი საზიზღრად აჟღარუნდა, ჟანგის ქერცლი აცვივდა ჯაჭვს და თავზე დააცვივდა ისიდორე ჯაყელს. ისიდორე ფეხის წვერებზე აიწია, ჯაჭვი მკერდში ჩაიკრა და დაიწყო მიქელგაბრიელისა და ისიდორე ჯაყელის ბრძოლა...
– მიქელგაბრიელო! ხარ თუ არა ქვეყანაზე, ახლა ერთია ჩემთვის ყველა, უნდა ამიშვა, უნდა ამიშვა, უნდა ამიშვა, მე მოვდივარ შენს საყუდარში, რომ ნამუსი აგხადო, ჯვარი აგყარო და, თუ ამას არ ვიზამ, ცოცხალი დაბლა არ ჩამესვლება, მიქელგაბრიელო! მიქელგაბრიელო! მე ძლიერი ვარ შენზე და შენ რომ არ ამომიშვა, მე მაინც ამოვალ, რომც არსებობდე შენ, მე მაინც ამოვალ და თუ არა ხარ, მით უმეტეს, მით უმეტეს, მით უმეტეს! – ისიდორე ჯაყელს ხელისგულზე ბებერები უჩნდება, შიგ წყალი უდგება, ბებერები სკდებიან და სისხლნარევი, ოფლსა და ჟანგში შეზავებული ცხელი სითხე წურწურით ჩამოსდის მაჯებზე. – რამდენი რგოლი დარჩა ბოლომდე?! – ერთი, ორი, სამი, ათი, ცამეტი... ცამეტი, ცამეტი, მიქელგაბრიელო, რამდენი ანგელოზიც გყავს, იმდენი რგოლიც რომ ჰქონდეს ამ ჯაჭვს, მაინც ამოვალ. თორმეტიღა დამრჩა, თორმეტი, თორმეტი, ათი, ცხრა, ამოვალ, მაინც ამოვალ, მეხი რომ გავარდეს ამ მოწმენდილ ცაზე და ამ ჯვარიანად ჩამიტანოს ქვესკნელში, მაინც ამოვალ. სამი, ორი, ერთი! გათავდა, მიქელგაბრიელო, შენ მიშველე, ჩემო ახალო ღმერთო! შენ მიშველე, მაჩვენე შენი სიძლიერე! მაჩვენე, რომ გიწამო!!! – ბაბუამ ჯვარს ხელი სტაცა ტანზე, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, მკლავებზე აიწია და სასოწარკვეთილი მლოცველივით ჩაეხუტა ჯვარს. ერთხანს ასე იყო ჩახუტებული ჯვართან და ყურს უგდებდა დაბუჟებულ სხეულსა და დასკდომამდე დაბერილ საფეთქლებში ადუღებული სისხლის ჩუხჩუხს.
ქვევით ჩაიხედა და გატრუნული ხალხი რომ დაინახა, ბღავილი მოუნდა.
– ეჰე-ჰე-ჰე-ჰე! – დაიძახა.
– რა იყო, ისიდორე?! – ამოსძახა ქვევიდან ვანომ.
– არ არის, არა!
– რა არ არის, ისიდორე?!
– მიქელგაბრიელი, ხატი, რჯული, ჯვარი, ღმერთი!
– არ ისმის, ისიდორე!
– არ არის, არ არის, არა, გესმით?! – ბაბუამ ყურზე ხელაფარებულ და სმენადქცეულ ხალხს ჩახედა, პატარები, ძალიან პატარები ჩანდნენ ზევიდან.
– არ ისმის, ისიდორე, რას ამბობ, რას?! – ასძახა ისევ ვანომ და ბაბუა მიხვდა, რომ ყიჟინის მაგივრად, გამშრალი ხორხიდან ხრიალი ამოსდიოდა...
– დაღამდა, ისიდორე, საქმეს მიხედე, მოაძრე თუ აძრობ! – ანიშნა ვანომ...
ბაბუამ დაიწყო...
ერთი საათი უნგრევდა სატეხით ჯვარს საყრდენს; როდესაც შეატყო, ახლა კი შეიძლებაო, გუმბათის კენწეროს ფეხები შემოაჭდო მაგრად, მარცხენა ხელი ჯვრის საყრდენს ჩასჭიდა ძირში და მარჯვენათი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიაწვა. ჯვარი

ოდნავ გადაიწია წინ. ახლა თავისკენ მოზიდა ბაბუამ ჯვარი. ჯვარი დაჰყვა ღონიერი მკლავის ნებას. ახლა ისევ წინ მიაწვა, მერე ისევ თავისკენ, მერე ისევ წინ და ჯვარი ხრიალით დაეშვა გუმბათზე, მერე ბრტყლად დაეცა მთავარ სახურავს, მოჭიქული კრამიტი მარილივით დაფშვნა, ზათქით დაეცა სადღაც დაბლა. ხალხმა ამოიგმინა, ბაბუამ ისევ გადახედა ხალხს, შავებში ჩაცმული დედაკაცები ყვავებივით ერივნენ ხალხში, ბაბუას გულში რაღაცამ გაჰკრა, ბეჭიც აეწვა მარცხენა. ხალხს თვალი აარიდა და ჯვრის გადანატეხს დააშტერდა.
– ჩამოდი აწი, ისიდორე! – შეუძახეს ქვევიდან.
– რამ გაგაშტერა, კაცო?
– ჩამოყარე მაგ სატეხი და ჩაქუჩი და ჩამოდი!
ბაბუამ ჩამოყარა სატეხი და ჩაქუჩი, მათი მიწაზე დაცემის ხმა არ გაუგონია, არც კომკავშირელების კმაყოფილი შეძახილები გაუგონია.
იგი ზურგით შემოტრიალდა საყდრის ეზოსაკენ და ნელა დაეშვა ჯაჭვით.
კიბეს რომ შეახო ფეხის წვერი, სხეული მოადუნა, მტკიცედ დაეყრდნო ცალი ფეხით, მერე – მეორეთი. ახლა პირით შემოტრიალდა ხალხისკენ და ისე დაიწყო ჩამოსვლა.
– ოცი საფეხური აქვს ამ კიბეს, ამოსვლისას დავითვალე; ერთი, ორი, სამი... – ხელახლა დაიწყო თვლა ბაბუამ.
– ათი, თერთმეტი, თორმეტი... თოთხმეტი... ჩვიდმეტი, ჩვიდმეტი ყოფილა, ჩვიდმეტი საფეხური, ოცი საიდან დავითვალე? ჰო, გამახსენდა, ოცი საფეხური, შარშან რომ პისტის სახურავი გადმოვთოვლე, იმის კიბეს ჰქონდა. ეს როგორ შემეშალა, ოცი კი არა, ჩვიდმეტი ყოფილა.
ისიდორე ბაბუა საყდრის შუა ეზოში იდგა და იღიმებოდა.
– ნავთი გადაავლეთ ხელისგულებზე, სისხლი სდის! – თქვა ვიღაცამ.
– კაცი ხარ, რომ უნდა ისეთი! – დაჰკრა ხელი ვანომ.
– წყალს ხომ არ დალევ, ისიდორე?
– ღვინო მიართვით მაგას!
– ისიდორე, თუთუნს ხომ არ მოსწევ? – მიაწოდა ვიღაცამ ქისა.
– პისტი სადაა? – იკითხა ისიდორე ბაბუამ ისე, რომ სათუთუნე ქისისკენ არც კი გაუხედია.
– ვინ პისტი, ისიდორე? – ჰკითხა ბებიამ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გვერდით ედგა და თავსაფრით შუბლიდან ღვარად ჩამოსულ ოფლს წმენდდა.
– პისტი, ქალო, შარაშიძე პისტი! – თქვა ბაბუამ და გაკვირვებულმა შეხედა ბებიას. პისტი მოიყვანეს.
– პისტი, შენს კიბეს რამდენი საფეხური აქვს? – ჰკითხა ისიდორე ბაბუაჩემმა.
– გაგიჟდი, უბედურო? – თქვა პისტიმ და ლოყა ჩამოიხოკა.
უცებ ისიდორე ჯაყელს, ჩემს ბაბუას, ქვედა ტუჩი გაექცა მარცხნივ, ქვედას ზედა მოჰყვა, მერე თვალთან რაღაცამ დაქაჩა, ნიკაპი აუთრთოლდა და ყველაფერმა ერთად მარცხენა ყურთან მოიყარა თავი. აბღავლებული ისიდორე ჯაყელი პირჩაღმა ეგდო მიქელგაბრიელის ეკლესიის ეზოში და თავზე ლოყადახოკილი, იმ მიქელგაბრიელის ანგელოზივით ლამაზი, ერთი თვის მოყვანილი ცოლი მინა ადგა.
შემდეგ ბაბუაჩემის ღრანჭი ქვეყნის სალაპარაკო გამხდარა.
– რავა ისიდორე ჯაყელივით ცალყბად მპატიჟებ, ბიჭო!
– რავა ისიდორესავით მოქცევია ღრანჭი შენს ქალამანს!
– გადი, თორემ მოგიქცევ ღრანჭს ისიდორესავით!
– რავარც ისიდორეს ღრანჭი არ გასწორდება, არც მაგ საქმეს ეშველება რამე.
– ისიდორეს რომ ღრანჭი მოექცა, იმ წელს ორი საჟენი თოვლი დადო ბუკისციხეში.

– მაგას რომ უყურებ, პატარა ხნის არ გეგონოს, ისიდორეს რომ ღრანჭი მოექცა, ორი წლის იყო.
– 40 წლის კი არა, მაგას ისიდორე ღრანჭმოქცეული ახსოვს.
– გაჩერდი, თორემ გადაგცემ მიქელგაბრიელს და მოგიქცევს ღრანჭს ისიდორე ჯაყელივით!
მაგრამ ამას ყველაფერს ისე ამბობდნენ, ბაბუას რომ არ გაეგო და არც არსებობდა კაცი სოფელში, რომელიც ისიდორე ჯაყელს გაუბედავდა, ღრანჭიანი ხარო ეთქვა. სოფელში რომ გამოჩნდებოდა, ყველანი მოწიწებით უხრიდნენ თავს და გზას უთმობდნენ. 23 წლის ბიჭი სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ აურჩევიათ. სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ რომ აირჩიეს, ერთ კვირაში, 21 წელში ფირალად გასული მინაგო ჯაბუასაგან მიუღია წერილი:
„ისიდორე ღრანჭიანო! ამოდი, თუ ვაჟკაცი ხარ, სურების ტყეში ვარ, შენს სისხლს გადავირებ ენაზე. თუ არ ამოხვალ, მე თვითონ გეახლები. იმ ლამაზ ცოლს გაგიბახებ, მერე მიქელგაბრიელის საყდარში საკურთხეველზე დაგაკლავ ღორივით“.
ქალამანი ჩაიცვა ისიდორე ჯაყელმა, მაუზერი გაირჭო ქამარში და ეზოდან გავიდა. ისევ ჩაუვარდა მისი ცოლი მინა მუხლებში:
– არ ქნა, ისიდორე, არ დამაქვრივო, შენ შემოგევლე!
– შენი ფეხის ნაბანი წყალი თუ არ შევასვი, მინა, მაგას, კაცი არ ვიყო! – თქვა ისიდორემ და წავიდა.
სამი ღამე ელოდა მწყემსების სადგომში ისიდორე ჯაყელი მინაგო ჯაბუას.
– ტყუილა უცდი, ისიდორე, არ დადის მინაგო ამ მხარეში, – უთხრეს მწყემსებმა. არ დაუჯერა ისიდორე ჯაყელმა მწყემსებს, არც თვითონ წავიდა, არც მწყემსები გაუშვა სადმე მარტო, ამბავი არ მიუტანონო, და მოვიდა მეოთხე დღეს, დილით ალიონზე, მინაგო ჯაბუა მწყემსების კარავში მშიერი. ორი მაუზერი ერტყა წელზე და ცალი ფეხით კოჭლობდა ოდნავ. ვერ შეიცნო შორიდან მინაგომ ბაბუაჩემი, მწყემსი ეგონა, ახლოს რომ მივიდა, იცნო და მაუზერზე იტაცა ხელი, მაგრამ გვიანი იყო – ისიდორე ჯაყელს მაუზერის პირში ჰქონდა მიცემული ტყვია და შავი გრძელი ლულა წარბებშუა უყურებდა მინაგო ჯაბუას. მინაგომ ხელები ასწია მაღლა.
– ქამარი შეიხსენი, მინაგო! – უთხრა ისიდორე ჯაყელმა.
მინაგომ ქამარი შეიხსნა უხმოდ. მწყემსები განზე იდგნენ და სულგანაბული უყურებდნენ, რა მოხდებოდა.
– გაუშვი ხელი ქამარს! – თქვა ისევ ისიდორე ჯაყელმა. მინაგომ ხელი გაუშვა ქამარს, ორი მაუზერით დამძიმებულმა ქამარმა ბალახზე ზღართანი მოადინა. ისიდორე ჯაყელმა მარცხენა ხელით ბუდიდან ჩავლადრის დანა ამოიღო და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მინაგო ჯაბუას. მინაგომ თვალები დახუჭა, ნიკაპი აუკანკალდა და აწეული ხელები მოწყვეტილივით ჩამოუცვივდა ძირს. – ისიდორე ბატონო! – უთხრა მოხუცმა მწყემსმა, – გვეცი პატივი და ნუ გვაყურებინებ ცოდვას, სხვაგან წაიყვანე და იქ დაკალი. – ისიდორემ ხმა არ გასცა მწყემსებს, დანა ჭიპზე დაადო მინაგოს. მწყემსებმა სახე აარიდეს, შებრუნდნენ ზურგით და თავები დახარეს. ისიდორე ჯაყელმა ქვევიდან ზევით აჰკრა დანა მინაგოს და ხვანჯარი გაუჭრა. უბიანი შარვალი კოჭებამდე ჩაუცურდა მინაგოს და სასირცხვო ადგილი გამოუჩნდა.
– მოკიდე ხელი შარვალს, შე უნიფხო! – უთხრა ისიდორემ მინაგოს და გვერდზე გადააფურთხა. მინაგომ სასწრაფოდ აზიდა შარვალი და ხელი აღარ გაუშვია.
– იარე ახლა წინ! – უთხრა ბაბუამ.
– სად მიგყავარ, ისიდორე ჯაყელო? – ამოიღო ხმა, როგორც იქნა, მინაგომ.
– ისიდორე ჯაყელი არ მქვია მე, ისიდორე ღრანჭიანი მქვია! – უთხრა ბაბუამ.

– სად მიგყავარ, ისიდორე, თუ მკლავ, აქ მომკალი!
– სიკვდილი წამალია შენთვის, მინაგო, მაგრამ არ გაღირსებ, გადაადგი ფეხი!
– თქვი, ისიდორე, სად მიგყავარ, თორემ ფეხს არ მოვიცვლი! – თქვა მინაგომ და ღელვისგან შარვალს ხელი გაუშვა. შარვალი ისევ კოჭებში ჩაუცურდა, მინაგომ სასწრაფოდ სტაცა ხელი შარვალს და ზევით აიწია.
– ფეხს არ მოიცვლი კი არა, ფორთხვით წამომყვები! – თქვა ისიდორემ.
– რას მიპირებ, ისიდორე?! – ბზარი შეეპარა ხმაში მინაგოს.
– არაფერს არ გიპირებ, სახლში მიმყავხარ ჩემთან!
– ასე შარვალჩახდილი?
– ჰო, ჩემი ცოლის გასაბახებლად მიმყავხარ, იქ რომ არ დაგჭირდეს შარვლის ჩახდა, აქ გეცი პატივი ჩემი ხელით.
მინაგო მუხლებზე დაეცა და ფეხებზე მოხვია ხელი ბაბუას.
– ნუ მიზამ მაგას, ისიდორე, და მონა ვარ შენი!
– ადექი, შე მათხოვარო! – უთხრა ბაბუამ და ყურის ძირში დაადო მაუზერის ცივი ლულა.
მინაგო ადგა. ჯერ მწყემსებს გადახედა, მერე მიწაზე დაყრილ მაუზერებს და წელმოწყვეტილი, ფეხების ფლარტუნით დაჰყვა ქვევით მიმავალ ბილიკს. ხვანჯარშეხსნილ შარვალს ორთავე ხელით ქაჩავდა ზევით, ისე მიდიოდა.
– ეს მაუზერები თქვენთვის დამიტოვებია, რომ ჩამოხვალთ მთიდან, ჩამაბარებთ! – მიუბრუნდა ბაბუა მწყემსებს. მერე თავისი მაუზერი ქარქაშში ჩააცურა და თვითონაც წელმოწყვეტილი გაჰყვა მინაგოს.
ღამის ორ საათზე შეაღო ბაბუამ სახლის კარი და ზურგზე აკიდებული მინაგო ბუხართან დაგებულ დათვის ტყავზე დააგდო. ბებიას არ ეძინა, ოთხი ღამის უძილო, თვალებამოღამებული ელოდა ბაბუაჩემს.
– სუფრა გაშალე, ქალო! – უთხრა ისიდორემ შეშინებულ ცოლს.
ცოლმა დაბალი სუფრა გაშალა, ერთი დოქი ღვინო, ნახევარი მჭადი, ერთი წველა ყველი და ორი ღვინის ჭიქა დადგა ზედ.
– ადექი და ჭამე! – უთხრა მინაგოს ისიდორემ. მინაგო არ განძრეულა.
– სახვანჯრე ბაწარი გამოიტანე, ქალო! – უთხრა ახლა ცოლს.
ბებია გავიდა და ორი მხარი წვრილი ბაწარი შემოიტანა. ბაბუამ ბაწარი მინაგოს მიუგდო.
– ადექი, ხვანჯარი შეიკარი, შენ გადი, ქალო!
ბებია გავიდა. მინაგო ადგა, ბაწარი წელზე შემოირტყა და მაგიდას მიუჯდა.
– შემოდი, ქალო, და დაჯექი ჩვენთან! – გასძახა ცოლს ისიდორემ.
ბებია შემოვიდა და უხმოდ მიუჯდა სუფრას.
– გეყოფა, ისიდორე, უღმერთო კი ხარ, მაგრამ გეყოფა, ნუ მჭრი ქალთან თავს. თუ ვაჟკაცობა არ გყოფნის რომ მომკლა, გამიშვი და თუ გყოფნის, გაათავე, ნუღარ მაწვალებ! – თქვა მინაგომ და აკანკალებული ხელებით სახე დაიფარა. ბაბუამ ხმა არ გასცა, დიდხანს იფიქრა, ბოლოს ღვინო დაასხა.
– აიღე ჭიქა! – უთხრა მინაგოს. მინაგომ ჭიქა ასწია.
– როგორ ატყობ, მინაგო ჯაბუა, ტკბილია ცხოვრება?
– ჯოჯოხეთია ცხოვრება! – თქვა მინაგომ.
– დაფიცებული მაქვს, ჩემი ლამაზი ცოლის ფეხის ნაბანი წყალი უნდა დაგალევინო! – თქვა ბაბუამ.
– მაჯა გადამიხსენი, სისხლი დალიე ჩემი, და მაგას ნუ მიზამ, თორემ თავს არ ვიცოცხლებ, ისიდორე!

– დაფიცებული ვარ.
– თავს არ ვიცოცხლებ.
– ისიდორე, ხვადაგი ხარ შენ, არც ღმერთი იცი, არც ხატი, არც რჯული, ამ კაცს რომ რაიმე დაუშავო, ჩემი ფეხი არ იქნება ამ ოჯახში.
– ნუ გამატეხიებ ფიცს, მინა! – თქვა ბაბუაჩემმა.
– თავს არ ვიცოცხლებ, ისიდორე ჯაყელო! – თქვა მინაგომ.
– არ იცოცხლებ?
– არა, ისიდორე! – ბაბუამ მაუზერი ამოიღო ბუდიდან და მაგიდაზე დადო. მინაგომ მოხედა მაუზერს, მერე თავი ასწია და ბაბუას მიაშტერდა თვალებში, ძალიან დიდხანს უყურეს ერთმანეთს. ბოლოს ვერ გაუძლო მინაგომ და თვალები დახარა. ახლა ახლოს მიუჩოჩა მაუზერი ბაბუამ.
მინაგოს თავი არ აუღია მაღლა, მაშინ ადგა ისიდორე ჯაყელი, მოჰკიდა თავის ცოლს ხელი და უკანა კარით გავიდა ოთახიდან. რომ შემობრუნდა, მაუზერი ისევ მაგიდაზე იდო და ოთახის ორთავე კარი ღია იყო.
მინაგო კიბეზე ჩადიოდა. აცალა ბაბუამ, ვიდრე ეზო გაიარა მინაგომ, ალაგეზე რომ შედგა, აივანზე გავიდა.
– მინაგო! – მინაგო მონუსხულივით შედგა ალაგეზე, დიდხანს იდგა ასე, ალბათ, ტყვიის მოლოდინში, მერე ნახევრად შემოტრიალდა სახლისკენ. – წადი, მინაგო ჯაბუა, მათხოვარი ყოფილხარ! – უთხრა ბაბუამ. მინაგო ჯაბუა შებრუნდა და ალაგე გადაიარა.
* * *
24 წელში, მენშევიკების გამოსვლების დროს, ალიონზე სოფლის მოედანზე პირველი თოფი რომ გავარდა, ისიდორე ჯაყელი ლოგინიდან წამოიჭრა და ნიფხავ-პერანგის ამარა გავარდა სოფლის საბჭოსაკენ.
გზაში შეშინებული მეზობლები შეეფეთნენ.
– გათავდა, ისიდორე, ჩვენი მთავრობა, მენშევიკებმა აიღეს სოფელი, ამბობენ ჟორდანია და რამიშვილი თბილისშია, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა კახეთი აიღო!
– იარაღი მომეცით! – ეცა ბაბუა მეზობლებს. იარაღი არც ერთს არ ჰქონდა. ახლა სახლისკენ გავარდა, დამდუღრულივით შეაღო კარი და...
მაგიდას მინაგო ჯაბუა უჯდა კბილებამდე შეიარაღებული, ორთავე ხელში მაუზერი ეჭირა, მარჯვენა მაჯაზე საცხენე, ენიანი მათრახი ეკიდა. აქეთ-იქით ისიდორესთვის ორი უცნობი კაცი ეჯდა. ორთავე უსაშველოდ შეიარაღებული
– უდღეური მთავრობის თავმჯდომარეს გაუმარჯოს! – თქვა მინაგომ და ტყვიით გაჭედილი ფალასებით ჯვარედინად გადაკოჭილი მხრები შეათამაშა. ისიდორე ჯაყელი გაშრა.
– დაბრძანდი, ისიდორე ბატონო! – სთხოვა მინაგომ. ისიდორე ადგილიდან არ დაძრულა, მაშინ მინაგო ადგა, მაგიდას შემოუარა და ბაბუას მიუახლოვდა. ახლა მინაგოს ჯერი იყო და გაუშტერა თვალი ისიდორეს. არ აარიდა ისიდორემ თვალი. მაშინ მოუქნია მინაგომ მათრახი და გაფუჭებულ ყბაზე გადაუჭირა. გაეხსნა მტკივანი ლოყა ისიდორეს და სისხლი ღვარად ჩამოექცა თეთრ ნიფხავ-პერანგზე.
– დაჯექი, რომ გეუბნებიან, ღორის შვილო! – უთხრა მინაგომ.
ისიდორე დაჯდა. მინაგო წავიდა, ისევ მოუარა მაგიდას და ისევ თავის ადგილზე დაჯდა, – ასე! – თქვა მან. ახლა ისიდორე ჯაყელის ოთახი სასამართლოს დარბაზს ჰგავდა. მის მაგიდას სამი მსაჯული უჯდა. მათ შორის ერთი, ღვთის გლახა მინაგო ჯაბუა იყო, ხოლო თვითონ საბრალდებულო სკამზე იჯდა და განაჩენს ელოდა.

– არ გეწყინოს, ისიდორე, მათრახი. ღრანჭის გასწორება მინდოდა, აბა, ასე სამარცხვინოდ ხომ არ გამოცხადდები მიქელგაბრიელთან?! – დაამადლა მათრახი მინაგომ. ისიდორე ხმას არ იღებდა.
– სადაა შენი ლამაზი ცოლი, ისიდორე, გადამალე? მოასწარი, ხომ? ვაი დედასა, იღბალი მაგას ჰქონია, მაგრამ სად წავა? – ისიდორემ ისე იკბინა ქვედა ტუჩზე, სისხლი წასკდა და სიმწრისგან ორი დიდი კურცხალი ჩამოუცურდა ორთავე თვალიდან.
– ტირი, ჩემო ისიდორე? იტირო უნდა, აბა, როგორ? გათავდა თქვენი საქმე. ვინაა მენშევიკი და ვინაა ბოლშევიკი ამ დილას გაირკვა.
მიდღემჩი ამ ტილიანებზე მეტი ვიყავით და რატომ გვეძახდნენ მენშევიკებს, კითხეთ ერთი?! – მიუბრუნდა მინაგო ორ უცნობს.
– ბატონო მინაგო, გავათავოთ ეს ბაზრობა, ამ ერთ ძაღლის გაგდებულზე ხომ არ დამდგარა ბოლშევიკები, დაალევინე ცხელი ტყვია და მივხედოთ ჩვენს საქმეს! – უთხრა ერთ-ერთმა.
– არა, ჩემო ბატონო, ამის ასე სიკვდილი ღმერთის წინაშე ცოდვაში ჩაგვეთვლება. ისიდორე ჯაყელო! მიქელგაბრიელის საყდრიდან ჯვრის ჩამოგდებისათვის, კომკავშირის უჯრედის მდივნობისათვის, სოფლის საბჭოს თავმჯდომარეობისათვის, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრის მინაგო ჯაბუას დევნისათვის...
– შევარცხვინე ის მთავრობა, ბოზი კესარიეს შვილი რომ თავის წევრად ჰყავს, – თქვა ისიდორე ჯაყელმა. მინაგოს პირი გაუშრა, მაგრამ ნერწყვი გადაყლაპა და მაინც განაგრძო: – მამულების ძარცვა-გლეჯისათვის და სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი სხვა უამრავი დანაშაულისათვის, გურიის აჯანყების რევოლუციური საბჭოს საველე სასამართლოს სახელით დახვრეტა მოგესაჯა.
– ახია ჩემზე! – თქვა ისიდორე ჯაყელმა.
– ახი რომაა, ისიდორე, იმას მოგახსენებ. ადექი ახლა ზედ.
ისიდორე ადგა.
– გადი გარეთ! – უბრძანა მინაგომ. ისიდორე გავიდა. სამთავე გაჰყვა. ბოსელთან რომ მივიდნენ, ისიდორე ჯაყელი კედელთან შედგა.
ახლად ამოწვერილ მზეს შეხედა ისიდორე ჯაყელმა, თვალი არ მოუჭუტია, თითქოს უნდოდა ასე დიდი, ვეებერთელა ოქროსფერი და თბილი ჩაყოლოდა საფლავში. მერე სოფელს გახედა შიშისა და მოულოდნელობისაგან გაყუჩებულს, გასუსულს. საიდანღაც სასიკვდილოდ აწკავწკავებული ძაღლის ხმა ჩაესმა, ყური მიუგდო. ხმა მალე მიწყნარდა.
მერე მგონი, მამლის ყივილიც გაიგონა სხვის თუ საკუთარ ეზოში და უცებ სუნი ეცა, სუნი მიწის, ბალახის, თივის, საქონლის ნაკელის, ყვავილის, პურის, მჭადის, თაფლის, სისხლის, გახეთქილი ლოყიდან რომ ჩამოსდიოდა, და ყველაფერი ეს, ერთმანეთში არეული, შეზავებული, გრილ ნიავსა და ვეებერთელა მზეს რომ მოჰქონდა, უკანასკნელი ჭირისუფალივით რომ ეფერებოდა გონჯ სახეზე და უცებ ისიდორე ჯაყელს მუხლზე დაცემა, მზისადმი ლოცვის თქმა და ტირილი მოუნდა.
– არა, ჩემო ისიდორე, ასე, პარიზის კომუნარივით ლამაზად ვერ დაგხვრეტ. ამ ლამაზ ბუნებას ვერ ჩაგაყოლებ საფლავში. ნეხვსა და ნაგავში ამოგხდი სულს. გააღეთ ბოსლის კარი! – უბრძანა მინაგომ იმ ორს. ერთი მივიდა და ბოსელს ურდული თოფის კონდახით ჩამოგლიჯა.
– შედი შიგ! – უბრძანა ახლა ისიდორეს. ისიდორე შევიდა ბოსელში ფეხშიშველი და დასისხლიანებული ნიფხავ-პერანგის ამარა.

– ძროხა გაიყვანეთ! – თქვა მინაგომ. ძროხა გაიყვანეს.
– დაწექი ბაგაზე პირჩაღმა! – უთხრა მინაგომ. – ნუ მაყურებინებ შენს მახინჯ ცხვირ-პირს! – ისევ იტირა ისიდორე ჯაყელმა, მაგრამ რატომ, აღარ ახსოვს, ახსოვს, რომ იტირა.
– რას დაგვიბარებ, ისიდორე ბატონო? – ჰკითხა მინაგო ჯაბუამ.
– შენი ბოზი დედა ვატირე, შე ნაბიჭვარო, შენ! – უთხრა ისიდორე ჯაყელმა მინაგო ჯაბუას და მაშინ გამოუშალა ფეხი მინაგომ მაუზერს, ხელი უკანკალებდა მინაგოს, ათი ტყვიიდან შვიდმა ისიდორეს ძვალსა და რბილში გაიარა, სამი კი ბოსლის ძელს მოხვდა და ერთი ხელის დადებაზე გაცივდა შიგ. ჯერ ერთ მუხლზე დაიჩოქა ისიდორე ჯაყელმა, მერე – მეორეზე. ორთავე ხელით ჩამოხოკა ნატყვიარი ძელები და პირჩაღმა დაემხო თბილი ნეხვით სავსე ბაგაზე.
* * *
ორმა კაცმა შემოაღო ბოსლის კარი ფრთხილად. მივიდა ისიდორესთან და გულაღმა გადმოატრიალა.
– მოუკლავთ იმ შობელძაღლებს! – თქვა ერთმა ჩურჩულით.
პერანგი შემოახია მეორემ და ყველა ნატყვიარი გაუსინჯა.
– თვალები დაუხუჭე, მაგ საცოდავს, რავა ცოცხალივით იყურება, – თქვა პირველმა.
მეორემ ხელისგული ჩამოუსვა თვალებზე, ერთხელ და მეორეჯერ.
– არ ეხუჭება თვალები, მგონი ცოცხალია, ეს უბედური, – თქვა მეორემ და ყურით გულზე დაემხო.
– არ გადამრიო?! – თქვა პირველმა.
– კი, ცოცხალია, უნდა წავიყვანოთ, გადარჩეს იქნებ! – თქვა მეორემ.
– რად გინდა მერე, სახაჭაპურე ფქვილის გასაცრელად თუ გამოდგება, თვარა კაცად აღარ ივარგებს აწი მაგი, ისეა დაცხრილული! – თქვა პირველმა.
– ენად ნუ გაკრეფილხარ, წყალი მოიტანე! – გაუჯავრდა მეორე.
პირველი წავიდა წყლის მოსატანად.
* * *
ერთი კვირა ამტვრევდა ისიდორე ჯაყელი ჯოჯოხეთის კარს და მაინც არ მიიღო მიქელგაბრიელმა.
მერე ოთხი თვე ეძებდა ნაბადივით შავ ცაზე მზეს ისიდორე ჯაყელი და მეხუთე თვეზე გახია მზემ ნაბადივით შავი ცა და ეახლა მას. კიდევ ერთი თვე ებრძოდა ისიდორე დაბინდულ ტვინს და ბოლოს მიაგნო მახსოვრობის სალაროს.
მერე შეხედა თავის ლამაზ ცოლს კითხვითა და ცრემლით სავსე თვალებით და ერთი სიტყვა უთხრა:
– მინაგო!
– არ არის მინაგო! – უთხა ცოლმა.
– შენ?
– მე აქ ვარ, ისიდორე! – უთხრა ცოლმა და ძმრიანი ტილო დაადო შუბლზე. დიდხანს იფიქრა ისიდორემ, ძალიან დიდხანს, ალბათ, რაღაცას იხსენებდა და უცებ აწრიალდა.
– მინაგო, მინაგო, ჩემი ლამაზი ცოლი მინა, მინა, ახია ჩემზე, ახი, ფეხის ნაბანი წყალი...
– დედაშენს მიეცა შენი ცოდვა შენი გაჩენისათვის, – თქვა ბებია მინამ და ატირდა.
უყურა ისიდორემ მისი ლამაზი ცოლის ფერმკრთალ ღაწვებზე ამოღამებული თვალებიდან დაცურებულ კურცხალს და თვითონაც მოუნდა ტირილი. ატირდა ჯერ უხმოდ, მარტო ცრემლით, მერე ხმით იტირა, ბოლოს გული ამოუჯდა, ჯერ შერცხვა,

ცრემლისა და ნერწყვის ყლაპვა დაიწყო, უცებ იგრძნო, რომ თბილი, მარილიანი ცრემლი დაეცა გულზე დამხობილ ვეებერთელა ლოდს, ლოდი შეირყა, შუაზე გადაიხსნა, მერე კიდევ შუაზე, მერე კიდევ და გალღვა უზარმაზარი ლოდი, გალღვა და სადღაც მუცლის ღრუში ჩაიღვარა, გულმა ბუდე იპოვა, ჩაჯდა შიგ და თავისი გაუთავებელი საქმე დაიწყო, მკერდი გაეხსნა ისიდორე ჯაყელს, ვეღარ დააკავა ზვავივით მომდგარი სიხარული და გალახული ძაღლივით აყმუვლდა.
– მინაგო, ვაი დედასა, მინაგო!
– წავიდნენ მენშევიკები, ისიდორე, ოსმალეთში გავიდა მინაგო, ისიდორე, დაწყნარდი, შე კაცო, აწი! – სთხოვდა ბებია. – შემიბრალე მეც.
* * *
დაწყნარდა ბაბუაჩემი ისიდორე ჯაყელი. 1925 წლის ბოლოს მამაჩემი გაბრიელი, გაბო შეეძინა. რაც ტყვია-წამალი ჰქონდა ბაბუაჩემს, იმ ალიონზე დაწვა, მერე მივიდა ჭასთან და მაუზერი შიგ ჩააგდო – აწი აღარ დამჭირდებაო, მაგრამ შეცდა ისიდორე ჯაყელი.
* * *
1943 წლის დასაწყისში წავიდა მამაჩემი, გაბრიელ ჯაყელი სამამულო ომში – 18 წლის ბიჭი.
„წითელარმიული სალამი მამაჩემო!
გწერს შენი შვილი გაბო.
შენ რომ ოთხი კილო ნიორი გამომატანე ნავთლუღის სადგურიდან, ძალიან გამომადგა. უკვე მითავდება და არ ვიცი რა ვქნა, რა ჩემ ფეხებად მინდოდა იმ ერთ ჩემოდან ხეჭეჭურა მსხალს რომ მოვათრევდი, ნეტავი ნიორი წამომეღო. თავიდან რომ ბიჭები მეჩხუბებოდნენ. ნუ აგვაქოთე, გადაყარეო, ახლა ჭირს მჭამენ – ცოტა მოგვეციო. ჩვენს პირობებში ერთი კბილი ნიორი ერთ ტანკს თუ არა, ერთ ტყვიამფრქვევს მაინც უდრის. პირობებს იმიტომ ვამბობ, მამაჩემო, რომ ძალიან მძიმე პირობები გვაქვს. წარმოიდგინე დიდი სანგარი, კაცის სიმაღლეზე გათხრილი, წელამდე წყალი. შეღავათი მხოლოდ ისაა, რომ ბაყაყები არ არის შიგ. წინ გერმანელებია. რომ გითხრა, არ დაიჯერებ. საკუთარი თვალით ვხედავ, ისე ახლოს არიან გერმანელები. ღამე, სიჩუმე რომაა, ლაპარაკიც კი გვესმის. ჩვენს ასეულში 8 ქართველი, 6 სომეხი და 21 რუსი ვართ. არ ვიცი, ან ისინი რას ელოდებიან, ან ჩვენ რას ველოდებით. უკვე ერთი კვირაა ასე ვუყურებთ ერთმანეთს. ღამე თუ ამოვალთ სანგრიდან და ცოტას გავიშრობთ ტანსაცმელს, თორემ დღისით თავის ამოყოფა და სიკვდილი ერთია. ეს წერილიც ტანსაცმლის გაშრობამდე დავწერე ღამით და, მაპატიე, ცოტა გაუგებრად თუ წერია. წუხელ ჩამეძინა სანგრის კედელზე მიყუდებულს. არ მახსოვს, რამდენ ხანს მეძინა. სიზმარი ვნახე. ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მოვიდა, სულ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, ერთი შეკვრა ფიჩხი მომიტანა, დაანთო, დამსვა ცეცხლთან და გამათბო, გამაშრო, მერე თბილი მატყლის წინდა გაიხადა და ჩამაცვა, თვითონ ფეხშიშველი დარჩა, ასე ფეხშიშველი წავიდა თოვლში. გამოვეკიდე.
– ქალბატონო, ვინ ბრძანდებით? – ვკითხე.
– რად გინდა ვინ ვარ, მაინც ვერ მიცნობ, – მიპასუხა.
– მაინც მითხარით, ქალბატონო, იქნებ სადმე შეგხვდეთ! – ვთხოვე.
– ღმერთმა ნუ შეგახვედროს ჩემი თავი, – თქვა თეთრმა ქალბატონმა და თავზე ხელი გადამისვა.
– რას ბრძანებთ, ქალბატონო, დღეიდან სულ იმას ვთხოვ ღმერთს, თქვენი თავი შემახვედროს, თქვენ რომ არა, სიცივით მოვკვდებოდი.

– ტყვია ნუ მოგკლავს და სიცივეს როგორმე გაუძლებ! – თქვა და წავიდა. არ მოვცილდი.
– ვიდრე არ მეტყვით, ქალბატონო, ვინ ბრძანდებით, არ წავალ!
– წადი შენს ამხანაგებთან, იმათაც დაუძახე, ცეცხლთან ცოტას გათბებიან მაინც, – მითხრა და ახლა ლოყაზე ჩამომისვა გამჭვირვალე ხელი. – წადი, ხვალ კიდევ მოვალ.
– მითხარით, თეთრო ქალბატონო, ვინ ბრძანდებით, იქნებ ხვალ ვეღარ გნახოთ, აი, იქ, ჩვენს წინ, გერმანელები სხედან სანგრებში.
– ხვალ ისინი ადგებიან და წავლენ. ღამით წავლენ, შენ რა, სიკვდილის ხომ არ გეშინია? – მკითხა.
– კი მეშინია, ქალბატონო! ძალიან მეშინია.
– არა უშავს, კაცი ისაა, ვისაც ეშინია და მაინც მიდის. ვისაც არ ეშინია – პირუტყვია.
– წინათ უფრო მეშინოდა, ახლა შევეჩვიე.
– შიში სამარცხვინო არ არის, მამაშენს ეშინოდა და მაინც ავიდა მიქელგაბრიელზე ჯვრის მოსახსნელად. ეშინოდა და მაინც დაასხა თავსლაფი მინაგოს. ეშინოდა და მაინც არ ჩაწვა ნეხვში. მეც მეშინია, ძალიან მეშინია, რომ არ დამეღუპო, მე დედა ვარ შენი. ისე წავედი, არც მიკოცნია შენთვის, შენი გაჩენიდან მესამე დღეს წავედი. – მე მუხლებზე დავეცი, ტირილი დავიწყე და ხელებს ვუკოცნიდი.
მამაჩემო, ან გავგიჟდი, შევიშალე, ან მართლა ვნახე დედაჩემი.
ზუსტად ისეთი იყო, შენ რომ მიყვებოდი, ზუსტად. გურგენიძემ გამაღვიძა, რა გატირებსო. სიზმარი მოვუყევი; ასე მითხრა – არასდროს მოკვდებიო.
ჩემი გაშრობის დრო თავდება, მამაჩემო, მაპატიე, რომ ასე ჩქარა ვამთავრებ. სხვა როგორ ხარ, როგორ არიან ჩვენი მეზობლები, რას შვრება ჩემი ალგებრის მასწავლებელი. ომი რომ არ დაწყებულიყო და ჯარში არ წავეყვანეთ, მაგი ისეთი ვირიშვილია, ნიშანს არ დამიწერდა.
ჩემი ატესტატი, ალბათ, მოგცეს, კარგად შეინახე, რომ დავბრუნდები, სტომატოლოგიურზე უნდა შევიტანო საბუთები. კბილის ექიმობა ომის შემდეგ ძალიან საჭირო იქნება. მარტო ჩვენს ასეულში თხუთმეტ კაცს სულ დასაძრობი აქვს კბილები.
სხვა, ჩემს ამბავს თუ იკითხავ, კარგად ვარ.
მომიკითხე ჩვენი სოფლის გოგოები, მიულოცე ჩემს მაგივრად დღესასწაული. ნახვამდის. გკოცნი. შენი შვილი გაბო.
1943 წ. 9 მარტი“.
ღამე უმთვაროა, მაგრამ იმდენი ვარსკვლავი ანთია ცაზე, მთვარე არც არის საჭირო. საოცრად ლამაზია ცა. იმდენად ლამაზია, რომ მიკვირს, ამდენ სიბინძურეს რა უნდა ამ ლამაზი ცის ქვეშ. მამაჩემის ნათქვამი მაგონდება:
– ლამაზი ქალი იყო, ბაბაია, კესარია, ვარსკვლავს ეთამაშებოდა, მაგრამ რად გინდა, ბინძური იყო, აქოთებული საცვალი ეცვა.
რომ ვეტყოდი, საიდან იცი, ბაბა, კესარიას საცვალი-მეთქი, მამაჩემიდან გამიგონიაო, მეტყოდა.
წყლით სავსე ჩექმების ჭყაპუნი მესმის.
– რომელი ხარ, რას დაბორიალობ? – ვეკითხები ხმას.
– პეტროვი ვარ, ჯაყელი, ბატიუკი, ვინოგრადოვი, უფროს ლეიტენანტთან! – ამბობს ხმა.
– ვინოგრადოვი და ბატიუკი სანგრის იმ თავში არიან! – ვპასუხობ.
პეტროვი წავიდა. ხუთ წუთში ოთხივე უფროს ლეიტენანტ შმიდოვთან ვიყავით. ძელებით გადახურულ და ამოშენებულ მიწურში იჯდა. ჩემზე ცოტა ხნიერია.

ბრძანებას რომ იძლევა, ისეთი სახე აქვს, თითქოს ეშინია, ვაითუ არ შეასრულონო. გამოვეჭიმეთ. პეტროვმა მოახსენა:
– ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, თქვენი ბრძანების თანახმად...
– დასხედით, ბიჭებო! – თქვა მან და პატარა ლამბაქიდან, რომელზეც ცერისოდენა სანთელი ციმციმებდა, პაპიროსის უსაშველოდ დალეული ნამწვავი აიღო, პირში ჩაიდო და წაბზუებული დრუნჩით სანთელთან მიიტანა, იმდენი უფშუკუნა, სანამ სანთელი არ ჩაქრა, სიბნელეში შეიგინა და გადააფურთხა.
– აანთე, პეტროვ! – პეტროვმა აანთო. მიწურში წყალი იდგა, ჩვენს სანგარზე ცოტა ნაკლები, იმდენით ნაკლები, რამდენიც ასმეთაურს ეკადრება.
– დავლპით, ბიჭებო, რას იტყვით?
– ვლპებით, უფროსო ლეიტენანტო! – თქვა ბატიუკმა.
– მოხალისეების არჩევის დრო არ არის და არც სურვილი, ახლა ღამის პირველი საათია. თქვენ იცით, აქ ხუთზე თენდება, გერმანელები 600 მეტრზე არიან ჩვენგან. ერთი საათი იქით, ერთი საათი აქეთ, ნახევარი საათი სანგარში ოპერაციისათვის. თქვენ იცნობთ იმ სანგარს, თქვენი გათხრილია, ერთი თვის უკან ჩვენი იყო, – უფროსი ლეიტენანტი დადუმდა. ყველაფერი ნათელი იყო, შეკითხვები – უსარგებლო.
დაზვერვაზე მივდივართ.
– ჯაყელო, მეთაური იქნები. არაფერი კონკრეტული დავალება არ მაქვს, რასაც მოახერხებთ, თქვენ იცით. საბუთები და მანდატები ზემდეგს ჩააბარეთ, შეასრულეთ დავალება!..
* * *
ჯერ ბატიუკი ამოძვრა სანგრიდან. ერთხანს გატრუნული იწვა, მერე ფორთხვით წავიდა წინ. ბატიუკს ვინოგრადოვი მიჰყვა. ერთი წუთის შემდეგ მე წავედი. ხუთ-ხუთი მეტრის დაშორებით მივფორთხავდით.
ორასი მეტრი გვექნებოდა გავლილი, ჯგუფს ნიშანი მივეცი.
გაჩერდნენ, მერე ორთავე ჩემთან მოფორთხდა.
– რა ვქნათ? – მკითხა ვინოგრადოვმა.
– მე მარცხნიდან ვუვლი სანგარს, თუ ვერ შემამჩნიეს, რაც შეიძლება ახლოს მივდივარ, ზურგიდან მოვუვლი. სანგარი ტყის პირას არის, დიდი-დიდი 50 მეტრით დაშორებული. არ შეიძლება, ჩვენსავით გასაშრობად არ ამოდიოდნენ, ალბათ ტყეში შრებიან. იქ დაველოდებით, ბატიუკი ჩემთან წამოვა. შენ დაახლოებით 30 მეტრის მანძილზე მიფორთხდი, ხელყუმბარის სროლაზე, ხელის ტყვიამფრქვევს გაშლი და დაგველოდები. არ ისვრი, ვიდრე გერმანელები არ გვესვრიან.
გასაგებია?
– გასაგებია! – თქვა ვინოგრადოვმა. წავედით.
ვინოგრადოვი სამას მეტრში დავტოვეთ და მარცხნიდან გავუხვიეთ.
მოულოდნელად ისე ახლოს აღმოვჩნდით სანგართან, სუნთქვა შემეკრა.
ბატიუკმა ხელყუმბარა მოიხსნა. მხარზე ხელი დავადე და ჩემსკენ მოვქაჩე. უხმოდ მომყვა. საათ-ნახევარი გავიდა, საათ-ნახევარში გათენდება. დაღუპულია ჩვენი საქმე. თხუნელობა ვინატრე, რომ აქ, სანგართან, მიწაში ჩავმძვრალიყავი და ტყეში ამომეყო თავი. ბატიუკს გავხედე, ისე იყო მიწაზე გაკრული, ეტყობა, ისიც იგივეს ნატრობდა. ტყეში რომ შევედით, გათენებას ერთი საათი აკლდა, ყველაფერი გათავებულია, დარჩენილი დრო უკან დაბრუნებას უნდა. ეს საათი კი გულის გასახეთქად მიდის და მიდის წინ, ისე მუშაობს, ქვეყანას ესმის მგონია. მოვიძრე და ცერა თითით, რაც შემეძლო, ღრმად ჩავჭყლიტე სველ მიწაში, იმუშაოს ახლა რამდენიც უნდა.

– დრო რამდენი დაგვრჩა, ჯაყელო?
– ბევრი, კოლია, ნუ გეშინია! – ვპასუხობ.
– მაინც?
– ორი საათი.
– ბიჭოს! – გაუკვირდა ბატიუკს.
ბუჩქებს უკან ჩავწექით და გავინაბეთ.
– ჩვენზე ადვილი დასაჭერი ახლა არაფერია, წინ გერმანელები, უკან გერმანელები. ბარემ ბერლინში ჩავსულიყავით, მოენეების მეტს რას ვიშოვიდით, – ჩურჩულებს ბატიუკი.
სანგრიდან არავინ ამოდის. ნუთუ წყალი არ დგას სანგარში?! რომ დავტოვეთ, წელამდე წყალი იყო შიგ. ჩვენი სანგარი მაგასთან შედარებით წყალტუბოა. აბა, რაშია საქმე?! დრო კი გარბის, უნამუსოდ გარბის. ახლა ამოვა გერმანელი სანგრიდან, აი ახლა, ნუთუ არ ცივათ ამ ვირიშვილებს?! ამოდის, ამოდის, აი ამოვიდა, ფორთხვით მოდის ტყისაკენ. ახლა მოვა, გაიხდის, გაწურავს, შარვალს ბუჩქებზე გადაკიდებს. მივეპარები, დანის ხმარება აქ არ შეიძლება, არც – ცხვირსახოცის.
ცოცხლად აქედან კაცის წაყვანა შეუძლებელია. მაშ, როგორ? გულწასულის, გაბრუებულის. ხელყუმბარას ჩავარტყამ კეფაში, რომ არ დაეცეს და ბრაგვანი არ გაიღოს, ხელს შევაშველებ, მერე ზურგზე და, ჰაიდა.
– ბატიუკ, ხედავ? ამოვიდა! – ვეუბნები ბატიუკს და შუბლზე ცივი ოფლი მასხამს.
– ვინ ამოვიდა? – მეკითხება ბატიუკი.
– გერმანელი!
– სად?
– აი, იქ!
– სად? – ბატიუკი გაკვირვებული მიყურებს. სად? ვეკითხები ჩემს თავს, სად არის გერმანელი, ბატიუკი რატომ ვერ ხედავს, ნუთუ მომელანდა? ბარძაყზე ვიბწკინე, ისე ვიბწკინე, ის ადგილი გამითბა, ალბათ, სისხლი წამომივიდა.
– ბატიუკ, ვერაფერს ხედავ? – ვეკითხები.
– გელანდება, ჯაყელო, თენდება, ვერ ხედავ? – თქვა ბატიუკმა. ყველა ხელყუმბარა მოიხსნა და წინ დაიწყო. – გათავებულია ჩვენი საქმე. აქედან გამსვლელები ჩვენ არ ვართ, ნამდვილი სუსანინი ხარ, ჯაყელო, აქ სად მომიყვანე! – ავტომატი ძალიან ფრთხილად შეაყენა ფეხზე.
გაბრიელ ჯაყელო, გათავდა შენი ახალგაზრდობა, ერთი საქმე დაგავალეს და ისიც უტვინოდ ჩაატარე. ადექი ახლა და იარე, ვიდრე არ დაეცემი, იარე წინ, ადექი, გაბრიელ ჯაყელო, ადექი და წადი სანგრისაკენ, უკვე არა აქვს აზრი შენს თხუნელობანას თამაშს. ან ადექი და წადი პირდაპირ, ან დაელოდე დაღამებას და გაიპარე. ადექი, ნუ გეშინია.
– მეშინია, ძალიან მეშინია, ქალბატონო!
– არა უშავს, გმირი ის კი არ არის, ვისაც არ ეშინია, გმირი ის არის, ვისაც ეშინია და მაინც მიდის. ადექი, გაბრიელ ჯაყელო!
– ვერ ვდგები, ქალბატონო.
– მომეცი ხელი, მე აგაყენებ.
– თქვენ ვინ ბრძანდებით, ქალბატონო?
– მე დედა ვარ შენი.
და მე ავდექი, ავტომატი თეძოზე მივიკარი და ნელი ნაბიჯით დავიძარი წინ, გერმანელების სანგრისაკენ.

– ჯაყელო, გაგიჟდი! – დაისისინა ბატიუკმა და ფეხში მტაცა ხელი. ფეხი გამოვინთავისუფლე და გზა განვაგრძე.
– ჯაყელო! – უკვე ხმამაღლა მითხრა ბატიუკმა.
უკან არ მომიხედია, ისე მივდიოდი.
ახლა პირი აღმოსავლეთისაკენ, ჩვენებისაკენ მქონდა. შორს, ჩვენი მხრიდან სინათლე მოდიოდა ჩემს შესახვედრად, ისიც დინჯად, მაგრამ უზარმაზარი ნაბიჯებით, როგორც ზღაპრული გოლიათი. ხელყუმბარის სროლაზე რომ მივუახლოვდი სანგარს, შევჩერდი. აი, ახლა აკაკანდება მჭახედ და საზიზღრად ავტომატი, ალბათ, წელში გადამხსნის; ნაწლავები ამეწვა წინათგრძნობისაგან. სინათლე კი მოდის და მოდის აღმოსავლეთიდან და ღამეს მოერეკება ჩემსკენ. აი, ახლა წამოდგება გერმანელი, თუმცა წამოდგომა რად უნდა, უკან მოიხედავს და... ჯერ, ალბათ, წელში მოვიხრები, მერე დავიჩოქებ, მერე წავიქცევი და მერე გულაღმა ამოვტრიალდები, როგორც კინოებშია, მერე მოვინდომებ ადგომას და... მხარზე ვიღაცის მხარი ვიგრძენი, არ ვიცი სითბოთი, არ ვიცი სუნით, არ ვიცი ხაკით, ვიგრძენი, ბატიუკი იყო. ერთად წავედით. ახლა უკვე ისე გათენდა, ბატიუკის გაფითრებულ ლოყებსა და ავტომატის ლულაზე სითეთრემდე დამკვდარ ხელის მტევნებს ვარჩევდი. გერმანელების სანგარი სულ ათ მეტრში იყო. აშკარად გამოჩნდა მიწაყრილი და სანგრის უკანა მხარე.
– ძინავთ?
ძინავთ და, ვიდრე ძინავთ, ვიდრე დროა, გაბრიელ ჯაყელო, იარე წინ, იარე, ვიდრე წაიქცევი. ადგომაზე მერე იფიქრე, წინ, გაბრიელ ჯაყელო, სირბილით, სირბილით, სირბილით. მივრბივარ, მივრბივარ და დილის უზარმაზარი სინათლე მორბის ჩემს შესახვედრად. ათი მეტრი, ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი...
– დედაااა!!! – აღმომხდა კივილი. თვალები დავხუჭე, სანგარში ჩავხტი და ავტომატს ფეხი გამოვუშალე.
– ურაა! – ჩამესმა ყურში ბატიუკის ხმა და ავტომატის გაბმული ჯერი ტრატატატატატატატა... ასე ვიჯექი თვალდახუჭული, ვიდრე ტყვიები არ დაილია. როდესაც ავტომატმა ძიგძიგი შეწყვიტა მკლავებში, უნებურად გავაგდე ხელიდან. ხელყუმბარებზე ვიტაცე ხელი. ორთავე მკლავი აღვმართე მაღლა და თვალები გავახილე.
დიდხანს, ძალიან დიდხანს ვუცქირე ცარიელ სანგარს. გულაღმა დავარდნილ, ჯვარცმულ იესოსავით მკლავებგადაშლილ, თვალღია გერმანელს, მის გვერდით თავზე ხელებწავლებულ და მუხლებამდე მოკეცილ მეორე გვამს, გამოშიგნულ საბნებს, მიწაყრილზე მიტოვებულ ხელის ტყვიამფრქვევს, დაცარიელებულ და ნახევრად წყალში ჩაძირულ კონსერვის ქილებს, ცარიელი ვაზნების გროვას და მონუსხულივით გავყევი ზიგზაგებად გაჭრილ სანგარს. აი, კიდევ ერთი გვამი, კიდევ ერთი, ისევ ქილები, ისევ გამოშიგნული საბნები, ისევ მიტოვებული იარაღი. შუა გზაზე მუხლები მომეკვეთა, მარცხენა ძუძუს ქვეშ საშინლად ამეწვა რაღაც, ყელში უზარმაზარი ბურთი მომაწვა. ჩავჯექი, პირდაპირ წყალში, ჩავჯექი და ამ ერთმანეთზე მიწყობილი გვამების ჭირისუფალივით მწარედ ავტირდი.
ვაი შენ, ჩემო თავო, გაწბილებულო და მოტყუებულო. ასი სიცოცხლე იმიტომ გაათავე, რომ ეს ცარიელი სანგარი აგეღო?!
– რა არის ეს, ბატიუკ, გინახავს ასეთი? – ვეკითხები ზეწარივით გაფითრებულ ბატიუკს და ტირილს ვერ ვიკავებ.
– გეყოფა ახლა, დაწყნარდი! – მეუბნება ბატიუკი და ჩემს გვერდით წყალში ჯდება.
– რა არის ეს, ბატიუკ, თუ ძმა ხარ, მითხარი?! – განვაგრძობ მე.

– ვინ იფიქრებდა, კაცო, წასულან ეს დედაგაღლეტილები! ჩვენ ხომ არ ვიცოდით...
– მერე?
– რა მერე? წინ იმდენი სანგარია. კარგი, გეყოფა, ადექი და ნუ ტირი, ამ სანგარს კიდევ წყალი უნდა? – უბედური კაცის ღიმილით მეუბნება ბატიუკი და თვალებიდან ცრემლები ღვარად ჩამოსდის.
* * *
მთელი დღე მეძინა. მეძინა და მთელი დღე თავზე მადგა თეთრი ქალბატონი. ამჯერად არ მელაპარაკებოდა, იდგა და მიღიმოდა.
– მართლა წასულან, ქალბატონო, – ვეუბნებოდი მე. – თქვენ რომ ბრძანეთ, მართლა წასულან გერმანელები, მაგრამ მე არ ვიცოდი, მე ნაღდ სიკვდილზე მივდიოდი, მაშინ არც მახსოვდა, რომ ბრძანეთ წავლენო.
მეშინოდა და მაინც წავედი, ქალბატონო.
თეთრმა ქალბატონმა თავი დამიქნია და კმაყოფილების ნიშნად ისევ გამიღიმა.
მთელი დღე მეძინა და მთელი დღე თავზე მადგა თეთრი ქალბატონი. მერე დადნა ნისლივით და მის ადგილას უზარმაზარი კოცონი გაჩნდა, ვეებერთელა კოცონი, ლურჯი ალითა და უზომო სითბოთი. მერე მე, ბატიუკი და ვინოგრადოვი ვუსხედით ამ ლურჯ კოცონს, ვუსხედით და ვთბებოდით მთელი ღამის დამზრალნი და ნაწვალები.
ღამით შმიდოვმა დაგვიძახა.
– ბიჭებო, ჩემო კარგო ბიჭებო, სამთავე ორდენებზე წარგადგინეთ!
– გვითხრა მან.
– რისთვის, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო?! – ვკითხე მე.
– ცარიელი სანგრისთვის! – გამიღიმა მან და პაპიროსი მომაწოდა.
სამამულო ომიდან მამაჩემი გაბრიელი ოთხი ორდენით, სამი მედლით, ორი ყავარჯნითა და ცოტათი ენადაბმული დაბრუნდა.
დედაჩემი მანანა ცოლად რომ გაჰყოლია, ხონელებს ქვა უსვრიათ და თავი შეუშვერიათ – მამა ღრანჭიანი, შვილი კოჭლი და ენაბლუ, მაგათი ნაგრამი რა იქნებაო.
მერე მე რომ გავჩენილვარ, ფეხ, ყბა და ენაგამართული, შერიგებიან თურმე.
დედა ძალიან კარგად მახსოვს. მაღალი იყო, თეთრი. დიდი ცისფერი თვალები ჰქონდა და შავი, შავი, უსაშველოდ შავი თმა. ყოველ დილით თეთრ, გახამებულ საყელოს მიკერებდა და ისე ავყავდი პეტრიაშვილის აღმართზე ხელჩაკიდებული, ვიდრე ნუნუ მასწავლებელს არ ჩააბარებდა ჩემს თავს. გაკვეთილების შემდეგ ისევ მხვდებოდა, ხელს ჩამჭიდებდა და სახლში მივყავდი. ძალიან თბილი, თეთრი და რბილი ხელი ჰქონდა დედაჩემ მანანას. ქუჩაში რომ მივყავდი, კაცები თვალს აყოლებდნენ, ხანდახან – ქალებიც. ერთხელ ერთმა კაცმა თვალი გამოაყოლა, სკოლიდან რომ მოვდიოდით.
– უჰ, შენ გენაცვალე! – თქვა იმ კაცმა. დედას არ მიუხედია. მე მივიხედე. ის კაცი რომ შებრუნდა, ხეს შეასკდა.
– უჰ, შენ გენაცვალე! – ვთქვი მე და გავიცინე.
დედას არ გაუცინია, ხელი მაგრად მომიჭირა და წამათრია.
ძალიან თბილი და ნაზი ხელი ჰქონდა.
ჩვენს სადარბაზოს ქურთის ქალი სარა ასუფთავებდა. ნაგავიც იმას ჩაჰქონდა ეზოში. ძალიან ლამაზი იყო. შუბლზე დიდი მწვანე ხალი ჰქონდა. წყალი რომ შეწყდებოდა, წყალიც ამოჰქონდა ეზოდან. შვილი ჰყავდა, აბო, ჩემი ტოლი. ის ჯაყოს მეძახდა, მე – ჭყეტელას.

ჭყეტელას იმიტომ, რომ ბევრ ხახვს ჭამდა და თვალები სულ ამოწითლებული და ამოწირპლული ჰქონდა. ხანდახან სარა ნაგვის ჩასატანად აბოს გზავნიდა. დააკაკუნებდა აბო, დედა კარს უღებდა.
– დეიდა მანანა, ნაგავი არ არი?
– არის, აბო! – ეტყოდა დედა.
– მაიტა, ჩაიტანო! – დედას ნაგავი გამოჰქონდა, ჭყეტელას ჩაჰქონდა, მერე ცარიელი ვედრო უკან ამოჰქონდა და ჩემს ოთახში შემოდიოდა. სურათებიანი წიგნები უყვარდა.
– ჯაყო, ეს პაჟარნი კამანდა რომ გაუფუჭდება, არ გადაიგდო! – მეუბნებოდა ჭყეტელა.
– მიეცი, შვილო! – მეუბნებოდა დედა. მეც ვაძლევდი.
– ახლა არა, დეიდა მანანა, რომ გაუფუჭდება... – იწურებოდა ჭყეტელა.
– წაიღე, ჭყეტელ, მე კიდევ მაქვს, – ვეუბნებოდი.
– ეგრე არ უნდა, მე მაშინ ფოშტის ტრედი მოგიყვან.
– კარგი, ჭყეტელ.
* * *
ერთ დილას, ვიდრე სკოლაში წავიდოდით მე და დედა, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. დედამ გააღო. კარში აბო იდგა.
– გამარჯობა, აბო! – მიესალმა დედა. აბომ ხმა არ გასცა. დედამ ყურადღება არ მიაქცია, ნაგავი გამოუტანა. აბო ცოტა ხანს შეყოყმანდა, მერე მაინც აიღო ნაგავი და ეზოში ჩაიტანა, ცოტა ხნის შემდეგ ამობრუნდა, ცარიელი ვედრო დადგა და უხმოდ გაჩერდა.
– შემოდი, აბო! – უთხრა დედამ და საყელო შემიკრა.
აბომ ხმა არ ამოიღო.
– რა იყო, აბო, რამე ხომ არ გინდა? – ჰკითხა დედამ. აბომ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.
– ფული ხომ არ დაგაბარეს? – ჩაჰკითხა დედამ.
– რამ დაგამუნჯა, ბიჭო, ხომ ხედავ, სკოლაში გვაგვიანდება, თქვი, რა გინდა?! – დააჩქარა დედამ.
აბომ ნერწყვი გადაყლაპა და მშრალი ტუჩები გაილოკა.
– დეიდა მანანა, სარა დედა მოკვდა! – თქვა აბომ და სადარბაზოს კიბეზე დაჯდა. დედამ უცებ მე შემომხედა, მერე – აბოს, მერე – ისევ მე, თითქოს მეკითხებოდა – ეს რა თქვაო. მერე აბოს გვერდით ჩამოჯდა კიბეზე და ათრთოლებული ხელი თავზე დაადო.
– რაო, აბო, რა მითხარი?
– მანანა დეიდა, სარა დედა... – აბომ სიტყვა ვერ დაამთავრა და აზლუქუნდა. დედამ აბოს თავი გულზე მიიკრა და თვითონაც დაიწყო ტირილი, ოღონდ უხმოდ, მხრები უცახცახებდა მხოლოდ. ასე იჯდა დიდხანს, მერე აბოს ხელი მოჰკიდა, ადგა და ოთახში შემოიყვანა, შუა ოთახში დასვა, თვითონაც წინ დაუცუცქდა, ორთავე მუხლზე ხელები დაადო და აკანკალებული ხმით ჰკითხა: – როგორ, აბო, როგორ?
– არაფერი არ ვიცი, მანანა დეიდა, ღამე დაწვა და დილას მოკვდა. დილას მამაჩემი ყვიროდა – მოკვდა, მოკვდა!!!
– როგორ მოკვდა, აკი კარგად იყო, აბო?
– საღამოს სარეცხი გარეცხა, მერე ცოტა გული ტკივა, თქვა, მერე დაწვა ღამე, დაიძინა. დილას მამა ყვიროდა – მოკვდა, მოკვდა!!!
– ვაიმე, შვილო, უბედურო, რა გეშველებათ, თქვე საწყლებო! ვინ არის თქვენი პატრონი, ოთხი შვილის დედა...

აბო ისევ ატირდა. დედა აღარ აწყნარებდა, ჩუმად ადგა, სველი პირსახოცი მოიტანა, აბოს ჯერ ცრემლებით დაღარული, მოსვრილი სახე მოწმინდა, მერე ჭუჭყიანი ფეხები გაუწმინდა, გაუმშრალა, უჯრიდან ჩემი შარვალი, პერანგი, წინდები, ფეხსაცმელი გამოიღო და აბოს ჩაცმა დაუწყო.
აბოს დედის დასაფლავების დღეს ბევრი ყვავილები მოიტანა დედამ, მომკიდა ხელი და აბოს სახლში მიმიყვანა. შუა ოთახში აბოს დედა ესვენა, ლამაზი და გამხდარი, ასეთი ლამაზი არასდროს ყოფილა. აბო და მისი და-ძმა მამის გვერდით იდგნენ. აბო ყველაზე ბოლოს იდგა.
– მიდი! – მითხრა დედამ და ყვავილები მომცა. თვითონ კარში გაჩერდა. მე მივედი აბოსთან და ყვავილები გადავეცი. აბო აღარ ტიროდა, ყვავილები გამომართვა, მივიდა და მიცვალებულს თავთან დაუდო, მერე მოვიდა, ხელი მომკიდა და მამამისთან მიმიყვანა.
– ეს ჯაყოა! – უთხრა აბომ. მამამისმა გამიღიმა, ხორკლიანი ხელი ლოყაზე ჩამომისვა და თავზე მაკოცა. მე კარისაკენ გავიხედე.
დედას ცხვირსახოცი ორთავე ხელით თვალებზე ჰქონდა აფარებული და ხმამაღლა ტიროდა.
ღამით დედა გვიან დაწვა. მამას ეძინა. საავადმყოფოდან დაღლილი დაბრუნდა, საჭმელი რომ არ დახვდა, ბუზღუნი დაიწყო: – კაცი წწელში ვწწყდები, მთელი დდღე ტატაჩკის ცხენივით ვარ გაგაბმული და სსადილიც არ უნდა დდდამხვდეს?
– სარას დასაფლავებაზე ვიყავი, – წყნარად თქვა დედამ.
– მმერე? – ჰკითხა მამამ.
– შენც რომ ყოფილიყავი, არაფერი დაგიშავდებოდა! – უთხრა დედამ.
– მმე იქ არავის ვიცნობდი, სარას მეტს, ისიც მოკვდა, ვისთან მმივსულიყავი?
– სარასთან!
– სარასთან ჩემი მტერი მივიდა.
– სიკვდილს ცნობა არ უნდა, მიხვიდოდი, ქუდს მოიხდიდი, ერთ წუთს გაჩერდებოდი და წამოხვიდოდი.
– ნუ გადამაყოლებ, თუ ქალი ხარ, მე რომ მოვკვდები, ისიც ნუ მოვა და ქვითი ვიქნებით, – ცალყბად გაიღიმა მამამ.
– არაფერია სასაცილო! – უთხრა დედამ.
– რა ვქნა, აბა, ვიტირო მშიერმა კაცმა? – იკითხა მამამ.
– მშიერი კაცი უფრო ლამაზად და კარგად ტირის, – თქვა დედამ.
მამამ არაფერი უპასუხა, გავიდა საწოლ ოთახში, გაიხადა, დაწვა და დაიძინა. დედამ ჩემს ოთახში გამიყვანა, გამხადა და მეც დამაწვინა.
– დაიძინე! – მითხრა, – ხვალ ადრე ხარ ასადგომი. – შუბლზე მაკოცა და გავიდა. მე საბანი წავიხურე თავზე. დიდხანს მესმოდა მეორე ოთახში დედის ფეხის ხმა, მერე გვიან, ძალიან გვიან დედა დაწვა.
* * *
მე და აბო უნივერსიტეტის ეზოდან ფერდს დავყევით და მდინარე ვერას მივადექით. აბო ფეხშიშველია, მე ახალი ფეხსაცმელები, ახალი შარვალი, ახალი თეთრი პერანგი მაცვია. პიონერის წითელი ყელსახვევი მიკეთია, ისიც ახალი.
– ნუ გაიხდი, ჯაყო, მე გაგიყვან, აი, ასე, ზურგში მოაჯექი! – მითხრა აბომ და ზურგი მომიშვირა. მე ზურგზე მოვაჯექი. აბო მდინარეში შევიდა.
– მუშა, მუშა, აბა, ქურთი მუშა! – შევუძახე აბოს. აბოს ეწყინა და შუა წყალში ჩამომსვა. მე წელამდე დავსველდი.

– ეს რა მიქენი, ჭყეტელ?! – ვეტაკე აბოს. ისიც დამეტაკა. ორთავე წავიქეცით და წყალმა წაგვიღო. ასე ერთმანეთზე ჩახუტებულები წაგვიღო წყალმა. მივყავართ წყალს მე და აბო თავქვე.
– ცურვა იცი? – მეკითხება აბო.
– არა! – ვპასუხობ მე. – შენ?
– არც მე! – მპასუხობს აბო.
– დავიხრჩობით? – ვეკითხები აბოს.
– ჰო! – მეუბნება აბო. წყალს მივყავართ თავქვე მე და აბო, ცირკთან მტკვარს შევუერთდით. ახლა მტკვარმა წაგვიღო.
– გცივა? – მეკითხება აბო.
– არა! – ვეუბნები მე. მტკვარი ისეთი თბილია, დახრჩობის აღარ მეშინია.
– ვაიმე, დედა ავად არის, რომ დავიხრჩო, ხვალ ნაგავი ვინ უნდა ჩაიტანოს? – გაახსენდა აბოს და ატირდა.
– მე რომ დავიხრჩო და ხვალ სკოლაში არ მივიდე, დედა გაგიჟდება!
– გამახსენდა მე და მეც ავტირდი.
ვტირით მე და აბო, მტკვარს კი მივყავართ ქვევით. აუ, უკვე თბილისი გავიარეთ და დიდ მინდორზე გავედით. უცებ კივილი მესმის. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე ორი თმაგაშლილი ქალი მორბის.
– აბო! ავთო! – გვესმის მე და აბოს. ეს აბოს დედაა, დეიდა სარა, ეს კი ჩემი დედა.
– ავთო, შვილო! – კივის დედაჩემი.
– შვილო! აბო! – კივის აბოს დედა.
მე და აბო კი მივყავართ მტკვარს თავქვე, მტკვარი თბილია, ისეთი თბილია, როგორც დედაჩემის ხელი. მე და აბო ჩახუტებულები მივყავართ მტკვარს სულ ქვევით და ქვევით. გავიარეთ მინდვრები, მერე ტყეები დაიწყო, მერე ისევ მინდვრები, ისევ ტყეები, ისევ მინდვრები და უცებ გამოჩნდა უზარმაზარი ზღვა, დიდი ზღვა. აი, ახლა შევა მტკვარი ზღვაში და მერე, ვინ იცის, სად წაგვიყვანს მე და აბოს ზღვა.
– აბო! აბო! ავთო! ავთო! – გვესმის კივილი ნაპირებიდან. და მტკვარი მიადგა ზღვას. აბოს დედა და დედაჩემი შევარდნენ წყალში, კალთები გაშალეს და მტკვარი გადაკეტეს. მტკვარი შეგუბდა, მაღლა აიწია, ჯერ წელზე მოწვდა დედასა და დეიდა სარას, მერე მკერდზე, მერე თვალებზე, მერე შუბლზე, მერე თმაზე, მერე მტკვარი გახდა უზარმაზარი, მტკვარი გახდა ზღვა, ზღვამ დაფარა ქვეყანა, მთები, ყანები, მინდვრები, ტყეები და ყველაფერი გახდა ზღვა და ამ ზღვამ გადაუარა დედასა და დეიდა სარას.
– დედაااა! – ვეძახი მე დედაჩემს.
– დედაااა! – ეძახის აბო თავის დედას და არსად არ არიან ჩვენი დედები.
– დედაااა!
* * *
– სუ, შვილო, სუ, დაწყნარდი, მოგიკვდა დედა! – თვალები გავახილე, თავზე დედა მადგა, თმები ჩამოშლოდა თეთრ პერანგზე და ცივ შუბლზე ხელს მისვამდა.
– მოგიკვდეს დედა, სულ ოფლში ცურავ, პერანგი გამოიცვალე. – დედამ პერანგი გამომიცვალა და გვერდით მომიწვა.
– დაიძინე, შვილო, დაიძინე.
თვალის დახუჭვა ვეღარ გავბედე.
– არ წახვიდე, დედა! – ვთხოვე.
– არა, შვილო, რა იყო, დედა, რა დაგესიზმრა?
– არაფერი, ოღონდ არ წახვიდე.

– არა, შვილო.
კიდევ დიდხანს ვიწექით. როგორც იქნა, გავბედე თვალების დახუჭვა და ისევ მოვიდა აბო ფეხშიშველი. რატომ დადის ფეხშიშველი?! ხომ მისცა დედამ ჩემი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. საწყალი ჭყეტელა, ჭყეტელას ახლა დედა არა ჰყავს. ჩვენ ჭყეტელას ჩვენთან მოვიყვანთ.
დედა ტანს დაბანს, სუფთად ჩააცმევს, მერე მამა საპარიკმახეროში წაიყვანს, ლამაზად გაკრეჭს, მოიყვანს აბოს სუფთასა და ლამაზად დავარცხნილს, თმა შუაზე ექნება გაყოფილი. მერე აბოს ჩვენს გვარს მივცემთ და აბო გახდება აბო ჯაყელი.
– ჰო, დედა? – ვკითხე დედას.
– რა, შვილო? – კითხვით მიპასუხა დედამ.
– ხომ იქნება აბო ჯაყელი?
– რატომ, შვილო?
– აბოს დედა აღარა ჰყავს, აბო ჩემთან მოვა, ჩვენთან ერთად ისწავლის და სიაში ჩემს გვერდით ამოიძახებენ. აბო ჯაყელი! ამოიკითხავს ნუნუ მასწავლებელი.
– ვარ, მასწ! უპასუხებს აბო. ჰო, დედა?
– ჰო, შვილო, აბო ჯაყელი!
– გადარიე ბავშვი, ხომ? – მოისმა საწოლი ოთახიდან მამაჩემის უკმაყოფილო ხმა. – რამდენჯერ გთხოვე, ნუ დაგყავს ბავშვი სასაფლაოებზე, პანაშვიდებსა და ქელეხებზე-მეთქი!
– აბა, რა ვქნა, პირუტყვად გავზარდო?! – ჰკითხა დედამ.
– აბა, ის კარგია, პირუტყვივით რომ ბღავის სიზმარში და სისულელეებს გელაპარაკება? – ჰკითხა მამამ.
– ძალიან კარგია! – თქვა დედამ.
– თუ კკარგია, მმანდ გყავს და უთიე ახლა ღამე.
– აქ მყავს და ღამესაც ვუთევ.
– დაიძინე, ბიჭო, შენ, თორემ აბო ჯაყელს მოგცემ, თუ გამოვედი! – შემომითვალა მამაჩემმა. მე დედას მივეკარი. დედამ თავზე ხელი გადამისვა და მაკოცა.
– ჰო, დედა? – კიდევ ერთხელ ვკითხე დედას.
– კი, შვილო, კი, დაიძინე ახლა, – მითხრა დედამ.
მერე მე დავიძინე და მთელი ღამე მესიზმრებოდა, როგორ მეძინა, როგორ მეფერებოდა და როგორ იწვა ჩემს გვერდით ჩემი დედა.
* * *
მთელი კვირის განმავლობაში არ გამოჩენილა აბო. ნაგავი ყოველ დილით, სკოლაში წასვლამდე ახლა მე ჩამქონდა ეზოში. ერთ დღეს ელვა-დეპეშა მოვიდა ხონიდან, დედას და მამას სასწრაფოდ იბარებდნენ, დედას ვიღაც ნათესავი ავად გამხდარიყო და გაბრიელ ჯაყელის გარდა ვერავინ მომარჩენსო. მე მეზობლებთან დამტოვეს და მანქანით წავიდნენ იმავე ღამეს. მესამე დღეს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, ჩვენი სახლი ხალხით გაჭედილი დამხვდა. საწოლი ოთახიდან ყველაფერი გაეტანათ და კედლების გასწვრივ სკამები დაეწყოთ. შუა ოთახში ორი ერთმანეთზე მიდგმული და თეთრზეწარგადაფარებული ტახტი იდგა. მე ერთ ტახტზე დავჯექი და გაშტერებული ვუცქეროდი ხალხს. ჯერ არავინ შემამჩნია, მერე უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ხალხს ვიღაც გამოეყო, ჩემთან მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და ტირილი დაიწყო.
– ვაიმე, შვილო, ვაიმე, შვილო!
– ვაი, შე უბედურო!
– სად იყო ღმერთი!

– ნუ გეშინია, შვილო!
– ვინაა ამის პატრონი? – დიდხანს, უსასრულოდ, უსაშველოდ მესმოდა მე და ყველაფერს მივხვდი...
* * *
ყველანი სახლებში წავიდნენ. სასაფლაოზე ორი მესაფლავე, მე და ბაბუა დავრჩით. მესაფლავეებმა ჭიქები მოსვეს – ღმერთმა აცხონოთ, სადაც იყვნენ, იქ გაუმარჯოთო, – თქვეს და დარჩენილი ღვინო საფლავის ბორცვზე დაღვარეს მორიდებით, მერე ბაბუას მადლობა უთხრეს, ნიჩბები აკრიფეს და ფეხაკრეფით წავიდნენ. ბაბუას არაფერი უთქვამს. აღარავინ რომ არ დარჩა, ბაბუა საფლავზე დაემხო და ერთი მუჭა მიწა შეჭამა.
მერე ადგა, ქუდი დამახურა, შემომაბრუნა და გაკვირვებულმა შემომხედა.
ჩვენს წინ აბო იდგა ვარდების უზარმაზარი თაიგულით, მის უკან კი – ვიღაცის საფლავის მესერზე მიყუდებული დიდულვაშებიანი მამამისი და ტიროდა. აბომ ყვავილები გადმომცა. მე ჩამოვართვი, მივედი და საფლავზე გავშალე, მერე აბოს ხელი მოვკიდე და ბაბუასთან მივიყვანე.
– ეს აბოა! – ვუთხარი ბაბუას. ბაბუამ თავი დამიქნია, მერე ცალყბად გაუღიმა აბოს, ლოყაზე ხელი ჩამოუსვა და თავზე აკოცა.
ბაბუამ ქალაქში აღარ დამტოვა – ჩემი ნაგრამი ჩემი მოფერებით და მოვლით უნდა გაიზარდოსო. რაც თბილისში გვებადა, გაყიდა და ბუკისციხეში წამიყვანა. ათწლედი ბუკისციხეში დავამთავრე.
ლოგიკის მასწავლებელმა ატესტატთან ერთად ასეთი კომბინირებული ცნობა-დახასიათება მომცა:
„ეძლევა ეს ცნობა ავთანდილ გაბრიელის ძე ჯაყელს მასზედ, რომ იგი ნამდვილად სწავლობდა ბუკისციხის საშუალო სკოლაში, და რომ იგი არის ობოლი და ზრდიდა ბაბუამისი, ძველი ბოლშევიკი ისიდორე ჯაყელი, ადგილობრივი საბჭოების ყველა მოწვევის დეპუტატი, გამოცდილი პარტიული მუშაკი, და მასზედ, რომ მან ნამდვილად დაამთავრა ბუკისციხის საშუალო სკოლის ათი კლასი. მეცადინეობის პროცესში არ ყოფილა უზრდელი, სისტემატურად დადიოდა ჩაიში და პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ჩაის (მწვანე ოქრო) მკრეფავის მოვალეობას. აქტიურად მონაწილეობდა სასოფლო-სარაიონო და სხვა ოლიმპიადებში. მღეროდა გუნდში (ბანი). შედიოდა თავისი კლასის საჭადრაკო ჩემპიონატის ათეულში, თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს, ფრენბურთს, ხელბურთს, ჩოგბურთს და ლელობურთს. იყო სკოლის დრამ და ლიტწრის აქტიური მონაწილე, ნათამაშები აქვს რამოდენიმე მთავარი ტრაგიკული როლი კლასიკოსების პიესებიდან, მათ შორის ჰამლეტის, ივანე მრისხანის და ხლესტაკოვის. წერდა პატარ-პატარა მოთხრობებსა და ლექსებს და აქვეყნებდა ჩვენი სკოლის კედლის გაზეთ „სწავლა სიკვდიმდე შენიაში“. ბაბუამისი ამჟამად პენსიონერია.
ავთანდილ ჯაყელი კომკავშირელია 1965 წლიდან, საწევროს იხდის პირნათლად და სისტემატურად. აქვს გამომუშავებული 92 შრომადღე და პაპიროსს არ ეწევა.
დ ა ს კ ვ ნ ა : ამრიგად, ავთანდილ გაბრიელის ძე ჯაყელი დადებითი ადამიანია, რაზედაც ხელს ვაწერ ჩოხატაურის რაიონის სოფ. ბუკისციხის სკოლის დირექტორის ავადმყოფობის გამო მისი მოვალეობის დროებითი შემსრულებელი, ამავე სკოლის ლოგიკის მასწავლებელი ზინაიდა ქიშვარდის ასული შეშელიძე.
ცნობა ეძლევა სამედიცინო ინსტიტუტში წარსადგენად.
* * * თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს.

ქალაქ თბილისში, ნინოშვილის ქ. # 50-ში მცხ. აბიტურიენტ ავთანდილ გაბრიელის ძე ჯაყელის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
მოგახსენებთ, რომ 1967 წლის ივლისში დავამთავრე ჩოხატაურის რ-ნის სოფ. ბუკისციხის საშუალო სკოლა. ბავშვობიდან მიტაცებდა სამედიცინო მეცნიერების მძიმე და საინტერესო დარგი. მიმაჩნია, რომ მედიცინა ძალიან საჭიროა მოსახლეობის ყოველდღიურად მზარდი, მძაფრი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, მყავს მოხუცი, ინვალიდი ბაბუა, ძველი კომუნისტი, დამსახურებული პარტმუშაკი. მისი მარტოდ, უექიმოდ დატოვება თითქმის შეუძლებელია, რის გამოც გთხოვთ, შემისრულოთ ბავშვობის ოცნება და დამრთოთ ნება ჩავაბარო მისაღები გამოცდები და შემდეგ მიმიღოთ თქვენდამი რწმუნებული ინსტიტუტის კედლებში.
განმცხადებელი ა. გ. ჯაყელი
ქ. თბილისი 15/VII-67 წ.
ეს განცხადება ბაბუამ დამიწერა, მე გადავათეთრე, ატესტატს დავაკარი სამედიცინო დასკვნასთან და ოთხ ფოტოსურათთან ერთად და 17 ივლისს მე და ბაბუა უკვე თბილისში გახლდით.
შურა დეიდამ (ასე ვეძახი ჩვენს შორეულ ნათესავს შუშანა ართილაყვას) დიდი ზარზეიმით მიგვიღო და ბაბუას გატენილი ხურჯინი ყველაზე საპატიო სტუმარივით სუფრის თავში დადგა, ჩვენ ტახტზე ჩამოვსხედით.
– ნენა, ნენა, ნენა, გამოხოხებული მამამისია! – თქვა შურა დეიდამ, გულში ჩამიკრა და ისე იტირა, მე და ბაბუაც აგვატირა.
– ჩამოვედით, ჩემო შუშანა! შენ იცი და შენმა ქალობამ, როგორ მიმიხედავ ამ ბიჭს! – უთხრა ბაბუამ და ჭრელი ცხვირსახოცით ცრემლები მოიწმინდა.
– ისიდორე ჯაყელო, მამა ხარ ჩემი და შენი შვილიშვილი ჩემი შვილია, ამის მამა ძმა იყო ჩემი, აგი ოჯახი მისია, მე მამიდა ვარ მაგისი და მაგი სისხლი და ხორცია ჩემი. რავარც ბამბით, რძით და კარაქით გაგიზრდია და ზენა და ქვენა ქარს არ აკარებდი, ისე გაგიზრდი და ხუთი წლის შემდეგ ისეთ სპეციალისტს ჩაგაბარებ, ქვეყანა მაგას შენატროდეს. რომელ ფაკულტეტზე აპირებ შესვლას, ნენა? – მომიბრუნდა შურა დეიდა.
– სამედიცინოზე! – უპასუხა ჩემს მაგივრად ბაბუამ.
შურა დეიდამ პირი დააღო და ლოყა ჩამოიხოკა.
– რა იყო, ქალო? – შეშინდა ბაბუა.
– არაფერი, ჩემო ისიდორე, პატარა ჭირს სამედიცინოზე მოხვედრა და...
– რომ ჭირს, გენაცვალე, ჩვენ მომზადებულები გახლავართ, არც ტვინცარიელები ჩამოვსულვართ და არც ხელცარიელები, – თქვა ბაბუამ და სამმანეთიანებით გაჭედილ გულის ჯიბეებზე დაიწყო ორივე ხელი.
– აგაშენათ ღმერთმა, მასე თუა! – თქვა შურა დეიდამ და სუფრის გაწყობას შეუდგა.
შურა დეიდას ქმარი სომეხი ჰყავდა. რუსულად ივან სერგეევიჩ კოტინოვი, სომხურად ოვანეს სედრაკოვიჩ კოტინიანც, ქართულად ივანე სერგოს ძე კოტინოვი. მე ვანიჩკა ბიძიას ვეძახი.
დიდებული კაცია ვანიჩკა ბიძია, საშუალო ტანის, ჩასკვნილი. თმა სულ თეთრი აქვს თოვლივით, თვალები დიდი, დიდი, ლურჯი, ლურჯი.
პირი სულ სუფთად აქვს გაპარსული. რომ იცინის, თვალები ისე უთამაშებს, გეგონება ლამაზი, თეთრი სახლის ლურჯი ფანჯრები ნიავისაგან იღება და იხურება. იღება და იხურება. როდესაც ლაპარაკობს, მკერდზე ხელებს ისვამს და პირიდან ისეთი

დაბალი, ტკბილი ხმა ამოსდის, გეგონება მკერდში გულის მაგივრად დიდი ზარი აქვსო და იმ ზარს ეფერება ხელისგულებითო. ახალგაზრდაა და სულ გათეთრებული. მამაჩემის ხნის იქნება, ან ცოტათი მეტი. სადილობისათვის ოთახის კარი ვანიჩკა ბიძიამ შემოაღო.
– ოოო, ნათლიმამას გაუმარჯოს! – გაშალა ხელები ვანიჩკა ბიძიამ და ბაბუას გადაეხვია.
– ვინაა შენი ნათლიმამა, შე უჯიშო! რამდენჯერ უნდა გასწავლო, ის დაუძახე-მეთქი...
– შურა დეიდა დაფიქრდა.
– რა? – ჰკითხა ვანიჩკა ბიძიამ.
– რადა ის!.. – შეყოყმანდა შურა დეიდა.
– მაინც? – არ მოეშვა ვანიჩკა ბიძია.
– რადა, მამა დაუძახე! – მიაგნო შურა დეიდამ.
– ბატონო ისიდორე, საწყალი მამაჩემი ისე ჩავიდა საფლავში, სულ სედრაკას ვეძახდი. ახლა თქვენ რომ მამა გიძახოთ, გამოვა? – ჰკითხა ვანიჩკა ბიძიამ და ისევ გაშალა ხელები.
– მაგას უყურებ, შვილო? რაც გინდა, ის დამიძახე, – დაამშვიდა ბაბუამ.
– ნათლიმამა რომ დაგიძახო, ხომ არ გეწყინებათ?
– არა, შვილო!
– არადა, ნათლიმამას გაუმარჯოს! – თქვა ვანიჩკა ბიძიამ და ბაბუაჩემს ჩაეხუტა. ბაბუას ხვევნას რომ მორჩა, მე აღმომაჩინა. ახლა მე მეცა.
– ვახ, შენც აქა ხარ! მერე ხმას რატომ არ იღებ? შეხედე, შუშანა, სულ დახატული დედამისი არ არის? – მიუბრუნდა შურა დეიდას.
– დედა კი არა, მამაა გამოხოხებული.
– ეგრე იყოს, რაც მთავარია, ვეფხვია, მამალი ვეფხვი.
სუფრას მივუსხედით. ბაბუამ დაცარიელებული ხურჯინი დაგორგლა, ჩემოდანში ჩადო, გულზე დაკიდებული გასაღებით ჩაკეტა და ვანიჩკა ბიძიას პირდაპირ დაჯდა.
– იმ ბოთლში რა არის? – იკითხა ვანიჩკა ბიძიამ და თვალები აუციმციმდა.
– არაყია ჭაჭის! – თქვა ბაბუამ.
– იმაში?
– სანთლის!
– აუჰ! – აღმოხდა ვანიჩკა ბიძიას. მერე ჭაჭის არაყი დაასხა. – სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვცესო, – თქვა და გადაჰკრა.
– გვაშოროს! – თქვა ბაბუამ.
– იცოცხლეთ! – ვთქვი მე. დავლიეთ. ერთხანს მარტო ყბების გამალებული მუშაობა და აჩქარებული სუნთქვა ისმოდა. დანა-ჩანგალს ვანიჩკა ბიძიას გარდა არც ერთი არ ვხმარობდით. ამიტომ თეფშებზე ხორცს რომ ჭრიდა და დანის ხრჭიალი ისმოდა, ბაბუა უკმაყოფილოდ იმანჭებოდა. ვანიჩკა ბიძიამ შეამჩნია.
– იმის ოჯახი დაინგრა, ვინც დანა-ჩანგალი მოიგონა. ხელით ჭამას რა ჯობია! – თქვა ვანიჩკა ბიძიამ, დანა-ჩანგალი გადადო და მკლავები დაიკოტავა. ცოტა რომ სული მოვითქვით, ვანიჩკა ბიძიამ ისევ დაასხა.
– ეს თქვენს ჩამოსვლას გაუმარჯოს, ბატონო ისიდორე! ავთო, იცოცხლე, ბიძია, ღმერთმა ხელი მოგიმართოს სწავლაში!
– გმადლობთ, ვანიჩკა ბიძია! – ავდექი ფეხზე.
– დაჯექი. სად აპირებ შესვლას?
– სამედიცინოზე! – დამასწრო ბაბუამ.
– სამედიცინოზე? – გაიმეორა ვანიჩკა ბიძიამ.

– ჰო, სამედიცინოზე. რას ჩაკითხე, არ შეიძლება თუ? ვიზე ნაკლებია, შემოევლოს შურა დეიდა, სამედიცინოზე კი არა, უკეთესი ფაკულტეტი რომ არსებობდეს ქვეყანაზე, იქ უნდა მიიღონ, – ეცა შურა დეიდა პირში ვანიჩკა ბიძიას. – უგამოცდოდ!
– დააყოლა ცოტა ხნის შემდეგ.
– მიიღონ, ქალო, მე რა, მეწყინება? ნეტა ჯანმრთელობის მინისტრად დანიშნავდნენ, ცოტა შეღავათს მეც მომცემს.
– დანიშნავენ, მოვა დრო და დანიშნავენ! – არ შეარჩინა სიტყვა შურა დეიდამ – სამედიცინო გვინდა, ჩემო ვანიჩკა, და შენც უნდა შეგვიწყო ხელი! – სთხოვა ბაბუამ.
ვანიჩკა ბიძიამ ისევ დაასხა. დიდხანს იფიქრა, მერე ბაბუას მიუბრუნდა.
– ძნელი საქმე წამოგიწყიათ, ჩემო ისიდორე. მე რა უნდა დაგეხმაროთ. დიდი-დიდი საბუთების ჩასაბარებლად მიგყვეთ და ქუჩის მეორე მხარეს დაგელოდოთ.
– რატომ? – იკითხა ბაბუამ და სახეზე უკმაყოფილება დაეტყო.
– იმიტომ, ბატონო ისიდორე, რომ, ჯერ ერთი, იქითა მხარეს ვერ გადახვალ, იმდენი ხალხი დგას. მერეც, მეორე, როგორც ამბობენ, იქითა მხარეს რომ გადახვიდე, ჯიბეში რამე უნდა გედოსო.
– რა? – ისე იკითხა ბაბუამ, თითქოს მოეყურაო.
– რამე! – გაიმეორა ვანიჩკა ბიძიამ.
– ტყუილია მაგი! – თქვა ბაბუამ.
– შეიძლება ტყუილი იყოს, – თქვა ვანიჩკა ბიძიამ, – მაგრამ ჩვენი ATK-ას უფროსის შვილი რომ სამედიცინოზე მოეწყო, იმის შემდეგ ცოტა მეეჭვება.
– რატომ? – ჩაჰკითხა ბაბუამ.
ვანიჩკა ბიძიამ მაგიდაზე დაგორებული ჩურჩხელა აიღო.
– ახლა მე გეკითხებით, ამისგან სალამური გამოვა?
მე და ბაბუამ ერთმანეთს შევხედეთ.
– მე თქვენ გეკითხებით, გამოვა? – არ მოგვეშვა ვანიჩკა ბიძია.
– არ გამოვა! – ვთქვი მე.
– ესე იგი, არ გამოვა? – ჩამეკითხა ვანიჩკა ბიძია.
– არა! – გავჯიუტდი მე.
ვანიჩკა ბიძიამ არაყი დაისხა და ის იყო პირთან უნდა მიეტანა, შურა დეიდა ხელში ეცა, – დაგწვავს შიგანს, შე უბედურო, სანამ ბოლი არ ამოგივა მაგ დასამიწებელი პირიდან, არ მოეშვები! ვერ ატყობ, სამოცი გრადუსი რომაა?
– სამოცდაათი! – გაუსწორა ბაბუამ.
– არ გადამრიო?! – შეიცხადა შურა დეიდამ.
– კი, სამოცდაათია! – დაუმოწმა ბაბუამ.
ვიდრე ბაბუა და შურა დეიდა არყის გრადუსებს არკვევდნენ, ვანიჩკა ბიძიამ არაყი თვალის დაუხამხამებლად გადაჰკრა და ხელმეორედ შეავსო.
– დაელამდა ეს ისედაც მახინჯი! – შემოირტყა ხელი შურა დეიდამ ლოყაზე. – სულ მეუბნებოდა ცხონებული გაბო, არ გაყვე, გოგო, მაგ სომეხსო. არ დავუჯერე მაშინ. რა ვიცოდი, სომეხთან ერთად ლოთიც რომ იქნებოდა! – დააბრალა თავისი გაჭირვება მამაჩემს შურა დეიდამ და არაყი მაგიდიდან აიღო.
– სად გავჩერდი? – იკითხა ვანიჩკა ბიძიამ და სავსე ჭიქა ყოველი შემთხვევისათვის ახლოს მიიჩოჩა.
– ჩურჩხელაზე! – შევახსენე მე.
– ჰო, ესე იგი, შენ ამბობ, აქედან სალამური არ გამოვა, მე კი ვამბობ, გამოვა. თუ ჩემი ATK-ას უფროსის შვილიდან ექიმი გამოვა, ესე იგი, ამ ჩურჩხელიდანაც სალამური გამოვა.

– რატომ? – ჰკითხა ახლა ბაბუამ.
– იმიტომ, ბატონო ისიდორე, რომ ჩემი ATK-ას დირექტორის შვილმა მეცხრე კლასში რომ იყო, ბაბუამისს ჩიბუხში ფისტონი ჩაუდო და ცერი მოაგლიჯა, მეათე კლასში რომ იყო, ფიზიკის მასწავლებელს...
სამედიცინოზე ფიზიკას აბარებენ, არა? – მკითხა მე.
– დიახ! – ვუპასუხე.
– ჰოდა, იმ ფიზიკის მასწავლებელს დინამიტით ვოლგა აუფეთქა.
პირველ კურსზე ორი კაცი დაჭრა დანით.
– მამამისი რას შვება ამ დროს? – იკითხა ბაბუამ.
– მამამისმა რა ჰქნას; აიღო და სანიტარულიდან ქირურგიულზე გადაიყვანა. გასაგებია?
– არ არი გასაგები, მთვრალი ხარ შენ, ვანიჩკა! – უთხრა ბაბუამ.
– ვარ, მერე რა? მაგარი არაყია და ვარ. მე რომ მთვრალი ვარ, იმიტომ ერთი კვირის წინ მძინარე მამამისს ყურში ცხელი კარტოფილი ვერ ჩააჭყლიტა, აი?! – თქვა ვანიჩკა ბიძიამ.
– მერე? – გადაირია ბაბუა.
– მერე, ავლიპ ზურაბაშვილთან მიუყვანიათ. ავლიპ ზურაბაშვილი ხომ იცით, ვინ არის, მსოფლიოში პირველი იმის ისაა... – ვანიჩკა ბიძიამ შუბლზე თითი დაიდო და დაიტრიალა. – ამისათვის უკითხია: შვილო, ეგ რატომ ჰქენიო. – იმას უთქვია – ო’ გენრის მოთხრობა წავიკითხე „ვოჟდ კრასნაკოჟიხ“, იქ ეწერა ეგრე და გავსინჯეო. – ავლიპი მშობლებს მიბრუნებია და უთქვამს: თქვენი იღბალი, რომ ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „მამისმკვლელი“ არა აქვს წაკითხულიო.
მშობლებს უთხოვიათ: მაგის წონა ოქროს მოგცემთ, ოღონდ მოგვირჩინეო. ზურაბაშვილს უთქვამს – ეგ რა არის, 50 კილოზე მეტი არ იქნება, მე ჩემ წონა ოქროს მოგცემთ, 78 კილო ვარ, ოღონდ აქედან მომაშორეთო.
– მერე? – ბაბუა საკუთარ ყურებს არ უჯერებდა.
– მერე არაფერი. ახლა ისეთი ცნობა აუღეს, კაცი რომ მოკლას, პასუხს არ აგებს. ექიმისათვის ასეთი ცნობა მისწრებაა.
ვანიჩკა ბიძიამ ბოლო ჭიქა გადაჰკრა, – მორჩა, დალოცვილი, – დააყოლა სევდაშერეული ოხვრა.
– ეს ერთი გაპარვიათ, თორემ მთლად მასე არ იქნება საქმე, – ნახა გამოსავალი ბაბუამ.
– ალბათ, ბატონო ისიდორე!
– ჩემს ბიჭს ცნობა აქვს კოლმეურნეობიდან, ჯანმრთელობის მოწმობა აქვს, ქვეყნის შრომადღეები აქვს. – ბაბუა შეყოყმანდა, – ცოტა ფულიც გვაქვს, თქვა და ჯიბეზე ხელი ჩამოისვა გაუბედავად.
– რამდენი ფული გაქვთ, ისიდორე ბატონო? – ჰკითხა ვანიჩკა ბიძიამ.
– შვიდასი მანეთი.
– ეგ შვიდასი მანეთი აიღეთ, ხვალ ფეხბურთია, თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ თამაშობს, მაგ შვიდასი მანეთის სემიჩკა იყიდეთ და ორ ტაიმს თავისუფლად გეყოფათ. – დაგვარიგა ჭკუა ვანიჩკა ბიძიამ. ადგა და მეორე ოთახში გავიდა დასაძინებლად.
* * *
პირველ აგვისტოს ვაჟა ფშაველას პროსპექტი მეორედ მოსვლის მომლოდინე აზღვავებული და აბობოქრებული ხალხით დუღდა და გადადუღდა. თითო გამოსაცდელს რვა და მეტი ჭირისუფალი ახლდა.

აქ იყვნენ დედები, მამები, დები, ძმები, დეიდები, მამიდები, ბიცოლები, ნათლიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბებიები, ბაბუები. მოდიოდნენ ტაქსებით, საკუთარი „ვოლგებით“, „მოსკვიჩებით“, „ზაპოროჟეცებით“, „ზიმებით“, ავტობუსებით, მოტოციკლებით, მოტოროლერებით, ერთი-ორი კაცი სატვირთო მანქანითაც მოვიდა.
იდგნენ მზეში, უსაშველოდ მცხუნვარე მზეში, ოფლად იღვრებოდნენ, ლაპარაკობდნენ, ქაქანებდნენ, ოხრავდნენ, კამათობდნენ, ეჭვით უყურებდნენ ერთმანეთს, ეშინოდათ, ვაითუ ამისი მოხვდა და ჩემი არაო. ზოგი ძალიან მშვიდი ჩანდა, ზოგი – ზომაზე მეტად აღელვებული, ზოგი – გაფითრებული, ზოგი – გაწითლებული. თვითონ სამედიცინო ინსტიტუტი კი ნოეს კიდობანს ჰგავდა, რომელშიც ნოეს, წარღვნის წინ, ღმერთის მიერ შედგენილი განრიგით ყველა სახეობის ცხოველთაგან ორ-ორი შეჰყავდა და მე ვგრძნობდი წინასწარ, რომ სწორედ ის კამეჩი ვიქნებოდი, ნოეს რომ გარეთ დარჩა და კიდობანს რომ მისდევდა აბობოქრებულ ზღვაში ცურვითა და ბღავილით:
– ნოე, ნოე, ნოე!!!
დილის 9 საათზე შესული დღის პირველ საათზე გამოვედი გამოცდიდან. ბაბუა ჭადრის ძირში იდგა და მელოდა. დამინახა. დამინახა და ვიგრძენი, რაღაც იგრძნო, რადგან თვალი ამარიდა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს არ დავუნახივარ. ღმერთო, ნეტავი ახლა მიწა პირს გახსნიდეს და შიგ ჩამიტანდეს, რა ვუყო ამ მოხუცს, – ერთი წუთით ვინატრე, ნეტავ ესეც არ მყავდეს-მეთქი, მერე ვინატრე – ნეტავ მე არ ვყავდე. მერე მიწისძვრა ვინატრე, რომ მთელი ეს მაღალი შენობა თავზე დამმხობოდა. მერე ცეცხლი ვინატრე, რომ ბაბუას გარდა ყველანი დავმწვარიყავით, მერე წარღვნა ვინატრე. მერე ვინატრე, ბაბუა ვყოფილიყავი, ბაბუაჩემი კი ჩემს ადგილზე ყოფილიყო. ნელა, ძალიან ნელა ვუახლოვდებოდი ბაბუას. ბაბუა დგას და პაპიროსს აბოლებს, ვითომც აქ არაფერიო.
– რა მიიღე, ახალგაზრდავ? – მეკითხება ვიღაც უცნობი ქალი.
– ხუთი! – ვპასუხობ მე.
– როგორ უპრაგონოდ არიგებენ ამ ხუთებს! – უკვირს ქალს.
მე ნელი ნაბიჯით მივდივარ ბაბუასაკენ და ყურადღებას არ ვაქცევ ცნობისმოყვარეებს.
– რა მიიღე, ბიჭი?
– ხუთი!
– ნეტავი დედაშენს!
– რა მიიღე, ბიჭო?
– ხუთი!
– რა გკითხეს, ბიჭიკო?
– ყველაფერი!
– როგორ?
– ისე!
– მაინც?
– არქიმედის კანონი!
– რომელი?
– აი ის, სითხეში ჩაშვებულ სხეულზე რომ ამომგდები ძალა მოქმედებს.
– ბედი შენ გქონია, ძმაო!
– კი ბატონო! – სულ ახლოს მივედი ბაბუასთან და გავჩერდი.

რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ სიტყვა ყელში გამეჩხირა და ხველება ამივარდა. ბაბუამ დაკოჟრილი, ათრთოლებული ხელი მომკიდა, შემოხვეული ცნობისმოყვარე ხალხი გაარღვია და სახლში წამომიყვანა.
– ბაბუა! – დავიწყე მე.
– არ გინდა, ბაბუა! – თქვა მან და ისე გამიღიმა, უზარმაზარი ტვირთი მომხსნა მხრებიდან და ყელში ტკივილმა გამიარა. მთელი გზა არაფერი გვითქვამს ერთმანეთისათვის.
სახლში რომ მივედით, შურა დეიდამ მე და ბაბუას მატარებელზე ჩამორჩენილი მგზავრებივით დაგვიწყო დამშვიდება: – ნუ გეშინია, მაგი სამედიცინო ინსტიტუტი არსად არ გარბის, წელს არა, გაისად შეხვალთ და, თქვენი ნიჭის ამბავი რომ ვიცი, დაეწევით და გაასწრებთ კიდევაც წელს შესულებს!
ბაბუა ხმას არ იღებდა.
ვანიჩკა ბიძია დუმდა. ბოლოს მე მომიბრუნდა: – რაო, ავთო, რა მოხდა?
– ჩამჭრეს, ვანიჩკა ბიძია! – ვუთხარი მე.
– ამისათვის მოვახდინე რევოლუცია?! – იკითხა ბაბუამ.
ვანიჩკა ბიძიამ არ იცოდა, რატომ მოახდინა რევოლუცია ბაბუაჩემმა და არაფერი უპასუხა.
– ჩაგჭრეს თუ ჩაიჭერი? – მკითხა.
მე თავი ჩავღუნე. ვანიჩკა ბიძიამ კითხვა გამიმეორა.
– ჩავიჭერი! – ვუპასუხე მე და ბაბუას თვალი ავარიდე.
– არ იცოდი? – დააზუსტა კითხვა ვანიჩკა ბიძიამ.
– არ ვიცოდი!
– ახლა რას აპირებ?
– არაფერს!
– ბატონო ისიდორე! – მიუბრუნდა ვანიჩკა ბიძია ბაბუას. – ეგ ბიჭი წელს დაგვიტოვე, ისე მოვამზადოთ ფიზიკაში და ქიმიაში, გაისად თვითონ აინშტაინმაც ვერ ჩაჭრას.
ბაბუა ადგა და მეორე ოთახში გავიდა.
– შეგარცხვინა ღმერთმა, ეს მოხუცი ხომ მოკალი და ეგ არი, ორი საგანი ვერ მოამზადე? – მისაყვედურა.
მე ხმას არ ვიღებდი. ასე ვიჯექით დაახლოებით ერთი საათი.
ბოლოს ბაბუა შემოვიდა. ჯიბიდან ფულები ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.
– აქ შვიდასი მანეთია, – თქვა ბაბუამ, – იანვარში ერთ ამდენს კიდევ გამოვგზავნი. თუ ვიცოცხლე გაისად აგვისტომდე, ჩამოვალ, თუ არადა... – ბაბუამ ნერწყვი გადაყლაპა.
– სოფელში ასე ვიტყვი, მოეწყო-მეთქი...
ერთი წელი უცებ გაივლის, მოეწყო-მეთქი ვიტყვი... სოფელში, ჰეი, გიდი, ისიდორე ჯაყელო?!
მე მინდოდა, მოვხვეოდი ბაბუას და ჩამეკოცნა ჭაღარა წვერით გაბუძგული მისი მონგრეული ყბა, მერე მუხლებში ჩავვარდნოდი და ხმამაღლა მეტირა, მაგრამ ბაბუა ადგა და ისევ გავიდა მეორე ოთახში.
ჩვენი სახლი, უპირველეს ყოვლისა, იმით არის ცნობილი, რომ მის წინ ვენერიული დისპანსერია. როდესაც ჩვენი სახლის მაცხოვრებელი ვინმეს თავის მისამართს ასწავლის, დაახლოებით ასე ეუბნება:
– აი, ვენერიული დისპანსერის წინ რომ სახლია, ოთხი დიდი მორი რომ აქვს შეყუდებული, რომ არ წაიქცეს, ეზოდან შემოხვალ, რკინის ჭიშკარი აქვს, ცალ კარზე ბავშვები არიან ჩამოკიდებული, მეორე მოწყვეტილია და იქვე გდია. ეზოში ვედროების რიგია ონკანთან; იმხელა რიგია, რომ ვედროები ხანდახან ქუჩაში

გამოდის. სახლში თუ არ ვიყო, ეზოში მესაათე რუბენა ზის, იმას ჰკითხე, ის გეტყვის სადა ვარ!
ჩვენს ეზოში კიდევ ერთი ძალიან ლამაზი გოგონა ცხოვრობს, დადუნა ხომერიკი, პირველ სართულზე. მათი ბინის კარი პირდაპირ ეზოში გამოდის, დედა სპეკულანტი ჰყავს, თვითონ უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული განყოფილების მეორე კურსის სტუდენტია, ჩემზე ორი წლით უფროსი იქნება, ლამაზკანჭებიანი და თეძომაღალი, ქერა თმები მარინა ვლადივით აქვს ჩამოშლილი მხრებზე, სახე თეთრი აქვს, თვალები კი – ძალიან შავი და ოდნავ ელამი. უამრავი ლამაზი გოგონები და ბიჭები იყრიან თავს საღამოობით დადუნასთან, გიტარაზე უკრავენ, მღერიან, გვიან ღამით ეზოში ხმაურით გამოდიან, იღლიებში ამოჩრილი რაღაც ფუთებით. ბიჭები დადუნას დედას ხელზე კოცნიან, მადამ ინესას ეძახიან. გოგონები დადუნას ლოყაზე კოცნიან და დადუს ეძახიან. ხანდახან ბიჭებიც კოცნიან დადუს.
დადუნა წყლის რიგში გავიცანი. შურა დეიდამ მთხოვა, წყალი ამოიტანეო. ჩავედი, ჩვენი ვედრო სხვა ვედროებს მივუდგი და ამოსვლას ვაპირებდი, რომ სახლიდან დადუნა გამოვიდა ორი ვედროთი. ადრე დილა იყო.
– ბოდიში, ბოლო ვინ არის? – მკითხა დადუნამ და ისე გამიღიმა, გული ჩამოსავარდნად გახაზირებული მწიფე მსხალივით შემიქანდა.
– მე ვარ! – ვუთხარი ენის ბორძიკით.
– ძალიან კარგი, თქვენს შემდეგ მე ვიქნები. ხომ დამიმახსოვრებთ?
– რას ბრძანებთ, თქვენს დამახსოვრებას რა უნდა! – ვუთხარი დადუნას და პედიკიურიდან ტუშით გაგრძელებულ თვალის ჭრილამდე ავათვალიერე. დადუნამ დაიმორცხვა:
– მართლა?
– დედას გეფიცებით, არასდროს დამავიწყდებით!
– მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, მაშინ მე წავალ! – თქვა დადუნამ.
– ცოტა ხანს ნუ წახვალთ, თუ შეიძლება! – ვთხოვე დადუნას.
– ლექციებზე მაგვიანდება! – შემევაჭრა დადუნა.
– კიდევ ცოტა ხანს, მე ჯაყო მქვია.
– ჯაყო? – აქაჩა წარბები დადუნამ და წამწამები ააფახულა.
– ჯაყო კი არა, ავთო, ჯაყოს ისე მეძახიან, ალბათ, იმიტომ, რომ ჯაყელი ვარ?!
– მართლა? რა კარგია!
– მართლა კარგია?
– საოცრად.
– მაშინ თქვენც ჯაყო დამიძახეთ! – დავრთე ნება დადუნას.
– სიამოვნებით!
მე ხელი გავუწოდე, დადუნამ ნაზად გამომიწოდა თავისი.
– ჯაყო! – ვუთხარი მე.
– დადუ! – მითხრა მან.
– ნახვამდის! – თქვა დადუმ.
– ნახვამდის! – ვუთხარი მე ისე, ხელი არ გამიშვია.
დადუნა ოდნავ გამიძალიანდა.
– ჰა, სანაძლეოს ხომ არ დებთ, ჩავჭრა? – მოგვიახლოვდა მესაათე რუბენა და თავისი ვედრო ჩვენს წინ დადგა. მე ხელი გავუშვი დადუნას.
დადუნამ ისევ გაიღიმა და ტანის ლამაზი რხევით გავიდა ეზოდან.
– როგორია? – მკითხა რუბენამ.
– გადასარევი! – ვთქვი მე.

– აქ რომ დასახლდნენ, უფრო ლამაზი იყო, მერე უცებ თმა გაუყვითლდა. თვალები ჩაულურჯდა, კაბა დაუმოკლდა. მე ვთქვი, ეს ბავშვი რა მალე იზრდება, კაცო, ერთ წელიწადში თუ ასე იზარდა, მალე ჭიპი გამოუჩნდება-მეთქი. თურმე მოკლე კაბა მოდაში ყოფილა.
ეგენი „მინეს“ ემახიან. მე სულელი, ვფიქრობდი, ოჯახში უჭირთ და ისევ ბავშვობის კაბა აცვია-მეთქი, ა, რას იტყვი, ჯაყო?
მე რა უნდა მეთქვა. გავუღიმე ძია რუბენას და მისი ვედრო ჩემი და დადუნას ვედროებს უკან გადმოვდგი.
– ეგეთები ხართ აი ახლანდელი ახალგაზრდები, უმცროსი და უფროსი არ იცით! – თქვა რუბენამ.
– წყალი უმცროსისაა, ძია რუბენ! – შევახსენე მე.
– ყველაფერი თქვენია – წყალიც, ღვინოც, ვოტკაც, კონიაკიც. მერე დადგებით და რადიოში უსინდისოდ მღერით: „Широка страна моя родная, Старикам везде у нас почет!!!“ წადით, კაცო, თქვენი არაფერი მჯერა! – ჩაიქნია ხელი რუბენამ და ჯიბის საათებით მოვარაყებულ თავის ბუდრუგანაში შეძვრა.
* * *
– ქალბატონო, აქ შვიდი წლის წინ ერთი პატარა ბიჭი ცხოვრობდა, ახლა ჩემი ტოლა იქნებოდა, აბო ერქვა, ზედმეტ სახელად ჭყეტელას ეძახდნენ, ხომ არ იცით, ქალბატონო?
– არ ვიცი, შვილო, ეს კვარტალი იმის შემდეგ ასჯერ დაანგრიეს და ააშენეს, აბოს კი არა, ყურის მეზობელს ვერ ვიცნობ.
* * *
– ქალიშვილო, შვიდი წლის წინ, თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე ერთი ქურთი ბიჭი ცხოვრობდა, აბო ერქვა!..
– თბილისში 10 000 ქურთია, ახალგაზრდავ, და ნახევარს აბო ჰქვია. გვარი ხომ არ გახსოვთ?
– გვარი არასდროს მიკითხავს, ერთად ვიზრდებოდით, ჭყეტელას ვეძახდი.
– ჭყეტელას?
– დიახ, ბევრ ხახვს ჭამდა და თვალები ამოწითლებული ჰქონდა.
– მაინც ვერაფრით ვერ დაგეხმარებით.
– ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.
– არა უშავს!
– ნახვამდის!
– ორი შაური გადაიხადეთ.
– უკაცრავად, ინებეთ!
– ნახვამდის!
– მშვიდობით!
* * *
– ძია კაცო, შვიდი წლის წინ აქ ერთი ქურთი ბიჭი ცხოვრობდა, აბო ერქვა.
– აბო! აბო ჩემი შვილი ქვია. შენ რა გინდა?
– იმ აბოს დედა მოუკვდა შვიდი წლის წინ...
– დედა ჩემი აბოს მოუკვდა შვიდი წლის წინ!
– ახლა ჩემი ტოლა იქნებოდა...
– შენი ტოლაა ჩემი აბო.
– არა, მე იმის მამას ვიცნობდი.
– მეე?

– თქვენ არა, აბოს მამას.
– მე აბოს მამა ვარ.
– თქვენ აბოს მამა კი ხართ, მაგრამ იმ აბოს მამა არა ხართ!
– რომელი აბოს მამა?
– ჩემი მეგობარი აბოს მამა.
– არ ვიცი!
– ქურთი იყო, მელიქიშვილზე ცხოვრობდა...
– არ ვიცი!
– ბოდიში!
– არაფერია, გენაცვალე!
– ნახვამდის!
– გაიხარე!
* * *
არ არის აბო. მთელი თბილისი მოვიარე. ნავთლუღშიც ვიყავი. იქ ახალი დასახლებაა, ბევრი ქურთი ცხოვრობს, მესამე მასივს ეძახიან. ვის არ ვკითხე, ვისთან არ მივედი, არ არის აბო. დიღმის მასივშიც ვიყავი, დეზერტირების ბაზარში, მალაკნების ბაზარში, სადგურში, ყველგან, ყველგან, სადაც ქურთი მუშები შეიძლება ნახოს კაცმა. ასი აბო მაჩვენეს, ასივე ჩემი ტოლი. კიდევ მეტი, რომელსაც დედა არ ჰყავდა, მაგრამ ჩემი აბო არსად ჩანდა. არ არის აბო, მორჩა და გათავდა.
– რა გააჭირე, ბიჭო, ამ აბოთი საქმე. მაგას გირჩევნია ფიზიკა იმეცადინო, თორემ ჩამოვა ბაბუაშენი და ას პირ ტყავს გაგაძრობს! – მიჯავრდება შურა დეიდა.
შურა დეიდამ რა იცის, შურა დეიდა რას გაიგებს. ფიზიკა სად გაიქცევა, ფიზიკა მოიცდის, სად წავა ფიზიკა, აბო კი დაიკარგა, არ არის აბო. ქვეყანა რომ დაინგრეს, უნდა ვიპოვო აბო, თორემ რაღაც მაკლია, რაღაც დავკარგე, და რომ ვერ ვიპოვო, ასე ნაკლულად უნდა ვიარო. ახლა აბო, როგორც სიცოცხლე, ისე მჭირდება, იმიტომ რომ აბოდან მახსოვს ყველაფერი: დედაც, მისი თბილი ხელიც, მისი ტირილიც და მისი დიდრონი ცისფერი თვალებიც. აბოთი მახსოვს ჩემი დედა, ყველაზე უფრო აბოთი დამამახსოვრდა, მეტი არაფრით. მამაც მახსოვს, მაგრამ დედა უფრო, და ის ღამე. გუშინდელ დღესავით მახსოვს დედა და აბო!
შურა დეიდამ რა იცის, ვანიჩკა ბიძია სხვაა, ვანიჩკა ბიძიამ ყველაფერი იცის, ვანიჩკა ბიძია გულთმისანია, სულთამხილველი და ბრძენი.
– ბიჭო ავთო! – მეუბნება ვანიჩკა ბიძია. – მთელი დუნია რომ გაცვითე ამ აბოს ძებნით, წადი, სასაფლაოზე მოძებნე, არ შეიძლება კაცი დედის საფლავზე არ მივიდეს. გახსოვს, სად არის დედამისის საფლავი?
როგორ არ ახსოვს, ვანიჩკა ბიძია. ავთანდილ ჯაყელს ყველაფერი ახსოვს. აბოს დედა ცოტა ამის ქვემოთ მარხია, სადაც ავთანდილ ჯაყელის მშობლების საფლავია. წესით, ახლა აბოს დედის საფლავზე შვიდი წლის ტირიფი უნდა იდგეს, ან რვა წლის. ერთი წლის ხომ მაინც იქნებოდა, რომ დარგეს. მიაგნებს, როგორ არ მიაგნებს, ოღონდ ამდენ ხანს როგორ არ გაახსენდა. მართლა მთელი დუნია მოიარა და სასაფლაო როგორ არ გაახსენდა. წავა ავთანდილ ჯაყელი სასაფლაოზე: ერთხელ თუ არ დახვდა აბო, მეორედ წავა, მესამედ, მეოთხედ, მეათედ და ბოლოს ნახავს. და თუ აბო სასაფლაოზე არ მოვიდა, მაშინ მკვდარია აბო, მაშინ აღარ დაუწყებს ავთანდილ ჯაყელი აბოს ძებნას. და თანდათან დაავიწყდება ავთანდილ ჯაყელს დედაც, აბოც და ყველაფერი.
ვაკის სასაფლაო დიდი ხანია დახურეს, ახალი გახსნეს, საბურთალოზე. ისიც დახურეს. ახლა დიღომში გახსნეს ახალი სასაფლაო, რაც უფრო შორს გადააქვთ სასაფლაოები, მით უფრო ნაკლები ჭირისუფალი, ნაცნობი და მოკეთე მიჰყვება

მიცვალებულს საფლავამდე. ასე თუ გაგრძელდა, ბოლოს, ალბათ, მარტო ჭირისუფალი გაჰყვება.
სოფლის სასაფლაო სულ სხვაა. სოფლის სასაფლაო ბუნების ნაწილია, სოფლის სასაფლაოზე კაცი ისვენებს, სულიერადაც და ხორციელადაც. სოფლის სასაფლაოზე საქონელი დადის და ბალახს ძოვს, მერე იწველება და ის რძე ნოყიერია, როგორც სოფლის ჰაერი, ბალახი და მიწა. სოფლის სასაფლაოზე ღამით რომ მიდიხარ, არ გეშინია, იქ შენიანი ვინმე გეგულება და მფარველად გყავს. სოფლის სასაფლაოზე დღესასწაულებიც იმართება ხოლმე. ჯარიანობაა და ცეკვა-თამაში. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ სოფელში სასაფლაოები ეკლესიების ეზოებშია ხოლმე და, ალბათ, იმიტომ, რომ სოფლის სასაფლაოები მარადჟამს ძველია, ძველია, რადგან სოფელში იშვიათად კვდება ადამიანი, ისე იშვიათად, რომ სასაფლაოს სასაფლაოს არ ეძახიან სოფელში. სოფელში სასაფლაო არ ახსოვთ. გურიაში სასაფლაოებს შემაღლებულ ადგილზე აკეთებენ და ყველა ჭირისუფალი, როდესაც ტირილი მოუნდება, პირდაპირ თავისი სახლის აივნიდან ელაპარაკება მოთქმით საკუთარ მიცვალებულს.
სოფელში სიკვდილი და სიცოცხლე და-ძმასავით არიან – სოფლისა და ბუნების ღვიძლი შვილები. სოფლის სასაფლაოზე მიცვალებულები, როგორც სიცოცხლის ჟამს სოფელში, გვარებად არიან შეყრილი და ერთად ცხოვრობენ, და სასაფლაო, როგორც სოფელი, ჯაყელების, ბერიძეების, ღლონტების, კალანდაძეების და სხვათა უბნებად არის დაყოფილი. სოფელში პროფესია მეკუბოვე და მესაფლავე არ არსებობს და ყველა ხელოსანსა და უსტას ერთნაირად შეუძლია აკვნისა და კუბოს კეთება.
ქალაქში სიკვდილი სერიოზულ საქმედ იქცა. შეიქმნა უზარმაზარი ტრესტები, სამმართველოები, განყოფილებები: კუბოების, მუსიკის, პანაშვიდის, საქელეხე ჭურჭლისა და მაგიდების, მანქანების, ავტობუსების, შავი ხავერდების, ყვავილების, მესაფლავეების, მემარმარილოეების, ტუფისა და გრანიტის, ქანდაკების, წყლის და ბოლოს, მიწის, უკანასკნელი თავშესაფარისა და საყუდარის. ქალაქის სასაფლაოზე იპარავენ ნაძვებს, ვარდებს, ყვავილებს, ქოთნებს, მარმარილოს, ბალახსაც კი. მიწას სვამენ გრანიტის ან მარმარილოს ჯავშანში. ყველაფერ ამასთან ერთად სიკვდილი ქალაქში ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. ქალაქში ძალიან ეშინიათ სიკვდილის, რადგან ქალაქში სიკვდილი რთულია.
* * *
– მაროო, მარო!
– ჰე, აქა ვარ!
– მარო, ამოდი ერთი, თუ ქალი ხარ!
– რომელი ხარ?
– ავთო ვარ, ავთო!
– აბა, ავთო?
– ჯაყელების საფლავთან ამოდი!
– ჰო, კარგი, მოვდივარ!
მარო ჩვენი სასაფლაოს მომვლელია, ბაბუა თვეში 15 მანეთს უგზავნის, რომ სასაფლაო ბალახებისაგან გაწმინდოს, ვარდები მორწყას და მარმარილოს სვეტს სველი ტილო გადაუსვას ხანდახან. არც პირველი, არც მეორე, არც მესამე სასაფლაოს არ ეტყობა. საფლავზე ბალახია, ვარდები დამტვრეული, მარმარილო დამტვერილი.
– გამარჯობათ! – მარო წყლით სავსე ვედროთი მოვიდა.
– გაგიმარჯოს! – მარო ცნობისმოყვარეობით მიცქერის.
– მე შვილი ვარ, – ვეუბნები.
– ჰო, მივხვდი.

– მარო, ეს ვარდები დაგლეჯილი რატომ არის? – ვეკითხები.
– იპარამენ, გენაცვა. აბა, მე სად უნდა ვზდიო, შემდეგ მანეთ-მანეთად ჰყიდიან.
– მოჭრან მაინც! – ვეუბნები.
– მაშ, კაცო, მოჭრან მაინც.
– ეგ ბალახი?
– აბა, რა ვქნა, იმდენი მკვდრები მყავს, ვეღარ გავწვდი, ახლავე დავასუფთავებ, აბა, მიმიშვი...
– აქ რომ სკამი იდგა, სად არის?
– აღარ არის? ალბათ, ეგეც მოიპარეს, ოხრობაში მოიხმარონ! – იწყევლება მარო, მერე ბუტბუტებს რაღაცას.
– აქ არავინ დადის?
– რატომაც არა, ერთი კაცი დადის ხოლმე, თეთრი თმები აქვს, ფული მოაქვს.
– ვანიჩკა ბიძია?
– აბა, რა ვიცი?!
– გაწმინდე, თუ ქალი ხარ. მე ცოტა ქვევით ჩავალ და მოვალ!
– წადი, გენაცვალე, ემსაათში სარკესავით გავხდი აქაურობას, – მეუბნება მარო და მარმარილოზე სველ ტილოს უსვამს.
ბილიკს დავყევი ქვევით, სადღაც აქ მარხია აბოს დედა, კარგად აღარ მახსოვს. აი, ეს საფლავი მახსოვს, ბიუსტი დაუდგამთ, ადრე არ ედგა, მხოლოდ წარწერა ჰქონდა.
. . . . . .
ექიმი
რაჟდენ ისიდორეს ძე მემარნიშვილი
1900 – 1950 . . . . . .
შემდეგ ლექსია:
მოულოდნელად წახვედი ჩვენგან
დაუვიწყარი ჩვენი მშობელი,
ამ უკანასკნელ სახსოვარს გიძღვნით
გულდაწყვეტილი შენი შვილები.
დასწყევლოს ღმერთმა, ექიმებიც კვდებიან; ისიც მოულოდნელად.
ბიუსტი ბრინჯაოსია. თვითონ რაჟდენი ძალიან სიმპათიური და ახალგაზრდა ყოფილა.
მივდივარ უამრავ საფლავს შორის. ზოგი ახალგაზრდაა, ზოგი მოხუცი, ზოგი ქალი, ზოგი მამაკაცი. უმრავლესობას პროფესია აწერია.
ზღვაა ბიუსტებისა, მარმარილოს სასახლეებისა, ფიქალისაგან აწყობილი კედლებისა, თითბრით გადახურული სახლებისა და უპატრონო საფლავებისა.
ვჩერდები. შორიდან მოთქმა მესმის. ხმას მივყვები. სულ ახალ ბორცვზე ზის ქალი და მოთქვამს.
– ავთო, შვილო, ავთო, ჩემო სიცოცხლეზე ტკბილო! ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო მზეო, ჩემო დღეო და ჩემო ღამეო, ვაი შენს დედას უბედურს, ავთო, შვილო! – და ასე გაუთავებლად. ჯერ შევცბი ჩემი სახელის გაგონებაზე, მერე რაღაც გამილღვა გულში და ყელში მომაწვა, ახლოს მივედი და ვიღაცის საფლავზე ჩამოვჯექი.
– ავთო, ავთო, ჩემო იმედო! – მესმოდა გაუთავებლად.
ჯერ ჟრუანტელმა დამიარა ტანში, შემაცივა, მერე თანდათან გათბა და თბილმა, დედაჩემის ხელივით თბილმა ნაკადმა დამიარა სხეულში. რა ბედნიერებაა იყო მკვდარი. ასე გტიროდეს დედა, და გესმოდეს ეს დაუსრულებელი უსაზღვრო სიყვარული, გრძნობდე მდუღარებას ამ ცრემლისას და იცოდე, რომ ხარ ვიღაცის

ერთადერთი იმედი, ერთადერთი ბედნიერება, მზე, დღე და ღამე. უცებ წარმოვიდგინე, რომ ეს დედაჩემი იჯდა ჩემს ახალგათხრილ საფლავზე და უზომო მწუხარებით მიმხელდა უზომო სიყვარულს. წარმოვიდგინე და იმ წუთში ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო დედამიწაზე, არ იყო კაცი ჩემზე ბედნიერი და მე ბედნიერებისაგან ხმამაღლა ავტირდი.
– ავთო, ავთო შვილო, ჩემო ერთადერთო იმედო! – ტიროდა დედაჩემი და ვტიროდი მეც...
– შენ ჩემი შვილის ამხანაგი ხარ, შვილო?
– ჰო, დეიდა!
– უნივერსიტეტში ერთად სწავლობდით?
– დიახ, დეიდა!
– დამაფსო, შვილო, დამღუპა, დამაქცია...
– კი, დეიდა.
– მე კი ცოცხალი ვარ, ხომ ხედავ, შვილო!
– ვხედავ!
– ნუ დამივიწყებთ, იარეთ ხოლმე ჩემთან ამხანაგებმა.
– ვივლით, დეიდა!
– დიდხანს იცოცხლე, შვილო!
– გმადლობთ, დეიდა!
– რა გქვია, შვილო, შენ?
– ავთო!
– ვაი, შვილო, რატომ არ მახსოვხარ. შენც ფიზიკურზე სწავლობდი?
– დიახ!
– შენც ხომ არ იყავი იმ ჩხუბში, დედა, მე რომ დამღუპეს?
– სად, დეიდა?
– თბილისის ზღვაზე, სადაც დამღუპეს და ამომაგდეს!
– არა, დეიდა!
– ნახვამდის, შვილო!
– გმადლობთ, დეიდა!
– რისთვის, შვილო!
– ისე, დეიდა, დიდი მადლობა.
– რას ამბობ, შვილო?
– არ ვიცი.
– ნახვამდის!
– გმადლობთ, დეიდა!
შავოსანი მანდილოსანი ნელი ნაბიჯით წავიდა.
მზე ჩადიოდა, სასაფლაოზე საოცარი მყუდროება დასადგურდა.
მტირალა თუთები, ტირიფები, ნაძვები, ფიჭვები, ალვები ისე ჩუმად შრიალებდნენ, ისე ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თითქოს სურდათ, ეს ლაპარაკი სხვა სულიერს არ გაეგო.
ცოტა უფრო ქვევით ბაგელი ბავშვები კუკუდამალობანას თამაშობდნენ. პატარა გოგონა მკლავში თავჩარგული ვიღაცის ძეგლს მიყუდებოდა და ითვლიდა:
– ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... ათი... ოცი... – ბავშვები, წიწილებს რომ ქორი დაუვლის, ისე დაფეთებულები გარბოდნენ, ეფარებოდნენ ძეგლებს, მარმარილოს ლოდებს, მიძვრებოდნენ ბუჩქებში და წვებოდნენ საფლავის ქვების უკან – ოცდაათი...

ორმოცი... ორმოცდაათი, ორმოცდაექვსი, ორმოცდაშვიდი, ორმოცდარვა, ორმოცდაცხრა, ორმოცდაათი!!! – გოგონამ თვლა დაამთავრა.
– კუ-კუ! კუ-კუ! – დაიძახა ერთ-ერთმა დამალულმა.
მაშინ გოგონამ თვალები გაახილა და დამალულებს ფრთხილად დაუწყო ძებნა.
– თემო, გამოდი, დაგინახე! ჩხენკელის საფლავის უკან წევხარ, გამოდი, სტუკ-სტუკ! – თემო გამოვიდა.
– თათია, შენც გამოდი, აი, ბაკურაძის ძეგლს ეფარები, კაბა გიჩანს, სტუკ, სტუკ! – თათიაც გამოვიდა. ახლა დანარჩენებს დაუწყო ძებნა გოგონამ.
– როცა გითხრა ე, არ გამოხვიდე! როცა გითხრა ი, მაშინ გა-მო-დი! – გააფრთხილა თათიამ დამალულები. დამალულები სუნთქვაშეკრულნი გაუნძრევლად იწვნენ საფლავების გვერდით, მიწაზე განრთხმული.
მე მაღლობზე ვიდექი და თითქმის ყველას ვხედავდი. მზე მთლიანად გადაიხარა და სასაფლაოს ბინდი შემოეპარა. ბავშვები ბინდში ქრებოდნენ და უკვე საფლავის ქვებიდან ვეღარ ვარჩევდი... და უცებ შემეშინდა, ისე შემეშინდა, რომ შუბლზე ცივმა ოფლმა გამომჟონა და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ავყვირდი.
– ბავშვებო, გეყოთ კუკუდამალობანა, გამოდით, ნუ იმალებით, თქვენი ჭირიმე, ბავშვებო, გამოდით, დედას გაფიცებთ, ბავშვებო, გა-მო-დით! გესმით, ბავშვებო, დედას გაფიცებთ, ნუ იმალებით! გა-მო-დით!!!
მზეს წვერიღა უჩანდა ამ ქვეყანაზე, მე მაღლობზე ვიდექი გიჟივით ხელებგაშლილი და ვხედავდი, როგორ გარბოდნენ სახლებში დაფეთებული ბავშვები.
– საღამო მშვიდობისა, დადუ!
– საღამო მშვიდობისა, ჯაყო!
– ასე გვიან ბრუნდებით ლექციებიდან?
– დღეს პრაქტიკული მქონდა, მერე კინოში ვიყავით!
– რა ნახეთ?
– არ მახსოვს, რაღაც მორიგი სისულელე იყო. სათაურმა მომატყუილა. მგონი, ასე ერქვა „მკვდრები ცოცხლებზე მეტს ლაპარაკობენ“, თუ პირიქით. როგორია?
– მართალია!
– რა არის მართალი? – გაუკვირდა დადუნას.
– კარგი სათაურია-მეთქი, მინდოდა, მეთქვა.
– ჰო, სწორედ სათაურმა შემაცდინა. – დადუნა გაჩერდა და დამშრალი ონკანის საკეტს დაუწყო წვალება. მეც უხერხულად ვგრძნობდი თავს.
– ჩემთან ერთად არ წამოხვალთ კინოში? – ვკითხე უცებ და ვიგრძენი, რომ გავწითლდი. დადუნამ გაკვირვებით ამომხედა.
– თქვენთან ერთად?
– ჰო!
დადუნა ერთხანს დაფიქრდა.
– რატომაც არა! – თქვა უცებ.
– როდის? – ვკითხე მე და გული ამითამაშდა.
– როდესაც დამპატიჟებთ, – თქვა დადუნამ და ისე გამიღიმა, რომ მუხლებში სისუსტე ვიგრძენი.
– ხვალ! – ვთქვი მე.
– ხვალ არა, ხვალ სტუმრები მყავს. სხვა დროს, როდესაც გინდათ, ოღონდ ხვალ არა. თქვენც თუ მობრძანდებით, ძალიან გამიხარდება.
მოხვალთ?

მე ჯერ ჩემს ტანსაცმელს შევავლე თვალი, მერე დადუნას და მხრები ავიჩეჩე. დადუნამ გადაიკისკისა და თვითონაც ამათვალიერ-ჩამათვალიერა.
– მობრძანდით რა, ძალიან გამიხარდება.
– გმადლობთ, მოვალ, – ვთქვი მე.
– არ მომატყუოთ, 10 საათზე!
– არა! – ვთქვი მე.
– დადუნამ ხელი დამიქნია და სახლში შევიდა.
* * *
შურა დეიდამ კატეგორიული უარი მითხრა შარვლისა და პერანგის დაუთოებაზე. მე თვითონ დავიწყე პერანგის დაუთოება და უკვე მესამე პერანგს ვუწვავდი საყელოს.
– ხომერიკებთან და სპეკულანტებთან სამეზობლო მე არაფერი მაქვს და არც მექნება, შენი ფეხი არ დავინახო მაგათთან. შენზე უკეთესი ბიჭები მინახავს მაგ გოგოსაგან რეტდასხმული, შუაღამეზე ეზოში გიტარით რომ იდგნენ, აზიაცკივით შემოჭერილი შარვლებით და გაბურძგნული თმებით, დილამდე რომ კიოდნენ „ნე უეზჟაი, ტი მოი გოლუბჩიკო“, არ დაგინახო მაგასთან გავლილი, თორემ გავუყრი ბაწარში თავს, მიყარე მერე კაკალი! – ქაქანებდა შურა დეიდა.
ვანიჩკა ბიძია აუღელვებლად იჯდა და გაზეთს კითხულობდა.
– ამოიღე დასამიწებელი ენა, უთხარი, დანის ფრიალი რომ იყო ამ ეზოში შარშან გაზაფხულზე მაგ გოგოს გულისათვის! – ეცა შურა დეიდა ვანიჩკა ბიძიას.
ვანიჩკა ბიძიამ ცალი ხელით, რა თქმა უნდა, ფრთხილად მოიცილა შურა დეიდა და გაზეთის კითხვა განაგრძო.
– რას კითხულობ ასეთს, შე არაადამიანო, თვალი რომ ვერ მოწყვიტე, ხომ ხედავ, ბიჭი დაღუპვის გზაზე დგას!
– დამაცა, ქალო, მაო ძე-დუნის ამბებს ვკითხულობ, თქვენთვის არ მცალია – უთხარი ბიჭს ორი სიტყვა!
– რა ვუთხრა, ქალო? – გადადო ვანიჩკა ბიძიამ გაზეთი და მე შემომხედა.
– არ იყო დანების ფრიალი?
– მერე რა, რომ იყო? – კითხვაზე კითხვით უპასუხა ვანიჩკა ბიძიამ.
– რას ნიშნავს მერე ეს?
– ეს იმას ნიშნავს, ჩემო შურა, რომ დადუნა კარგი გოგოა და ბიჭებს მოსწონთ! – თქვა ვანიჩკა ბიძიამ.
– მეტს არაფერს არ ნიშნავს? – შემოირტყა დოინჯი შურა დეიდამ.
– მეტს რას უნდა ნიშნავდეს, კარგი გოგოსთვის ყოველთვის ჩხუბია. მაშ, შენ როგორ გინდა?
– როგორ მინდა? – შურა დეიდა ერთხანს შეჩერდა.
– თქვენზე არ იყო, შურა დეიდა, დანების ფრიალი? – ჩავერიე კამათში.
– დანების ფრიალი კი არა, ძლივს შემომასაღეს ართილაყვებმა, ორ ტომარა ფულს შემპირდნენ, მერე, ხელი რომ მოვაწერეთ, ერთი თვის თავზე, სამ ტომარა ფულს ვაძლევდი, უკან წაიყვანეთ-მეთქი, შენც არ მომიკვდე, – თქვა ვანიჩკა ბიძიამ და გულიანად გაიცინა.
შურა დეიდა გაფითრდა.
– ეს რა თქვი, შე უნამუსო? შენი გულისთვის მთელი სანათესაო დავკარგე, დედა მივატოვე, მამა მივატოვე. საწყალი ამის მამა, გაბო, რევოლვერით დამდევდა, სომეხს როგორ გაყევიო, – დააბრალა ისევ მამაჩემს შურა დეიდამ. – და ახლა მაგას ამბობ?!

– ახია ჩემზე! – თქვა ვანიჩკა ბიძიამ, – დავრჩენილიყავი მილანში იმ ოქროსავით ქალთან, გადაყოლილი იყო ჩემზე, რა მინდოდა ამ გველეშაპთან, ყოველდღე ხინკალივით მჭამს რა, გაციებას არ მაცლის!
– ვანიჩკა ბიძიამ ამოიოხრა. ვანიჩკა ბიძია ტყვედ ნამყოფია ორჯერ: ჯერ გერმანელებს ჩაუგდიათ ტყვედ, მერე – ამერიკელებს. ამერიკელებს იმიტომ, რომ გერმანელები იტალიაში ამერიკელების წინააღმდეგ აომებდნენ; ჰოდა, როგორც ახლა თვითონ ჰყვება, მილანში საყვარელი ჰყოლია, ვიღაც მდიდარი ქალი ლუჩია.
– ვისთან უნდა დარჩენილიყავი, შე უბედურო, შე პლენად ნამყოფო, ვის უნდოდა ოხერი და ტიალი. ბუღა უნდოდა, მოზვერი, იმ შენ გადაყრუებულ ლუჩიას და იმიტომ ჰყავდი, თორემ რაცხა ოქრო ხარ, აქ არ გდიხარ?
ვანიჩკა ბიძიამ ვერ გაუძლო კრიტიკას და მეორე ოთახში გავიდა.
– არ იშლი ხომ წასვლას? – მომიბრუნდა ახლა მე.
– შურა დეიდა, შენი ჭირიმე, უხერხულია. ოღონდ ახლა გამიშვით და მეორეჯერ აღარ წავალ! – მუდარით ვთხოვე შურა დეიდას.
– წაეთრიე და ცხრაზე აქ იყავი! – მოლბა შურა დეიდა.
– ათზე ვარ დაპატიჟებული და ცხრაზე როგორ ვიყო?
– მაშინ თერთმეტზე!
– კარგი, შურა დეიდა! – დავპირდი მე.
შურა დეიდამ თითები ნერწყვით დაისველა, წარბები გამისწორა, მერე იქით-აქეთ შემომატრიალა და ბუზღუნით გავიდა მეორე ოთახში, იქ ვანიჩკა ბიძია ეგულებოდა. ათ საათზე დადუნას სახლის კარი შევაღე. მადამ ინესას განსაკუთრებული არც სიხარული, არც ყურადღება გამოუჩენია ჩემს მიმართ. იგი ყველა დიასახლისისათვის ჩვეული ღიმილით შემხვდა და სასტუმრო ოთახში შემიძღვა. ოთახი სავსე იყო ავეჯით, სუნამოს სუნით და ფილიპ მორისის კვამლით. აქა-იქ მიმობნეულ სავარძლებში ფეხი ფეხზე გადადებული მინიკაბებიანი, ორთითშუა სიგარეტგაჩრილი ლამაზი გოგონები და ხბოს ალოკილ, დაკრონის კოსტუმებში გამოწყობილი ვაჟები ისხდნენ. მე ზღურბლზე გავჩერდი. დადუნამ ტუჩებზე საჩვენებელი თითი აიფარა და მანიშნა, ჩუმად იყავიო, მერე თვალებით მითხრა, ახლოს მდგომ სავარძელში ჩავმჯდარიყავი.
გულწასულივით სავარძელზე მისვენებული, თვალებმოჭუტული და ჭერში თითმიბჯენილი თმაჭაღარა გამხდარი ვაჟი ლექსს კითხულობდა:
И жар соблазна
Вздымал как ангел два крыла
Крестообразно...
მე ფეხაკრეფით მივედი სავარძელთან და რაც შემეძლო ფრთხილად ჩავჯექი შიგ...
...Мело весь месяц в феврале
И то и дело...
ისე გაბმულად, ისე ლამაზი ხმით, და ისე ტკბილად კითხულობდა თმაჭაღარა, გეგონებოდათ, მღერისო.
Свеча горели на столе
Свеча горела.
ჭაღარამ კითხვა დაამთავრა, ადგა, ოთახის კუთხეში ხილით და კონიაკით გაწყობილ მაგიდასთან მივიდა, კონიაკი დაისხა, გადაჰკრა და მხოლოდ ამის შემდეგ გაუღიმა აღტაცებულ საზოგადოებას.
„аляфуршет!“ – გავიფიქრე მე.
– არჩილ, კიდე რა, კიდე რა! – სთხოვეს გოგოებმა.

– აღარ მინდა! – თქვა არჩილმა და ისევ დაისხა კონიაკი.
– კიდევ რა, რაიმე პატარა! – არ მოასვენა ჩემმა მეზობელმა.
– პატარა? – ჰკითხა არჩილმა.
– ჰო, ძალიან პატარა! – სთხოვა ჩემმა მეზობელმა და კოცნა გაუგზავნა.
არჩილმა ისევ დაისხა კონიაკი, ჭიქას გახედა, თვალიდან არ მოუშორებია ისე დაიწყო.
Под ракитой, обвитой плющом,
От ненастья мы ищем зашиты,
Наши плечи покрыты плащом,
Вкруг тебя мои руки обвиты.
Я ошибся, кусты этих чаш
Не плющом перевиты, а хмел.
Ну так лучше . давай этот плащ
В ширину под собою расстелим.
ყველამ თავშეკავებულად გაიცინა, არჩილმა კონიაკი გადაჰკრა და თავის ადგილზე დაჯდა.
მე ტაში დავუკარი. ყველამ შემომხედა.
– მეგობრებო, ეს ჩემი მეზობელი ჯაყოა, გთხოვთ, გაიცნოთ! – ისარგებლა დადუნამ პაუზით და ჩემკენ წამოვიდა.
მე ავდექი და მდაბლად დავუკარი თავი ყველას.
– ოსია? – იკითხა ერთმა, მკლავებდაბერილმა და მკერდგადმობრუნებულმა მუტრუკმა, რომელიც ისე ახლოს იჯდა გაწყობილ მაგიდასთან, ადგომა არ დაჭირვებია, პირდაპირ გაწია ხელი, კონიაკი დაისხა და ისე დალია, ჩემკენ არ გამოუხედავს.
– არა, ქართველია! – თქვა დადუნამ და დამნაშავესავით შემომხედა.
– მაშ, ჯაყო რად ჰქვია? – იკითხა ისევ მკერდგადმობრუნებულმა.
– ჯაყელია და ზედმეტ სახელად ჯაყოს ეძახიან, ისე ავთო ჰქვია.
– ჰოოო, – გააგრძელა მკლავებდაბერილმა.
მე არასასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა.
– ახლა მზიას ვთხოვოთ რა? – წამოაყენა ახალი წინადადება ჩემმა მეზობელმა.
– ვთხოვოთ, ვთხოვოთ! – ახმაურდა ყველა.
მზია, მკლავებდაბერილის გვერდით მჯდომი, თხელტუჩებიანი, მოგონილი დაბნეულობითა და ფიქრებით შეწუხებული გოგონა აღმოჩნდა.
– მეე? – იკითხა მან.
– ჰო, რა, მზია, შენი ჭირიმე. „მე ერთი პატარა...“ – უკარნახეს.
– ვაიმე, ზეპირად რომ არ ვიცი?!
– წაიკითხე.
– არ წამომიღია.
– კარგი რა, გაიხსენე! – სთხოვეს.
გაიხსენა:
მე ერთი პატარა, ისეთი პატარა
პოეტი გოგონა ვარ,
ვერავის, ვერასოდეს,
რომ მთხოვოს ეს გული,
ვერ ვეტყვი, ვერ ვეტყვი უარს,
და მუდამ, ზენაა იგი თუ ქვენაა,
ჩურჩულით მაფრთხილებს ქარი:

– არავის არასდროს არაფრის გულისთვის
არ უთხრა, არ უთხრა უარი.
– ღმერთო ჩემო, რა ნაზია და ქალური, – თქვა ჩემმა მეზობელმა.
დადუნა მოვიდა და ჩემი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა.
– მოგწონს? – მკითხა და მხარზე დამადო ხელი.
მე რაც შემეძლო, მრავალაზროვნად გავუღიმე.
– წავედი, – თქვა არჩილმა და ადგა.
– მოიცა, არჩილ! – წამოხტა დადუნა.
– მე წავედი, აღარ მინდა, დავიღალე! – თქვა და დემონსტრაციულად დატოვა ოთახი.
დადუნა გაეკიდა. მეც გავყევი.
– არჩილ, დარჩი რა? – სთხოვა დადუნამ.
– არ მინდა ამ ბითურობის მოსმენა, წავედი! – თქვა და წავიდა.
უცებ შემოტრიალდა და ხელი ჩამომართვა.
– თქვენთან ბოდიშს ვიხდი!
– რას ბრძანებთ! – ვუთხარი მე.
– მაპატიეთ! ნახვამდის!
– ნახვამდის! – არჩილმა კარი გაიხურა.
მე ოთახში შევბრუნდი და გაშლილ მაგიდასთან მივედი. კონიაკი დავისხი ჩაის ჭიქაში და სულმოუთქმელად დავლიე.
– ოჰო! – თქვა ვიღაცამ.
მე ისევ დავასხი, ოღონდ ახლა ნახევარი.
დადუნა შემოვიდა.
– წავიდა არჩილი! – თქვა მან.
– წავიდა და წავიდეს, გამოვიდა ეგეც ფოლკნერი. გააჭირა საქმე, თვითონ რომ კითხულობს ლექსებს, გვერდზე რომ გაიხედო, გაგიჟდება, სხვა ფეხებზე კიდია! – თქვა ჩემმა ყოფილმა მეზობელმა. მერე მე მომიბრუნდა. – ბატონო ჯაყო, თუ შეიძლება კონიაკი და ყავა წამომიღეთ!
მე თხოვნა შევუსრულე და ისევ გვერდით მივუჯექი. კონიაკი საქმეს შეუდგა, ჯერ საფეთქლები ამეწვა, მერე ტუჩები დამიბუჟდა, სიმხურვალე სისხლს წამოყვა და ხელის მტევნები დამებერა. ისეთი სასიამოვნო გრძნობა იყო, ის მიტოვებული ნახევარი ჩაის ჭიქა გამახსენდა, მივბრუნდი და ისიც დავლიე.
– ვა, ეს ვინ არის, რემარკია? – იკითხა ვიღაცამ.
ისევ წავედი ადგილზე და სავარძელში ჩავჯექი. ჩემი მეზობელი არჩილის დამუშავებას განაგრძობდა.
– ისე კითხულობს ამ პასტერნაკის ლექსებს, გეგონება, მისი დაწერილი იყოს. სხვა რომ არა, ზრდილობის საკითხია. ყოველთვის ასე აკეთებს. მზიას ლექსები მე ძალიან მომწონს. თქვენ? – მკითხა უცებ.
– არჩილი კარგი ბიჭია, – ავარიდე თავი კითხვას.
– კარგი ბიჭია, ვინ ამბობს, რომ ცუდი ბიჭია...
– კარგი მწერალია!
– თქვენ რა იცით, ვინ არის და როგორი მწერალია?
– ეგ თუ არჩილ გიგაურია, კარგი მწერალია.
მზიას გავხედე. იგი ცოცხალ-მკვდარი იჯდა. კონიაკმა მოქმედებას უმატა. ახლა მკლავებდაბერილს გავხედე. საოცრად პატარა მომეჩვენა, დაახლოებით ისეთი, სავარძელში დიდთავა, ლოყებწითელა და ხელებგაფშეკილი თოჯინები რომ უზით ხოლმე. უცებ გამეცინა.

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

– რა გაცინებს, ხომ არ დათვერი? – მკითხა დადუნამ და ისევ დამადო ხელი მხარზე.
– კონიაკი არ მათრობს! – ვთქვი მე და შევატყვე, ენის მობრუნება გამიჭირდა.
– აბა, რა გაცინებს? – მკითხა ისევ დადუნამ.
– შეხედე, რა პატარაა და სასაცილო! – ვუთხარი მე, თვალით მკლავებდაბერილზე ვანიშნე და ისევ გამეცინა. მკლავებდაბერილს არ გაუგონია, მაგრამ რაღაც იგრძნო და სავარძელში აწრიალდა. დადუნამაც იგრძნო, რომ უხერხული მდგომარეობა იქმნებოდა და სავარძლის სახელურიდან წამოხტა.
– გოგოებო, ვთხოვოთ რა გელას, ახალი ლექსი წაგვიკითხოს.
– მიდი რა, გელა!
– ახალია, ჯერ, არ დამიმუშავებია! – თქვა გელამ.
გელა ლამაზი ბიჭი იყო, მოკლედ თმაშეკრეჭილი და ბოხხმიანი.
– ძველი წაიკითხე, – სთხოვა შავთვალა, ხალიანმა გოგონამ, – აი, ის, ირინასთან რომ თქვი.
გელა ადგა.
– იცით, ეს ვინ არის? – მკითხა ჩემმა მეზობელმა.
– თქვენ რა გქვიათ? – ვკითხე მე.
– იზიდა!
– არა, ჩემო იზიდა, პირველად ვხედავ.
– გელა ვეშაპიძე არ გაგიგონიათ? – ძალიან გაუკვირდა იზიდას.
– პირველად მესმის! – გადავუწურე წყალი.
– ჩვენი იმედია!
– ვისი თქვენი?
– საქართველოსი...
გელამ არ გვაცალა, დაიწყო:
წარმართულ ნისლში
გახვეული მძიმე ლოდებით
მოდის აწმყოს და მომავლის
თეთრი ზმანება...
კონიაკი სულ გადაირია. ოთახი ნელ-ნელა დაიძრა. ჯერ ჭაღი დატრიალდა, მერე ჭაღის სხივები ოქროსფერი ღვედებივით დაეშვნენ ოთახის მეორე კუთხეში დადგმულ წითელ როიალზე ჩამწკრივებულ სპილოებთან და წელზე შემოერტყნენ, მერე ჭაღთან ერთად სპილოები დაიძრნენ, ისე, როგორც მუშტაიდის ბაღის კარუსელი, დაიძრნენ ნელა, მერე მოუჩქარეს, მოუჩქარეს, მერე ყველა ჩვენგანი სპილოებზე ამხედრდა და, ჰაიდა, წავიდა კარუსელი. სულ პირველ სპილოზე დადუნა იჯდა, მერე – მე, მერე – ჩემი მეზობელი, მერე ერთი სპილო ცარიელი იყო. მხედარი არ ჰყავდა, ეს, ალბათ არჩილის სპილოა, მერე მზია, მერე ხალიანი გოგონა, მერე გელა, გელა ლექსს კითხულობდა, მერე კიდევ ერთი ბიჭი, ხმას რომ არ იღებდა და სულ ბოლოს, სულ პატარა სპილოზე, მკლავებდაბერილი ყმაწვილი იჯდა სასაცილოდ გაფშეკილი ფეხებით. კარუსელი ახლა უკვე მიჰქროდა თავბრუდამხვევად და თავდავიწყებით. გელა ცირკის ჯამბაზივით იდგა სპილოზე და ლექსს კითხულობდა.
ყანჩას უპყრია ცალი ფეხით
მსოფლიოს სფერო...
კარუსელი კი მიჰქრის და მიჰქრის...
ბავშვები გვანან
ყაყაჩოებს ველად გაფანტულთ,

და მესმის კვნესა
წაქცეული ბაობაბების...
კარუსელი ისევ მიჰქრის და მიჰქრის...
თეთრი სხეულით
ზეციური მიმაქვს სიმღერა,
მახლავს ვარსკვლავთა
ვნებიანი თვალთა ბრიალი.
„ბრიალი და ბზრიალი, კარგი რითმაა, რატომ არ რითმავს ეს ბითური?“ – ვფიქრობ მე და გაგრძელებას ველოდები, მაგრამ გაგრძელება არ არის.
საქართველოს იმედი დადუმდა.
კარუსელი უცებ გაჩერდა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.
ოთახს თვალი მოვავლე.
ყველანი გასუსულები და თვალდახუჭულები ისხდნენ. მარტო გელა და მკლავებდაბერილი ისხდნენ თვალახელილი და დაჟინებით მიცქეროდნენ.
მე თვალი ავარიდე მათ და იზიდას შევხედე.
– ღმერთო, რამხელაა! – თქვა მან და თვალები გაახილა.
დადუნამ ირიბად გამომხედა. მსმენელები თანდათან გონს მოეგნენ და ახმაურდნენ.
– ის ბიჭი ვინ არის, ხმას რომ არ იღებს? – ვკითხე ჩურჩულით დადუნას.
– კუკური? კუკური მომღერალია, მერე ვამღერებთ! – ჩურჩულით მიპასუხა დადუნამ.
– ის გოგონა?
– ის, ისე, ხელოვნების მოყვარული, კარგი გოგოა, ვიტა ჰქვია.
გელა როგორ მოგეწონა?
– აფერისტია! – ვთქვი მე. ეტყობა, ცოტა ხმამაღლა მომივიდა.
– რა ბრძანეთ? – მკითხა მკლავებდაბერილმა.
– რა ჰქვია მაგას? – ვკითხე ჩუმად დადუნას, ისე, თითქოს კითხვა არ გამეგონოს – ანზორი! – მითხრა გაფითრებულმა დადუნამ და მუდარით შემხედა.
– თქვებ გეკითხებით, თქვენ?! – არ მომეშვა ანზორი.
– რა გნებავთ? – დავისაწყლე თავი. უკვე პატარა აღარ მეჩვენებოდა.
იჯდა სავარძელში ტახივით და წვრილ თვალებს გახურებული შამფურებივით მიყრიდა თვალებში. თვალი ავარიდე.
– რა ბრძანეთ-მეთქი წეღან! ხომ არ მომეყურა? – გაიმეორა კითხვა და ფეხზე ადგა.
რამსისქეა ეს უპატრონო, რა სავარძელი უძლებს.
– ალბათ, მოგეყურათ.
მუტრუკი კმაყოფილი ღიმილით დაჯდა.
– თქვენ ხომ არ ვარჯიშობთ, ბატონო ანზორ? – ვკითხე უცებ.
ანზორი დაიბნა.
– მერე რა? – მკითხა ჯიუტად.
– ამ თქვენს ამხანაგს, ლექსებს რომ კითხულობს, ყოველთვის თან დაყავხართ? – ვკითხე ისევ.
დადუნას გაეღიმა.
– რაშია საქმე? – ვერ მიხვდა უცებ ანზორი.
– არ მოგეწონათ ლექსი? – მკითხა იზიდამ.
მე ხმა არ გავეცი, გელას გავხედე. იგი უკიდურესობამდე მოზიდული მშვილდივით იჯდა.
– თქვენ, ალბათ, თანამედროვე მწერლებს არ კითხულობთ, ახლა ურითმო, თავისუფალი ლექსებია მოდაში! – პირველად მომმართა ხალიანმა გოგონამ.

– ცოტას ვკითხულობ! – ვუპასუხე მე.
– ბევრი უნდა იკითხოთ, ფოლკნერი თუ წაგიკითხავთ? – მკითხა მან.
– ფოლკნერიც წამიკითხავს, აპდაიკიც, ჰემინგუეიც, კაფკაც, მორიაკიც, სტეინბეკიც, ახლა სარტრს ვკითხულობ.
– სარტრი ჯერ არ უთარგმნიათ!
– ფრანგულად ვკითხულობ!
– აბა, თქვენ ვინ მოგწონთ?
– ვინც ჩამოგითვალეთ, ყველა!
– მაინც?
– გალაკტიონი მომწონს.
– გალაკტიონსაც აქვს ბუნდოვანი ლექსები. უაზრო სტრიქონები.
– მაგალითად?
– თუნდაც, „უცებ მოჰყვება ჭარხალი ხარხარს“. რა არის ეს?
– რას ბრძანებთ. მზესავით ნათელია. ჯერ ერთი, გენიალური ალიტერაციაა, მერე მეორე, შესანიშნავი სახეა, ჭარხალი წითელია და, მოგეხსენებათ, ახარხარებულ და სიცილისაგან გაწითლებულ კაცზე იტყვიან – რა ჭარხალივით გაწითლდაო და თავისთავად ჭარხალი, თუ ფესვებიანად ამოთხრით, ძალიან ჰგავს დიდთავა ახარხარებულ კაცს.
– თქვენ ასე ფიქრობთ?
– ვფიქრობ კი არა, ასეა.
– და მაინც ლექსი სოფლის მეურნეობა არ უნდა იყოს.
– არც საცირკო ატრაქციონი უნდა იყოს. ყანჩას უპყრია ცალი ფეხით მსოფლიოს სფერო. წარმოიდგინეთ?!
იზიდამ მხრები აიჩეჩა და უხერხულად გაიღიმა.
– თქვენ ლექსებსაც ხომ არ წერთ? – მკითხა უცებ.
– რა თქმა უნდა!
– ხომ არ წაგვიკითხავთ?
– სიამოვნებით!
დადუნა განცვიფრებული მიყურებდა. დანარჩენები – აუწერელი ცნობისმოყვარეობით. მე ავდექი და მაგიდასთან მივედი. ჩაის ჭიქა პირამდე ავავსე კონიაკით.
– არ გინდა, ავთო! – მთხოვა დადუნამ.
პირთან მიტანილი ჭიქა უკან ჩამოვიღე.
– წაიკითხეთ ლექსი! – მთხოვა იზიდამ.
– ეს ლექსი ბავშვობაში დავწერე, რვა წლის რომ ვიყავი, ქობულეთში ვყავდი დედას და მამას. პაპანაქება იყო. მახსოვს, პლაჟი თახთახებდა.
დედას გამოვუტყდი, წუხელ ლექსი დავწერე-მეთქი. დედას გაუხარდა, ლოყაზე მაკოცა და მთხოვა – წაგვიკითხე მე და მამიკოსო. ჰოდა, წავუკითხე.
პარიზშია ბულვარზე ჩავიარე
და სიხარბით ამიელდა თვალები,
როცა ვნახე, რომ პროსპექტი ყვაოდა
და მის ახლოს იდგა დიდი სახლები.
აქვე არის გიგანტური ქარხანა.
სადაც იღწვის მშრომელ მუშათა ძალა
აქ აღიძვრნენ კომუნიზმის ძალები,
რომ გაწყვიტონ ფაშისტების ჯაჭვები.

გაწყვიტონ და შექმნან მზისა ქვეყანა
და დაიწყონ შრომა თავისუფალი
და მით მისცენ გასაქანი მშრომელებს,
რომ დაიწყონ ბრძოლა გენიალური!
ბიჭები ბღაოდნენ, გოგოები კიოდნენ, ვიცინოდი მეც. დადუნა ტიროდა.
– მერე რა გითხრათ დედამ? – მკითხა იზიდამ და ცრემლები მკლავით მოიწმინდა.
– დედამ არაფერი. მამამ კი ხელი მომკიდა, ფიჭვის ძირას მიმიყვანა, ჩრდილში დამსვა და დედას უთხრა: – ამას მიხედე, ქალო, მზეში არ გავიდეს, თორემ დავიღუპებითო.
ისევ ატყდა ხარხარი.
– ეს არის ლექსი? – იკითხა უცებ მკლავებდაბერილმა.
ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მე კონიაკი მოვიყუდე და შუამდე ჩავიყვანე ჩაის ჭიქა. კონიაკმა ისევ დაიწყო მუშაობა.
– ჩემო ანზორ, ლექსის გაგებას განტელების ქაჩვა არ უშველის, წიგნის კითხვა უნდა, გასაგებია?
– შენ რომელი რაიონიდან ჩამოდი? – მკითხა და გვერდში ამომიდგა, ისე რომ მისი ცხელი სუნთქვა სახეს მწვავდა.
– ჩოხატაურის რაიონიდან!
– ჰოდა, ახლა ის დროა, უკან მიდიოდე.
– აგვისტომდე მაცალე, მისაღებ გამოცდებზე გავდივარ, როგორც კი ჩავიჭრები, იმ დღესვე წავალ, თუ არა და, კიდევ ექვსი წელი მოგიწევს ჩემი მოთმენა. – კონიაკი ძალაში შევიდა, ეს მუტრუკი ისევ დაპატარავდა და ისევ დიდთავა თოჯინას დაემსგავსა. ისევ ამივარდა სიცილი. მუტრუკი გაფითრდა.
– რაც შეეხება ლექსებს, შენი ძმაკაცის ლექსი სუსტია, სუსტი კი არა, კონიუნქტურაა, – განვაგრძე მე.
– რაა? – მკითხა მუტრუკმა.
– კონიუნქტურა, თუ ეგ სიტყვა არ გესმის, უცხო სიტყვათა ლექსიკონში ნახე, ასო კ-ზე და კო-ნიუნქ-ტუ-რა, – დავუმარცვლე. – რაც შემეხება მე, მე პოეტი არ ვარ, მე აბიტურიენტი ვარ!
– ა, რა შუაშია?! – გაიკრიჭა მუტრუკი და ოთახს მოავლო თვალი, როგორ ვიხუმრეო. ოთახში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.
ხელისგულები გამიცივდა და დამისველდა. უცებ ერთი უცხოური ფილმი გამახსენდა. იქ ერთი გმირი ღვინით სავსე ჭიქაში აფურთხებს და ისე ასხამს სახეში ვიღაც გაიძვერას.
– რა ბრძანეთ? – ვკითხე ახლა მე. ანზორს საქციელი წაუხდა, მაგრამ უკან არ დაუხევია. გაიმეორა: – ა, რა შუაშია, უბრალოდ ბითური ხართ-მეთქი! – და ანზორმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ბეჭზე მომიჭირა ხელი ისე მაგრად, რომ ძვლებმა დაიკვნესეს, დაიკვნესეს და ზუსტად ისე მოვიქეცი, როგორც იმ უცხოურ ფილმშია. მერე მოხდა რაღაც საოცრება. ერთ წამში ოთახი განათდა, დაბნელდა და თვალებს შორის საშინელი დარტყმა ვიგრძენი. ტკივილი არ მიგრძვნია, მხოლოდ ის მახსოვს, ისევ დატრიალდა კარუსელი და ჩემს გარდა ყველანი სპილოებზე ისხდნენ. მარტო მე ვეგდე გულაღმა იატაკზე და მიკვირდა, რატომ ინთებოდა და ქრებოდა ასე სწრაფად ჭაღი და რატომ აბჩენდა პირს მადამ ინესა.
ორი დღე მადებდა ცივ საფენებს შურა დეიდა გასივებულ ცხვირზე და ყოველ დადებაზე ხომერიკების ოჯახის შემადგენლობასა და საგვარეულოს ცივ მიწაში დებდა. ორი დღის განმავლობაში ოცჯერ მაინც მიუვარდა ხომერიკებს, მაგრამ

ხომერიკები საგულდაგულოდ იყვნენ ჩაკეტილები და მათი ბინიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა.
– გამიღეთ კარი, თუ არ გინდათ მთავრობას გადავცე ეს გარყვნილებისა და სპეკულაციის ბუდე. კარი გამიღეთ, სანამ მილიციის ძალით ჩამომიღია!!! – კიოდა შურა დეიდა, და თუ რაიმე აკავებდა, ისევ ის, რომ იცოდა, ყველაფერი ჩემი ბრალი იყო.
ვანიჩკა ბიძია მაინცდამაინც აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა აურზაურში, ოღონდ რამდენჯერაც ჩაივლიდა ჩემს საწოლთან და დამხედავდა გარუმბებულ ცხვირ-პირზე, გაკვირვებული ამბობდა: – ვა, დავიჯერო ეს ერთი კაცის ნამუშევარია?!
– ერთის, ვანიჩკა ბიძია, – ვუდასტურებდი მე.
– არა, მართლა ღვინო შეასხი?
– კი!
– ჭიქაში ჩააფურთხე და ისე?
– ჰო!
– რას ერჩი, კიდევ კარგად მოუთმენია! – უკვირდა ვანიჩკა ბიძიას.
– რაღა მოუთმენია, შე უნამუსო, ღერღილის ღომივით აქვს ბავშვს აზელილი ცხვირ-პირი! – უტრიალებდა თითს ცხვირწინ შურა დეიდა.
მესამე დღეს სახე დამიცხრა და შურა დეიდაც დაცხრა. ახლა მარტო თვალებიღა მქონდა ჩამუქებული მსუბუქი ყოფაქცევის ქალივით.
საღამოს მეზობლის ბიჭი ამოვიდა ჩვენთან და შურა დეიდას უჩუმრად წერილი გადმომცა.
„ავთო! ხვალ თუ შეგიძლია, უეჭველად მნახე ლექციების შემდეგ, სამ საათამდე გელოდები ინსტიტუტთან. დადუნა“.
წერილი ძველი რევოლუციონერივით შევჭამე და მეორე დღეს ორ საათზე ინსტიტუტის წინ ვიყავი ატუზული. სამს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, დადუნა ინსტიტუტიდან გამოვიდა. ძალიან სადად ეცვა. პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა.
არ მეგონა, თუ მოხვიდოდი! – თქვა მან და დამნაშავესავით დადგა ჩემს წინ.
– გამარჯობა, დადუ!
– გამარჯობა, ჯაყო!
– რა იყო, დადუ?
– ხომ არ მემდური, ჯაყო?
– რისთვის?
– აბა, რა ვიცი!
– ყველაფერი ჩემი ბრალი იყო!
– არა, ჯაყო!
– აბა, ვისი?
– არ ვიცი, ალბათ, ყველასი. წავიდეთ სადმე.
– სად, დადუ?
– სალაპარაკო მაქვს შენთან, სადაც გინდა, წავიდეთ.
– წავიდეთ!
ტაქსი დავიჭირე, ორთავე უკან დავსხედით, მე – მარცხნივ, შოფრის უკან, დადუნა – მარჯვნივ.
– საით წავიდე? – იკითხა მძღოლმა და მრიცხველი ჩართო.
– საითაც გინდა! – ვუთხარი მე. მძღოლმა გაკვირვებით მომხედა.
– საითაც გინდა! – გავუმეორე მე.

მძღოლმა ისევ მომხედა და დაჟინებით დამიწყო ცქერა, – „ან მთვრალი ვგონივარ, ან თვალებს ვიღებავ ჰგონია“, – გავიფიქრე მე და მძღოლის ეჭვები რომ გამეფანტა, დადუნას მივუბრუნდი და თვალი ჩავუკარი.
– ძვირად დამიჯდა მესამე რაუნდი, მოვიგე, მაგრამ იმანაც ბევრი მირტყა!
მძღოლმა ისევ მომხედა.
„კარგია, თუ დამიჯერა და მოკრივე ვგონივარ, ბევრს არ გადამახდევინებს“, – ისევ გავიფიქრე მე.
– რადგან ეგრეა, ჰავლაბარში წავიდეთ! – თქვა მძღოლმა და მანქანა დაქოქა.
– ჰავლაბარში რატომ? – ვკითხე მე.
– შეყვარებულებს უყვართ ჰავლაბარში ტაქსით სეირნობა! – თქვა მძღოლმა და გაიღიმა.
– რატომ? – დაინტერესდა ახლა დადუნა.
– იმიტომ, რომ იქ ბევრი ვიწრო ქუჩები და მოსახვევებია, რომ ვუხვევ, ერთმანეთს ეხუტებიან, ვითომ თავს ვერ ვიკავებთ და დავეჯახეთო რა?!
დადუნას გაეცინა და მე შემხედა.
– რადგან ეგრეა, მცხეთის გზაზე გადი! – ვუთხარი მე.
მძღოლმა ვაკე-საბურთალოს გზაზე შეუხვია და უსიტყვოდ დაადგა მცხეთის გზას. მთელი გზა ხმა არ ამოგვიღია არც მე, არც მძღოლს, არც დადუნას.
მხოლოდ ერთხელ თქვა მძღოლმა თავისთვის: – სვეტიცხოველი რემონტშია, ორშაბათს ჯვარზე არავინ დადის, ნატახტარს ახლა რესტორანი არ ჯობია, ქსოვრელები უკრავენ.
– სიზმრად ვნახე სააიათნოვა�ა...
მითხრა გეყოოო ტანჯვაა გლოვაااا!..
წაიღიღინა მან.
– ჯვარზე აგვიყვანე! – ვთქვი მე. მძღოლმა ისევ მომხედა. „ძალიან ნაცნობი სახე აქვს“, – გავიფიქრე მე და დადუნას შევხედე. დადუნა ფიქრებში წასული იჯდა და მარცხენა ხელი სულ ახლოს ედო, ჩემს ხელთან. მზერა ხელზე გადავიტანე. მერე ხელი ოდნავ მივაჩოჩე დადუნას ხელთან, შეხება ვერ გავბედე. მძღოლის სარკეში ჩავიხედე, მისი ანთებული შავი თვალები დაჟინებით მომშტერებოდნენ. „უზრდელია, – ვიფიქრე, – რას მიყურებს“. ჯვრის გადასახვევთან მოულოდნელად მოუხვია. მე მარცხნივ გადავვარდი, დადუნა ჩემსკენ გადმოქანდა და მისი ცხელი მკლავი მკლავზე შემეხო. ჟრუანტელმა დამიარა.
ძალაუნებურად დადუნას ხელი მოვხვიე, დადუნამ ამომხედა და მისი დიდრონი, საოცრად ლამაზი, ელამი თვალები ისე ახლოს აღმოჩნდნენ ჩემთან, რომ თავი ვერ შევიკავე და გახურებული ტუჩებით ქუთუთოებზე შევეხე.
დადუნამ თვალები დახუჭა. ახლა მეორე თვალის ქუთუთოებზე ვაკოცე. მან ხელი მკერდზე დამადო და ძალიან ფრთხილად მომიცილა.
ადგილზე გავსწორდი და ხელი დადუნას თბილ ხელს დავადე. დადუნას ხელი არ წაურთმევია.
– კიდევ რვა მოსახვევი გვაქვს ეგეთი! – თქვა მძღოლმა.
ისევ გავხედე სარკეს. მძღოლი თვალს არ მაცილებდა.
– თუ ძმა ხარ, წინ იყურე, არ გადაგვაგდო! – გავაფრთხილე მე.
მძღოლს არაფერი უთქვამს, თვალი ამარიდა. პიონერთა ბანაკის ცოტა ზევით, იქ, სადაც სათიბებია, უცებ საჭე მარჯვნივ გაექცა.

– ისევ დაუშვა! – თქვა მძღოლმა. მანქანა გააჩერა და ფანჯრიდან გადააფურთხა. – დღეს მეორეჯერ უშვებს! – დააყოლა მან. მანქანიდან ჩამოვიდა, წინა საბურავს ორჯერ მიარტყა წიხლი და ისევ გადააფურთხა.
მერე საბარგულთან მივიდა და საჭირო ხელსაწყოები გადმოიღო.
– ბოდიში, მაგრამ უნდა ჩამოხვიდეთ, პაკრიშკა უნდა გამოვცვალო.
გადმოვედით. დადუნა ველზე გავიდა და ყაყაჩოებს დაუწყო კრეფა.
მე მძღოლთან დავრჩი. მძღოლმა საბარგულიდან სათადარიგო საბურავი გადმოაგორა და დამნაშავე თვალებით შემომხედა.
– დასაბერია! – თქვა მან.
– მიდი, შენ ძველი მოხსენი, მე მანამდე დავბერავ! – ვუთხარი მე და საბურავის დაბერვას შევუდექი. ასჯერ ჩავბერე და საბურავს ფეხი დავაჭირე. შუამდეც არ იყო დაბერილი. ზედ საბურავზე დავჯექი.
ცოტა სული რომ მოვითქვი, ისევ დავუწყე საბურავს ჩაბერვა.
– ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... – დავიწყე ხმამაღლა თვლა.
– ოთხი, ხუთი! – გავიგონე უცებ და თავი ავწიე. ჩემს წინ 14-15 წლის ბიჭი იდგა. მაღალი, ლამაზი, გაუკრეჭელი, ფეხშიშველი, მუხლებზე დაკერებული შარვლით, უსაყელო წითელი პერანგი ეცვა თეთრწინწკლებიანი, იდაყვებზე გამოხეული. იღიმებოდა, პირი ოდნავ ღია ჰქონდა და ქვედა ტუჩი ცოტათი ჩამოვარდნილი.
– გამარჯობა შენი! – ვუთხარი მე.
– გაგიმარჯოს! – მითხრა მან და ხელი გამომიწოდა. ჩამოვართვი.
– რა გქვია? – ვკითხე.
– მერაბია!
– მომეხმარე, ცოტა ჩაუბერე! – ვთხოვე მე.
– კი! – მითხრა მან სიხარულით და დასაბერი დგუში გამომართვა.
– ერთი, ორი, სამი... – დაიწყო მან თვლა, ხუთამდე რომ მივიდა, ისევ თავიდან დაიწყო თვლა, მერე ისევ, ისევ და ასე, ხუთამდე რომ მივიდოდა, ისევ თავიდან იწყებდა თვლას.
– ექვსი! – შევაშველე მე.
– ხუთი! – მითხრა მან და გამიღიმა.
– სად ცხოვრობ-მეთქი? – ვკითხე.
– მეე? – მკითხა მან და წელში გასწორდა.
– ჰო, შენ!
– იქ! – თქვა მან და წიწამურისაკენ გაიშვირა ხელი.
– დედა გყავს?
– კი!
– მამა?
– მამა? – გამიმეორა კითხვა.
– ჰო, მამა!
– მამა ორი მყავს! – თქვა მან და ისევ გამიღიმა.
– როგორ ორი?
– ერთი და კიდევ, ერთი, ორი! – დათვალა მერაბიამ.
– ვერ გავიგე.
– როსტომი და თედო, დიდი მამა და პატარა მამა! – მითხრა მერაბიამ.
– ბაბუა და მამა? – ვკითხე მე.
– ჰო!
– სწავლობ, მერაბია?

– კი!
– რომელ კლასში ხარ?
– მესამე!
– რამდენი წლისა ხარ?
– ერთის! – თქვა მერაბიამ და ისევ გამიღიმა.
რომ გამიღიმა, ელვა დავინახე მის თვალებში.
– ერთის, მერაბია? – ვკითხე და ყელში ბურთი მომებჯინა.
– ერთის! – დამიქნია თავი კმაყოფილმა.
უცებ თვალები გაექცა, ხელი გაუშვა დგუშს.
– დათო, დათო! – მითხრა და გაიქცა. გავიხედე, ბილიკზე პატარა ბიჭი ჩამოდიოდა, მხარზე ერთი შეკვრა ფიჩხი გაედო, მერაბია მივარდა, ფიჩხი ჩამოართვა და ძუნძულით გამოიქცა უკან, პატარა ბიჭი უკან გაბრუნდა. ქლოშინით მოძუნძულდა მერაბია, ფიჩხი გზის პირას დააწყო და ისევ ეცა დგუშს.
– ეყოფა! – თქვა მძღოლმა, რომელსაც დაშვებული საბურავის მოხსნა დაემთავრებია და ახლა ჩვენს გაბერილ სათადარიგო საბურავს სინჯავდა. მერაბიამ დგუში მიწაზე დააგდო და გვერდზე გადგა.
– მერაბია, ვინ იყო ის ბიჭი? – ვკითხე მე.
– დათო, ნათელას ძმა! – მითხრა მან და ქვეყნის სითბო და სიყვარული ჩაუდგა თვალებში.
– ნათელა ვინ არის?
– დათოს და, ნათელა! – გამიმეორა მან.
– გიყვარს ნათელა? – ვკითხე მე.
მერაბიამ არ მიპასუხა. თავი დახარა და შიშველი ფეხით მიწას დაუწყო წვალება. ცოტა უხერხულობა ვიგრძენი, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მკლავდა.
– სად არის ნათელა? – ვკითხე.
– არ არის ნათელა! – მითხრა მერაბიამ და ისევ დავუნახე თვალებში ელვა.
– როგორ არ არის?
– წავიდა ნათელა!
– სად წავიდა?
– მე ვიცი, სად წავიდა, არავინ არ იცის, მე ვიცი! – დაირტყა მჯიღი მკერდზე მერაბიამ.
– როგორ წავიდა?! – არ მოვეშვი მე.
– დაიმალა და არ გამოვიდა. მე დავიხუჭე, ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... ბევრი დავითვალე და ნათელა არ გამოვიდა.
– კუკუდამალობანას თამაშობდით?
– ჰო!
– მერე სად წავიდა ნათელა?
– ხუთი დავითვალე... ყველა გამოვიდა, ნათელა არ გამოვიდა, მე ვიცი, სად წავიდა ნათელა, მე ვნახულობ ნათელას. არავინ არ იცის, სად წავიდა ნათელა... მე ვიცი!.. – თქვა მერაბიამ, ტანზე ბუსუსებმა დამაყარა. ფერდობზე პატარა ბიჭი ჩამოდიოდა ფიჩხის ახალი შეკვრით.
მერაბია ისევ გაიქცა. პატარა ბიჭი და მერაბია ერთად მოვიდნენ მანქანასთან. მერაბიამ ფიჩხი გზის პირას დაყარა და ზედ ჩამოჯდა.
– წადი, მერაბია, ვირი მოიყვანე! – უთხრა პატარა ბიჭმა. მერაბია შურდულივით მოწყდა ადგილს.
– გამარჯობა, ბიჭი! – მივესალმე მე.
– გაგიმარჯოთ! – მიპასუხა მან.

– ვინ არის ეგ? – ვკითხე და მერაბიას გავხედე.
– მერაბია!
– რა მოუვიდა?
– ტვინის ანთება ჭირდა.
– რამდენი წლისაა?
– ცამეტის და ერთის ვარო იძახის!
– შენ?
– მე თორმეტის.
– ნათელა ვინ არის? – ვკითხე. ბიჭმა ჯერ მერაბიას გახედა, მერე მე მიყურა დიდხანს.
– ნათელა დაა ჩემი.
– სად არის შენი და? – ვკითხე მე ფრთხილად.
– მოკვდა ნათელა, სამი წლის წინ მოკვდა.
სუნთქვა შემეკრა და, ტირილი რომ არ დამეწყო, ბიჭს ზურგი შევაქციე და მანქანაში ჩავჯექი. მძღოლმა საყვირი მისცა, დადუნას ეძახდა. დადუნა დაბრუნდა გვირილებისა და ყაყაჩოების უზარმაზარი თაიგულით, ჩემს გვერდით დაჯდა და თაიგული გადმომცა.
– ნახე, რა ლამაზია! – მითხრა მან.
ყვავილები ჩამოვართვი, მძღოლმა მანქანა დაძრა. სარკმელში გავიხედე. მერაბია ფერდობზე მოათრევდა გაჯიუტებულ ვირს.
– გააჩერე, თუ ძმა ხარ! – ვთხოვე მძღოლს.
მძღოლმა გააჩერა. მე ჩავედი მანქანიდან და მერაბიასკენ გავიქეცი თაიგულით. მერაბიამ დამინახა და გაჩერდა. გულამოვარდნილმა მივირბინე.
– მერაბია! – ვუთხარი, – ეს ყვავილები ნათელას მიუტანე!
– ნათელას? – მკითხა გაკვირვებულმა მერაბიამ.
– ჰო, ნათელას.
– ყვავილები რად უნდა ნათელას? – მკითხა კიდევ უფრო გაკვირვებულმა მერაბიამ და სათიბს გახედა. მხოლოდ ახლა დავინახე, რომ მერაბია მუხლამდე ყაყაჩოებსა და გვირილებში იდგა.
– უნდა, მერაბია, გოგოებს უყვართ ყვავილები. წაიღე, – ვუთხარი მე. ყვავილები მივაჩეჩე და უკან გამოვიქეცი. მანქანაში რომ ჩავჯექი, მძღოლი დადუნას ელაპარაკებოდა.
– ეგ ბიჭი გიჟია, აქ ხშირად დგას ხოლმე და შოფრებს ხელს უქნევს. ვუჩერებთ, სულ იღიმება, ფულს არ იღებს, არაფერი, პროსტო გიჟია.
– წადი! – ვუთხარი მძღოლს. მძღოლმა მანქანა დაძრა.
შემოვტრიალდი და უკანა სარკმლიდან მერაბიას გავხედე.
მერაბიას ვირისთვის ხელი გაეშვა და ისე იდგა მუხლამდე ყაყაჩოებსა და გვირილებში უზარმაზარი თაიგულით ხელში.
მანქანა აღმართს შეუდგა. მძღოლმა სიჩქარე გამოცვალა. ჩემს ხელს დადუნას ხელი შეეხო. გავხედე, იგი არ მიმზერდა, სადღაც ფანჯარაში იყურებოდა და რამდენჯერაც ხელს მომიჭერდა, ვხვდებოდი, იმდენ რაღაც ლამაზს, დიდებულსა და მშვენიერს ხედავდა. მკლავი გადავწიე და დადუნას მხარზე მოვხვიე, მერე ჩემსკენ მოვზიდე და სახე მის გაშლილ თმაში ჩავფალი. საოცარი სურნელი მეცა, თმის, ქალის, სუნამოსი, თივის, ყაყაჩოსი, გვირილისა და კიდევ რაღაცის... ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მოვძებნე დადუნას თმებში მისი ლამაზი, პატარა ყურის ნიჟარა და არ მიკოცნია, უბრალოდ ტუჩებით შევეხე. ნიჟარა ისეთი თაკარა იყო, როგორც ზღვის მიერ გამორიყული და მზისგან უსაშველოდ გამთბარი ნამდვილი ნიჟარა. – დადუნა,

დადუ... – ვჩურჩულებდი მე და პასუხად მესმოდა ნიჟარაში ჩამწყვდეული ჩუმი, ძალიან ჩუმი, შორეული და ზღაპრულად საამო ზღვაური. ასე ვიყავით დიდხანს. მერე მე ვიგრძენი, რომ სარკიდან ისევ მიცქერდა ორი უზომოდ ცნობისმოყვარე და შავი თვალი. „უზრდელია“, – ვიფიქრე მე და დადუნას ხელი გავუშვი. მძღოლმა თვალი ამარიდა. მერე, ალბათ, უხერხულობა რომ დაეფარა, სტვენა დაიწყო.
– პაპიროსი ხომ არ გაქვს, ჯიგარო?! – იკითხა უცებ და მომიბრუნდა.
ხმა არ გამიცია, ისე ამოვიღე სიგარეტი და ასანთი და მივაწოდე.
პროფესიონალი მძღოლისათვის დამახასიათებელი არტისტიზმით მოუკიდა და გააბოლა ისე, რომ სიჩქარე არ შეუნელებია.
– ჩესტერფილდ! – თქვა მან და სიგარეტზე წარწერა შეამოწმა. – ჩესტერ-ფილდ! – გაიმეორა, მერე მომიბრუნდა და მკითხა: – ბოდიში, სად შოულობთ?
– ბიძაჩემს ვპარავ! – ვუთხარი მე.
– ეგრე ჯობია, თორემ მეიდანში სამი თუმანი ღირს, – გამამართლა მან.
– კი, ძვირია! – დავუმოწმე მე. მძღოლმა ძალიან გემრიელი ნაფაზი დაარტყა და ახლა დადუნას მიუბრუნდა:
– თქვენს ყვავილებზე გამახსენდა, ქალიშვილო, – თქვა მან. – აი იმ ყვავილებზე, ამან რომ იმ გიჟს აჩუქა. ამ რვა წლის წინ ათი წლის ვიყავი.
– მართლა? – ჰკითხა დადუნამ ისე, სხვათა შორის, ზრდილობისათვის.
– ჰო! – უპასუხა მძღოლმა. – ამ რვა წლის წინ ათი წლის ვიყავი, მე ქურთი ვარ და ერთი ოჯახიდან, დედა რომ ფინთად იყო, ან არა სცალოდა, ნაგავი ჩამქონდა!..
სუნთქვა შემეკრა და სარკეს გავხედე. მძღოლის თვალები სარკეში არ ჩანდა. ყბების მოძრაობაზე შევატყვე, სიგარეტს ღეჭავდა ნერვიულად.
– იქ ერთი ჩემი ტოლა ბიჭი ცხოვრობდა. ლამაზი დედა ჰყავდა, ძალიან ლამაზი იყო, დეიდა მანანა!..
მე სიგარეტი ამოვიღე კოლოფიდან, მოვუკიდე და მერე მივხვდი, რომ უკუღმა მედო პირში.
– ერთ დღეს ჩემი დედა სარა მოკვდა.
– მართლა? – ისევ უშინაარსოდ ჰკითხა დადუნამ.
– ჰო, მოკვდა ჩემი დედა სარა. იმ დეიდა მანანამ მე ფეხები დამბანა, თავისი შვილის ტანსაცმელები მომცა და ყველა ქურთის ქალზე ლამაზად იტირა დედაჩემი, მერე იმისი შვილი მოვიდა და ბევრი, ძალიან ბევრი ვარდები მომიტანა, სარა დედას დასაფლავების დროს; ისე ბევრი, როგორც თქვენ დღეს...
– ვარდები? – ჰკითხა დადუნამ. – პატარა ბიჭმა? ალბათ, დედამ ასწავლა!
– ჰო, დეიდა მანანამ ასწავლა, ის ბიჭი მე ძალიან მიყვარდა, ძალიან კეთილი იყო და ძალიან სუფთად იცვამდა, სულ თეთრი ვარატნიკი ჰქონდა. მერე იმ ბიჭსაც მოუკვდა დედა... დედაც და მამაც!.. მერე მე ის ბიჭი დავკარგე. სულ ვეძებ, მითხრეს, სოფელში წაიყვანესო.
სასაფლაოზე დავდიოდი, ვთქვი, თუ კაცია, დედის საფლავზე მოვამეთქი. დედაჩემი ვაკის სასაფლაოზე მარხია, ჩვენ ქრისტიანები ვართ, აი ჯვარი, – თქვა მძღოლმა, პერანგი გაიხსნა და ხელისგულზე დიდი ოქროს ჯვარი დაიდო.
– ღმერთო, რა დიდებულია! – წამოიძახა დადუნამ და ჯვარს დახედა.
– ამის წინ ვიყავი, მარომ მითხრა იყოვო, მარო საფლავის მომვლელია, წინა ორი კბილი გაყოფილი ჰქონდაო, იმაზე მივხვდი, ნაღდად ეგრე ჰქონდა, თვითონაც გეძებდაო, მე ჯაყოს ვეძახდი, ის ჭყეტელას მეძახდა... – თქვა მძღოლმა და ისევ შემხედა.
– მოიცა, მოიცა, რას ეძახდი? – ჰკითხა გონს მოსულმა დადუნამ.

მძღოლმა არაფერი უპასუხა. და მე კვლავ დავინახე სარკეში ორი, საოცრად შავი, თბილი და ლამაზი თვალი, მერე დადუნას განცვიფრებულ მზერას წავაწყდი, და ისევ გალღვა რაღაც მკერდში, გათბა, დადნა და ადუღდა.
* * *
ავთანდილ ჯაყელო, ეგეც შენი აბო, იპოვე აბო, თუ აბომ გიპოვა?!
მთელი შენი თბილისური ბავშვობის მოგონება აბოსთან იყო დაკავშირებული, მთელი შენი ბავშვობა თანდათან ნისლითა და ბურუსით იფარებოდა და შენ აბოს ეძებდი, რათა ამ ნისლიდან და ბურუსიდან გამოსულიყავი როგორმე. აჰა, ესეც შენი აბო! ჰკითხე, როგორი იყო დედაშენი, გაიხსენოს აბომ შენი დედა, ალბათ, აბოსაც ახსოვს მისი თბილი ხელი, ჰკითხე აბოს. აბო, რაც ახსოვს, ყველაფერს მოგიყვება, აბოც იმიტომ ხომ არ გეძებდა, რომ გაეხსენებინა შენი დედის ხელის სითბო, მოეყოლა, როგორი ლამაზი და კეთილი დედა გყავდა. თუ აბოს ბავშვობის მეგობარი, სიზმარივით და ზღაპარივით წასული მეგობარი უნდოდა ეპოვა?! იქნებ აბოს არც უნდა თავისი ბავშვობის გახსენება?!
როგორ იდგა ფეხშიშველი სადარბაზოში ნაგვის მოლოდინში, ან როგორ ხვეტდა მისი ლამაზი სარა დედა სხვის ჭუჭყიან სადარბაზოებს. იქნებ არ უნდა აბოს ყველაფრის ამის გახსენება?! მაშ, რაღად გეძებდა აბო, ავთანდილ ჯაყელო?!
* * *
– გამარჯობა, ჯაყო! – თქვა აბომ და მანქანა ჯვრის ძირში გააჩერა, მერე მანქანიდან გადმოვიდა და გვერდზე გადგა, მეც გადმოვედი მანქანიდან და აბოს პირდაპირ დავდექი.
დიდხანს ვიდექით ერთმანეთის პირდაპირ. აბო ძალიან უხერხულად იღიმებოდა, მე არ ვიცი, რას ვაკეთებდი, ვცდილობდი კი გამეღიმა. მერე აბომ ხელი გამომიწოდა, მეც გავუწოდე და ასე ხელგაწვდილები წავედით ერთმანეთისაკენ. რომ მივუახლოვდით, ხელი არ ჩამოგვირთმევია. აბომ ხელები მხრებზე მომხვია. გულში ჩამიკრა და მე დიდხანს ვგრძნობდი ბეჭებზე მისი ვეებერთელა ტორების ბრახუნსა და ჩურჩულს:
– სად ხარ, ჯაყო, როგორ ხარ?! ჯაყო, ჯაყო, ჯაყო, ჯაყო, როგორ ხარ, ჯაყო, ჩემო ჯაყო...
* * *
ერთი საათი გავიდა, ავთანდილ ჯაყელო, და მთელი შენი თვრამეტი წელიწადი ამ ერთ საათში ჩაეტია. ერთ საათში ჩაეტია აბოს თვრამეტი წელიც. ოცდათექვსმეტი წელი ჩაეტია ერთ საათში. შენი და აბოსი...
და, ალბათ, კიდევ მილიარდ წელიწადს ეძინა ამ ერთ საათში. ამ ერთი საათის განმავლობაში აბო სულ თავის დედა სარაზე გეკითხებოდა და შენ მიხვდი, რატომ გეძებდა აბო. მთელი ერთი საათი შენ დედაშენზე ეკითხებოდი აბოს და აბო მიხვდა, რატომ ეძებდი შენ მას. მერე კი ორივე მიხვდით, თუ რატომ ეძებდით ერთმანეთს. და თქვენ ხელმეორედ დაბადებასავით გაგიხარდათ ერთმანეთის ნახვა. მერე თქვენ დიდხანს არ გინდოდათ დაცილება, მაგრამ აბოს სამსახური ელოდებოდა, შენ კი – გაკვირვებული, გულაჩუყებული და თვალებში ცრემლჩამდგარი დადუნა. მერე შენ ჯიბისკენ წაიღე ხელი და, აბოს თვალებს რომ შეხედე, ფულის ნაცვლად ცხვირსახოცი ამოიღე და აბოს გაუხარდა, როდესაც შენს ხელში ფულის ნაცვლად ცხვირსახოცი დაინახა. მერე თქვენს შორის უხერხული დუმილი ჩამოვარდა. აღარ იცოდით, რაზე გელაპარაკათ, რადგან ერთ საათში მთელი თქვენი თვრამეტ-თვრამეტი წელიწადი ჩამოღერღეთ. ოცდათექვსმეტი წელიწადი კი ძალიან ცოტაა ერთი საათისათვის, იმდენად ცოტა, რომ ის თვრამეტ-თვრამეტი წელიწადიც ორ-ორჯერ ჩამოღერღეთ ერთ საათში. მერე უხერხული დუმილი ისევ აბომ დაარღვია:

– ამოვალ ორ საათში და უკან წაგიყვანთ!
– არა, აბო, ჩვენ აქედან მცხეთაში ჩავალთ და მატარებლით ან ავტობუსით დავბრუნდებით! – თქვი შენ.
– მცხეთაში მოვალ! – თქვა აბომ. – თქვენ რომელ საათზე იქნებით მცხეთაში?
– არა, აბო, ჩვენ ჩვენით დავბრუნდებით! – თქვი შენ.
მაშინ აბომ თავისი მისამართი მოგცა და მისვლა გთხოვა. შენ შენი მისამართი მიეცი და შენც სთხოვე მოსულიყო.
– მაინც ამოვალ, ჯაყო!
– არა, აბო, მადლობელი ვარ. ჩვენ ასე გვირჩევნია.
– კარგი გოგოა!
– დადუნა, გაიცანი, ჩემი ბავშვობის მეგობარია, აბო!
– აბო!
– დადუნა!.. დედას გეფიცებით, ამდენი ჩემს სიცოცხლეში არ მიტირია.
– ნახვამდის, ჯაყო!
– ნახვამდის, აბო!
– ნახვამდის, ქალბატონო!
– ნახვამდის!
აბომ მანქანა დაქოქა და გიჟივით გააქროლა, მერე უცებ გორაკზე შეაყენა საბურავების ღრჭიალით, მანქანიდან გადმოხტა და ორთავე ხელები ცაში აიშვირა მლოცველივით. შენ და დადუნამაც აიშვირეთ ორთავე ხელები და აბო წავიდა.
– ნახვამდის, აბო!
ესეც შენი აბო, ავთანდილ ჯაყელო!
მე და დადუნა ჯვარზე მერცხლის ბუდესავით მიშენებულ რკინის მოაჯირიან აივანზე ვდგავართ და გადავცქერით პატარა, წითელკრამიტიანი სახლებით, ტაძრებით, მონასტრებით, ჯვრებით, ზარებით, სამარხებით, ნანგრევებით დახატულ მცხეთას. მოდის უამრავი ხალხი, ჯერ ზევიდან, ჯვრიდან დასცქერიან მცხეთას და სვეტიცხოველს, უჩუმრად ტეხენ დახავსებული კედლებიდან პატარა ქვას ან დუღაბს, მალავენ ჩანთებში ან ჯიბეებში, მერე მიდიან, მიაქვთ და მიაქვთ, ეს დალოცვილი, ჩანთებითა და ჯიბეებით, ზიდავენ და ზიდავენ, მიაქვთ და მიაქვთ. მერე ჩადიან მცხეთაში, ამოხედავენ სასწაულს და ოხრავენ.
– ეს რა ვნახეთ, ეს რამხელაა, როგორ დგასო, რა ხელმა ააშენაო, რა ტვინმა ააგოო, რა ზურგმა აზიდაო, რა ურემმა მოზიდაო, რა ხალხმა დახატაო, რა მიწამ შვაო, მიწამ კი არა, ზეცამ შვაო, ზეციდან ჩამოსულიაო, ზეციდან კი არა, კლდიდან ამოსულიაო, კლდიდან ამოსული კი არადა, ამოზრდილიაო, ჰაუ, რა დიდიაო, ჰაუ, რამხელაააო, ჰაუ, როგორ დგასო.
მოდიან, უყურებენ, მიაქვთ, ზიდავენ და ზიდავენ, ეს დალოცვილი კი მაინც დგას, ყველას მიაქვს და მაინც ყველას ჰყოფნის. მარტო მცხეთას კი არა, მარტო საქართველოს კი არა, მთელ დუნიასაც ეყოფა, იმხელაა დალოცვილი.
* * *
– ავთო!
– რა იყო, დადუნა?
– რა იფიქრე, ჩემი წერილი რომ მიიღე?
– გამიხარდა!
– მეტი არაფერი?
– ძალიან გამიხარდა.
– რატომ?

– იმიტომ, რომ მე ვაპირებდი წერილის მოწერას და უცებ შენგან მივიღე!
– შენ რის მოწერას აპირებდი? – მკითხა დადუნამ და ჩემსკენ შემოტრიალდა. ახლა იგი ორივე იდაყვით ეყრდნობოდა რკინის მოაჯირს და ზურგით მცხეთისაკენ იყო. პირდაპირ თვალებში მიყურებდა. მე თვალი ავარიდე.
– არა, მითხარი, რის მოწერას აპირებდი? აბა, შემხედე თვალებში და მითხარი.
– დაახლოებით ასე ვაპირებდი: ჩემო დადუ, თუ ჩემზე გაბრაზებული არ ხარ, შემხვდი...
– მერე?
– მერე არაფერი... შენი ჯაყო! – ასე ვამთავრებდი.
– ჩემი ჯაყო! – გაიმეორა დადუნამ და ჩამუქებულ ქუთუთოებზე ხელი ფრთხილად შემახო. – გტკივა?
– აღარ მტკივა. რა თქვეს გოგოებმა, ძალიან ხომ არ გადავამლაშე?
– ანზორი პირუტყვია! – თქვა დადუნამ.
– იმას რას ვერჩი, პირუტყვი მე ვარ, ძალიან ავიგდე მასხრად.
მაინც რა თქვეს გოგოებმა? – ისევ ვკითხე დადუნას და დავდარაჯდი.
– ჩვენს გოგოებს ძალიან მოეწონე, მთხოვეს, კიდევ შეგვახვედრეო.
– ბიჭებმა რა თქვეს?
– ბიჭებმა თქვეს, ლაწირაკიაო! – არ დამიმალა დადუნამ.
– შენ რა თქვი? – ვკითხე დადუნას და მხარზე მოვხვიე ხელი.
– ჩვენმა გოგოებმა თქვეს, კარგი ბიჭია, ჭკვიანია და ლამაზიაო.
– ლამაზიაო?
– არა, შემეშალა, სიმპათიურიაო, იზიდამ თქვა. იზიდა ყველაზე ლამაზია, არ მოგეწონა? – მკითხა დადუნამ და თვალები ისე შემომანათა, სახეზე ცეცხლი წამეკიდა.
– იზიდა? აღარ მახსოვს, ისეთი დამაკერა იმ ვირიშვილმა, ყველაფერი ამომცვივდა თავიდან, – ვთქვი მე და ანზორის მუშტი რომ გამახსენდა, შუბლი მეტკინა.
– იზიდა ის არის, ხალი რომ ჰქონდა. იმას მოეწონე ძალიან. იმან თქვა სიმპათიურიაო,
– თქვა დადუნამ და სცადა ჩემი ხელი მხრიდან ჩამოეღო. მე არ დავანებე.
– შენ რა თქვი, დადუ? – ვკითხე ისევ და უფრო ახლოს მოვიზიდე.
– მე, მე არაფერი. მე რა უნდა მეთქვა... – დადუნამ თვალები დახარა.
– არა, თქვი, შენ რა თქვი ჩემზე, აბა, შემხედე თვალებში და თქვი!.. – დადუნამ ისევ ამომხედა. მისი სქელი, ლამაზი ტუჩები ისე ახლოს იყო ჩემთან, რომ სუნთქვა შემეკრა, მეორე ხელი ყელზე მოვხვიე, ჩემსკენ გადმოვხარე და ვაკოცე სულმოუთქმელად, ძალიან მაგრად და გაბმულად, ისე გაბმულად, ვიდრე მისი ათრთოლებული ტუჩების სისველე არ ვიგრძენი. დადუნა მომეკრა მკერდზე, ხელები ჩამოუშვა და თრთოლვამ აიტანა. როდესაც ოდნავ მოვეშვი და შევხედე, თვალები დახუჭული ჰქონდა და უშველებელ წამწამებზე სისველე უციმციმებდა. ახლა წამწამებზე ვაკოცე. დადუნას თვალები არ გაუხელია.
– ნუ იზამ, ავთო! – მთხოვა მან.
– რატომ, დადუ?
– ნუ იზამ, შენი ჭირიმე! – გაიმეორა მან და მე თავი დავანებე.
ჯვრის ეზოში საუბარი და ფეხის ხმა მოისმა, დადუნამ თვალები გაახილა და თმები გაისწორა.
აივანზე ათიოდე კაცი შემოვიდა, მათ შორის ერთი სამხედრო იყო, გენერალი, ასე ორმოცდაათიოდე წლის, აბსოლუტურად მელოტი. ეტყობოდა, ყველა დანარჩენი მას

ახლდა და ექსკურსიაც მის პატივსაცემად იყო მოწყობილი. ერთი ყველაზე უფრო აქტიურობდა.
– აბა, ახალგაზრდებო, ცოტათი მიიწიეთ! – გვითხრა მან და ხელით მიგვწია კედლისკენ. ჩვენ მივიწიეთ.
– მობრძანდით! – სთხოვა მან გენერალს. გენერალმა ჩვენი ადგილი დაიკავა და სასმენად მოემზადა. იმ აქტიურმა კაცმა, ალბათ, ექსკურსიამძღოლი იყო, ჩაახველა.
– ჯვარი!.. – დაიწყო მან და თავიდან ბოლომდე გაიმეორა ის, რაც მონასტრის კედელზე გაკრულ მემორიალურ დაფაზე წერია. იმას რომ მორჩა, ისევ ჩაახველა და თემის გაღრმავებას შეუდგა.
იგი სულმოუთქმელად უყვებოდა სმენადქცეულ გენერალს, თუ როგორ იდგა არმაზის მთაზე არმაზის კერპი, როგორ დაუბნელდა ჩვენს მეფეს მირიანს ნადირობის დროს მზე და როგორ უშველა წმინდა ნინოს ღმერთმა და როგორ გაქრისტიანდა იმ დღიდან საქართველო; რომ ახლა ზუსტმა მეცნიერებამ, ანუ ასტრონომიამ დაამტკიცა და გამოარკვია, რომ მეფე მირიანი სულ ტყუილად გაქრისტიანდა, რადგან, მაშინ რომ დაბნელდა, არც არმაზის კერპი და არც წმინდა ნინოს ღმერთი არაფერ შუაში არ ყოფილან, იმ დღეს უბრალოდ მზის დაბნელება ყოფილა და მირიანი რომ არ გაქრისტიანებულიყო, მზე მაინც გამოანათებდა და ჩვენ კი ახლა მშვენივრად ვიქნებოდით და თითოს ას-ასი თუ არა, ათ-ათი ცოლი მაინც გვეყოლებოდა.
ერთი-ორჯერ ექსკურსიამძღოლმა გენერალი ზედაზენისკენაც გაახედა, მერე არმაზისკენ მიახედა, მერე სვეტიცხოვლისკენ ჩაახედა, მერე მოჰყვა, როგორ გადიოდა მცხეთაზე ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო შარაგზა, როგორ იყო ეს შარაგზა ოქრო-ვერცხლით, ფარჩა-აბრეშუმითა და თვალ-მარგალიტით დატვირთული აქლემების ქარავნებით გაბმული, როგორ შემოდიოდა აღმოსავლეთიდან აღმოსავლური, ხოლო დასავლეთიდან, დასავლური ცივილიზაცია, როგორ ერწყმოდა ადგილობრივ კულტურას სპარსული, ელინურ-ბერძნული, რომაული, ეტრუსკული, ხეთური, არაბული, იბერიული, კოლხური კულტურები და როგორ შეიქმნა ბოლოს ქრისტიანული ცივილიზაციის ეს შედევრი – ჯვარი.
ერთ საათზე მეტხანს ილაპარაკა ექსკურსიამძღოლმა სულმოუთქმელად და ყველაფერს ამას ისე ოსტატურად, ისე არტისტულად, ისეთი ცოდნით ამბობდა, ყველანი პირდაღებულები მივჩერებოდით. გენერალი სადღაც შორს სივრცეში იცქირებოდა თვალმოჭუტული.
– ყოველივე ზემოთქმულიდან, არსებულიდან, შესწავლილიდან და დადგენილიდან თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო არის მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი კერა და აკვანი, – დაამთავრა ექსკურსიამძღოლმა თავისი მგზნებარე სიტყვა, შუბლზე მომსკდარი ოფლი უზარმაზარი თეთრი ცხვირსახოცით მოიწმინდა და გენერალს მიაშტერდა. ყველანი სმენად ვიქეცით. საბოლოო სიტყვა გენერალს ეკუთვნოდა. გენერალმა კიდევ ერთხელ გახედა სივრცეს.
– Мдаа… Хороший наблюдательный пункт! – თქვა მან.
ექსკურსიამძღოლი გაფითრდა, მე სლოკინი ამივარდა. დადუნამ პირზე ხელი ამაფარა და თვითონაც აიფარა, რომ არ ეკივლა.
– Все ушелье контролирует! – დააგვირგვინა გენერალმა და ამაყად გადმოგვხედა. მე და დადუნა ეზოში გავცვივდით.
მერე ჯვრის ფერდობზე მოთიბულ ბალახში ვგორაობდით მთელი საათი და გიჟებივით ვხარხარებდით.
* * *

მოთიბული ბალახის სურნელია გარშემო. მე და დადუნა ზვინის ძირში ვწევართ გაუნძრევლად, ისე გაუნძრევლად, რომ მწყერჩიტები აღარ გვერიდებიან, ჩვენს გარშემო დაგოგავენ, კენკავენ მწყერისფეხას თესლს, მერე ყავისფერ ლამაზქოჩრიან თავებს სასაცილოდ აკანტურებენ და ნისკარტს იწმენდენ გამობერილ ჩიჩახვებზე. ასე ახლოს მწყერჩიტები არასდროს მინახავს, სუნთქვასაც კი ვიკავებ, რომ არ დაფრთხნენ. მზე ჩადის და მცხეთისა და კარსანის მწვანე მთები ლურჯდება, ნიავი უბერავს და ხმელ თივას საამოდ აშრიალებს, ხან თავზე გადაგვივლის ნიავი, ხანაც მიწაზე გაწვება. თივას ერთ ადგილას მოაქუჩებს და თვალებში გვაყრის, თმებს გვიწეწავს, ამოჩაჩულ პერანგში ძვრება, გვიღიტინებს და გვეთამაშება. ჩამავალი მზე ღრუბელს ისე გაუჭრია შუაზე, ოქროსფერ სათამაშო ქოლგას ჰგავს. მზე ისე უცებ ჩავიდა და ისე უცებ ჩამობინდდა, მოულოდნელობისაგან წამოვჯექი, ზვინში დაბუდებული მწყერჩიტები შეფრთხიალდნენ და ადგილი გამოიცვალეს.
– რა იყო? – მკითხა დადუნამ და თვალები გაახილა.
– არაფერი, სიგარეტი მინდა მოვწიო! – ვუპასუხე და ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე. დადუნამ ისევ დახუჭა თვალები. მე სიგარეტს მოვუკიდე და დადუნას გაშლილ მკლავზე დავდე თავი. აგრილდა და დადუნას მკლავმა ლოყა გამითბო, მე ოდნავ შევბრუნდი და იმ თბილ მკლავზე ვაკოცე დადუნას.
– ხომ არ წავიდეთ? – მკითხა უცებ დადუნამ და წამოჯდა.
– წავიდეთ! – ვუთხარი მე და წამოვდექი.
– მომეცი ხელი! – გამიღიმა დადუნამ. მე ხელი გავუწოდე და ისე ავიტაცე მიწიდან, პირდაპირ მკერდზე მომეკრა, ყელი ყელზე გადავაჭდე.
ზურგი და თმები სავსე ჰქონდა ბულულებითა და თივით.
– გამწმინდე რა! – მთხოვა დადუნამ. მე წმენდა დავუწყე.
თავბრუდახვეული დიდხანს ვუსვამდი ხელს ლამაზ ტანსა და ჯიშიან თეძოებზე. დადუნა მიმიხვდა ეშმაკობას, მომიბრუნდა და ორთავე ხელი მკერდზე მკრა, მე გულაღმა გადავვარდი ზვინზე. დადუნას სიცილი აუვარდა და პატარა გოგონასავით აკისკისდა. მეც გამეცინა. უცებ წამოვხტი და გამოვეკიდე, დადუნამ ზვინს შემოუარა, ვეღარ ვხედავდი.
ფრთხილად შემოვუარე მარცხენა მხრიდან.
– კუკუ! – მომესმა მარჯვნიდან. სწრაფად შემოვტრიალდი, დადუნას კაბის ბოლოს მოვკარი თვალი. ახლა მარჯვნიდან შემოვუარე.
– კუკუ, კუკუ! – მომესმა მარცხნიდან. გამოვენთე. დადუნას ორთავე ფეხსაცმელი გაეხადა, ხელში ეჭირა და სიცილით დარბოდა ზვინის გარშემო.
– სულ ერთია, დაგიჭერ!
– ვერა!
– დაგიჭერ!
– ვერა! – და უცებ ზვინი აბოლდა. მე მივხვდი, რომ ამ თამაშში სიგარეტი ჩამივარდა თივაში და თავზე ხელი წავივლე, მაგრამ უკვე გვიან იყო, სქელი, თეთრი კვამლიდან წითელმა ალმა გამოყო ენები, გაიზარდა, გაიზარდა და ერთბაშად ზვინი უზარმაზარ ჩირაღდანს დაემსგავსა. ღამე დღედ იქცა. დადუნა მოჯადოებულივით იდგა ზვინის წინ, ორთავე ხელი მაღლა აემართა და აბრიალებულ ჩირაღდანს უღიმოდა. მერე უცებ ფეხსაცმელები დაყარა, თმები ჩამოიშალა და ტანის ნაზი და პირველყოფილი რხევით დაიძრა ზვინის გარშემო. ზვინი ტკაცუნობდა, ბრიალებდა, გუგუნებდა, იფერფლებოდა, წითელ ვარსკვლავებს ისროდა მაღლა და რაღაც იდუმალ სიმღერას მღეროდა. ცაში ხელებაზიდული და მკერდზე თმებჩამოშლილი დადუნა თეძოების ნაზი რხევით განაგრძობდა ცეკვას ვეებერთელა ჭიაკოკონას გარშემო. იგი დალის

ჰგავდა, რომელიც რაღაც წარმართულ და მცხეთის ჯვარივით ძველ ცეკვას ასრულებდა.
– დადუ, გეყოფა! – ვუყვირე მე, თან გულში ვინატრე, ნეტავ არ შეწყვიტოს ცეკვა-მეთქი. დადუნას ყურადღება არ მოუქცევია ჩემთვის, ფართოდ თვალგახელილი, ტუჩებმოკუმული, გაქვავებული სახით განაგრძობდა თეძოების საოცარი რხევით ცეკვას და ისეთი ლამაზი, ისეთი პირველყოფილი, ისეთი ველური იყო ამ წუთში, შემეშინდა.
– დადუ, გეყოფა! – დავედევნე უკან. დადუნა ცეკვას არ სწყვეტდა, ალბათ, არც ესმოდა ჩემი.
– დადუ, გეყოფა, წავიდეთ!
უცებ შორიდან ყვირილი მომესმა:
– ეჰეჰე, ვინა ხართ მანდა, ოჯახამოგდებულებო!
გავიხედე, ჩვენსკენ ორი ფიწალშემართული ლანდი მორბოდა.
– დადუ, გავიქცეთ. მოგვკლავენ! – ფეხსაცმელები ავკრიფე და დადუნას ხელი ვტაცე.
– გამიშვი ხელი! – გამიძალიანდა.
– გოგო, მოგვდევენ, არ გესმის? – ვთხოვე მე.
– ეჰეჰე, სად წავლენ! – გაისმა კივილი სულ ახლოს.
– გავიქცეთ, დადუ, შენი ჭირიმე! – ისევ ვთხოვე, პასუხს აღარ დაველოდე და დავითრიე. დადუნა დამყვა. პირდაპირ ჯვრისაკენ გავიქეცით.
– წავიდნენ, თედო, ზევიდან დაუარე, ჰაიტატატატა, სად წავლენ?!
– მესმოდა ზურგიდან. პირდაპირ მონასტერში შევცვივდით. სულს ძლივს ვითქვამდით. ფეხსაცმელები დადუნას ფეხებთან დავყარე და სასწრაფოდ ჩავაცვი. გარედან ხმა მომესმა.
– სად უნდა წასულიყვნენ ეგ ვერანები, ჰა? – კითხულობდა ერთი.
– აბა, მე რა ვიცი?! – პასუხობდა მეორე.
– წამოდი, აქ მოდიან! – ვუთხარი დადუნას. ქამარში წამავლო ხელი. ხელების ფათურით აივანზე გასასვლელ კარს მივაგენი. გავედით, მერე იქიდან ქვედა საკანში ჩავედით და კუთხეში გავინაბეთ.
– აბა, შემომყე! – თქვა ერთმა.
– სად უნდა შემოგყვე, კაცო? – იკითხა მეორემ.
– შემომყე, კაცო, ხომ არ გეშინია! – ჰკითხა პირველმა.
– მეშინია კი არადა! – თქვა მეორემ და კარამდე მოჰყვა.
– ჰეი! – დაიძახა პირველმა.
– ჰეი! – გაიმეორა ექომ.
– მგონი, აქ არ შემოსულან! – თქვა მეორემ.
– კუკუ! – დაიძახა უცებ დადუნამ.
– კაცო, მომეყურა თუ შენც გესმის? – იკითხა პირველმა.
– გაუშვი, მაგათი ოხერი დედაც, ვითომც ის ზვინი არ გვქონია! – შეგვიკურთხა მეორემ.
– კუკუ! – ისევ დაიძახა დადუნამ.
– არ გესმის, კაცო? რომელი ხარ მანდა, გამოდი, თორემ... – ველარ გაბედა გინების დამთავრება შეშინებულმა ხმამ.
– მოგესმა, კაცო, წავიდეთ! – სთხოვა მეორემ.
– კუკუ! – ისევ დაიძახა დადუნამ.
– ეგეც მე ვარ? – ნიშნის მოგებით თქვა პირველმა.

– წამო, თუ კაცი ხარ, ემანდ რამე ოხრობას არ გადავეკიდოთ, ვერა ხედამდი, ის ქალი ქაჯს რომ ჰგავდა, წამო, წამო! – სთხოვა მეორემ.
ფეხის ხმა გავიგონე.
– მიდიან! – ვთქვი მე და მეც მომინდა თამაში.
– კუკუ! – დავიძახე.
– ჰაი დედასა, ვერ მოგატანეთ, თორემა! – გავიგონეთ უკვე ეზოდან.
ცოტა ხანს კიდევ ვაცალეთ და ჩვენც გამოვედით. ზვინისკენ გავიხედეთ, ჩაფერფლილიყო, ოდნავღა ბჟუტავდა.
– ჰაი, თქვენი დედა კი ავატირე! – იქნევდა მუშტს ჯვრისაკენ ერთ-ერთი.
– ასეთი კარგი კუკუდამალობანა ჩემს სიცოცხლეში არ მითამაშია! – თქვა დადუნამ და გამიცინა.
პირდაპირ დავეშვით ციცაბოზე. არაგვისა და მტკვრის შესართავთან ჩავედით. შუამდე წყლით სავსე და სოლზე ჯაჭვით მიბმული ნავი ძლივს ტივტივებდა.
– ეჰეი! – დავიკიჟინე.
– აქა ვარ, რა გაყვირებს?! – მითხრა იქვე ბალახებში წამოწოლილმა ბიჭმა და წამოიმართა.
– გაგვიყვანე! – ვუთხარი მე. ბიჭმა ხელში კონსერვის ცარიელი ქილა მომცა.
– წყალი ამოასხი! – დამავალა მან.
– შენ რას მიკეთებ? – ვკითხე მე.
– მე გაგიყვანთ! – ამიხსნა მან.
ჩავჯექით. ანტიოქიის ციხის ნანგრევებთან გაგვიყვანა, მანეთი მივაწოდე.
– ორი მანეთი უნდა! – თქვა მან.
– ორი მანეთი რა, კრეისერია? – ვკითხე მე.
– ჩემი „კრეისერი“ ეგ არის! – თქვა ბიჭმა. ფული მივეცი.
მცხეთიდან ათსაათიან საგარეუბნო მატარებელს გამოვყევით. ვაგონი ხალხით გაივსო, ძლივს მოვასწარით ფანჯარასთან დაჯდომა. ჯვარს რომ გავუსწორდით, მაღლა ავიხედე. ყოველი მხრიდან პროჟექტორებით განათებული ჯვარი შარავანდედივით ადგა თავზე მცხეთას.
– დადუ, შეხედე ამ საოცრებას?! – მივუბრუნდი დადუნას. დადუნას თავი მოეყრდნო ჩემს მხარზე და გაღიმებულს ტკბილად ეძინა. იგი ამ წუთში უზომოდ დაღლილ პატარა გოგონას ჰგავდა. ძალიან, ძალიან მომინდა მისი კოცნა, მაგრამ ვაგონი ხალხით იყო გაჭედილი და თავი შევიკავე. ყველანი ჩვენ გვიცქერდნენ!
დილით ადრე ვანიჩკა ბიძიამ გამაღვიძა.
– ადექი, ბიჭო, კომისარიატში გიბარებენ! – მითხრა მან და უწყება მომაჩეჩა.
„წვევამდელ ა. გ. ჯაყელს. ვალდებული ხართ 18 ივლისს, დილის 9 საათზე, გამოცხადდეთ პირველი მაისის რ-ნის სამხედრო კომისარიატში. გამოუცხადებლობის შემთხვევაში...“ და ა. შ.
ისეთი ხუჭუჭი ხელმოწერა მოჰყვებოდა თანამდებობას, რომ დღესაც არ ვიცი, რა გვარია ის კაპიტანი.
წავიკითხე უწყება და ვანიჩკა ბიძიას დავუბრუნე.
– შურა ბაზარში წავიდა, მითხრა, ბიჭს მიყევი კომისარიატში, მიწა გახეთქე და ჯარში არ წააყვანინოო. ადექი, – თქვა ვანიჩკა ბიძიამ და უწყება დამიბრუნა. ავდექი. პირი დავიბანე და კარადას მივადექი.
– წამოდი, იქ ვისაუზმოთ სადმე, ცხრას ათი წუთი აკლია, – გამაფრთხილა ვანიჩკა ბიძიამ.
– რა უნდათ, ვანიჩკა ბიძია, ხომ არ იცით? – ვკითხე სხვათა შორის.

– კრეპის შინელები და ქრომის ჩექმები ყოფილა მოსული, უფასოდ არიგებენ, ალბათ, იმაზე გეძახიან, – მითხრა ვანიჩკა ბიძიამ და წინ გამიძღვა.
კომისარიატთან რომ მივედით, გაჩერდა.
– ახლა მე რომ შემოგყვე, მაინც ვერავის ვიცნობ, შედი და მალე გამოდი. აქ დაგელოდები! – მითხრა და მხარზე ხელი დამკრა. უწყება ამოვიღე ჯიბიდან და კომისარიატში შევედი. ეზოში უამრავი ჩემი ტოლა ბიჭი ირეოდა, მივხვდი, კარგად არ იყო საქმე. ერთ-ერთს მივადექი და უწყება ვაჩვენე.
– ვისთან უნდა მივიდე, ხომ არ იცი? – ვკითხე.
– ჯერ იქ, მერე აქ! – ამიხსნა მან.
– აქ რა არის? – ვკითხე მე.
– იქ აღრიცხვაა, აქ – საექიმო კომისია, – მიპასუხა მან.
– მივყავართ?
– მე არა. თეთრი ბილეთი მაქვს, – მითხრა მან. ისეთი მუტრუკი იყო, რომ მიგეშვა, ნახევარ მსოფლიოს გაწყვეტდა.
აღრიცხვაზე გავტარდი და საექიმო კომისიის კარს მივადექი.
– ჯაყელი! – დაიძახეს 15 წუთის შემდეგ. შევედი.
– გაიხადე! – გავიხადე.
– კიდევ! – კიდევ გავიხადე.
– სულ გაიხადე, სულ, საპრანჭავად არ გვცალია! – დამაჩქარა კომისიის თავმჯდომარემ. სამხრეებიან კიტელზე ზევიდან თეთრი ხალათი ჰქონდა მოსხმული და ჩინი არ უჩანდა. სულ გავიხადე და მორცხვად დავდექი ოთახის კუთხეში. ჯერ პირში ჩამხედეს, მერე – თვალში, მერე მუხლისთავზე ჩაქუჩი მიჩაჩქუნეს, მერე წამომაწვინეს და მუცელი მიზილეს, მერე ფილტვები და გული გამისინჯეს, მერე სასწორზე შემაგდეს.
– რამდენია? – იკითხა თავმჯდომარემ.
– 59 კილო! – უპასუხეს.
– პატრონი არ გყავს? – მკითხა.
– კი მყავს! – ვუპასუხე.
– სადაა მერე? – გაიხედ-გამოიხედა თავმჯდომარემ.
– გარეთ იცდის!
– რა გვარი ხარ?
– ჯაყელი!
– აუ, გურული ხარ?
– დიახ.
– რომელი სოფლიდან?
– ბუკისციხიდან!
– აუ, ადესა იცის თქვენში?
– კი იცის!
– კარგია ახლა ცივი ადესა და შაშხი, რას იტყვი შენ?
– გადასარევია!
– მიდი, აბა, გაგზომავენ! – მივედი და გამზომეს.
– რამდენია? – იკითხა კომისიის თავმჯდომარემ.
– ერთი მეტრი და 69 სანტიმეტრი.
– დაწერე მეტრ სემდესიატ! – უბრძანა მზომავს.
– გმადლობთ, ბატონო! – ვუთხარი მე.

– არაფრის, ბიძია, მეც გურული ვარ – თავართქილაძე, თუ გინდა, მეტრ სემდისიატ ადინს დაგიწერ. – მითხრა მან და მზრუნველი თვალი შემავლო.
– გმადლობთ, ბატონო, მეტრ სემდესიატიც მეყოფა, – დავუკარი თავი.
– შენ იცი. ისე, კარგია ადესა ახლა, ა? რას იტყვი შენ?
– კარგია, ბატონო.
– ჯარში წასვლის ხომ არ გეშინია? – მკითხა უცებ.
– რას ბრძანებთ! – მეწყინა მე.
– არ დამიმალო! – გამაფრთხილა მან.
– არა, ბატონო!
– ესე იგი, წონა 59 კილოგრამი. ხომ არ დავამრგვალოთ, ბიჭო, 60 კილოგრამად, ჰა? – მომიბრუნდა თავმჯდომარე და თვალები მომიჭუტა.
– თქვენი ნებაა, ბატონო!
– პოდპოლკოვნიკი ვარ მე! – შემახსენა მან.
– თქვენი ნებაა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! – გავეჭიმე შიშველი კაცის პირობაზე.
– ესე იგი, ჯაყელი ავთანდილ...
– გაბრიელის ძე! – შევახსენე მე.
– რომელი გაბრიელის ხარ, ბიჭო შენ, მარნეულში რომ მუშაობს წვენების ქარხანაში?..
– არა, ბატონო, მამაჩემი ექიმი იყო!
– არ გადამრიო! სად მუშაობს?
– გარდაიცვალა მამაჩემი.
– აუ! – თქვა პოდპოლკოვნიკმა და დაფიქრდა, ერთხანს დუმდა, მერე მიუბრუნდა მდივან ქალს და უთხრა:
– დაწერე!.. – მდივანი მოემზადა. – ჯაყელი ავთანდილ გაბრიელის ძე, წონა შესდესიატ ადინ კილოგრამ, სიმაღლე მეტრ სემდესიატ ადინ, გოდნი სტრაევოი! დაწერე?
– დავწერე, მიხაილ ზახარიჩ! – უპასუხა მდივანმა.
– აბა, გაიქეცი ახლა სახლში და ხვალ, დილის 7 საათზე გამოცხადდი ნავთლუღის სადგურში კატელოკით, კრუშკით და ორი დღის საგზლით. აბა ჰე, მიდი ახლა!..
– დიდი მადლობა, ბატონო!
– არაფრის, ბიძია! – მითხრა მან და კეთილად გამიღიმა.
გარეთ რომ გამოვედი, ცოტა უფრო მძიმედ და ამაღლებულად მეჩვენებოდა თავი. ვანიჩკა ბიძია ქუჩის მეორე მხარეს მელოდებოდა.
– რაო? – მკითხა მან.
– ხვალ, დილის 7 საათზე, ნავთლუღის სადგურში! – ვუპასუხე მე.
ვანიჩკა ბიძია გაფითრდა. დიდხანს იდგა ასე და დიდრონ ცისფერ თვალებს შეშინებული ბავშვივით აფახულებდა. მერე ჩამჭიდა ხელი და უსიტყვოდ წამიყვანა, სალხინოსთან რომ მივედით, ხელი გამიშვა, ჯიბეები მოიჩხრიკა და მერე კიბეზე ჩამიძღვა. ბუხართან, კუთხეში ორკაციან მაგიდას მივუსხედით.
– ვანოს გაუმარჯოს! – თქვა ოფიციანტმა, სუფრა გადაგვიწმინდა და მაგიდიდან ყვავილებით სავსე ქოთანი აიღო.
– ორი რვა ნომერი და ორი მწვადი! – თქვა ვანიჩკა ბიძიამ.
ოფიციანტი წავიდა. ერთ წუთში დაბრუნდა ღვინითა და საუზმით.
– კიდევ რა შევუკვეთო? – იკითხა მან.
– არაფერი! – უთხრა ვანიჩკა ბიძიამ და ღვინო დაასხა, დიდხანს ატრიალა სავსე ჭიქა ხელში და ბოლოს მკითხა:

– როგორ ფიქრობ, ავთო, ბიძია, რომ მივსულიყავით კომისართან, გვეთქვა რომ ობოლი ხარ, სწავლა გინდა, რომ... კიდევ რა ხარ, ბიჭო?
– არაფერი არ მიშველიდა, ვანიჩკა ბიძია! – დავამშვიდე მე.
– ... რომ დედისერთა ხარ, ნიკოლოზს დედისერთები არ მიჰყავდა ჯარში.
– ნიკოლოზას 5 წლით მიჰყავდა, მე კი ორი წლით მივდივარ! რა მოხდა მერე?
– ისიდორე ბაბუაშენს რა ვუთხრა? – შეწუხდა ვანიჩკა ბიძია.
– ბაბუაჩემ ისიდორეს უთხარი... რა უნდა უთხრა? – ვკითხე ახლა მე. მართლა, რა უნდა უთხრას? უთხრას, რომ მიხარია ჯარში წასვლა, უთხრას, რომ ისევ სამედიცინოზე ჩაბარებას ჯარში წასვლა მირჩევნია, ვნახავ ერთი, რა არის ეს ჯარი, ასე რომ ეშინია ზოგს. – უთხარი, ვანიჩკა ბიძია, რომ ორ წელიწადში გენერალი ჩამოვა და სამედიცინოზე უგამოცდოდ მიიღებენ-თქო!
ვანიჩკა ბიძიამ ერთი ამომხედა, ხელი ჩაიქნია და ღვინო დალია.
– შურას რა ვუთხრა, თბილისიდან გამასახლებს! – თქვა ვანიჩკა ბიძიამ და სასოწარკვეთილმა შემოიწყო თავზე ხელები.
რა უნდა უთხრას ვანიჩკა ბიძიამ შურა დეიდას? შურა დეიდასთან არაფერი არ გავა, შურა დეიდა არაფრის გაგონებას არ მოისურვებს, შურა დეიდას არაფრის გაგონება არ უნდა. შურა დეიდამ მხოლოდ ის იცის, რომ მე გაბრიელ ჯაყელის შვილი ვარ, სამართალი რომ იყოს ქვეყანაზე, უგამოცდოდ უნდა მიმიღონ უმაღლესში. ჯარში, ახლა, მშვიდობიანობის დროს კი არადა, ქვეყანა რომ ინგრეოდეს, ქვა ქვაზე რომ დუღდეს, ცა რომ ფეხად ჩამოდიოდეს დედამიწაზე და დედამიწა ცაში ადიოდეს მტვრად, მე მაინც არ უნდა წამიყვანონ. იმიტომ, რომ ჯერ „ბაღანა“ ვარ და ჯერ არაფერი მინახავს ქვეყანაზე. ამის მერე რა უნდა უთხრას ვანიჩკა ბიძიამ შურა დეიდას? – პასუხი არ გავეცი ვანიჩკა ბიძიას, მხოლოდ მხრები ავიჩეჩე და ღვინო მოვსვი.
– იცი, რას ვეტყვი? – ვანიჩკა ბიძია დაფიქრდა.
– ვუთხრათ, რომ მოხალისედ მივდივარ! – ვიპოვე გამოსავალი.
ვანიჩკა ბიძიას თითქოს მოეწონა ჩემი წინადადება, ერთ წუთს კმაყოფილი მიყურებდა, მერე ირონიულად გაიღიმა და ისევ ჩაიქნია ხელი.
– ბიჭო, ორმოცდაერთში მართლა მოხალისედ წავედი და ის არ დამიჯერა, ახლა ტყუილს დაგვიჯერებს? მე შენ გეტყვი, არ იცის, რა ვატუტინი მე და რა ოლეგ კოშევოიც შენა ხარ!.. – ორთავეს გაგვეცინა.
ოფიციანტმა მწვადი მოიტანა, ბოთლები მისწი-მოსწია და შუა მაგიდაზე დადგა.
– დღეს რაღაც ვერა გცნობ, აი, ვანო! – თქვა მან და ვანიჩკა ბიძიას გაუღიმა.
– არაფერია, არქიფო, ცოტა ნაბახუსევი ვარ, ორი ბოთლიც მოიტანე!
არქიფო წავიდა. ვანიჩკა ბიძიამ ღვინო დაასხა.
– ადამიანის გამოსაცდელად ღმერთს ბევრი რამ გამოუგონია, ავთანდილ ბიძია, – თქვა ვანიჩკა ბიძიამ და წახნაგოვანი ჭიქა მაგიდაზე ფრთხილად დაატრიალა. – მე სამი რამ ვიცი: ჯარი, ციხე და მთა.
ზოგი მთის ნაცვლად ზღვას იტყვის, ზოგი – ცას, ზოგი – ტყეს, ზოგი – უდაბნოს, ვის სად გასჭირვებია, იმას იტყვის. პირველი ორი კი ნაღდია, ყველასათვის ერთია ჯარი და ციხე. თუ ჯარში გაფუჭდი – სიკვდილია, თუ ჯარში ძმაკაცს უღალატე – სიკვდილია, თუ ძმაკაცმა გიღალატა – სიკვდილია. მე რომ ჯარს ვამბობ, ომს ვგულისხმობ, ავთო, – ვანიჩკა ბიძია დაფიქრდა და ისევ დაუწყო ჭიქას ტრიალი. – 42 წელს ჩვენი დივიზია ალყაში მოექცა როსტოვთან, ვინც გაარღვია ალყა, გავიდა, ვინც ვერა და ტყვედ ჩავვარდით. საშველი არ იყო, ტყვედ ჩავვარდით... – ვანიჩკა ბიძია

ისევ დაფიქრდა, ხელი ოდნავ უთრთოდა. ჭიქას უჭერდა. არ უნდოდა, რომ შემემჩნია.
– სოფლის ფარდულთან ჩაგვამწკრივეს ორ რიგად. სამასი კაცი ვიქნებოდით.
– ებრაელები გამოდით! – თქვა გერმანელმა ოფიცერმა. – ორი ებრაელი გვყავდა. გავიდნენ.
– ახლა კომუნისტები გამოდით! – ბრძანა ისევ ოფიცერმა. დიდხანს არავინ არ დაძრულა ადგილიდან. ოფიცერმა ბრძანება გაიმეორა, ხელში შიშველი პარაბელუმი ეჭირა და მეორე ხელისგულზე ირტყამდა რიტმულად. პირველი ჩვენი მეთაური გავიდა, უფროსი ლეიტენანტი კოზლოვი, მერე სხვები, სულ ოცდათერთმეტი კაცი, მათ შორის ჩემი ძმაკაცი ბუხუტი ავალიანი. ლუკმას მიყოფდა, ღამე თავის ფარაჯას მახურავდა... ჩემზე უფროსი იყო შვიდი წლით, უზარმაზარი, და ღონიერი უსაშველოდ. სამი შვილი ჰყავდა... პირობა გვქონდა მიცემული: თუ ჩვენს შორის რომელიმე გადარჩებოდა, ერთმანეთის ოჯახებისათვის მიგვეხედა... გავიდა ბუხუტი. ოცდათერთმეტი კომუნისტი და ორი ებრაელი გავიდა მწკრივიდან. ის ორი ებრაელიც კომუნისტი იყო.
ბუხუტის ვუცქეროდი, ის კი მიღიმოდა, ძალიან გაფითრებული იყო, როგორც ეს სუფრა, ასეთი იყო და იღიმებოდა.
მე შემრცხვა, ძალიან შემრცხვა, ისე შემრცხვა, რომ სიკვდილი მომინდა... გავედი, ყველაზე ბოლოს გავედი და ბუხუტის გვერდით დავდექი. ბუხუტის თვალები გაუგანიერდა.
– გაგიჟდი? – მკითხა ქართულად, მე მინდოდა, მეთქვა არა-მეთქი, მაგრამ ღელვისაგან ხმა ვერ ამოვიღე. ოფიცერმა ბრძანება გასცა.
ყველა დანარჩენები წაიყვანეს. ახლა ფარდულთან 34 კაცი ვიდექით.
– ახლავე დაბრუნდი! – მითხრა ბუხუტიმ და ხელი მკრა. მე უარყოფის ნიშნად თავი გადავაქნიე. მუხლები მიკანკალებდა...
მრცხვენოდა, მაგრამ რა მექნა, მიკანკალებდა, ვერაფრით ვერ ვაჩერებდი და რაც მეტს ვცდილობდი გამეჩერებინა, უფრო მიკანკალებდა. ოფიცერი რაღაც ბრძანებებს იძლეოდა, არ მესმოდა. ვხედავდი პირს როგორ აღებდა და ხელებს როგორ იქნევდა, მეტი არაფერი. ბოლოს დავინახე ჩვენს წინ ათი ავტომატიანი ფეხებგაფარჩხული გერმანელი ჯარისკაცი დადგა. რომ არ წავქცეულიყავი, კედელს მივეყრდნე ზურგით, ამხანაგებს გავხედე, ექვსიოდე კაცს დაძაბულობისთვის ვერ გაეძლო და პირდაპირ მიწაზე ისხდნენ... ტალახში. ის ორი ებრაელი და ბუხუტი ყველაზე მაგრად იდგნენ...
– ვანიჩკა ბიძიამ გამშრალი ტუჩები აილოკა და ღვინო მოსვა, მერე ისევ აილოკა, – უცებ ბუხუტი გამოვიდა მწკრივიდან და გერმანელი ოფიცრის წინ დადგა.
– ეს არ არის კომუნისტი! – უთხრა მან დამტვრეული გერმანულით და ჩემსკენ გამოიშვირა ხელი. გაკვირვებულმა ოფიცერმა ჩემსკენ გამოიხედა, მერე ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა.
– კომუნისტი არა ხარ? – მკითხა. მე თავი დავხარე „ახლა დავჯდები ტალახში, – გავიფიქრე მე, – ახლა დავჯდები, მეტი აღარ შემიძლია, დავჯდები და რაც მოსახდენია, მოხდეს“. გერმანელმა ოფიცერმა პარაბელუმის ლულა ამომდო ნიკაპში და თავი მაღლა ამაწევია.
– მანდატი! – თქვა მან და მარცხენა ხელი გამომიშვირა.
მე ჯიბეების ქექვა დავიწყე. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიქექებოდი, უცებ ყრუ, ბლაგვი და ცივი დარტყმა ვიგრძენი საფეთქელში. გერმანელი ოფიცრის გაღიმებული სიფათი გადნა და გაქრა...
გონს რომ მოვედი, მიწაზე ვეგდე დამხობილი ჩემს 33 გაწამებულ, სასოწარკვეთილ, მრისხანედ წარბშეკრულ, უიმედოდ კისერ და მკლავებგადაგდებულ, გაოცებისაგან

თუ შიშისაგან თვალღიადარჩენილ და ტკივილისაგან სამად მოკეცილ მეგობარს შორის... – ძია ვანიჩკას ახლა ისე უკანკალებდა ხელი, ღვინო დაეღვარა.
– მერე? – ვკითხე მე.
ვანიჩკა ბიძიამ პაპიროსს მოუკიდა რის ვაივაგლახით.
– მერე მოხდა ის, რისი მოყოლაც არ შეიძლება... იმიტომ კი არა, რომ არ დაგიჯერებენ, არა, იმიტომ, რომ ძნელი გასაგებია, შეიძლება დაგიჯერონ, მაგრამ ვერ გაგიგებენ...
– მაინც რა მოხდა, ვანიჩკა ბიძია? – არ მოვეშვი ჯალათივით და ნერვიულობისაგან პირი გამიშრა.
– მერე ავდექი, შევხედე ჩემს დახოცილ მეგობრებს, შევხედე ბუხუტი ავალიანს... იგი გულაღმა ეგდო, ჯვრიდან ჩამოხსნილ იესო ქრისტეს ჰგავდა, ფერმკრთალი და ოდნავ გვერდზე თავგადაგდებული, ნატყვიარ ძუძუზე პერანგი ამოგლეჯილი ჰქონდა და ის ნაგლეჯი მარჯვენა ხელში ეჭირა ჩაბღუჯული და სისხლიანი. მე ტალახში ჩავჯექი მის თავთან და ტირილი დავიწყე ხმამაღლა... სიხარულისაგან ვტიროდი, ავთო, ბიჭო, სიხარულისაგან, მიხაროდა, ცოცხალი რომ ვიყავი ამ ჩემს დასახიჩრებულ მეგობრებს შორის, მზეს ვხედავდი და ვსუნთქავდი, გესმის???
ვანიჩკა ბიძია დადუმდა. მე აღარაფერს ვეკითხებოდი. ვანიჩკა ბიძია მართალი იყო, ამის დაჯერება ადვილი იყო, მაგრამ გაგება ძალიან ძნელი.
– გესმის? – ისევ მკითხა მან დიდი ხნის შემდეგ და თავისი დიდრონი, გულუბრყვილო თვალებით მომაშტერდა.
– არა, ვანიჩკა ბიძია, არ მესმის... ისე კი ვხვდები, რაღაცას ვხვდები.
– კარგია, თუ ხვდები! – თქვა ვანიჩკა ბიძიამ და გამიღიმა. ხელი აღარ უკანკალებდა, თანდათან დაწყნარდა. – მერე მე ომის დამთავრებამდე სულ ტყვე ვიყავი... ორჯერ გავიქეცი ტყვეობიდან, ორივეჯერ დამიჭირეს და დამდაღეს. მერე დავბრუნდი. მე ვთქვი, ტყვედ ნამყოფი კაცი ვარ, დაჩაგრული, სიკვდილს ბეწვზე გადარჩენილი, სულ ბრინჯის ფლავს მაჭმევენ, დამიყვავებენ, მომეფერებიან, – ჩაიცინა ვანიჩკა ბიძიამ, – ეგ შენი ჯარში წასვლისა იყოს, ჩემო ავთო, ჯარი დიდი გამოცდაა, არ უნდა წახდე, რაც არ უნდა შეგემთხვეს, კაცობა არ უნდა დაკარგო, იმიტომ, რომ ბოლო ერთია. კაცი საფლავზე დადებული ქვით კი არ ფასობს, აქ დატოვებული სახელითა და სულით. თუ ყველაფერზე ხელი ჩაიქნიე, ცხოვრებაზე ადვილი არაფერია, ძალიან ადვილია. ჩემს საწყალ შურას, ქუჩაში რომ დასველდეს, გამოსაცვლელი კაბა არა აქვს, ეგრევე ტანზე აშრება, ჩემი ATK-ას დირექტორის ცოლს ორი ნორკის შუბა აქვს. ამას წინათ გაქურდეს, ის ნორკის შუბებიც და ნახევარი მილიონის ბეჭდები სულ ამოიღო მილიციამ... რომ აჩვენეს, უარი თქვეს, ჩვენი არ არისო... დამალეს... ტყვეობაში ერთი ძმაკაცი მყავდა, საჭმელს მალავდა, მერე ღამე დგებოდა და ჭამდა, ვხედავდი, ღამე დგებოდა, ჩქარა ჭამდა ლეიბში თავჩარგული, ხვნეშა მესმოდა.
– მერე?
– მერე არაფერი, ორი კილოთი ჩემზე მსუქანი იყო, მე – 57, ის – 59. დიზენტერიით მოკვდა 47 წელში. – ვანიჩკა ბიძიამ ლოყაზე ხელი მომითათუნა. – ნუ გეშინია, ახლა მშვიდობაა ქვეყანაზე, ჯარი სკოლაა, ბევრ რამეს ნახავ და ბევრსაც ისწავლი. აბა, შენს წასვლას გაუმარჯოს!
დალიე. მაინც რა ვუთხრათ იმ გადარეულ დედაკაცს, ა? – გამიცინა ვანიჩკა ბიძიამ.
– შენ გაგიმარჯოს, ვანიჩკა ბიძია, ჩემო ვანიჩკა ბიძია, დედას გეფიცები, ისე მიყვარხარ, ისე მიყვარხარ... – ავდექი მე.
– კარგი, ბიჭო, ნუ ამიჩუყე გული, დაჯექი. არქიფო! – გასძახა მან ოფიციანტს, ჩემი სიტყვა რომ ბანზე აეგდო. – არქიფო, ანგარიში!
* * *

სახლში მარტო დავბრუნდი. მთვრალი ვიყავი. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა. რუბენას თავისი ბუდრუგანის ვიტრინის უზარმაზარი ნათურა აებდღვრიალებინა და თვითონ ხის გრძელ სკამზე იჯდა, კრიალოსანს მარცვლავდა.
– ძია რუბენს გაუმარჯოს, საქართველოს საათების დირექტორს!
– მივესალმე მე. რუბენამ ჯიბის საათი ამოიღო, ვერცხლის სახურავი ახადა, დახედა. მერე ყურთან მიიტანა, ერთი-ორჯერ მუხლზე დაირტყა, მერე ისევ ყურთან მიიტანა, ისევ დახედა და მხოლოდ შემდეგ მითხრა გამარჯობა.
– ძალიან გვიან-გვიან დაიწყე აი სიარული, პატრულივით!
– პატრული ვარ, ძია რუბენ, სამხედრო ვარ, ჯარისკაცი ვარ, წითელარმიელი ვარ! – ავყვირდი მე.
– ნელა, ბიჭო, ნამუსი არა გაქვს, ხალხს სძინავს! – გამაფრთხილა რუბენამ და ჩაიჩოჩა, ადგილი გამითავისუფლა სკამზე. სიამოვნებით მივუჯექი. სახლში ასვლა მეზარებოდა, ლაპარაკი მინდოდა, ხმაური მინდოდა, კიდევ რაღაც მინდოდა. მთელი გზა ვფიქრობდი და ვერ გავიხსენე, რა მინდოდა, ღმერთო, გამახსენე...
– გაიგე, ამერიკელები მთვარეზე გაფრენას აპირებენ ივლისში! – მითხრა რუბენამ.
– ამერიკელების დედაც ვატირე და მაგათზე ნაკლებად გამფრენის!
ღვინო მოიტა, თუ გაქვს, დავლიოთ მე და შენ, ხვალ ჯარში მივდივარ!
– ჯარში რა გინდა? – მკითხა გაკვირვებულმა რუბენამ.
რა მინდა ჯარში? ჯარში რა უნდა ავთანდილ ჯაყელს, ძია რუბენ.
რა უნდა ჯარში ჯაყოს, ჯაყოს ახლა სმა უნდა, ჯარში ღვინოს ვინ დაალევინებს, ჯაყოს ახლა ხმაური უნდა. ჯარში ვინ ახმაურებს ჯაყოს.
ჯაყოს ლაპარაკი უნდა. ჯარში ვინ ალაპარაკებს ჯაყოს. ჯაყოს კიდევ რაღაც უნდა. რა უნდა ჯაყოს, არ აგონდება ჯაყოს, მთელი დღე რაღაც უნდა ჯაყოს და არ აგონდება.
– რას გაჩუმებულხარ, ბიჭო! ამერიკელები მთვარეზე კაცის გაფრენას აპირებენ! – არ მომეშვა რუბენა.
– ჰოდა, გამოიტანე ღვინო, იმ კაცის სადღეგრძელო დავლიოთ, ვინც მთვარეზე გაფრინდება.
– რას გადამეკიდე, ხომ იცი, არა ვსვამ, კუჭის წყლული მაქვს! – დაისაწყლა თავი რუბენამ.
– ადე, კაცო, შენ არა სვამ, მე ვსვამ, – წამოვაგდე რუბენა.
რუბენა წელგათრეულივით წავიდა და ნაკლული „საერო“ გამოიტანა.
– ჭიქა არ უნდა? – ვკითხე მე.
– ბოთლიდან დალიე, მერე ჭიქის რეცხვის თავი არა მაქვს! – თქვა რუბენამ.
– ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ძია რუბენ, მთვარეზე რომ ფეხს შედგამს, იქიდან გადმოგვხედავს, მოვენატრებით, ჩამოვა, ჩაგვეხვევა, გვაკოცებს, იტირებს და გვეტყვის: – ბიჭებო, მთვარის დედაც ვატირე, დედამიწაზე ყოფნას რა ჯობია, დედამიწას გაუმარჯოს, მწვანე დედამიწას, თბილ დედამიწას, მზიან დედამიწას, წვიმიან დედამიწას. მერე მთვარეს ახედავს და ეტყვის – არ გეწყინოს, მთვარევ, კარგი ხარ, თეთრი ხარ, ლამაზი ხარ, ღამეს მინათებ, დღისით თან დაყვები ჩემს დედამიწას, მაგრამ ეს ოხერი, დედაა ჩემი და შენს თავს მირჩევნია, მოდი და მომკალი, რაც გინდა მიყავი, დედამიწა მირჩევნია შენს თავს და რა გიყო?! ჩემს დედამიწას გაუმარჯოს! – ვთქვი და ბოთლი მოვიყუდე.
– კარგია? – ვკითხე რუბენას, ბოთლი რომ მოვიცილე პირიდან.
– ალბათ, იქაც კარგია, თორემ გიჟები ხომ არა ვართ ადამიანები? – მკითხა რუბენამ.
– შენი არ ვიცი, ძია რუბენ, მე კი გიჟი ვარ. აბა, ერთი მეორე მითხარი!
– ოხ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო... – დავიწყე მე.

– მორჩი, ბიჭო, ხალხმა ძლივს დაიძინა, აქ ისეთი ამბავი იყო დილიდან ჩვენს ეზოში, ცირკი გეგონებოდა...
– რა ცირკი, ძია რუბენ?
– ჯერ იყო და დევდარიანების ოჯახიდან ობეხეესმა კონფისკაცია რომ უყო, ის საქონელი წაიღო. მარო, დევდარიანის ცოლი როა, ეზოში გამოვიდა, კივილი დაიწყო, – ხალხო, სამართალი არ არის?
ჩემი სისხლით და ოფლით შეძენილი ქონება მიაქვთ, მოწმედ დამიდექით, რომ იმ ოხერს, – ესე იგი მის ქმარს, – სახლში არაფერი არ მოუტანიაო. მეზობლებიც ადგნენ და ვინც არ ემდურის – ჰო თქვა, ვინც ემდურის – არაო. დეიდა ანჟელამ ისიც უთხრა – თქვენზე ყველაფერი ახიაო! მაშინ მარომ თმებში სტაცა ხელი და სულ ამ ასფალტზე ათრია. მერე ანჟელამ იკივლა: ხალხო, მოწმედ დამიდექით, ამას ციხეში ამოვალპობო. მეზობლებიც ადგნენ და, ვინც არ ემდურის – ჰო უთხრა, ვინც ემდუროდა – არაო. ერთმა ისიც უთხრა, შენ შენს ბოზ ქალიშვილს მიხედე, მეოთხე აბორტს რომ იკეთებსო.
– როგორ თუ აბორტს?! ისედაც ცოტანი ვართ ქართველები! – გადავირიე მე.
– კაცო, აბორტი აკრძალული კი არ არის, ეგ არი რო არ იციან, ვისგან იკეთებს. მთელი მარილი მაგაშია! – ჩურჩულით მითხრა რუბენამ.
– სულ ერთია, ასე რომ გვეკეთებინა ჩვენ აბორტები თამარ მეფის დროს, რვა მილიონი კი არ ვიქნებოდით! – გავბრაზდი მე.
– მართალი ხარ, გენაცვალე, მართალი, ოღონდ ნუ ყვირი! – დამიწყო დამშვიდება რუბენამ.
– საქართველოს გაუმარჯოს! – ვიყვირე მე და ბოთლი მოვიყუდე.
– გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ღმერთმა ჯანი მისცეს, ოღონდ ახლა წადი და დაიძინე, – დამეღრიჯა რუბენა.
– დალიე! – ვუთხარი მე და ბოთლში დარჩენილი ღვინო მივაწოდე.
– კაცო, ხომ არ გაგიჟდი, ჩემი დალევა როგორ იქნება! – ხელები გაშალა რუბენამ.
– დალიე საქართველოს სადღეგრძელო, თორემ ვიყვირებ! – დავემუქრე მე.
– ჰო, კარგი, ნუ ყვირი, დავლევ და ჩემი კუჭის წყლულიც და ცოდვაც შენს კისერზე იყოს! – თქვა რუბენამ, ბოთლი ჩამომართვა და სასწრაფოდ გამოსცალა, – ახლა წადი და დაიძინე, გვიანია! – რუბენამ ისევ საათზე დაიხედა.
– რომელი საათია? – ვკითხე მე.
– ვიცი და არ გეუბნები? ამის ოხერი დედაც ვატირე! – თქვა რუბენამ და საათს ზედ ციფერბლატზე დააფურთხა.
– შვიდასი საათი გიკიდია ვიტრინაში და არ იცი? – ვუსაყვედურე რუბენას.
– ეგ საათები რომ დროს უჩვენებდნენ, ჩემთან ვინ ოხერი მოიტანდა, ან პირველია, ან ორი! – მიმარჩიელა რუბენამ. – ეს ერთი კვირაა სულ გაგიჟდით რა? ზოგი სულ არ მოდის, ზოგი ღამის ორ საათზე მოდის. გუშინ, შენი არ ვიცი და, ეგ სტაფილოსნაირი დადუნა პირველ საათზე მოვიდა.
ვინ მოვიდა პირველ საათზე? დადუნა? დადუნა, დადუნა, დადუ, ეს რა თქვა რუბენამ, დადუნა პირველ საათზე მოვიდაო, ჯაყო ხვალ ჯარში მიდის. ჯაყოს დღეს ქეიფი უნდოდა, ჯაყოს სიმღერა უნდოდა, ჯაყოს ხმაური უნდოდა, ლაპარაკი უნდოდა, კიდევ რაღაც უნდოდა ჯაყოს, მთელი დღე უნდოდა რაღაც და ვერაფრით ვერ გაიხსენა ჯაყომ...
– დადუნა, დადუ!
– ვინ არის?
– მე ვარ, დადუ, გამოდი გარეთ!

– გაგიჟდი, ავთო?
– დადუ, გამოდი, შენი ჭირიმე, ერთი წუთით გამოდი რა?
– კარგი რა, ჯაყო, შენი ჭირიმე, ახლა წადი და ხვალ გამოვალ, ახლა მთვრალი ხარ შენ!
– გამოდი, დადუ, ხვალ, დილის შვიდ საათზე, ჯარში მივდივარ. გამოდი, ჩემო დადუ!
– სირცხვილია, ჯაყო!
– რა დროს სირცხვილია, დადუ, ხვალ ჯარში მივდივარ.
– კარგი, მოიცა, რამეს გადავიცვამ პერანგზე.
– არ გინდა, დადუ, ეგრე გამოდი, პერანგით, თუ გიყვარვარ!.. შენი ჭირიმე, დადუ, რა კარგი ხარ, როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე!..
– ჩუმად, ავთო, შენი ჭირიმე, კარგი, ავთო, გეყოფა, ავთო!
– კიდევ მაკოცე, დადუ!
– ხომ გაკოცე, გეყოფა, წადი ახლა, გეყოფა, ხვალ დილით გნახავ!
– არა, დადუ, კიდევ მაკოცე!
– ჩუმად, ბიჭო, მეზობლები გაიგონებენ.
მეზობლები გაიგონებენ? რა უნდა გაიგონონ მეზობლებმა! ან თუ გაიგონეს, ცუდს რას გაიგონებენ. ავთანდილ ჯაყელი ცუდს არაფერს გააკეთებს. ავთანდილ ჯაყელი ხვალ ჯარში მიდის. ახლა კი სიმღერა უნდა, ქეიფი უნდა, დადუნა უნდა...
– მეზობლებო, გამოდით, გამოდით, თქვენ გენაცვალეთ, გაიგონეთ, დადუნა მიყვარს, სიმღერა მიყვარს, ღვინო მიყვარს, ის კაცი მიყვარს, მთვარეზე წასვლა რომ უნდა. მეზობლებო, გამოდით, ნუ იმალებით!..
დადუნა ხელიდან გამისხლტა და სახლში შევარდა. რუბენაც შეიძურწა და გაბდღვიალებული ვიტრინა ჩააქრო.
– მეზობლებო, გამოდით გარეთ, ნუ მემალებით, თქვენც მიყვარხართ, ყველა მიყვარს, გამოდით გარეთ, მეზობლებო! – ვიდექი სიბნელეში და ქადაგად დავარდნილივით ვყვიროდი. მეზობლები სამარესავით დუმდნენ, არავინ გამოდიოდა და არც ერთი ფანჯარა არ ანთებულა, არც ერთი კარი არ გაჭრიალებულა, არც ერთი ხმა არ შემხმიანებია და მე მივხვდი უცებ, რომ არავის არ ეძინა, ყველანი ფანჯრებზე იყვნენ მომსკდარნი და მიყურებდნენ. ვგრძნობდი, რომ უზარმაზარი შავი თვალივით მიცქერდა გატრუნული სახლი და ვერავინ ბედავდა გამოსვლას.
ოთახის კარი შევაღე. ვანიჩკა ბიძია რატომღაც ჩემს ოთახში იწვა. „ალბათ, იჩხუბეს“, – გავიფიქრე.
– ვანიჩკა ბიძია! – ვთქვი ჩუმად. ხმა არ გაუცია. ეძინა. საბანი გადაძრობოდა და პირჩაღმა ეძინა. ჩემი მაგიდის ნათურა ავანთე და გახდა დავიწყე. უცებ რაღაც გამახსენდა, ფეხაკრეფით მივედი ვანიჩკა ბიძიას საწოლთან და ფრთხილად ავუწიე პერანგი ბეჭებზე. ორი ძველი, მაგრამ ჯერაც წითელი, ამობურცული, ამოშანთული დაღი აჯდა ბეჭებზე ვანიჩკა ბიძიას. საოცრად მომინდა, ორთავე დაღი მეგრძნო და ბეჭებზე ფრთხილად დავუსვი ხელი. პერანგის ჩამოწევა რომ დავიწყე, ვანიჩკა ბიძია გულაღმა ამოტრიალდა, მკლავზე მომკიდა ხელი.
– რა იყო, ბიჭო ავთო? – მკითხა მან.
– არაფერი, ვანიჩკა ბიძია, არ გძინავთ? – ვკითხე მე და საშინლად შემრცხვა.
– დაწექი! – თქვა მან, – ხვალ დილით ადრე ხარ ასადგომი. შურამ ყველაფერი მოგიმზადა!
მე სინათლე ჩავაქრე და დავწექი.
გაღმა სოფელი ადრე იღვიძებს, უფრო სწორად, სოფელს მოლა აღვიძებს. გადმოეყუდება მინარეთზე, კისერს წაიგრძელებს, ყურებზე ხელს მიიჭერს

კამერტონისათვის და დაიწყებს: – ალლა�ა, ალლაااا! – მერე ერთ შემობრუნებას ჩვენსკენაც შემობრუნდება, იმ იმედით, შეიძლება კიდევ დარჩა გაღმა ერთი მორწმუნე მაინცო, – ალლაა! – დაიძახებს ეჭვშეპარული, გატეხილი ხმით და გაქრება. მერე სოფელი იწყებს მოძრაობას. ზოგი ზღვას მიაშურებს, ზოგი – ყანას, ზოგი – ბოსტანს, ხანდახან ქალების შეკივლებას და ქოქოლას გაიგონებ, ეს უსაქმო ასკერები დაბორიალობენ სოფელში და ხილს იპარავენ, მერე ისმის მათი დამფრთხალი ლაწალუწი ჟვეროში და ბარდებში, ჯერ არ ჩანან, მერე წელში მოხრილები გარბიან ბილიკზე, სოფლის სასაფლაოს რომ შუაზე ჭრის, გზადაგზა უბიდან გამოცვენილ ხილს კრეფენ, თან იცინიან, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ. მერე სოფლის თავში ხავსიანი კრამიტით გადახურული, წელში ოდნავ გადახრილი წაბლის ოდიდან სოფლის მასწავლებელი გამოდის, სტვენა-სტვენით ეშვება თავქვე, გზადაგზა პატარა თეთრსაყელოიანი გოგო-ბიჭები აედევნებიან, თანდათან მატულობენ და სოფლის ბოლოში მასწავლებელი ისე მიალაჯებს, როგორც კრუხი წიწილებში. ბოლოს ყველანი ერთად შედიან ზღვის პირას გაშენებულ ერთსართულიან და ერთფანჯრიან ფარდულში, რომელსაც სკოლა ჰქვია, და ორმოცი წუთი აღარ ჩანან და აღარც ხმა ისმის მათი. მერე სოფლის მასწავლებლის ეზოში მისი ახალგაზრდა ლამაზი ცოლი გამოდის, ლურჯი, სპორტული შარვალი და წითელი კოფთა აცვია. მოკალათდება ეზოში დაგორებულ ვეებერთელა ქვაზე, აიღებს ჭოგრიტს და ჩვენს სოფელს ათვალიერებს, ათვალიერებს დიდხანს, საათობით.
საგუშაგო თურქებს მეჩეთის უკან აქვთ. გარშემო მაღალი ალვის ხეები არტყია და გვიან შემოდგომამდე თითქმის არ ჩანს, რა ხდება საგუშაგოს ეზოში. სათვალთვალო კოშკები მაღალ გორაკებზე უდგათ და ეტყობა, ჩვენი სოფელი ხელისგულივით ჩანს იქიდან. მე მგონი, დასამალი არც არაფერია, გამოღმა სოფელი თავისი დიდებული, თუნუქით გადახურული, ორ და სამსართულიანი გაჩირაღდნებული სახლებით გაღმელების გულის გასახეთქად დგას. ისე ლამაზია ეს დალოცვილი, ხანდახან შემოვტრიალდები და იმის მაგივრად, გაღმა სოფელს ვუყურო, ჩემს საკუთარ სოფელს ვათვალიერებ. ბაბუაჩემი ისიდორე სულ მეუბნებოდა, სხვის ოჯახში ყურება დიდი უზრდელობააო, მაგრამ რა ვქნა, აქ რვა საათის განმავლობაში სხვა საქმე მე არა მაქვს. გაღმაც და გამოღმაც ვის ოჯახში რამდენი სულია, რამდენი ძროხა და ქათამი ჰყავს, სად მიდის, რას აკეთებს, როდის ბრუნდება, როდის ქეიფობს, როდის წვება დასაძინებლად, როდის იღვიძებს, ვინ ვის ხვდება, ვინ ვის უყვარს და ვინ ვის სძულს, ყველაფერი ვიცი.
დალახვროს ეშმაკმა, ისე დაწვრილებით და ისე კარგად ვიცი, ხანდახან მრცხვენია კიდევაც.
აი იმ სახლში ალი ხორავა ცხოვრობს. მანდარინის პლანტაცია აქვს მშვენიერი, ბევრჯერ მოგვიპარია მისი მანდარინი მე, შერბინას და პარხომენკოს ღამით; არ ჩივის, უბრალოდ გადმოდგება ხოლმე აივანზე, პირს საგუშაგოსკენ იზამს და ჩვენს გასაგონად ილანძღება.
– გასკდა თქვენი ფაშვი, დღისით მოეთრიეთ და გაჭმევთ, ესაა სამართალი? ქურდისგან, ყაჩაღისგან, ჯაშუშისგან და უბედურებისგან მიცავთ, მგონია, მძინავს თქვენს მოიმედეს ტკბილად, კაცი ბუზს ვერ ამიფრენს, მგონია და სწორედ მაშინ მძარცვავთ?! გასკდა თქვენი სტომაქი, დამწიფება მაინც აცალეთ, თორემ გაგხეთქავთ დიზენტერია!
ეს არის და ეს. ალი ძველი მეთევზეა, მთელი ლაზისტანი რომ ზღვაში შევიდეს, მთელი დღე იბორიალოს და თითის სიგრძე კეფალი რაა, ისიც ვერ დაიჭიროს, ალი გახედავს ზღვას, დაახვევს ლარს, ჩაჯდება თავის ფურთხით დაწებებულ ნავში, ერთ

საათს იტრიალებს ნაპირთან ახლოს და იმდენ თევზს გამოიტანს, მთელ სოფელს თუ არა, ნახევარს მაინც ეყოფა. ჩვენი საგუშაგოს უფროსი ჩხარტიშვილი დიდად სცემს პატივს, რა დასამალია და, თევზის გარდა, ამინდსაც ალისაგან ვიგებთ. ამინდს კი დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარზე. ალი შეხედავს ჩამავალ მზეს, ალი ახედავს ცას, ალი დააკვირდება ღრუბლის მოძრაობას ალი შეისუნთქავს ზღვაურს, ალი დააკვირდება ზღვას, ალი ახედავს ვარსკვლავებს და არავითარი მოსალოდნელი მოღრუბლულობა, არავითარი სუსტიდან მოძლიერომდე ქარი, არავითარი ალაგ-ალაგ ნალექი და ალაგ-ალაგ უნალექობა.
– მაიორო, ხვალ ზღვა გადაირევა! – ამბობს ალი და ჩვენ ყველაფერი, თუ რამ გვაბადია ზღვისპირას, ზევით ამოგვაქვს.
– მაიორო, ხვალ მთიდან მოვა უამინდობა! – ამბობს ალი და ჩვენ ვამაგრებთ საზღვრის ბოძებს და მთელი ღამე არ გვძინავს.
– მაიორო, ხვალ ისეთი სიცხე იქნება, ზღვა ადუღდება და თევზი ჭერეხზე ამოვა! – ამბობს ალი და თევზი ამოდის ჭერეხზე.
არ ყოფილა შემთხვევა, ალი გაწბილებულიყოს. ალი დიდებული კაცია. სამოცი წლის იქნება, ძვალი და ტყავი, სახე მზისაგან აქვს გარუჯული, წარბები და წამწამები ზღვის მარილისაგან დაჭმული და მაინც ლამაზია, ძალიან ლამაზი; გვერდზე გახედვა იცის ალმაცერად.
რამდენჯერ ამოსულა სათვალთვალო კოშკზე და გაღმა გაუხედავს, ჭოგრიტი მიმიწოდებია და არ გამოურთმევია – ისედაც კარგად ვხედავო.
დიდხანს უცქერია, უცქერია, მერე მძიმედ ამოუოხრავს და წასულა.
ვინ იცის, რაზე ოხრავს ალი – გაღმა დარჩენილ ბიძებზე, ბიძაშვილებზე, მშობლების საფლავებზე და ძვლებზე თუ ლაზეთზე, იქაურ ჩაბნელებულ ოდებზე, მორყეულ დედაბოძებზე, უმინო სარკმლებზე, დაკერებული შარვლებით მოტანტალე ბავშვებზე, თუ მინარეთის თავზე დარჭობილ ნახევარ მთვარეზე. არავინ არ იცის, რაზე ოხრავს ალი ხორავა, იმიტომ, რომ არასდროს არავის არაფერს ეუბნება. ერთი კია, რომ ოხრავს ხოლმე, ალბათ, ყველაფერზე ერთად ოხრავს ალი.
ალის გვერდით კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახლია, ორსართულიანი დიდებული სახლი, დიდებული ავეჯით. ოთხი ბავშვი ჰყავს, ოთხივე ერთმანეთზე უკეთესი. ყოველ დილით, სანამ ოთხთავეს არ გადაკოცნის, ეზოდან ფეხს არ მოიცვლის. სოფლის თავკაცია და ყველას უყვარს. დღეში სამჯერ თვრება საწყალი. ყველა ტურისტმა, ყველა სტუმარმა, ყველა უფროსმა და ყველა უმცროსმა მაგის ხელში უნდა გაიაროს. ზაფხულობით მაინც იმდენი სტუმარი მოდის, როგორც ერთერთი უმდიდრესი, უმშვენიერესი, უკოლორიტურესი, საზღვრის მომიჯნავე და გენიალური პლაჟის მქონე სოფლის სანახავად. თავმჯდომარე რომ არ მოკვდომოდათ, სოფელმა სპეციალურ კრებაზე, სპეციალური დადგენილებით ორი თანაშემწე დაუნიშნა, ერთი – ღვინის სმის დარგში, ერთი – ექსკურსიის დარგში. იმ დღიდან ცოტა შეღავათი მიეცა, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, კარგი კაცია. ეგეც რომ არ იყოს, მაგის შვილებს მე და შერბინა ხომ არ ვარჩენთ?! თავმჯდომარის გამოღმა, თითქმის ზედ საზღვარზე, ჩემი კოშკის ქვემოთ, ოცდაერთი წლის ქვრივი ფერიდე ცხოვრობს. ფერიდეს ქმარი, მე რომ საზღვარზე მივედი, ერთი წლის დაღუპული იყო. გადელებულ ზღვაში შესულა ჰასანა მორების გამოსატანად, დაურტყია ტალღას, მორიანად ამოუტრიალებია. ხალხი ყვება, დიდი ვაჟკაცი იყო, სამ დარტყმას გაუძლო, სამჯერ ამოყვა მორს ტალღის ქვეშიდანო, მეოთხეჯერ აუტაცია ტალღას ფერიდეს ქმარი და აღარ ამოჰყოლია მეოთხედ. ორი დღე გდებულა მკერდ და ლოყადაღლეტილი ფერიდე ზღვის პირას, ვიდრე ქმარი არ უპოვეს. მეორე დღის

ბოლოს გამოურიყავს ზღვას ჰასანა. დაქვრივდა ფერიდე, შემოუტეხავი შავი კაბა ჩაიცვა და ჩაიკეტა სახლში.
ერთი წელია ვხედავ ფერიდეს, მანდარინის ბაღში ჩამოდის და მუშაობს. მეზობლის ორი ბავშვი ჰყავს შემოჩვეული, ტყუპები, გოგო და ბიჭი. სამუშაოზე წასული მშობლები უტოვებენ ხოლმე. ბავშვები პატარა ბელებივით დაჰყვებიან კუდში. მიწაზე რომ დაჯდება ხოლმე დასასვენებლად, ყელზე ეხვევიან, კალთაში უგორდებიან, ყირაზე გადადიან, თმებს უჩეჩავენ და მკერდზე ეპოტინებიან. სოფელში ამბობენ, იმ დღიდან ფერიდე გაცინებული არავის უნახავსო. მე მინახავს გაცინებული, როდესაც ბავშვებს ეთამაშება, მაგრამ არავის ვეუბნები, რადგან მგონია, რომ ჩემს მეტი მას ვერავინ ხედავს. ალბათ, სხვა ბიჭებიც ხედავენ თავიანთი მორიგეობის დროს და ფერიდეს სიცილს ყურადღებას არ აქცევენ. მე მიხარია, რომ ყურადღებას არ აქცევენ. მე კი მინდა, სულ ვუცქირო და ვუსმინო, როგორ იცინის ფერიდე, როდესაც ბავშვები ეთამაშებიან. ფერიდე ჩუმად, ძალიან ჩუმად იცინის, თბილად, სუფთად. შავ თმებში ჩაფლული თეთრი სახე ნაწვიმარზე გამობრძანებულ მზესავით უცინის, მრგვალი მხრები და მაღალი მკერდი უთახთახებს, მერე გულაღმა წვება, ორთავე ბავშვს მკერდზე ისვამს და რაღაცას ებუტბუტება თავის ლამაზ და სიმღერასავით ტკბილ ენაზე. ფერიდე ვერავის ხედავს და ვერც ვერავინ ხედავს, ჰგონია ფერიდეს. რომ იცოდეს ფერიდემ, რა ლამაზია ამ დროს, ალბათ, დიდი მწუხარების მიუხედავად, არ მოიშლიდა სიცილს. უბედურია ის, ვისაც გაცინებული ფერიდე არ უნახავს. ავდარში ფერიდე არ ჩამოდის მანდარინის ბაღში და არ ეთამაშება ბავშვებს, და მე ვნატრობ, ყოველდღე დარი იყოს.
დღეს დილიდან გავედით განწესში. მე და შერბინა კოშკზე ავედით, პარხომენკომ ტანგოთი საზღვრის ინსპექცია დაიწყო. კოშკზე ჩვენი ასვლა და მინარეთზე მოლას გამოჩენა ერთი იყო. მოლამ ყურებზე აიფარა ხელები და დაიწყო: – ალლა�ა, ალააა! – ბიჭო შერბინა, არ გაგვათათრა ამ ურჯულომ? – ვუთხარი შერბინას.
– აბა, კაცო, დაიფარებს ყურებზე ხელს და კივის, მაგას რა ენაღვლება, თვითონ არ ესმის თავისი კივილი! – თქვა შერბინამ.
მოლამ დაამთავრა ალაჰის ხმობა, დღეს რატომღაც ჩვენსკენ არ გამოუხედავს, ისე გაქრა და საზღვარმა დაიწყო ჩვეულებრივი, თავისი გუშინდელი დღის ტყუპისცალი დღით ცხოვრება. გლეხები დარიგდნენ სამუშაოებზე, დედაკაცებმა დააპურეს შინაური ფრინველი, მეთევზეებმა ზღვას მიაშურეს. მასწავლებელმა შერეკა თავისი წიწილები საბუდარში და ეზოში გამოვიდა მასწავლებლის ლამაზი, ხალიანი ცოლი, მოკალათდა ქვაზე და ჭოგრიტი მოიმარჯვა. შერბინას ჭოგრიტი ჩამოვართვი, მასწავლებლის ეზო ხელისგულზე გადამეშალა. მასწავლებლის ცოლმა ჯერ სოფელს მოავლო თვალი, სერებს გახედა, მერე – ზღვას და უცებ ვიგრძენი, რომ მე მიყურებდა.
– მეორე წელია ქალისათვის თვალი არ დამიდგამს, ეგ გოგო მაინც დამითმე, უსინდისო! – შემომტირა შერბინამ და ჭოგრიტზე წამეპოტინა.
– შენ ხარკოვიდან კვირაში სამჯერ ჭორფლიანი და ცხვირაპრეხილი გოგოს სურათები რომ მოგდის, იმას მიხედე! – ვუთხარი შერბინას და ხელით მოვიშორე.
მასწავლებლის ცოლი აშკარად ჩვენს კოშკს უთვალთვალებდა. „მე მიყურებს“, – გავიფიქრე და უნებურად საყელო და ქუდი გავისწორე.
არ ვიცი, დაემთხვა თუ არა, მანაც გადაისვა თმებზე ხელი. დავიწყე ექსპერიმენტი: ჭოგრიტი მოვიცილე თვალებიდან და გავიღიმე. ასე ვიდექი ერთი წუთი, ზუსტად ერთი წუთი, სამოცამდეც კი დავითვალე გუნებაში. მერე კვლავ მივიტანე თვალებთან ჭოგრიტი. მასწავლებლის ცოლმა ჭოგრიტი მოიცილა და გაიღიმა ძალიან სათნო და ლამაზი ღიმილით. ეჭვი აღარ იყო, მასწავლებლის ცოლი მე მიყურებდა. ხელი ავწიე

და ისეთი მოძრაობა გავაკეთე, თითქოს საათს დავხედე. უცებ მასწავლებლის ცოლმაც იგივე გააკეთა. მე ჭოგრიტი მოვიცილე და ისევ გავიღიმე, ზუსტად იგივე გააკეთა მანაც. ახლა ჩვენ სარკესთან საკუთარი გამოსახულების წინ მდგარ ადამიანებს ვგავდით და საოცარი სიზუსტით ვიმეორებდით ერთმანეთის მოძრაობებს. ექსპერიმენტი დამთავრდა.
– შერბინა, ჩაიწერე! – ვუთხარი შერბინას. – ჩაიწერე, მასწავლებლის ცოლი გამოვიდა ეზოდან, კვლავ განაგრძობს ჩვენი საგუშაგოების თვალთვალს.
– მომკლა ყოველდღე ერთი და იგივეს წერამ. მე მგონი, ეგ ქალი მაგათი მზვერავია! – თქვა შერბინამ და კალამი გადადო.
მზვერავია? ვინ იცის. ასეთი ხილული მზვერავი ჯერ არ გამიგონია.
ზის მთელი დღე და გვიღიმის. მზვერავი აი ის არის, საფარში რომ ზის და ვერ ვხედავთ ჰგონია, რამდენს გავიხედავ იქით, ხოხობივით ჩარგავს თავს საფარში, ტელესკოპი კი კუდივით უჩანს. მაგას ჰგონია, ის ტელესკოპი ხის ტოტი მგონია, ვაი მაგის პატრონს, უბედურს!
გამოდი, შე სულელო, სულ ერთია, გხედავ! კუკუ! კუკუ! რას მემალები?
უკვე ერთი წელია გხედავ, ბრიყვო! კუ-კუ, კუ-კუ! – მინდა, დავუძახო, მაგრამ არ შეიძლება, ეს სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა და მისი სუვერენიტეტის ხელყოფაა, ასე თქვა მაიორმა ჩხარტიშვილმა.
მასწავლებლის ლამაზი ცოლი კი ზის ვეებერთელა ქვაზე და ჭოგრიტს არ გვაცილებს. ვინ ხარ, გოგო, შენ? აბა მომიახლოვდი.
ახლოს მოდი, ახლოს, კიდევ, კიდევ, აი, ასე. ახლა შენს დიდებულ მკერდზე ხალსაც ვხედავ: ჭოგრიტი ძალიან ახლოხედვაზე დავაყენე და ჩვენს შორის არსებული რამდენიმე ასეული მეტრი გაქრა. მასწავლებლის ლამაზი ცოლი ჩემ წინ იჯდა დიდ ქვაზე და თვალებდახრილი მიღიმოდა.
– გამარჯობა, გოგო!
– გაგიმარჯოს, ჯუმა!
– რა გქვია, გოგო?
– რად გინდა ჩემი სახელი, ჯუმა?
– აბა, რა ვიცი, ისე გკითხე, მაინტერესებს ქართული სახელი გაქვს თუ არა?
– შენ რა გქვია, ჯუმა?
– მე? მე ავთო მქვია, ავთანდილ ჯაყელი, ოღონდ ეგ სამხედრო საიდუმლოებაა და არავინ არ უნდა იცოდეს.
– კარგი, ჯუმა, არავის ეცოდინება.
– რამდენი წლისა ხარ, გოგო?
– რამდენის ვიქნები?
– ცხრამეტის, ოცის, ოცდაერთის, არა?
– ჰო, ცხრამეტის, ოცის, ოცდაერთის.
– რას აკეთებ მთელი დღე, სულ ზიხარ ქვაზე, მიყურებ და მიყურებ, მოგწონვარ?
– ჰო, ძალიან მომწონხარ!
– მერედა ქმარი რომ გყავს?
– შენ ჯუმა მოგაფერი ხარ ჩემი!
– ეგ რაღაა?
– ძმობილი ხარ ჩემი, ჯუმა მოგაფერი.
– ჰოო, არ გწყინდება მთელი დღე ჩვენი ყურება?
– არა, ჯუმა მოგაფერი, ასე ვზივარ ამ ქვაზე, გიცქერით, ჩემს და მოგაფერებს და ჯუმა მოგაფერებს, დავდივარ ყველა ოჯახში, დაგყვებით ყველგან და ვიდრე ჩემი ქმარი

სკოლაშია, თქვენთან ვარ, ჩემს სისხლსა და ხორცთან, ნათესავებში. ხელს ხომ არ გიშლი, ჩემო ჯუმა მოგაფერი?
– რას ამბობ, გოგო, შენ რომ არ იყო, ალბათ, მოწყენილობა მომკლავდა, მიყურე რა, რა ხელი უნდა შემიშალო, შენი ყურება ჩემი მოვალეობაა. ძალიან ლამაზი ხარ, გოგო!
– ვიცი, რომ ლამაზი ვარ. შენც ლამაზი ხარ!
– მე რა ლამაზი ვარ, შორიდან გეჩვენება.
– არა, ლამაზი ხარ. მაქეთ ყველაფერი ლამაზია, თუ მეჩვენება?
– ლამაზია, გოგო, ძალიან ლამაზი, არ გეჩვენება, თქვენთან როგორ არის?
– ჩვენთან როგორ უნდა იყოს, როგორც ხედავ.
– თქვენთანაც ლამაზია!
– გულს მიკეთებ?
– გულს რატომ გიკეთებ, ცოტა მოუვლელია, თორემ ისე ლამაზია.
ანდა უშნო რად უნდა იყოს, ამ სოფლის მეზობელი არ არის?
– ჰო, მართალი ხარ.
– ეს მოხუცი ვინ არის, შენი დედამთილია?
– ჰო, ჩემი დედამთილია!
– რას გეუბნება, სახლში შემოდიო?
– სახლში შემოდიო.
– ახლა შენ წახვალ?
– წავალ, ჯუმა მოგაფერი.
– ხვალ ხომ ისევ მოხვალ, გოგო?
– მოვალ, ჩემო ჯუმა მოგაფერი.
– ნახვამდის, გოგო!
– ნახვამდის, ჯუმა მოგაფერი!
მანძილი კვლავ აღსდგა. მასწავლებლის ლამაზი ცოლი ადგა და მოხუცს გაჰყვა.
– დაწერე, შერბინა, მასწავლებლის ცოლმა დაასრულა ჩვენი თვალიერება.
საგუშაგოზე ორი ამერიკული მარკის ჯიპი მოვიდა, ორი მაღალი ჩინის ოფიცერი გადმოვიდა მანქანიდან და საგუშაგოს შენობაში შევიდნენ... წერ, შერბინა?
– ვწერ, მაგათი დედა ვატირე, ვწერ! – ამოიკვნესა შერბინამ.
უცებ გაღმა საგუშაგოზე ყვირილი, სტვენა, კივილი და ყიჟინა ატყდა.
ასკერების სამზარეულოდან უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი გამოვარდა და თავქვე დაეშვა, თან საქონლის ვეებერთელა ბარკალს მოათრევდა, უკან ნაჯახმომარჯვებული მზარეული მოსდევდა. მას უსადილოდ დარჩენის საფრთხეში მყოფი ასკერები შეუერთდნენ და ახლა ყველანი ერთად მისდევდნენ ძაღლს. ძაღლი მიხვდა, რომ ყოველი მხრიდან გზას უჭრიდნენ და ზღვისკენ ქნა პირი. ასკერები ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ნაგაზი ზღვას მიადგა, მუხლამდე წყალში შესტოპა, ხორცი რომ ვეღარ დაითრია, მოტრიალდა და მოახლოებულ ასკერებს თეთრი ეშვები გაუელვა.
ასკერები შედრკნენ. ერთხანს გაოგნებულები იდგნენ, მერე წინ ისევ მზარეული წადგა ნაჯახით და ნელი ნაბიჯით დაუწყო ძაღლს მიახლოება. ნაგაზი მიხვდა, რომ საქმე წაგებული იყო, ან ხორცი უნდა დაეტოვებინა, ან სიცოცხლე და უცებ მოხდა სასწაული. მე და შერბინამ გაოცებისაგან პირი დავაღეთ. გაოგნებული მზარეული კი ქვიშაზე ჩაცუცქდა და ორთავე ხელი თავზე იტაცა. ძაღლმა უზარმაზარი ხორცის ნაჭრით საზღვარი გადმოლახა და ჩვენს ტერიტორიაზე დაწვა, თათებშუა ამოიდო საქონლის ბარკალი და დინჯად დაუწყო გლეჯა, ხანდახან ასკერებსაც გახედავდა, აბა, თუ ბიჭები ხართ, გადმოდითო. ერთ საათს ეწვა ნაგაზი ბარკალს და რომ ადგა, მის გვერდით თეთრი, გაპარსული ძვალიღა იდო. კიდევ ცოტა ხანს დაჰყო მან ჩვენს

მიწაზე და როდესაც შეატყო, იმედგადაწურული ასკერები წავიდნენო, დინჯად დასტოვა ჩვენი ტერიტორია.
– რა ამბავია მანდ?! – ამოგვძახა ხმაურზე მოსულმა პარხომენკომ.
– არაფერი, ძაღლი გადმოვიდა იმათი!
– მივუშვა ტანგო? – იკითხა პარხომენკომ.
– შენი ტილიანი ტანგო კი არა, მოზვერი გაათავა ნახევარ საათში, – ჩასძახა შერბინამ.
– ჩამოდი, შერბინა, შენ და ტანგომ იარეთ ახლა, მანდ მე ამოვალ!
– ამოსძახა პარხომენკომ.
– შენ სულელი ხომ არ ხარ! მერე მე საზღვარი დავიცვა, თუ მაგისგან დავიცვა თავი?! – ჩასძახა შერბინამ.
– ზუდოვის დედა ავატირე, ეს რა ამკიდა, ჩვარივით დამათრევს აქეთ-იქით. აღარ ვიცი, მე ვარ ძაღლი, თუ ეგ. რაც უნდა, იმას მაკეთებინებს, – თქვა პარხომენკომ და ისევ აჰყვა საფეხურებს ზევით, მთაში.
გაღმა სოფელს გავხედე, ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. ეჭვს არაფერი იწვევდა. ჭოგრიტი შერბინას გადავეცი, კოშკის ოთახში შევედი და სკამზე ჩამოვჯექი, პაპიროსი ამოვიღე და გავაბოლე. საცარი გრძნობაა მესაზღვრეობა. წარმოიდგინე უცებ, ვეებერთელა საბჭოთა კავშირი თავის თვალუწვდენელი, დაულეველი, მთიანი, ზღვიანი, კლდიანი, ტბიანი, ჭაობიანი, ტყიანი და უდაბნო საზღვრით. წარმოიდგინე ასი, ათასი საგუშაგო და შლაგბაუმი, რომელიც დგას ამ საზღვარზე, წარმოიდგინე ათჯერ, ასჯერ და ათასჯერ მეტი მესაზღვრე, რომელიც იცავს საზღვარს. მერე წარმოიდგინე, რომ ამ უამრავ მესაზღვრეთაგან შენც ხარ ერთ-ერთი, ამ უზარმაზარი მრავალწერტილის ერთ-ერთი პატარა, პატარა წერტილი, ჭიანჭველა და კიდევ უფრო პატარა. და, მიუხედავად ამისა, დგახარ იმ პატარა მიწაზე, რომელიც ნაწილია იმ დიდისა და უზარმაზარის, დგახარ უზომოდ ძლიერი, უზომოდ ფხიზელი, მშვილდივით უკიდურესობამდე მოზიდული და მომართული, ოდნავ შემკრთალი, მაგრამ საოცრად ამაყი, სავსე პასუხისმგებლობითა და შეკრული ფიცით, დროშის წინ მუხლმოდრეკილი ფიცით, რომ შენ ერთს და მხოლოდ შენ ერთს გაბარია ორას ორმოცდაათი მილიონი კაცის ბედი. შენს გამო შენს მოიმედეებს სძინავთ, მათ და მათ შვილებს, მშვიდად და ტკბილად. შენს გამო ვერ ბედავს ის ვიღაც ომს, სისხლისღვრას, ყაჩაღობას, შენზეა დამყარებული კაცობრიობის ბედი, შენა ხარ ის ბურჯი, რომელსაც დიდი ასოებით აწერია CCCP, შენა ხარ ის, ვის გამოც ხმამაღლა სიტყვას ვერ უბედავენ შენს მიწაზე ფეხშემოდგმულ საკუთარ ძაღლსაც კი. შენ ხელთ გიპყრია იარაღი, რომლის პატარა, ერთი ციდა თეთრთავსახურიან პრიალა ტყვიაში ზღაპრული ჯინივით ზის ერთად ჩამოსხმული, შედუღაბებული და შეკრული იმხელა ძალა, რომელსაც შეუძლია დაამხოს სოფლები, ქალაქები, სახელმწიფოები, წყობილებები და ცივილიზაციები. შენ ხარ ამ ჯინის მბრძანებელი, მოწყალე ხელმწიფე. შენ ხარ ღმერთი და მთელი კაცობრიობა შენ შემოგცქერის ვედრების თვალით. საცარი გრძნობაა ჯარისკაცობა, განსაკუთრებით მესაზღვრეობა, და თუ ასე არ ფიქრობ, კაპიკია შენი ფასი.
– ჯაყელო, მოემზადე ინტერვიუსათვის, კლასიკოსი მოდის! – შემაწყვეტინა ფიქრი შერბინამ.
კოშკის მოაჯირს მივადექი და ქვევით გადავიხედე, აღმართს ნელი ნაბიჯით მოჰყვებოდა ზურგზე ხელებდაწყობილი და გულგაღეღილი მწერალი, ლეიტენანტი მდინარაძე.

შესახვედრად მოვემზადე. მდინარაძე მოუახლოვდა კოშკს და ზევით ამოიხედა, მერე დინჯად შეუდგა ამოსვლას, რკინის საფეხურებზე მისი ახალგაჭედილი ხრომის ჩექმების წკაპაწკუპი ისმოდა.
– მოდის! – თქვა შერბინამ, სიგარეტი გადააგდო, საყელო შეიკრა და ავტომატი მხარზე გადაიკიდა. მე იატაკს სარქველი ავხადე. სარქველში ჯერ ლეიტენანტის ჭაღარა თავი გამოჩნდა, მერე გაოფლილი შუბლი, მერე ყურებამდე გაღიმებული სიფათი და ბოლოს მთლიანად თვითონ ლეიტენანტი.
მე და შერბინა გავიჭიმეთ. მდინარაძეს, ალბათ, გაახსენდა ლეიტენანტი რომ იყო და უხერხულად გაიღიმა, ადგა და თვითონაც გაიჭიმა.
– ამხანაგო ლეიტენანტო, – დავიწყე მე. – ჩვენს უბანზე ჩვენი მორიგეობის დროს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. განწესის უფროსი, რიგითი ჯაყელი!
– არაფერი არ მომხდარა? – იკითხა შეწუხებული სახით მდინარაძემ.
– დიახ, ამხანაგო ლეიტენანტო, არაფერი არ მომხდარა! – ვუპასუხე მე.
– დაბრძანდით! – თქვა მან. მე და შერბინამ გაკვირვებულებმა შევხედეთ ერთმანეთს.
– გამარჯობათ! – გამოასწორა ბრძანება მდინარაძემ.
– Здравие желаем, товарищ лейтенант! – ვჭექეთ მე და შერბინამ. მდინარაძე მთლად დაიბნა.
– თავისუფლად! – მიაგნო ბოლოს და ბოლოს ბრძანებას მდინარაძემ.
მე და შერბინამ თავისუფლად ამოვისუნთქეთ.
– ეი, თქვენ, რას ყეფთ მანდ?! – ამოგვძახა ქვევიდან პარხომენკომ.
სამთავემ გადავიხედეთ. ლეიტენანტის დანახვაზე პარხომენკოს ენა ჩაუვარდა, გაიჭიმა და ტანგოს ხელი გაუშვა. ნახევარ მეტრზე ენაგადმოგდებულმა ტანგომ ყურები ცქვიტა და კოშკზე ამოსვლას შეუდგა. მე სასწრაფოდ დავხურე ხუფი.
– იკბინება? – იკითხა მდინარაძემ.
– იტკვირება! – თქვა შერბინამ და მოაჯირზე კისერი გადაყო. – ეი, შენ, დოყლაპია, ძაღლი მოგვაშორე! – ჩასძახა პარხომენკოს.
პარხომენკო ძაღლს დაეწია და რის ვაი-ვაგლახით ჩაათრია კიბიდან.
უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობოდა, მდინარაძემ არ იცოდა რა ექნა და საიდან დაეწყო. სიგარეტი „კენტი“ ამოიღო და მოგვაწოდა.
სიამოვნებით ამოვიღებდი ორ ცალს, მაგრამ შემრცხვა. მდინარაძემ შემატყო და გაიღიმა.
– ამოიღე, ამოიღე, თუმცა მოიცა, აი, ორ ცალს ამოვიღებ, დანარჩენი თქვენ გქონდეთ, ეს მეყოფა, ოთახში კიდევ მაქვს ბევრი! – თქვა მან და მთელი კოლოფი მომაწოდა.
– რას ბრძანებთ... – გავიპრანჭე მე.
– აიღე, აიღე და ეგ ჭოგრიტი მომეცი! – თქვა მან.
ჭოგრიტი მივაწოდე. მან ჭოგრიტი თვალებთან მიიტანა და გაღმა სოფლის თვალიერება დაიწყო, დიდხანს უყურა. მერე ჭოგრიტი ჩამოიღო და მომაწოდა.
– ვერაფერს ვხედავ, – მითხრა მან.
– აი, ამ ხელსაწყოში გაიხედეთ, უკეთ ჩანს! – ვუთხარი მე და ხელსაწყოსთან მივიყვანე. მდინარაძე სკამზე მოეწყო და ხელსაწყოში გაიხედა.
– ჰო, ეს სულ სხვაა! – თქვა მან.
– აი, იქ, მარჯვნივ! – დავუწყე ახსნა, – მაგათი საგუშაგოა, ხედავთ? ასკერებს წვრთნის ოფიცერი.
– ვხედავ. გადმოშვებული მწვანე შარვლები აცვიათ, ეს რა პრიმიტიული შაშხანებია?
– ამერიკული, ათვაზნიანი შაშხანებია.

– ეგ არის ამერიკული შეიარაღება? – მკითხა მან ისე, რომ თვალი არ მოუწყვეტია ხელსაწყოსათვის.
– არა, ამ ძველ შაშხანებს მაგათ აძლევენ, თვითონ უკეთესები აქვთ, – ავუხსენი მე.
– გასაგებია! – თქვა მდინარაძემ.
– აი, იქ ცოტა მარცხნივ, ორსართულიანი ბანიანი სახლი რომ არის, მაგათი მამასახლისისაა.
– რა მამასახლისია, ფანჯრები ვერ ჩაუსვია! – თქვა მდინარაძემ.
მე არ ვიცოდი, რა მეპასუხა და მხრები ავიჩეჩე.
– აი, იქით, წაბლის ოდა რომ დგას, სოფლის მასწავლებლისაა.
– სკოლა აქვთ?
– დიახ, დაწყებითი.
– რას ასწავლიან? – მკითხა მდინარაძემ.
მე არ ვიცოდი იმათი დაწყებითი სკოლის პროგრამა, ამიტომ ისევ ავიჩეჩე მხრები.
– ის რა არის, ზღვის პირას?
– ის ყავახანაა, ცოტა აქეთ – სკოლა.
– ხალხი სად არის, რომ არ ჩანან?
– სამუშაოზე. სათესები აი იმ მთის გადაღმა აქვთ.
– სინათლე არ აქვთ?
– არა!
– ცუდად ცხოვრობენ! – დაასკვნა ლეიტენანტმა და ხელსაწყოს მოსცილდა.
– ცუდად ცხოვრობენ! – დავუდასტურე მე.
– არ გადმოდიან?
– მეორე წელია ვმსახურობ, ჯერ არავინ გადმოსულა.
– ალბათ, ეშინიათ?
– ვისი?
– ასკერების!
– ალბათ, ეშინიათ.
– ისე ლამაზი სოფელი კია! – ამოიოხრა მან.
– კი, ძალიან ლამაზია! – დავუმოწმე მე.
– შეხედე, რა სანაპიროა, რა პლაჟი, რა კლდეები, პირდაპირ ზღვაში შესული კლდეები, შავი გემებივით დგანან ლურჯ ზღვაში.
ჰაუ, რა სილამაზეა. რა გვარი ხარ შენ?
– ჯაყელი!
– სულ ჩვენი იყო, ჯაყელო, აქედან ეჰეი... იქამდე. ლაზები ჩვენი ძმებია. მეგრულად ლაპარაკობენ. გესმის შენ მათი ლაპარაკი?
– ხანდახან ისმის, ღელის პირას რომ ჩამოდიან.
– გებულობ რამეს?
მე უარყოფის ნიშნად თავი გავუქნიე.
– რამდენი წლისა ხარ? – მკითხა მან.
– მეცხრამეტე წელიწადში ვარ, – ვუპასუხე მე.
– შენ? – ჰკითხა ახლა შერბინას.
– მეც!
– ცოლი გყავს?
– ცოლი პარხომენკოს ჰყავს! – თქვა შერბინამ.
– პარხომენკო ვინ არის? – გაუკვირდა მდინარაძეს.
– აი ის, ტანგოს რომ ახლავს.

– ტანგო ვიღა არის?
– ტანგო ძაღლია.
– ტანგო ვინ დაარქვა? – უფრო გაუკვირდა მდინარაძეს.
– ტანგო ზუდოვმა დაარქვა.
– ზუდოვი ვიღა არის? – არ მოეშვა შერბინას მდინარაძე.
– ჩვენი საგუშაგოს სია ჩხარტიშვილთან ინახება, ამხანაგო ლეიტენანტო! – გაუღიმა შერბინამ.
– რა გაცინებს, ბიჭო? – ღიმილითვე ჰკითხა მდინარაძემ.
– ისე ვიღიმები, ამხანაგო ლეიტენანტო, მიხარია!
– რა გიხარია?
– პირველად ვხედავ ცოცხალ მწერალს და მიხარია, – თქვა შერბინამ და ისევ გაიღიმა.
– სადაური ხარ? – ჰკითხა მდინარაძემ.
– ხარკოვიდან ვარ.
– მერე, ხარკოვში მწერლები არ არიან?
– არიან, მაგრამ არ მქონია შემთხვევა, მენახა.
– შენც არ გინახავს ცოცხალი მწერალი? – მომიბრუნდა მდინარაძე.
– როგორ არ მინახავს, ცოცხალიც მინახავს და მკვდარიც.
– ცოცხალ-მკვდარი მწერალი თუ გინახავს? – მკითხა მდინარაძემ.
მინდოდა მეთქვა, აგერ გიყურებთ, ბატონო-მეთქი, მაგრამ მომერიდა. მდინარაძე მიხვდა თავისი შეკითხვის სიმსუყეს და პასუხი რომ არ გამეცა, პირველ შეკითხვას უცებ მეორე მოაყოლა:
– რა განათლება გაქვს?
– ათი კლასი!
– უმაღლესში რატომ არ შედი?
– არ შემიშვეს, ამხანაგო ლეიტენანტო!
– თუ ძმა ხარ, ლეიტენანტს ნუ მეძახი, თორემ ვიღაც სხვას ელაპარაკები მგონია, – მთხოვა მდინარაძემ.
– ვეცდები, პატივცემულო მწერალო!
– ლადო მქვია მე. რაო, რატომ არ შეგიშვეს?
– სამედიცინოზე ვაბარებდი და ჩავიჭერი, – ავუხსენი მე.
– ჰო, სამედიცინოზე მოხვედრა ძნელია. სხვაგან არ გიცდია?
– არა, ბატონო!
– როდის ამთავრებ სამხედრო სამსახურს?
– ერთ წელიწადში!
– რომ ჩამოხვალ, მნახე და დაგეხმარები.
– გმადლობთ, პატივცემულო!
მდინარაძემ ჩემს მადლობას ყურადღება არ მიაქცია, ჭოგრიტი ჩამომართვა და ისევ გაღმა სოფელს დაუწყო თვალიერება.
– პატივცემულო ლეიტენანტო, – მიმართა უცებ შერბინამ. – თქვენი ნებით წამოდით ჯარში?
მდინარაძემ ჭოგრიტი მოიშორა და შერბინას შეხედა, კიდევ ხომ არ მეხუმრებაო. შერბინა ისეთი სერიოზული სახით უცქეროდა, გამიკვირდა კიდევაც.
– ჩემი ნებით, შერბინა. რა იყო, არ მეტყობა, ჯარის ასაკს რომ გადაცილებული ვარ?
– როგორ არა, მაგრამ... ჩვენზე უნდა დაწეროთ რამე?
– ჰო, ვეცდები რამე დავწერო.

– რა უნდა დაწეროთ, ამხანაგო ლეიტენანტო, დღეები ისე ჰგვანან ერთმანეთს, გუშინ მოვედი მგონია. მეორე წელია ვმსახურობ, თოფის გასროლა რა არის, ის არ გამიგონია იქითა მხრიდან. ჩვენს, მესაზღვრის გაზეთში ვკითხულობ – იქ ეს მოხდა, აქ ეს მოხდაო, იქ ეს დაიჭირეს, აქ ეს დაიჭირესო. მოკლედ, სხვაგან სიცოცხლე დუღს. ჩვენთან კი რა?
ყოველ დილით ვუსმენ ამ მოლას ყროყინს, ვუყურებ როგორ წვრთნის ასკერებს ოფიცერი, როგორ დადიან თევზის საჭერად, როგორ დადის სკოლაში მასწავლებელი, როგორ აპურებს დედამისი ქათმებს, როგორ იმალება ის სულელი ასკერი თავის საფარში და როგორ ჯდება ქვაზე მასწავლებლის ცოლი, იმასაც არ მაყურებინებს ჯაყელი, სულ თვითონ უყურებს. მოკლედ, საზღვარი კი არა, ჩუმი ჯოჯოხეთია, – ამოიოხრა შერბინამ.
– შენ რევანშისტი ყოფილხარ, ჩემო შერბინა, სიწყნარე არ ჯობია?
– გაუცინა მდინარაძემ.
– როგორ გეკადრებათ, რევანშისტი კი არა, სისხლი შემიდედდა უსაქმურობისაგან. დაჭერას არ ვჩივი, უბრალოდ თვალი შემავლებია ჯაშუშზე და მეტი არაფერი მინდა, – ინატრა შერბინამ.
– ნუ გეშინია, დაიჭერ, შერბინა! – დაპირდა მდინარაძე.
– თქვენ პირს შაქარი, ამხანაგო ლეიტენანტო, ოღონდ ჯაშუში დამაჭერინა და ისევ გავუშვებ, მარტო ხელი მომაკიდებინოს.
– აკი გითხარი, დაიჭერ-მეთქი!
– მაგის იღბალი მე ვინ მომცა! – დაისაწყლა თავი შერბინამ.
– ნუ გეშინია, შერბინა, მე ისეთი იღბალი მაქვს, ამ ორ თვეში სამს თუ არა, ოთხ ჯაშუშს დავიჭერთ. მერე მე თქვენზე, შენზე და ჯაყელზე წიგნს დავწერ...
– პარხომენკოც ახსენეთ, ცოდვაა, ამხელა ძაღლს დაათრევს ბიჭი, როდის ჩაყლაპავს იმ უბედურს, არ იცის, აი, ვისი სიცოცხლე ჰკიდია ბეწვზე, ნუ გამოტოვებთ, თუ შეიძლება! – გაუწია პარხომენკოს პროტექცია შერბინამ.
მდინარაძეს გაეცინა.
– პატივცემულო მწერალო, – განაგრძო შერბინამ, – აი, წუხელ ყაზარმაში ბიჭები ვკამათობდით... – შერბინა შეყოყმანდა.
– რაზე კამათობდით? – დაინტერესდა მდინარაძე.
– თქვენზე... თქვენზე კი არა, საერთოდ, მწერლობაზე, ბიჭებმა თქვეს, რომ... – შერბინა ისევ შეყოყმანდა.
– რაო, შერბინა, თქვი?!
– ბიჭებმა თქვეს, ყველა მწერალი ცოტათი დარტყმულიაო... მართალია? – შერბინა პასუხის მოლოდინში გაინაბა. მდინარაძეს სიცილი აუტყდა.
– როგორ მატყობ, შერბინა, მე დარტყმული ვარ? – ჰკითხა მან, სიცილს რომ მორჩა.
– თქვენ, ამხანაგო ლეიტენანტო, ჯერ არაფერი არ გეტყობათ, გარდა იმისა, რომ თქვენი ნებით წამოსულხართ ჯარში.
მდინარაძეს ისევ აუვარდა სიცილი. ვიცინოდი მეც და სულ ბოლოს შერბინასაც აუტყდა სიცილი, ალბათ, თავისი სულელური კითხვების გამო.
– მერე ბიჭები ორად გაიყო, – განაგრძო შერბინამ. – კარალიოვი, არბუზოვი, ივანოვი და ძნელაძე ამბობდნენ, მწერლობა რა არის, მწერლობა არაფერია, მოვიდა, ნახა, დაწერა, მიიტანა, დაუბეჭდეს, ფული აიღო და სახლში წავიდაო. მეორე ჯგუფი ამბობდა: აი, ჯაყელიც იმ ჯგუფშია, მწერლობა ძალიან ძნელიაო. როგორ არის, თუ შეიძლება, მითხარით, ძნელია მწერლობა თუ არა? – შერბინა ისევ ძალიან სერიოზული გახდა.

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

– შენ როგორ ფიქრობ, შერბინა? – ჰკითხა მდინარაძემ.
შერბინამ კეფა მოიქექა.
– მე არ ვიცი! – თქვა ბოლოს და მხრები აიჩეჩა.
მდინარაძე სკამზე ჩამოჯდა, საკუთარი სიგარეტი გვთხოვა, მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და დიდხანს, დიდხანს დუმდა. მერე ისე დაიწყო, თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა: – როგორ აგიხსნა... მწერლობა, ჩემო შერბინა, ისეთი რამ არის...
– მდინარაძე ისევ დადუმდა, მერე მარცხენა ხელისგული გაშალა და მარჯვენათი ნეკი ჩაიღუნა, – პუშკინი მოკლეს, ლერმონტოვი მოკლეს, ფედერიკო გარსია ლორკა მოკლეს, გოგოლი გაგიჟდა, ყაზბეგი გაგიჟდა.
– მდინარაძე მეორე ხელზე გადავიდა, – ილია ჭავჭავაძე მოკლეს, ჩეხოვი ჭლექით მოკვდა, ვაჟა-ფშაველა ჭლექით მოკვდა, ჰემინგუეიმ თავი მოიკლა, ესენინმა ვენები გადაიჭრა და მერე თავი ჩამოიხრჩო, სტენდალი ქუჩაში წაიქცა, მაიაკოვსკიმ თავი მოიკლა, ტიციან ტაბიძე მოკლეს... ცვეტაევამ, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, თავი ბაწარში გაუყარა... მარტო კრილოვი, ერთადერთი მწერალი მსოფლიოში, მოკვდა ბლინების ჭამით... – მდინარაძე კვლავ დადუმდა.
პირდაფჩენილი შერბინა თვალებს აპარპალებდა და გაოგნებული ხან მე მიყურებდა, ხან – მდინარაძეს.
– გასაგებია? – ჰკითხა მდინარაძემ შერბინას და წარბებქვეშიდან ამოხედა.
– ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო ლეიტენანტო! – თქვა შერბინამ და ნერწყვი გადაყლაპა.
– კარგია თუ ყველაფერი გასაგებია, – თქვა მდინარაძემ, წამოდგა, ჩასასვლელს ხუფი ახადა, შერბინას ლოყაზე ხელი მოუთათუნა და წყნარად დაეშვა დაბლა.
ჩვენ ორსართულიან ყაზარმაში ვცხოვრობთ. თითო ოთახში ხუთი-ექვსი კაცი ვართ, ადგომისა და დაწოლის დრო საზღვარზე მკაცრად და ყველასათვის ერთდროულად არ არის განსაზღვრული, სადღეღამისო მორიგეობის გამო. იმას, ვინც დღისით მორიგეობდა, ღამით სძინავს, ვინც ღამით მორიგეობდა – დღისით, ასე რომ, ერთად მთელ საგუშაგოს ვერასოდეს ვერ ნახავ ან ძალიან იშვიათად, ისიც განგაშის დროს.
სექტემბრის ბოლო რიცხვებია. ერთი კვირაა წვიმს, უსაშველოდ წვიმს, ისე როგორც იცის ზღვისპირას, გაბმულად, გადაუღებლად, გამოუდარებლად, ცრის და ცრის, დალპა ხეც, ნიადაგიც, სასაზღვრო ღობეც, ჩექმაც, ქურქიც. წვიმამ გაატანა ყველაფერში, რეზინის ლაბადებსა და რეზინის ჩექმაშიც. ნესტმა დაბერა სარკმლის რაფები, ჩარჩოები, საბუთები, ასანთი, სიგარეტი, ყველაფერი. გათბობა ჯერ არ დაწყებულა. ნესტიანია საწოლიც, ლეიბიც, საბანიც, საგებიც, სახურავიც, ჰაერიც. ყველაფერი ნესტიანია, დალპა ბუნება. მოგვკლა საკონტროლო კვალის თოხნამ და ფარცხვამ, ყოველ დილით, ყოველ შუადღეზე, ყოველ საღამოს ღვარს მიაქვს ბოძი, წყვეტს მავთულს, ანგრევს მთაში ასასვლელ ხის საფეხურებს. და ისევ ყოველ დილით, ყოველ შუადღეს, ყოველ საღამოს, კიბის აღდგენა, ბოძის გამოცვლა, მავთულის დაჭიმვა, სისტემის აღდგენა, თოხნა და ფარცხვა, აუტანელია ამ დროს ღამე სკვარამი, უკუნი, ტალახი, წითელი ალიზი ტალახი, წებოიანი, ლანჩებს გღლეტს, მუხლს გართმევს და წელში გწყვეტს, აღმართი, დაღმართი, სიფრთხილე, სიჩუმე, სიბნელე, შიში, სიცივე, ძილი, უსაშველოდ მძიმე ქუთუთოები და უსაშველოდ მძიმე ავტომატი, ცოცხალ-მკვდრები ვბრუნდებით განწესიდან.
უგემურად ვჭამთ ცხელ ულუფას, მერე სამზარეულოს სუნი და სითბო ჟრუანტელივით დაძვრება სხეულში, ძლივს ვასწრებთ ყაზარმაში შესვლას, გახდას, ბალიშზე თავის დადებას და გვძინავს, მკვდრებივით გვძინავს. ასეთი დრო ყველაზე საშიში დროა საზღვარზე, განსაკუთრებით ხმელეთიდან; ზღვა ისე საშიში არ არის,

როგორც ხმელეთი; ზღვა უკვე ცივია, იშვიათად გაბედოს ვინმემ ასეთ დროს ზღვით შემოსვლა ან გასვლა. ხმელეთი კი ამ დროს წამალია, ოცნებაა, საზღვრის დამრღვევისათვის.
მე, შერბინა და პარხომენკო დღეს დღისით ვმორიგეობდით, დახოცილები დავბრუნდით საზღვრიდან, ღობე აღვადგინეთ, ტექნიკური მოწყობილობა შევამოწმეთ, საკონტროლო კვალი მოვიყვანეთ წესრიგში და წვიმისაგან ჩამორეცხილი 70 საფეხური შევაკეთეთ. დახოცილები დავბრუნდით საზღვრიდან და მაინც ბედნიერები ვართ, რომ ღამით არ გვიწევს მორიგეობა, ალბათ, ამის გამო არ გვძინავს.
პარხომენკოს, შერბინასა და ჩემს გარდა ჩვენს ოთახში კიდევ სამი ბიჭია – მორდიუკოვი, ბალტერმანცი და ძნელაძე. სამთავე დიდებული ბიჭებია, წუხელ ღამით მორიგეობდნენ და ახლა ისე ტკბილად სძინავთ, თუ აცალეს, ერთ კვირას არ გაიღვიძებენ, მაგრამ ვინ აცლის, ერთ საათში ისევ მორიგეობა უწევთ. მარტო იმის გახსენება, რომ ამაღამ ისევ ამათ უწევთ მორიგეობა და არა ჩვენ, საამო ჟრუანტელს მგვრის ტანში.
– კიდევ ერთი კვირა რომ გასტანოს ასე, ალბათ, დავიხოცებით! – თქვა პარხომენკომ.
– ერთი კვირა კი არა, მგონი, ეს დარჩენილი წელიწადიც სულ იწვიმოს, – ამოიოხრა შერბინამ. – ჯაყელო, გძინავს?
– არა!
– რაზე ფიქრობ?
რაზე ვფიქრობ? აბა, რა ვიცი, რაზე ვფიქრობ. ამ წუთში, გარდა საზღვრისა, არაფერზე არ ვფიქრობ. საზღვარი ისეთი რამ არის, რაზეც არ უნდა იფიქრო, ბოლოს მაინც საზღვართან მიგიყვანს.
– საზღვარზე ვფიქრობ!
– მეც საზღვარზე ვფიქრობ, რაც ბავშვობაში საზღვართან დაკავშირებული ეპითეტებით მამკობდნენ, ყველას ახლა ვხვდები.
– მაინც როგორ გამკობდნენ? – ჰკითხა პარხომენკომ.
– ალგებრის მასწავლებელი უსაზღვროდ კრეტინს მეძახდა.
წარმოიდგინე, უსაზღვროდ კრეტინი, საზღვარი არ გაქვს, ესე იგი, შენი კრეტინიზმი გადაჭიმულია დედამიწის ერთი კიდიდან მეორემდე, არც შლაგბაუმი ადევს შენს კრეტინობას, არც საბუთს უსინჯავენ, არც ღობეს უშენებენ, მიდის და მიდის მდინარესავით, უერთდება ზღვას, მერე – მეორეს, სრუტეებით, არხებით, მერე – მესამეს, შედის ოკეანეში, მერე ორთქლდება, მერე წვიმად მოდის, ბალახად ამოდის, ხედ ამოდის, ღრუბლად დაქანაობს ცაში, ჭექს, ქუხს, მოკლედ შენია მთელი მსოფლიო, შენ ხარ მთელი სამყარო, უსაზღვროდ კრეტინი, აუ, რამხელა რამეა. ალგებრის მასწავლებლის ოჯახს ააშენებს ღმერთი, როგორ მაფასებდა, როგორი წარმოდგენა ჰქონია თურმე ჩემზე და მე კი მლანძღავდა მეგონა, – თქვა ოცნებაში წასულმა შერბინამ.
– რაღა დაგიმალოთ და, მე უსაზღვროდ შეზღუდულს მეძახდნენ, – თქვა პარხომენკომ.
– ვინ გეძახდა? – ჰკითხა შერბინამ.
– ყველა! – თქვა პარხომენკომ და ამოიოხრა.
– რატომ? – ჰკითხა შერბინამ.
– აბა, რა ვიცი!

– უსაზღვროდ შეზღუდული, ნამეტანია! – ფიქრის შემდეგ თქვა შერბინამ, – შეზღუდული თავისთავად შემოღობილს ნიშნავს, და წარმოიდგინე, ისიც უსაზღვრო, რაღა უბედურება იქნება! ეგ, რაღაცნ უსაზღვრო კრეტინზე უარესია.
– ვიცი, – ისევ ამოიოხრა პარხომენკომ.
– შენ რას გეძახდნენ, ჯაყელო? – მკითხა შერბინამ.
– მე უსაზღვროდ ნიჭიერს!
– ჰო, ჰო, ჰო, უსაზღვროდ ნიჭიერი! აბა, წარმოიდგინე, უსაზღვრო ნიჭი გაგაჩნია, იცი ყველაფერი, ხედავ ყველაფერს, გესმის ყველაფერი, შენც, უსაზღვრო კრეტინის არ იყოს, არც შლაგბაუმი გაქვს, არც საბუთებს გისინჯავენ, არც არაფერი გაკავებს, გადადიხარ, გადმოდიხარ, ზღვა ხარ, ოკეანე ხარ, ღრუბელი ხარ, ყველგან ხარ, ყველაფერში ხარ, მოკლედ, შენა ხარ რა!!! მოცულობა, უფლებები და სივრცე მე და შენ ერთნაირი გვაქვს, ერთ სამყაროში ვართ, ერთმანეთში ვართ გათქვეფილები, ამიტომ კაციშვილმა არ იცის, რომელი რომელია ჩვენ ორში; ჯაყელო, მე მგონი, უსაზღვროდ ნიჭიერი იგივე უსაზღვროდ კრეტინია? ა, რას იტყვი შენ, პარხომენკო?
– კარგია, მასე რომ იყოს, მაშინ იქნებ მეც დამადგეს საშველი, – მიეცა იმედი პარხომენკოს.
– ზუსტად ასეა, თუ უსაზღვროა, ესე იგი, ასეა.
– კრეტინობას მაინც აქვს საზღვარი, – ვთქვი მე.
– სად? – იკითხა შერბინამ.
– არ ვიცი სად, მაგრამ მაინც აქვს.
– არ დაიჯერო მაგი. ყველაფერს აქვს საზღვარი, კრეტინობის გარდა, იმიტომ, რომ არავინ არ იცის, სად იწყება და სად მთავრდება კრეტინიზმი. ესეც რომ არ იყოს, კრეტინიზმს საზღვარი თუნდაც იმიტომ არ დაედება, რომ თვითონ საზღვარი კრეტინიზმია, – თქვა შერბინამ და დადუმდა, ალბათ, თვითონ გაუკვირდა, ეს რა ვთქვიო და ახლა ფიქრობდა, ამის იქით რაღა ვთქვაო.
– შერბინა, ეგ თვითონ მოიგონე, თუ წაიკითხე სადმე? – ჰკითხა პარხომენკომ.
– ამას რა წაკითხვა უნდა? – თქვა ამაყად შერბინამ.
– ესე იგი, ჩვენ აქ რომ ვდგავართ ზამთარ-ზაფხულ, წვიმაში, თოვლში, ქარში, ტალახში, დღე და ღამე რომ გასწორებული გვაქვს, კრეტინები ვართ? – ცოტა არ იყოს წყენით თქვა პარხომენკომ.
– სულ ეგრე არ არის! – დაეჭვდა შერბინა.
– აბა როგორ არის?! თქვენ სოფელში ღობე არ გაქვთ? – ჰკითხა პარხომენკომ.
– გვაქვს! – თქვა შერბინამ.
– რატომ გაქვთ?
– პირუტყვი რომ არ ჩამოვიდეს: ძროხა, ღორი, ცხენი, ვირი.
– ადამიანი?
– ადამიანისათვის ჭიშკარი გვაქვს!
– გაღებულია ჭიშკარი?
– არა!
– რატომ?
– ადამიანთან ერთად პირუტყვიც რომ არ შემოვიდეს.
– როგორ ახერხებთ მერე მაგას?
– როგორ და... მოვა კაცი, დაიძახებს მასპინძელოო, გავუღებთ კარს და, მობრძანდიო, ვეტყვით.
– მერე?

– რას ჩამაცივდი, შე უდღეურო, სტუმარი არ მოგსვლია სახლში, თუ ქუჩაში ცხოვრობ?! – აუწია ხმას შერბინამ.
– იმ კაცს თუ პირუტყვი ახლავს? – არ მოეშვა პარხომენკო.
– იმისი ოჯახი აშენდა, ვინც შენ უსაზღვროდ შეზღუდულს გეძახდა!
– დაილოცა შერბინა.
– ბიჭო, შერბინა, თქვენს მეზობლებს თუ აქვთ ღობე? – ვკითხე ახლა მე.
შერბინა ლოგინში აწრიალდა.
– აქვთ, აბა, არა აქვთ?
– რატომ?
– იმიტომ, რომ პირუტყვი მარტო ჩვენს ეზოში კი არ შემოდის.
– ესე იგი, კრეტინიზმს ჰქონია მაინც საზღვარი.
– ნიჭიერებას? – მკითხა თავის მხრიდან შერბინამ.
– საზღვარი ყველაფერს აქვს, – ვთქვი მე და უცებ გალაქტიონის ლექსი გამახსენდა.
„... სულს მოსწყურდა საზღვარი, როგორც უსაზღვროება!“
– სამყაროსაც? – შემომიტია შერბინამ.
– ეგ არ ვიცი, მაგრამ ყველა სამყაროს თავისი საზღვარი აქვს.
– გამოდის, რომ საზღვარი უსაზღვროდ შეზღუდული ყოფილა! – დაასკვნა პარხომენკომ და იქვე დადუმდა, იმის შიშით, რაიმე სისულელე არ წამომცდეს ამის შემდეგო.
– რა თქვი? – ჰკითხა შერბინამ.
პარხომენკომ არ იცოდა, რა თქვა და ამიტომ წაუყრუა შერბინას.
– უბედური შენი მშობლები და ტანგო! – თქვა შერბინამ და პასუხი რომ არ გაეგონა, თავზე საბანი წაიფარა.
– დავიძინოთ, დავიძინოთ! უსაზღვროდ მეძინება, – თქვა პარხომენკომ და მანაც წაიხურა თავზე საბანი. მეც წავიხურე საბანი თავზე და დაძინება ვცადე. დიდხანს ვიწრიალე, მაგრამ არ მოვიდა ძილი, პირიქით, სულ უფრო და უფრო ვფხიზლობდი. ძნელაძის ბიჭები მშვიდად ფშვინავდნენ.
– ბიჭებო, გძინავთ?! – გავეხმიანე შერბინასა და პარხომენკოს.
არც ერთმა ხმა არ გამცა. ვიცოდი, არ ეძინათ, მაგრამ ხმა კი არ გამცეს. ასე იციან ხოლმე, თუ ლაპარაკი არ უნდათ, თავს მოიმკვდარუნებენ.
არ უნდათ, და ნუ უნდათ, მოლაპარაკის მეტი რა მყავს.
– რას შვები, ბიჭო ავთო, როგორ ხარ?
– რა ვქნა, ჩემო ჯაყო, ვემსახურები საბჭოთა კავშირს.
– ხომ არ გიჭირს, ბიჭო?
– რატომ უნდა მიჭირდეს, სხვას თუ არ უჭირს, მე რა წითელი კოჭი ვარ!
– გამოტყდი რომ გიჭირს, ავთო!
– არა, ჯაყო, კი არ მიჭირს, უბრალოდ, ძნელია საზღვარზე სამსახური, ძალიან ძნელია.
– სახლი არ გენატრება?
– მენატრება რომელია, ისე მენატრება, ლამის ვიტირო.
– ვინ გენატრება, ავთო?
– ვინ არ მენატრება, ბაბუაჩემი ისიდორე ჯაყელი მენატრება, ვანიჩკა ბიძია მენატრება, შურა დეიდა მენატრება, აბოც მენატრება!
– მერე, როგორ ძლებ უიმათოდ?
– რა მიჭირს, შე კაცო, მშვენიერ ბიჭებში ვარ, უფროსიც კარგი გვყავს, მაიორი ჩხარტიშვილი, გადასარევი კაცია, ცოტა მკაცრი კია.

იმ დღეს, პაპიროსის ნამწვავი დავაგდე ყაზარმის დერეფანში, ორი საათი საგუშაგოს საერთო საპირფარეშო მახეხია. მერე, ერთხელაც, პარხომენკოს დაბადების დღე იყო, ბათუმში ვიყავით, დასვენების დღე გვქონდა სწორედ, მართალია, პარხომენკო იმ დღეს არ დაბადებულა, 14 აგვისტოს დაიბადა, სამშაბათს, მაგრამ ჩვენ მისი დაბადების დღე კვირისათვის გადავდეთ, ესე იგი 19-ში, როდესაც დასვენება გვერგებოდა, ფული შევაგროვეთ, გასტრონომში სამი ბოთლი არაყი, ნახევარი კილო დიაბეტური ძეხვი, ნახევარი კილო შავი პური ვიყიდეთ და ზღვის პირას მშვენიერი დაბადების დღე გავმართეთ. თამადა მე ვიყავი, მშობლების სადღეგრძელო რომ ვთქვი, პარხომენკო ტირილით გასკდა.
– რა გატირებს, ბიჭო? – ვკითხე.
– როგორ რა მატირებს, ზუდოვი დღე და ღამე დედას მაგინებს და შენ აქ დედაჩემის სადღეგრძელოს სვამ, მოდი, ჯერ გაკოცებ და მერე დედაჩემს მივწერ, რა ოქროს ბიჭიცა ხარ. – პარხომენკომ ჯერ მაკოცა, მერე ფანქარი და ქაღალდი მთხოვა. რა თქმა უნდა, მივეცი.
– ჯერ დავლიოთ, წერილი მერე დაწერე, სულელო, ახლა ფოსტა დაკეტილია! - უთხრა შერბინამ პარხომენკომ ფანქარი დამიბრუნა, ქაღალდი ჯიბეში ჩაიდო – დამჭირდებაო. მერე შერბინა ვადღეგრძელე.
– ქართველებმა ლამაზი სადღეგრძელოები იცით, ნეტა, რასაც ამბობთ, თუ ფიქრობთ ან თუ აკეთებთ?! – მითხრა შერბინამ.
– შენისთანა უმადური ღორი სუფრიდან უნდა გააგდოს კაცმა, მაგრამ, მადლობა მითხარი, რომ არ გაგდებ, – ვუთხარი შერბინას.
– ღორიცა ხარ და ღორის ჩხინკორაც! – მითხრა შერბინამ მშვიდად.
მე ბევრი არ მიფიქრია. შერბინას ყურში მოვკიდე ხელი და სამჯერ გადავუტრიალე. შერბინამ იბღავლა და თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა. მერე პარხომენკომ ორთავე იღლიაში ამოგვიჩარა, ზღვასთან მიგვიყვანა და სამ-სამჯერ ჩაგვაყოფინა თავი წყალში.
საგუშაგოზე ჩხარტიშვილმა თავისი ხელით შეგვხსნა ქამრები და ნაობახში სულ კინწისკვრით შეგვყარა ღამით, მე და შერბინას, შეციებული გოჭებივით, მოდღლეშილი პარხომენკოს იღლიების ქვეშ გვეძინა, დილით ჩხარტიშვილი მოვიდა.
– როგორ ხართ? – გვკითხა მან ღიმილით.
– მშვენივრად, ამხანაგო მაიორო! – უთხრა შერბინამ, – ცალ-ცალკე უნდა ჩაგესვით, თორემ ერთად ხომ პარხომენკოს დაბადების დღეზეც ვიყავით! – ჩხარტიშვილს გაეცინა, ქამრები დაგვიყარა და ახლა ნაობახიდან გამოგვყარა კინწისკვრით.
– რა გინდა, კარგი კაცი ყოფილა!
– მეც მაგას ვამბობ, კარგი კაცია-მეთქი.
– სხვა კიდევ რა?
– კიდევ რაღა გინდა, გართობაც გვაქვს, კინოებსაც ვნახულობთ, შეხვედრები გვაქვს სტუდენტებთან, მოსწავლეებთან. ბიბლიოთეკაც გვაქვს, წიგნებს ვკითხულობთ, კლუბი გვაქვს, ვმღერით, ვცეკვავთ, კონცერტებს ვმართავთ, რა თქმა უნდა, თავისუფალ დროს. დრო კი ძალიან, ძალიან ცოტა გვაქვს... ისე ცოტა, რომ გამოძინებასაც ვერ ვასწრებთ, აი, ახლაც, იმის მაგივრად, რომ მეძინოს, რაღაც სისულელეებს ვყვები. ძილი ნებისა, ჯაყო, გვეყოფა.
– ძილი ნებისა, ავთო!
ქუთუთოები მიმძიმდება, თანდათან ვდუნდები. ფიქრი უთავბოლოდ გამირბის, აზრი მებნევა, მეკარგება, მერე ისევ აღსდგება, მერე ისევ მეკარგება, აი სულ გაქრა თითქოს... წავედი, წავედი, სადღაც ჩავიძირე და უცებ ორმა, ზედიზედ გასროლამ

გამომაფხიზლა. შუშხუნაა, ვიცანი ხმაზე, წამოვხტი და ფანჯარას ვეცი, პარხომენკო და შერბინა უკვე სარკმელთან იყვნენ.
– განგაშისაა! – თქვა შერბინამ და ჩექმებს სტაცა ხელი. განგაში რომ გამოცხადდა და მორიგე შემოვიდა, ექვსივე ფეხზე ვიდექით.
– ყველანი დერეფანში! – თქვა მორიგემ და ოთახიდან გავარდა.
ჩხარტიშვილი, კოროლიოვი და პავლოვი უკვე დერეფანში იდგნენ საწვიმრებითა და ხელის ფარნებით. ორ მწკრივად მოვეწყვეთ.
– სმენა, სწორება პირდაპირ, ამხანაგო მაიორო, საგუშაგო მოწყობილია! – მოახსენა ზუდოვმა.
– განწესის უფროსებო, ნაბიჯი წინ! – ბრძანა მაიორმა. მე და რამდენიმე ჯარისკაცი წინ წავდექით, ჩვენს გვერდით ძნელაძე იდგა.
– ჯარისკაცებო! – დაიწყო მაიორმა, – სისტემამ იმუშავა, მეოთხე უბანზე დარღვეულია საზღვარი. სხვა დროს შეიძლებოდა უფრო მშვიდად გვემოქმედა. ასეთ დროს, ასეთ ამინდში მოვითხოვ მაქსიმალურ ორგანიზებულობას და სწრაფ მოქმედებას. არც ერთი შეცდომა, ვაცხადებ ЧП-ს. გიბრძანებთ, გახვიდეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საზღვრის დასაცავად. შეკითხვები არის?
– არ არის!
– შეუდექით ბრძანების შესრულებას!
საზღვარი ცას, ხმელეთსა და ზღვას შორის წაშლილია...
მივდივართ სწრაფად, მაგრამ ფრთხილად. მეოთხე უბნამდე კილომეტრ-ნახევარია. იქ არიან ბიჭები, მაგრამ სამი ბიჭი რას გააწყობს, ვიდრე საზღვრის დარღვევის ადგილთან მივლენ, შეიძლება, ყველაფერი დამთავრდეს. ამიტომ მივდივართ ორ ფრთად – ნაწილი ზღვისკენ, ნაწილი – მთაში. მე, შერბინა, პარხომენკო და ტანგო დაცვის მეორე ხაზს მივყვებით მთაში. წინ პარხომენკო მიდის ძაღლით. ავტომატები ჯერ გადაკიდებული გვაქვს. წვიმს, ისე წვიმს, რომ წვიმას აღარ ჰგავს, თითქოს ციდან ჩანჩქერი ჩამოდისო, ისე ასხამს, ერთ წუთში ჩვენი მოსასხამები წყლით გაიჟღინთა და ისე დამძიმდა, თითო ფუთი გახდა. ჩექმები წყლით აგვევსო, ფეხი ტალახზე ცურავს და ნახევარჯერ ფორთხვით მივდივართ... მეოთხე უბანთან პირველები მივედით.
– პაროლი! – გვესმის ხმა.
ვერავის ვხედავ, უცებ ჯიბის ნათურის დანასავით მჭრელი შუქი მჭრის თვალებს. ძალაუნებურად ხელს ვიფარებ.
– ლიტრაჟი! – ვეუბნები და მეც ვანათებ ფარანს. ვხედავ, სკვარცოვია. მაინც ვეკითხები:
– პასუხი?
– დუნაი! – მპასუხობს სკვარცოვი.
– რა ამბავია, სკვარცოვ? – ვეკითხები.
– აბა, რა ვიცი, ამის დედა ვატირე, ორ მეტრზეა ღობე გაღლეტილი, კვალი არ ჩანს, გადარეცხილია, თფუ, პირი წყლით მევსება, რომ ვლაპარაკობ, – გადააფურთხა სკვარცოვმა.
– მავთულზე ბეწვია დარჩენილი, აგერ, ჩემს ბიჭებს აქვთ, დათვის უნდა იყოს.
– ეგ კიდევ საკითხავია, – თქვა შერბინამ.
– პარხომენკო, ძაღლი მიუშვი.
– ტანგო, ეძებე! – უბრძანა პარხომენკომ და თასმა მიუშვა.
ტანგო ყნოსავს ბეწვს, მერე – მიწას, ტანგოს უჭირს, ერთ ადგილას ტრიალებს, ერთთავად ტალახშია ამოსვრილი. ფრუტუნებს, წკმუტუნებს, ყურებს აპარტყუნებს,

გარბის სადღაც, მერე ბრუნდება, უკანა თათებზე ჯდება და გაოცებული გვიმზერს. წვიმს, ცა ფეხად ჩამოდის.
– მიდი, ტანგო, ეძებე, ძვირფასო, მიდი. ახლა გვინდა შენი დახმარება! – ბავშვივით ეხვეწება მის წინ ჩაცუცქული პარხომენკო.
ტანგო მიდის და ისევ უკან ბრუნდება.
– ეძებე, ტანგო, გენაცვალე, ეძებე! – ეხვეწება პარხომენკო და ტანგომ უცებ დაიქუხა. ტანგო გავარდა. მივყევით, პარხომენკომ ღვედი მიუშვა, წინ ტანგოს ფრუტუნი და ხრიალი ისმის.
– კიდევ მიუშვი! – ვეუბნები პარხომენკოს.
– რაღა მივუშვა, მეტი აღარ არის! – მეუბნება პარხომენკო და გარბის. ტანგომ გეზი სოფელზე გადმომდგარი მთისაკენ აიღო, ავტომატები გადმოვიღეთ მხრიდან და ახლა ისე გავრბივართ. ისევ ხმაური, ტოტების ლაწუნი და ბრძანება.
– სდექ, ვინ მოდის? – ვეუბნები.
– რაშია საქმე? – მეკითხება ძნელაძე.
– ტანგომ კვალი აიღო, მომყევით!
ერთად მივსდევთ კვალს. ვეცემით, ვდგებით, წვიმს უბედურად, უსაშველოდ, თითქოს ზეციერს ონკანი მოეშალა; რა უბედურებაა, ტანგო ხრიალებს, იხრჩობა.
– გაუშვი, პარხომენკო! – ვუბრძანებ.
– მერე სად ვსდიო, დაგვეკარგება! – მპასუხობს. ვიფურთხები და გზას განვაგრძობ.
– შერბინა, შენა ხარ?
– მე ვარ!
– ძნელაძე სად არის?
– აქა ვარ. რა იყო?
– არაფერი, ბიჭებს უთხარი, ფრთხილად იყვნენ, ტყვია პირში არ მისცენ, ერთმანეთი არ დახოცონ.
– იციან! – მამშვიდებს ძნელაძე და ქლოშინით მომდევს.
– სდექ, ვინ მოდის?! – მესმის ისევ. ხმაზე ვცნობ, შმიდოვია.
– მე ვარ, შმიდოვ!
– ჯაყელი ხარ?
– ჰო.
– რა უბედურებაა, სად მივყავართ ამ ძაღლებს ამ მთაში? – მეკითხება შმიდოვი. არაფერს ვპასუხობ, ისევ მივრბივარ, ვეცემი, მივფორთხავ, ვდგები, ვეცემი. უცებ ვარჩევ პარხომენკოს უზარმაზარ ზურგს, აგერ შერბინაც, ცოტა წინ და მარცხნივ ძნელაძეა. ცხვირპირი ტალახით აქვს მოსვრილი და მაინც ვარჩევ. რა არის? სიბნელეს შევაჩვიე თვალი თუ თენდება?.. თენდება, მადლობა ღმერთს, თენდება, წვიმამაც იკლო თითქოს. ვიდრე ამას ვფიქრობ, კიდევ უფრო ნათდება, უკვე ვარჩევ ჩემს გარშემო მობორიალე ლანდებს, მოჩვენებებივით ოდნავ წელში მოხრილნი, ფრთხილად გადადიან ერთი ხიდან მეორემდე, მეორედან – მესამემდე და ასე შემდეგ. ახლა ზევიდან მესმის ტოტების ლაწუნი, ბარდების გლეჯა და გინება, ეს ჩვენი ბიჭებია, ზედა საგუშაგოდან, პირდაპირ დამჯდარან ნეშოზე, ქვევით მოცურავენ და, უცებ დაიყეფა ძაღლმა.
– აუ! აუ!
– აუ! აუ! აუ! – გამოეხმიანა მეორე.
– აუ, აუ, აუ! – შეეხმიანა მესამე, ეს ტანგოა, ეს ქიმერაა, ეს – როკი.
– აუ, აუ, აუ! – ძაღლები გლეჯენ ღვედებს, ხროტინობენ, ფრუტუნებენ, წკმუტუნებენ. ძაღლები იხრჩობიან.

– მიუშვით ძაღლები! – ისმის ბრძანება. ეს უკვე ჩხარტიშვილია.
როდის მოვიდა. როდის მოგვასწრო, ჩვენ ხომ არ მოგვყვებოდა? ეშმაკი ვერ გაიგებს. ძაღლები მიუშვეს. ღვედები ახსნეს და მიუშვეს, წივილ-კივილით გავარდნენ ძაღლები წინ და ვეებერთელა წიფლის ძირში ხახადაფჩენილ უმანოსთან დაცუცქდნენ ენაგადმოგდებულები.
– ფრთხილად! – გასცა ბრძანება ჩხარტიშვილმა. რკალი შევკარით, ავტომატები მოვიმარჯვეთ და ხეებს ამოვეფარეთ.
– არავინ მივიდეს ბუნაგთან ჩემი ბრძანების გარეშე! – ისევ ბრძანა ჩხარტიშვილმა. მხოლოდ ძაღლების ყეფა არღვევდა სიჩუმეს დროდადრო, დაიყეფებდნენ უმანოს წინ დაცუცქულები და გაკვირვებული თვალებით გადმოგვხედავდნენ, თითქოს გვეკითხებოდნენ, რას ელოდებითო!
– დაუძახეთ ძაღლებს! – ბრძანა ჩხარტიშვილმა.
– ტანგო, ჩემთან! – ტანგო მოვარდა და პარხომენკოს ფეხებთან გაწვა ყურებდალურსული.
– დათვია! – თქვა შერბინამ და ტალახი გამოაფურთხა, მერე სახელოთი მოიწმინდა ცხვირ-პირი.
– ვინ იცის! – ვთქვი მე და მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ წვიმა შეწყვეტილიყო, და ახლა ხის ფოთლებიდან ჩამოცურებული ცერის სიმსხო წვეთები მესხმებოდა კისერში.
– ამხანაგო მაიორო, დათვია. აი, ზედ მის კვალზე მიდგას ფეხი!
– დაუძახა შერბინამ ჩხარტიშვილს და საფარიდან გამოვიდა.
– ახლავე დაბრუნდი, შერბინა! – უბრძანა ჩხარტიშვილმა.
შერბინა დაბრუნდა. უკვე კარგად გათენებულიყო და მე ვხედავდი ჩხარტიშვილს. იგი ორკაპა ხის უკან იდგა „მაკაროვით“ ხელში და ჩარჩოში გამოყვანილ სურათს ჰგავდა. გვერდით ჩვენი მწერალი ედგა, სასაცილოდ მოთხვრილი და უიარაღო.
– პარხომენკო, რაო, რას ამბობს შენი ტანგო – დათვიაო? – გასძახა შერბინამ.
ვიღაცამ გაიცინა.
– თუ ეს ის დათვია, შარშან ამ დროს რომ გვაფორთხიალა, მოვკლათ და გავათავოთ! – დაიძახა ძნელაძემ.
– მიდი, ძნელაძე, და მოკალი! – დართო ნება შერბინამ.
– ჯაყელო, აუბოლე დენთი, ოღონდ ფრთხილად, მარცხნიდან შემოუარე! – მიბრძანა ჩხარტიშვილმა.
მე ფრთხილად მოვცილდი ხეს და ბუნაგს მარცხნიდან მოვუარე.
ექვს, შვიდ მეტრზე რომ მივუახლოვდი, თევზის კონსერვის კოლოფისოდენა საკვამლე ყუთი ამოვიღე და ასანთს გავკარი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ.
– რას აჩხაკუნებ? – მომესმა ჩხარტიშვილის მოუთმენელი, ნერვიული ხმა.
– დასველდა, ამხანაგო მაიორო!
– მე მაქვს მშრალი ასანთი, – თქვა მწერალმა და პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა.
– დაბრუნდით! – სტაცა ხელი მაიორმა და ასანთი ჩამოართვა, მერე თვითონ მოვიდა ჩემთან და ასანთს გაჰკრა. მოვუკიდეთ. ყუთი აბოლდა. მოვიქნიე და უმანოს წინ დავაგდე, როგორც ბუხრის საკვამურმა, ისე შეისრუტა უმანომ შავი, მყრალი კვამლი. ადგილებზე დავბრუნდით, იარაღი მოვიმარჯვეთ და მოლოდინში გავიტრუნეთ. გავიდა ერთი წუთი, ორი წუთი, სამი წუთი, გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ნუთუ კაცია? დათვი ამდენ ხანს ვერ გაუძლებდა. ნუთუ კაცია? ნუთუ კაცია? კაცია, ალბათ, კაცია, ნამდვილად კაცია. შერბინას გავხედე. იგი გაფითრებული, სუნთქვაშეკრული და თვალებადქცეული იწვა ხის ძირში. კიდევ ერთი წუთი, ორი, სამი და უცებ

ბუნაგიდან ერთმანეთზე მიყოლებით ორი ყავისფერი ბურთი გამოვარდა საშინელი სიძლიერით. ერთი იქვე, უმანოს წინ დაყუდებულ ლოდს შეასკდა და სისხლდაქცეული და ტვინდანთხეული საშინლად აფართხალდა. მეორე კი – ბურტყუნითა და საცოდავი წკმუტუნით დაეცა, დაგორდა და პირდაპირ ჩემ ფეხებთან დაეცა დარეტიანებული.
– დათვის ბელი! – ვიყვირე მე. ავტომატს ხელი გავუშვი და ბელს ზედ დავემხე.
– ფრთხილად, მოემზადეთ! – დაიძახა ჩხარტიშვილმა და მწერალი ხელით უკან დაწია. ეტყობა, უმანო გაივსო, ბოლი უკვე გარეთ გამოდიოდა. გაისმა ჩახმახების ჩხაკუნი, ყველანი მზად იყვნენ. დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირვებია. უცებ ისე, როგორც ცეცხლმოკიდებული სახლიდან, უმანოდან ვეებერთელა მურა დათვი გამოვარდა, იგი რეტიანივით იქნევდა თავს, სინათლე და სუფთა ჰაერი რომ დაიგულა, გაჩერდა, უკანა ტორებზე შედგა და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. გონს რომ მოეგო, იქით-აქეთ გაიხედ-გამოიხედა და უცებ მოხდა საზარელი რამ.
– უაااა! – დაიბღავლა დათვმა საშინელი ხმით, თავში ტორები წაიშინა და ტორტმანით წამოვიდა ლოდზე ტვინმისხმული ბელისაკენ.
– აუუუ! – შეუცხადეს შვილი ძაღლებმა და ადგილიდან მოწყდნენ.
– ტანგო, დაბრუნდი! – იკივლა პარხომენკომ, მაგრამ უკვე გვიანი იყო.
– უა�ა, უااა! – ბღაოდა დათვი, ტანგოს ნაკუწ-ნაკუწად გლეჯდა და აქეთ-იქით ისროდა სისხლში გათხვრილი.
– ტრა-ტა-ტა! – გაისმა მოკლე ჯერი. დათვი წამით შეჩერდა, თითქოს ელდა ეცაო, მერე დაბარბაცდა და წაიქცა.
– ტრა-ტა-ტა!.. – გაისმა კიდევ. დათვმა თავი ასწია, პირიდან დუჟნარევი სისხლი მოსდიოდა და ბუშტებად ასკდებოდა დრუნჩზე.
– უااა! – იბღავლა კიდევ, წამოდგა, ტორები სახეზე აიფარა კაცივით, ნამდვილი კაცივით, ცოცხალი, დაჭრილი კაცივით, შვილმოკლული, გონსგადასული კაცივით და ასე სახეზე ტორებაფარებული, ბღავილ-ბღავილით წამოვიდა ავტომატის ხმაზე.
– ტრა-ტა-ტა! – გაისმა ისევ. დათვი შეტრიალდა. პირი კვლავ უმანოსაკენ ქნა.
– ტრა-ტა-ტა! – ახლა კეფაზე აიფარა ტორები დათვმა და ასე განაგრძო სვლა. ვიღაცამ კიდევ გაუშვა მოკლე ჯერი. დათვმა ვეღარ მიაღწია ბუნაგის კარამდე, ორთავე ტორი ჩამოუვარდა და ზედ შვილის სხეულზე დაემხო უზარმაზარ ლოდთან. ახლა იგიც ვეებერთელა ლოდს გავდა, უსულოს, მუქს, ყავისფერს. ორი დიდი ლოდი ეგდო უმანოს წინ, ერთი – დაბადებით ლოდი, მეორე – ლოდად ქცეული და მათ შორის პატარა, სულ პატარა, ერთი ციცქნა, ყავისფერი ლოდივით ეგდო თავგაჭეჭყილი დათვის ბელი.
მე არ მიყურებია, როგორ გაატყავეს დათვი, როგორ აკრიფეს ტანგო ნაწილ-ნაწილ, არც ის გამიგონია, რა სიტყვებით ლანძღავდა ზუდოვი პარხომენკოს გაუფრთხილებლობისათვის. მე თითქმის ვერაფერს ვხედავდი და არაფერი მესმოდა. ვიჯექი შერბინას გვერდით ხის ძირში, ცალი მკლავით აცახცახებულ დათვის ბელს ვიხუტებდი გულში, მეორეს კი შერბინას ვუსვამდი სველ თავზე. შერბინა ტიროდა.
– ჩვენი იღბალი, რომ ყველაფერი ასე კარგად დამთავრდა, – თქვა ვიღაცამ.
– აბა! – დაუდასტურა მეორემ.
მე მათკენ არ გამიხედავს, ხმით ვერ ვიცანი და არ მინდოდა, სახით მეცნო ეს ორი ბედნიერი ადამიანი.
– რა არის ეს?
– დათვის ბელია, ფერიდე!
– საიდან?

– ამ დილით დავიჭირეთ.
– შენ ჩემი სახელი ვინ გასწავლა?
– ჩემით ვისწავლე.
– მთელ სოფელს მთელი ღამე არ უძინია, სულ ეგ იყო, პატარა ბელი?
– ჰო, სულ ეგ იყო.
– მერედა, ვერ გაუშვით?
– სად?
– დედამისთან.
. . . . . .
– ეგეთი თვალებით ნუ მიყურებ, ჯაყელო, არ შეიძლება!
– შენ ჩემი გვარი ვინ გასწავლა?
– ყველა ასე გეძახის, ტყუილს ხომ არ იტყვიან. ეგ დათვის ბელი არ იკბინება?
– ჯერ არა.
– რა ჰქვია?
– ჯერ არ ვიცი.
– რას დაარქმევ?
– მერაბიას...
– მერაბიას რატომ?
– აბა, რა ვიცი, კარგი სახელია მერაბია...
– ხომ გითხარი, ასეთი თვალებით ნუ მიყურებ-მეთქი?
– რა ვქნა, მე სულ ეგრე ვიყურები.
– ტყუილია!
– შეიძლება, ტყუილიც იყოს. ფერიდე, ამ ბოლო ხანებში აღარ ჩანხარ, რატომ?
– იმიტომ, რომ შენ საზღვარზე უფრო ხშირად მე მიყურებ.
– მერე, ცუდია ეგა?
– ცუდია!
– რატომ, ფერიდე?
– იმიტომ. არ შეიძლება!
– შენთან რომ მოვიდე, შეიძლება?
– შენ გიჟი ხომ არ ხარ?!
– თუ შეიძლება!
– არა.
– რატომ?
– იმიტომ, რომ არ მინდა.
– მე თუ მინდა?
– რა?
– შენთან მოსვლა, ლაპარაკი... დაჯდომა; აი მე და შენ რომ დავსხდეთ ერთად და ვილაპარაკოთ.
– რაზე?
– რამეზე.
– არ შეიძლება, მე ქვრივი ვარ, შენ კი, შენ... შენ პატარა ხარ ჩემზე.
– შენ რა იცი, ფერიდე?
– მე ყველაფერი ვიცი, რომ 19 წლის ხარ, დედ-მამა რომ არ გყავს, სამედიცინოზე რომ ვერ მოეწყვე. ფოსტაში რომ დადიხარ და შეყვარებული წერილებს არ გწერს, ალი ხორავას მანდარინებს რომ იპარავ ღამღამობით.
– ვინ გითხრა?

– ჩიტმა მითხრა.
– ჩიტმა ის აღარ გითხრა, რომ ძალიან, ძალიან მომწონხარ?
- სულელი ხარ შენ.
– ეგ ვიღამ გითხრა?
– ამას ჩემით მივხვდი.
– ახლა კვირას რომ თავისუფალი დღე მექნება, ქალაქში არ წავალ, შენთან მოვალ და მთელი დღე შენთან ვიქნები.
– აკი გითხარი, სულელი ხარ-მეთქი!
– მოვალ!
– კიდევაც გაბედავ!
– მოვალ!
– არ გაბედო, და ეგეთი თვალებით ნუ მიყურებ, წადი, ასეთი თვალებით ქალაქელ გოგოებს უყურე.
– რა თვალებით, ფერიდე? მთელი ღამის უძილო ვარ.
– წადი!
– ნახვამდის, ფერიდე!
– წადი, შენ მერაბიას მოუარე.
ფერიდე აივანს მოსცილდა და ოდის კარი შეაღო. მე ბილიკს დავყევი, ბიჭები უკვე წასულიყვნენ. გამთბარ მერაბიას კი ტკბილად ეძინა ჩემს მკლავებში და დროდადრო პირში ჩადებულ ცერს მქაჩავდა ძუძუსავით.
ძმაო სარგის!
უკვე ერთი თვეა საზღვარზე ვარ. ბიჭებმა რომ გამომაცილეთ...
თუმცა თავიდან დავიწყებ.
ბათუმი-თბილისი ასთმიანი ბერიკაცივით ყოველ ნაბიჯზე ჩერდება – ეს დიდუბეო, ეს მცხეთაო, ეს წყალსადენიო, ეს ძეგვიო, ეს გორიო, ეს სკრაო, ეს აგარაო, ეს ქარელიო, ეს ხაშურიო, და ასე ბათუმამდე. გაჩერდება, იქლოშინებს, იქლოშინებს, მერე ერთს გაიქაჩება, რაც ზევით ჩემოდნები აწყვია, თავზე გადმომაყრის, მერე წავა, ისევ გაჩერდება და ასე შემდეგ. კუპეში სამნი ვართ. იმ კაცს ქობულეთამდე ხმა არ ამოუღია, კაცად არ ვთვლი, ესე იგი, იმ კაცის გარდა, სამნი ვართ: მე, ერთი ქალბატონი, რომელმაც ბათუმამდე რვა ხალათი გამოიცვალა, და ერთიც ახალგაზრდა, მაგრამ სულ მელოტი კაცი. როგორც მერე გამოირკვა, ბათუმის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამოდგა, სახელად ათანასე. ძალიან ენაწყლიანი და გონებაგახსნილი კაცი. თვითონ გამომეცნაურა. ჯერ იმ რვახალათიანი დედაკაციდან დაიწყო.
– თქვენ ბათუმში მიბრძანდებით, ქალბატონო? – ჰკითხა რვახალათიანს.
– დიახ, ბატონო, მიყვარს სექტემბერში ზღვაზე დასვენება, ცოტა ხალხია, თავისუფლება, სიწყნარე... – აუხსნა რვახალათიანმა.
– მაშინ, იანვარში წამობრძანებულიყავით, კაცის ჭაჭანება არაა ზღვაზე. – დაპატიჟა თავმჯდომარემ.
რვახალათიანმა ცოტა ამრეზილად ახედა თავმჯდომარეს, ხომ არ დამცინისო, მაგრამ თავმჯდომარეს ისეთი გულუბრყვილო გამოხედვა ჰქონდა, ეჭვის მიტანა არ შეიძლებოდა.
– თქვენ სად მიბრძანდებით? – მომიბრუნდა ახლა მე.
– მეც ბათუმში, – ვუპასუხე.
– დასასვენებლად?
– არა, ჯარში!

– რა დროს თქვენი ჯარია? – გაუკვირდა თავმჯდომარეს.
– რატომ, შე კაცო? – გავიკვირვე მეც.
– ომი თუ დაიწყო, ბატონო, ნუ დამიმალავთ, და ისე, ომიც რომ იყოს, პატიოსანი მთავრობა თქვენი ხნის კაცს ჯარში მაშინაც არ წაიყვანს, – გაიცინა მან.
– საომრად კი არ მივდივარ, შე კაცო...
– ათანასე მქვია მე, – შემაგება სახელი თავმჯდომარემ.
– თქვენ რა გვარი ბრძანდებით? – არ მაცალა სიტყვის დამთავრება.
– მე მდინარაძე ვარ, ვლადიმერი, მწერალი, – ბოლო სიტყვა ცოტა ხმამაღლა ვთქვი.
– რას ბრძანებთ, თავიდან შოფერი მეგონეთ, – მომიბოდიშა მან.
– არა, მწერალი ვარ!
– სასიამოვნოა ძალიან, მწერალი მდინარაძე ბრძანდებით, აბა?
– დიახ.
– თქვენი ლექსები ჩემმა შვილმა სულ ზეპირად იცის, ოლიმპიადებზე და გამოსაშვებ საღამოებზე ამბობს ხოლმე.
– რომელ ლექსს კითხულობს? – დავინტერესდი მე.
– აი იმას, – „არ გრცხვენიათ, გოჭებო, ღორებივით იქცევით!“
– ძალიან სასიამოვნოა! – ვუთხარი მე.
– თქვენ, ქალბატონო, ფეხსაცმელი ხომ არ გიჭერთ? – ჰკითხა უცებ თავმჯდომარემ რვახალათიანს.
– დიახ, მაზოლი მაქვს. საიდან მიხვდით?
– ფეხზე გახდილი რომ გაქვთ, იმაზე შეგატყვეთ. დედაჩემსაც უჭერდა ფეხსაცმელი ორთავე ფეხზე და არ იხდიდა, საცოდავი, იმან მოკლა, ალბათ, – ამოიოხრა თავმჯდომარემ.
რვახალათიანმა ისევ ამრეზითა და ეჭვით გახედა, მაგრამ თავმჯდომარე გადასაფრენად გახაზირებული ანგელოზივით იჯდა თავის ადგილზე და სევდიანი თვალებით დასცქეროდა ქალს გახდილ ფეხებზე.
– ჯარში რა გინდათ, ბატონო? – მომიბრუნდა უცებ.
– მესაზღვრეების ცხოვრებაზე წიგნი მინდა, დავწერო, – ვუპასუხე მე.
– გაგიჭირდებათ! – მითხრა მან.
– რატომ? – ვკითხე მე.
– უბედურება ამბავია საზღვარი. ნამეტანი ძნელი სამსახურია და ერთფეროვანი. ჩვენ სასაზღვრო ზონაში შევდივართ და ვიცი.
სახელმწიფო საზღვარი კი არა, სამეზობლო საზღვარი რომ სამეზობლო საზღვარია, უბრალო სარის ღობე, იმისთვის ვერ მოუვლია ზოგიერთს...
– დიდი ხანია თავმჯდომარე ხართ? – ვკითხე მე.
– დაიქცა ის დღე, მე რომ თავმჯდომარედ ამირჩიეს. სამი წელია, – თქვა თავმჯდომარემ.
– რატომ, კაცო? – გავიკვირვე მე.
– რატომ, ბატონო, და აგერ ამ კაცს, პატიოსნად რომ ხვრინავს, – ახედა თავმჯდომარემ იმ კაცს, მე რომ კაცად არ ვთვლი, – ალბათ, ესიზმრება ახლა ტკბილი სიზმრები, კაი-კაი ქალები, ქეიფი, დროსტარება.
მაინც რას ხვრინავს ეს უპატრონო, არ გაგვხერხა შუაში? ჰოდა, ესიზმრება ახლა ფერად-ფერადი სიზმრები, მე კი ორი თვეა წვიმისა და ჩაის მეტი არაფერი დამსიზმრებია. ორი თვეა სიზმარში მასხამს და მასხამს თავზე კოკისპირული წვიმა, ბიბინებენ და ბიბინებენ ჩაის ბუჩქები, კრეფენ და კრეფენ ჩემი ქალები დალოცვილს,

ვაბარებ და ვაბარებ სახელმწიფოს, ვასრულებ და ვასრულებ გეგმებს. გავიღვიძებ გახარებული, წამოვხტები ლოგინიდან, გავვარდები გარეთ, სადაა წვიმა?
იწვის ხე და მიწა, ჩამკვდარია ყლორტი... – იმ კაცმა ხვრინვას უმატა, ერთ ადგილას მაინც ნამეტანი ქნა, მართლაც, რომ ხერხივით ამუშავდა.
– კვიჟღი შეხვდა, ალბათ, – თქვა თავმჯდომარემ.
– არ შეიძლება, რომ ვთხოვოთ პრავადნიკს და სხვაგან გადაიყვანოს?
– იკითხა შეწუხებულმა ქალმა.
– ახლა ჩვენი გულისთვის მთელ მატარებელს ხომ არ გაახერხინებს, – თქვა თავმჯდომარემ, მერე მე მომიბრუნდა.
– საზღვარზე მოგახსენებდით, ბაბუაჩემ გერონტის და გიორგი ღორჯომელაძეს შქერის ღობე ჰქონდათ საზღვრად, შუაში ერთი დიდი კოპიტი ჰქონდა იმ ღობეს დატანებული. იმ კოპიტმა დაანგრია ჩვენი ოჯახები. გიორგი ღორჯომელაძე იძახდა, მამაჩემის დარგულია აგი კოპიტიო, დაარღვევდა ღობეს ღამე და კოპიტს თავის ეზოში მოაყოლებდა. გაიღვიძებდა დილას ბაბუაჩემი გერონტი, ამოაძრობდა სარს ღობიდან, მიუვარდებოდა გიორგი ღორჯომელაძეს, მამაჩემის დარგულ კოპიტს შენს ეზოში რა უნდაო, ჩეჩქვავდა სარს თავში, დააგდებდა გიორგის უსულოდ და ვიდრე გიორგის მისი ცოლი ეპრაქსია წივილ-კივილითა და მოთქმით ცივ წყალს ასხამდა გაჩეჩქვილ თავზე, იმ კოპიტს ისევ ჩვენს ეზოში მოაქცევდა. ერთი კვირის მერე მოიკეთებდა გიორგი, მიეპარებოდა ბაბუაჩემს, დრუზავდა სარს წელზე და სანამ წელგათრეული ბაბუაჩემი თვალებს აპარპალებდა და ლოყადახოკილი ბებიაჩემი პირზე მომდგარ დუჟს აცლიდა, ისევ თავის მხარეს მოაქცევდა კოპიტს. ასე გლეჯდნენ ერთმანეთს იმ კოპიტის გულისთვის, ვიდრე ერთმანეთს მხარი და თეძო არ ამოუგდეს. ის ორი ოჯახის დამქცევი კოპიტი კი იდგა თავისთვის, ყურს არ აპარტყუნებდა, ვაშლი ან მსხალი მაინც ყოფილიყო, უპატრონო, – თავმჯდომარე დადუმდა, ხელჩანთიდან კონიაკი ამოიღო, „ვარციხე“, და მაგიდაზე დადგა.
– მერე? – ვკითხე.
– დავლიოთ თითო ჭიქა! – თქვა მან. ბოთლს თავი მოხსნა.
– სად გავჩერდი? – მკითხა მან, კონიაკი რომ გადავკარით.
– ბაბუათქვენმა გერონტიმ რომ მხარი ჩამოუგდო გიორგი ღორჯომელაძეს, იმან კი – თეძო...
– ჰოო, ასე დადიოდნენ მერე, ერთი დაფეხვილი და მეორე მკლავჩამოკიდებული. კოპიტი კი იდგა თავისთვის. შემოდგომაზე გაცვივდებოდა ფოთოლი, გაზაფხულზე ამოიყრიდა ისევ, შეიფოთლებოდა, იშრიალებდა, მერე ისევ გაცვივდებოდა შემოდგომაზე ფოთოლი. ეს ღობე კი, კაი ლეკვერჩხა ქამარივით, ხან მარცხნიდან ჰქონდა წელზე შემორტყმული, ხან – მარჯვნიდან, ორი ოჯახი რომ ინგრეოდა მის გამო, ეს ამბავი სულ არ აწუხებდა, – თავმჯდომარემ კონიაკი დაისხა, გადაჰკრა და ახლა მე დამისხა.
რვახალათიანი წამოდგა და კარისკენ წავიდა.
– ხალათის გამოსაცვლელად მიბრძანდებით? – ჰკითხა თავმჯდომარემ.
– თქვენ ყველაფერს როგორ ასწრებთ, ეს ბაბუაჩემი გერონტიო, ეს ფეხსაცმელი ხომ არ გიჭერთო, ეს ხალათს ხომ არ იცვლითო, ეს ისო, ის ესო... – გაკაპასდა მოთმინებიდან გამოსული რვახალათიანი.
– რა ვქნა, ქალბატონო, თავმჯდომარე ვარ და ყველაფერი თუ არ მოვასწარი, იმ გეგმას, კისერზე რომ ალესილი ნაჯახივით მადევს, თქვენ შემისრულებთ?
– მაგას გირჩევნიათ, გარეთ გაბრძანდეთ და მომცეთ გახდისა და დაძინების საშუალება.

მე სიცილი წამსკდა და გარეთ გავედი, ორ წუთში თავმჯდომარეც გამომყვა, იღიმებოდა.
– მგონი, ნამეტანი მომივიდა! – თქვა მან.
– ის ამბავი როგორ დამთავრდა, ბატონო ათანასე? – ვკითხე მე.
– რომელი ამბავი?
– კოპიტის.
– ჰო, ის ამბავი ძალიან სასაცილოდ დამთავრდა. დილას რომ გიორგი ღორჯომელაძე მოკვდა, საღამოს გახარებული ბაბუაჩემი გერონტი მიეწია. ორთავე ერთ დღეს დაიხოცა. მამაჩემი ტიტიკო უსტა კაცია, ახალგაზრდა გახლდათ მაშინ. ჰოდა, სანამ ჭირისუფალი ღამეს უთევდა მიცვალებულებს, კიდევაც მოჭრა ის კოპიტი, კიდევაც გათალა და კიდევაც გააშალაშინა. ორი კაცი ეხმარებოდა. ორი მშვენიერი კუბო გამოვიდა შიგ, ჩაასვენეს ერთში გიორგი ღორჯომელაძე, მეორეში, ბაბუაჩემი გერონტი, ერთ დღეს გაასვენეს და ერთ სასაფლაოზე დამარხეს, ერთმანეთის გვერდით. ბებიაჩემი და გიორგის ცოლი იმ დღიდან პირში სულს უბერავდნენ ერთმანეთს, ორი წლის წინ დაიხოცნენ საწყლები, ისინიც ერთ წელს მოკვდნენ, მაგრამ სხვადასხვა თვეში.
– შვილები? – ჩავკითხე ათანასეს.
– შვილები? მამაჩემმა იმ კოპიტის მონარჩენიდან კიდევ ორი ფანდური გამოთალა, ერთი თვითონ დაიტოვა და ერთი გიორგის შვილს ლუკაიას მისცა, დაამღერე ხანდახანო. კარგი კოპიტი იყო, დალოცვილი.
ყველა კოპიტში არ გამოვა ორი კუბო და ორი ფანდური, – გაიღიმა ათანასემ.
– შვილებმა როგორ გადაწყვიტეთ საზღვრის საკითხი? – ვკითხე ისევ.
– იმ კოპიტმა ამოიყარა გადანაჭერზე, იმსისხოა, ხელს ვერ შემოაწვდენ წელზე. ჯერ არაფერს აშავებს, ზუსტად შუაზე გვაქვს ღობე მიყენებული, – თავმჯდომარემ ისევ გაიღიმა. – ძნელია საზღვრის მოვლა, ბატონო ვლადიმერ, ძალიან ძნელი! – თქვა მან. – შევიდეთ, დავწვეთ! – კუპეს კარი შევაღეთ და გული კინაღამ შემიღონდა სიცილით. მხვრინავი თავზე პირსახოცწაკრული, შიშველფეხებგადმოკიდებული იჯდა თავის საწოლზე და საცოდავი თვალებით გვიმზერდა. კუპე ზანზარებდა, ლურჯი ნათურა თრთოდა.
– გინახავთ, კაცო, ქალი ასე ხვრინავდეს? – შემოგვჩივლა მხვრინავმა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი სიტყვა, რომელიც იმ კაცის პირიდან გავიგონე.
შუაღამისას ვიღაცამ გამაღვიძა, ძლიერად მანჯღრევდა:
– გაიღვიძეთ, ბატონო ვლადიმერ, გაიღვიძეთ!
შეშინებულმა გავახილე თვალები, თავზე თავმჯდომარე მადგა და მანჯღრევდა.
– წვიმა მოვიდა, ბატონო ვლადიმერ, წვიმა!
– მომილოცავს, ბატონო ათანასე, მაგაზე გამაღვიძე, შე კაცო? – ვუსაყვედურე მე და წამოვჯექი.
– ბოდიშს ვითხოვ, ბატონო ვლადიმერ, მე რომ მიხარია წვიმა, სხვასაც ასე უხარია მგონია. დაიძინეთ, დაიძინეთ.
– აწი რაღა დამაძინებს, შე კაცო, დამზაფრე კაცი! – ღიმილით ვუთხარი. ათანასე მიხვდა, რომ ვეხუმრებოდი და დარჩენილი კონიაკი დაასხა.
– წვიმას გაუმარჯოს, ბატონო ვლადიმერ, ჟუჟუნა წვიმიდან დაწყებული თქეშამდე, კოკისპირულამდე, ყველა წვიმას, მიწას რომ ალბობს, ბალახს რომ აღვიძებს, კრამიტს რომ რეცხავს, ყანას რომ ჩაუდგება ფესვში, ღეროში და ტაროში, მოკლედ მაცოცხლებელ წვიმას გაუმარჯოს! – თქვა მან და გადაჰკრა.
– აქეთ მზე იყო მეგონა სანატრელი, ათანასე ბატონო, და წვიმა ყოფილა.

– ასეა, ბატონო, შარშან მთელი ზაფხული მზე მესიზმრებოდა, ისე დალპა ქვეყანა.
– კიდევ კარგი, რომ გამაღვიძე, თორემ ასეთ წვიმას სად ვნახავდი!
– ვუთხარი მე და ფანჯარაში გავიხედე. ისეთი თავსხმა იყო, არაფერი არ ჩანდა. წვიმა ნიაღვრად ჩამოდიოდა სარკმელზე.
– წვიმაზე და გაღვიძებაზე გამახსენდა, ბატონო ვლადიმერ, შარშან დაგვაქცია წვიმამ, ნოეს დროს არ უწვიმია იმდენი, ჩვენში რომ იწვიმა იმ ზაფხულს, რაც ყანა გვქონდა, სულ წალეკა. ერთ დილას, კანტორაზე რომ მივდიოდი, გლეხი შემხვდა თავსხმაში, მხარზე თოხგადებული.
სად მიდიხარ-მეთქი, ვკითხე. ქობულეთში მივდივარო, მიპასუხა, ქობულეთში რა გინდა-მეთქი და, ჩემი ყანა ღვარს ქობულეთში ჩაუტანია და იქ მივდივარ გასამარგლადო. ხუმარაა ის გლეხი. ჰოდა, იმას გიყვებოდით, ცოტა რომ გადაიღო, მთაში ფუტკარი გვყავდა, იმის სანახავად წავედი. ჩემმა მტერმა ნახა, მე რომ იქ ამბავი ვნახე. ასი ოჯახი ფუტკრიდან სამოცდაათი დაფსებული დამხვდა. ჩამოვვარდი შუაღამეზე სოფელში გულგახეთქილი, ავტეხე ზარის რეკვა, მთელი სოფელი ფეხზე დავაყენე და კრება მოვიწვიე.
– რაშია საქმე, ათანასე? – მკითხეს გლეხებმა.
– რაშია საქმე და, სამოცდაათი ოჯახი ფუტკარი დაგვეფსო მთაში! – მოვახსენე გლეხებს.
ადგა მაშინ ყიამყრალი პაპინო ირემაძე და მითხრა:
– ათანასე ნაბიჭვარო, შვიდასი ოჯახი ვართ დაფსებული სოფელში და ყური არ გაგიპარტყუნებია, ახლა სამოცდაათი ოჯახი ფუტკრისთვის წამოგვყარე ამ შუაღამეზე?
გულიანად გამეცინა. ათანასესაც გაეცინა.
– კია სასაცილო, ბატონო ვლადიმერ, მაგრამ, მყრალი იყო პაპინო, ტყუილი თქვა, ჩვენზე გამართულ სოფელს ვერ ნახავთ ამ მხარეში, ციტრუსი გინდაო, ჩაი გინდაო, სიმინდი გინდაო, ლობიო გინდაო, ღვინო გინდაო...
– აბა, რა მინდაო პაპინომ?
– სიკვდილი მინდაო, რა ვიცი, რა უნდოდა. ყველა კრებაზე ასე იყო, სიტყვის თქმა მეშინოდა მაგის გადამკიდე. ყველას ეჯავრებოდა სოფელში, შურიანი იყო, ჯაშუში, რაც მაგან ხალხი დაღუპა, ერთმანეთს გადაკიდა, ეშმაკი ვერ დაითვლის. მაინც ერიდებოდათ და ეშინოდათ მისი...
– ხალხმა რა თქვა პაპინოს სიტყვაზე? – ვკითხე მე.
– ხალხს რა უნდა ეთქვა, ატყდა ხორხოცი, სიცილი და ღრიალი, როგორც თქვენ იცინით ახლა, ისე იცინოდა ყველა. ჩამეშალა კრება.
– მერე? – დავინტერესდი მე.
– მერე არაფერი, ორი თვის წინ გასძვრა სული და მოვისვენე.
ისე ძაღლივით კი მოკვდა საწყალი, მახარაძეში იყო წასული ცხენის დასაჭედად. იქ ძმები ქერქაძეებია, განთქმული მჭედლები, ჰოდა, ფეხს რომ უჭერდა ცხენს, დღლიზა ცხენმა წიხლი და რაც შიგანი ჰქონდა, უკუღმა ამოუტრიალა. ცას ხევდა მისი კივილი, სანამ საოპერაციო მაგიდაზე დააწვენდნენ, მანამდე გათავდა. საბარგო მანქანით წამოვასვენე, უპატრონო იყო, აბა, რა მექნა? ბჟუჟის წყლის ფონზე რომ გადმოგვყავდა, მოვარდა წყალი და კუბოიანად წაგვართვა მკვდარი. ძლივს დავიჭირეთ. შაბათს არადა, კვირას ვასაფლავებდით. ახლა რომ წვიმაა, ამაზე უარესი მოვიდა, საფლავში რომ ვუშვებდით კუბოს, გაწყდა ბაწარი და უკუღმა ჩაემხო შიგ, – თფუო! – ჩააფურთხეს მესაფლავეებმა, – როგორი გველიც იყავი, ისე უკუღმა წავიდა შენი საქმეო! – დაყარეს ბარები და გაიქცნენ. მე მივაყარე მიწა, აბა, რა მექნა? ვიდექი ამ

წვიმაში მარტო და ვაყრიდი მიწას. მტრისას, ხალხმა თუ შეგიძულა. არც ასე მოძულება ვარგა კაცის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ვერ გაამტყუნებ ხალხს... – დაამთავრა ამბავი ათანასემ, მერე ისევ დაასხა კონიაკი.
– კიდევ მაქვს ამბები მოსაყოლი, მაგრამ დავიძინოთ ახლა. საზღვარი კარგია, მაგრამ ჩვენ სოფელსაც არა უშავს, ჩამობრძანდით ჩვენთან, ათას საინტერესო ამბავს გაიგებთ, ათას საინტერესო ხალხს შეგახვედრებთ, მერე ჩვენზეც დაწერეთ რამე, – დამპატიჟა მან.
– უეჭველად ჩამოვალ! – დავპირდი მე.
– ჩამობრძანდით, დაწერეთ, სოფელი რომ დაცარიელდა, მთელი ახალგაზრდობა რომ ქალაქში გადავარდა.
– ჩამოვალ და დავწერ!
– დიდად დაგვავალებთ, ბატონო ვლადიმერ, – ათანასემ ფარდა გასწია და სიბნელეში გაიხედა, წვიმა თქრიალით ესხმებოდა მიწას.
– კარგი აწი, დალოცვილო, გეყოფა, ქვეყანა დააქციე-მეთქი კი არ მითხოვია?! – უთხრა წვიმას, მერე ზედა საწოლებზე აიხედა. ის კაცი და ქალბატონი ხმაშეწყობილად ხვრინავდნენ.
– ამათ ერთი ბირდაბირი ხერხი დახატავდა ახლა! – თქვა მან, ძილი ნებისა მისურვა და სინათლე ჩააქრო.
* * *
სადგურში თვითონ რაზარინოვი დამხვდა.
ნახევარ საათში მის კაბინეტში ვიჯექი. რაზარინოვი, ასე, 45 წლის იქნება, ძალიან სიმპათიური, ენერგიული და ცოცხალი კაცი ჩანს. 15 წუთში თვრამეტ დეტექტურ სიუჟეტს მომიყვა, ას ანეკდოტს, მოკლედ მომიხაზა მომავალი ჩემი წიგნის გეგმა, მგონი, ისიც მითხრა, რამდენი გვერდი იქნებოდა, ცოტა სათაურის მოძებნა გაუჭირდა, სახლში ვიფიქრებ სათაურზეო, დამპირდა და სადღაც დარეკა.
– ახლავე მოიტანენ ХБ-ს მთელ კომპლექტს, – მითხრა და მოლოდინში თვალიერება დამიწყო.
ხუთ წუთში კაბინეტში ყუთები შემოიტანეს.
– გაიხადეთ!
– კარი რომ დავკეტოთ, არ იქნება ურიგო! – ვუთხარი მე.
– რა აზრი აქვს, ქალები ჩვენ არ გვყავს და, ჩემი თუ გრცხვენიათ, წავალ! – გამიღიმა მან.
– ბრძანდებოდეთ! – ვუთხარი მე და მორცხვად დავიწყე გახდა.
შვიდი შარვალი შემომასკდა ღიპზე. სირცხვილით სად წავსულიყავი, არ ვიცოდი. ბოლოს, როგორც იქნა, მოიძებნა ჩემი ღიპის სარგო შარვალი. რაზარინოვმა შვებით ამოისუნთქა.
– ეს ხრომის ჩექმა, ეს ორი წყვილი საცვალი, ეს ქუდი, ეს სამხრეები, ეს ქამარი, ეს ტელოგრეიკა. მაზარას ათ დღეში მოგართმევთ. მომიწერეთ ხელი აი, აქ, – მითხრა მან და სიაზე ხელი მომაწერინა.
ჩექმის ჩაცმაზე ისეთი დღე გადამხდა, ვიფიქრე, თუ დაძინება მეღირსა, ამას რა გაიხდის-მეთქი. სარკე არ იყო, შიგ რომ ჩამეხედა. ალბათ, ძალიან სასაცილო ვიყავი.
– აი კაცი, – გაშალა ხელები რაზარინოვმა, – მე რომ შენი ვიყო, ამ ფორმას სიკვდილამდე არ გავიხდიდი!
– მაინც მასეა, ამხანაგო პოლკოვნიკო, ამ ჩექმას მკვდარს თუ გამხდით, თორემ ცოცხალი მე ამას ვეღარ გავიხდი!

– ნუ გეშინია, ისეთი შეკერილია, ორ დღეში მისით გაგძვრება! – დამამშვიდა მან და მხარზე ხელი დამკრა. – გადაწყვეტილია, სოფელში მიდიხარ! – მერე ყურმილი აიღო, რაღაც ნომერი თქვა, მისცეს.
– გამარჯობა. ჩხარტიშვილი!
. . . . . .
– ძალიან კარგი!
. . . . . .
– გიგზავნით მწერალ მდინარაძეს. ხომ იცით?.. ხო, ხო, მე, ბებია, ბაბუა და ასე შემდეგ... ორი თვით მოადგილე იქნება შენი პოლიტიკურ დარგში.
. . . . . .
– კოროლიოვს ნუ ეშინია, მდინარაძე უშტატო მოადგილედ გეყოლება!
. . . . . .
– ერთ საათში გამოვგზავნით, ყველაფერი პირობები შეუქმენით, მოეფერეთ, მოესიყვარულეთ, ოთახში მაგიდა დაუდგით, რაც გითხრათ, შეუსრულეთ.
. . . . . .
– მაგის გარდა ყველაფერი შეუსრულეთ, აბა, ყოჩაღად იყავით, ნახვამდის!
– რაო? – ვკითხე პოლკოვნიკს.
– ვეუბნები, ყველაფერი შეუსრულეთ-მეთქი, ის მეკითხება, თურქეთში გადასვლა რომ მთხოვოს, რა ვქნაო? მაგის გარდა, ყველაფერი შეუსრულეთ-მეთქი! – ორთავეს გაგვეცინა.
თორმეტ საათზე სოფელში ჩავედით. ამ სოფელში ადრეც ვარ ნამყოფი, ექსკურსიაზე, მაგრამ ახლა რაღაც შიშის, მორცხვობის და ჩემთვის გაუგებარი გრძნობა მაწუხებდა. პირდაპირ საგუშაგოს უფროსის ოთახში შემიყვანეს. მაგიდას ძალიან ძლიერი და ლამაზი სახის მაიორი უჯდა. ისეთი ჭკვიანი თვალები ჰქონდა, რომ ამომხედა, შემშურდა, ადგა, ხელი ჩამომართვა, დაბრძანდითო მითხრა. დავჯექი, ცოტა ხანს მათვალიერა, მერე ჩემს მეგზურ ლეიტენანტს მიუბრუნდა.
– გაგეუთოვებინათ მაინც, ასე ხბოს დაღეჭილივით რომ მოიყვანეთ!
– არა უშავს, ჩემით დავიუთოვებ! – ვთქვი მე და გავწითლდი. მაიორმა უნდობლად შემხედა, ალბათ გაიფიქრა, რაკი ასე დაჭმუჭნილის ჩაცმა იკადრა, ეგ აწი მაგის დამუთოებელი აღარ არისო და თავისი საქმე განაგრძო, რაღაცას წერდა უშველებელ დავთარში.
მთელი საათი უხმოდ ვიჯექით. ორი ახალგაზრდა ლეიტენანტი შემოვიდა, მაიორის წინ გაიჭიმნენ.
– გაიცანით და ჩაიბარეთ! – უთხრა მაიორმა. გამიცინეს, მხედრული სალამი მომცეს, ღიმილს ვერ იკავებდნენ. ისევ გავწითლდი. ღმერთო, ერთი სარკეში ჩამახედა, მანახვა, რას ვგავარ და მომკლა.
– ამხანაგო მაიორო, ჯარისკაცები მოეწყვნენ! – მოახსენა ვიღაცამ.
– წამობრძანდით! – მითხრა მაიორმა და წინ გამიძღვა.
ეზოში გავედით. ჯარისკაცები ორ რიგად იდგნენ და გველოდნენ.
– სმენა, სწორება პირდაპირ! – გასცა ვიღაცამ ბრძანება.
ყველა გაიჭიმა, მეც გავიჭიმე შეძლებისდაგვარად. მერე მესმოდა მაიორის ლაპარაკი, ჩემი გვარი და სახელიც გავიგონე, ჩემი წიგნების სათაურები, გარკვევით არაფერი არ მახსოვს. მხოლოდ ის მახსოვს, მაიორმა რომ მკითხა – ჯარისკაცებს რამეს ხომ არ ეტყვიო?
მახსოვს, სიტყვა ასე დავიწყე: – როგორც მომხსენებელმა აღნიშნა...
და ისევ არაფერი აღარ მახსოვს. სიცილმა გამომარკვია და დავდუმდი.

– დაიშალეთ! – გავიგონე მაიორის სიცილნარევი ბრძანება და ჯარისკაცების ხარხარი. ბოლოს მეც დავიწყე სიცილი, რისთვის, არ ვიცი. ჯარისკაცები რომ დაიშალნენ, მაიორი ჩხარტიშვილი მომიახლოვდა და ღიმილით მთხოვა: – ბატონო ვლადიმერ, ეს სიტყვა დაწერილი თუ გაქვთ, მომეცით, ლენინის ოთახში ფიცის გვერდით დავკიდებო. – არაფერი ვუპასუხე.
ჩემს ოთახში წავედი, ჩავიკეტე, საწოლზე წამოვწექი და სირცხვილისაგან ცეცხლმოკიდებულმა თვალები დავხუჭე...
. . . . . .
იმ დღეს ოთახიდან არ გამოვსულვარ, ძმაო სარგის, მერე კი... მერე ყველაფერი ჩადგა თავის კალაპოტში, და მეც თანდათან მესაზღვრეს დავემსგავსე.
ჩემი საწოლის პირდაპირ, სარკმელში, მინაა ჩამტვრეული. თვალს რომ გაახელ, გეგონება, ზღვა დილიდანვე შენს ოთახში ბრძანდება. უკეთესი ზღვა ან უკეთესი პლაჟი არ მგონია, დედამიწის ზურგზე არსებობდეს. ისე ლურჯია წყალი, ისე გამჭვირვალე, ყველა კენჭი, ყველა თევზი, ყველა ნიჟარა, მედუზა შენს ქვეშ დაბორიალობს, როგორც აკვარიუმში. ზღვა ვის არ უნახავს, დალოცვილი, მაგრამ აქ სულ სხვა ზღვაა. სხვა თრთოლვის, სხვა რიდის და სხვა ღელვის ზღვა!
აქ, ამ თვალით აუწერელ ლამაზ ზღვაში, სამი პატარა გახუნებული ალამი ტივტივებს, ნაპირიდან ასე, 20-25 მეტრის მანძილზე, ათი მხარის მოსმაა, მეტი არა, მაგრამ დედიშენის შვილი ხარ და გასცურე იმის იქით, იმიტომ კი არა, რომ ვინმე გიშლის, გისტვენს, მოგდევს, გაჯარიმებს ან გახრჩობს. არა, ეს სამი პატარა, გახუნებული ალამი დგას, როგორც უფსკრული, იმის იქით არ შეიძლება, იმათ იქით ზღვა თავდება. და კიდევ უფრო დიდი და შემზარავია თავისი სიდიადით ის გრძნობა, რომ ამ სამი აკრძალული ალმის დარაჯი შენ ხარ და იმ სამი ალმის აქეთ რაც არის შენია, მხოლოდ შენი, სხვისი არავისი, და ყველაფერი ეს შენ გაბარია.
ეს ქვეყანა, ჩემო სარგის, პარადოქსებით არის სავსე. კაცს თითქოს უნდა უხაროდეს, ქვეყნად რომ სიმშვიდეა, საზღვარს რომ არავინ არ არღვევს, არც იქით გადადის, არც აქეთ გადმოდის. მშვიდი და უწყინარი დღეები თაფლივით გადნება ენაზე. ხარ მხარ-თეძოზე წამოწოლილი და მთვლემარე თვალებით გასცქერი სივრცეს, ზღვა სულიერივით მიდის და მოდის, მიდის და მოდის, ოხრავს, ქშინავს, რაღაცას გეუბნება. შენც ეუბნები. გგონია, გესმის მისი და ესმის შენი, უცქერ მიწას შენს გარშემო: იფოთლება, ყვავილობს, მწიფდება, იძინებს, იღვიძებს, შრიალებს, ბორგავს, გუგუნებს, თითქოს გესაუბრება, ესაუბრები შენც. გგონია, ყურს უგდებ და ისიც გიგდებს ყურს. ახედავ ზეცას და ათი ათას ფერს იცვლის დღე-ღამეში, – ღრუბლებით, ცისარტყელებით, მთვარითა და ვარსკვლავებით ირთვება, თავს გაწონებს, შენც ათასნაირად ირთვები, შიშვლდები, ხან სახეს მიუშვერ, ხან მკერდს, ხან ზურგს, ხან დაემხობი, ხან გულაღმა ამოტრიალდები. გგონია, გხედავს და გგონია, ხედავ... ხანდახან ასეთი სულელური აზრიც გებადება, რომ დედამიწა თვითონ ცოცხალი სხეულია, დაგორავს, დაიარება, ხედავს, სუნთქავს, ესმის, სტკივა, უყვარს, სძულს, უხარია და სწყინს. ამიტომ ხან კვნესის, ხან ოხრავს, ხან ბორგავს, ხან იცინის, ხან ტირის, ჩვენ კი შესეული ვართ ამ ვეებერთელა სულდგმულს მკბენარებივით, ვჩიჩქნით, ვწიწკნით, ვჯიჯგნით, ვგლეჯთ, ვკბენთ, დავრბივართ, ვაწუხებთ და ისე ვაწუხებთ ხანდახან, რომ ვეღარ ითმენს, შეაჟრჟოლებს ხოლმე ზურგს დაშავებული ჯაგლაგივით, აგვყრის, დაგვყრის ბუზებივით, დაგვინგრევს, მოგვიშლის, წაგვილეკს საბუდარს, ყველაფერს, რაც გაგვაჩნია. ჩვენ კი, გონს მოსულნი, ისევ შევესევით, ისევ დავუწყებთ ჩიჩქნას, ძიძგნას, კბენას, ვიდრე კვლავ არ გაიღვიძებს ეს გოლიათი, კვლავ არ მოიფხანს კეფას, კვლავ არ გამოიფხეკს ყურებს, კვლავ არ მოისრესს

თვალებს და არ შეგვაძრწუნებს კვლავ, რათა მერე ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ვინ იცის, იქნებ, მართლაც, ასეა?!
არადა, ეს თუ ასეა, ის რაღაა, რომ დგახარ მწვერვალზე, ხელს ასწევ ცაში, რომ მზეს მისწვდე, რადგან მზე შენი გვირგვინი გგონია, დაბლა დაიხედავ, ღრუბელი შენს ფერხთ ქვეშ მიცურავს და შენი ფეხის მტვერი გგონია. მიწა შენს ფერხთ ქვეშ წევს და შენი ტერფის ტოლი გგონია. გახედავ ზღვას და ერთი პეშვი გგონია, დაგიბერავს ქარი და შენი ფრთები გგონია, ეძახი ღმერთს და ნაპრალებიდან მოსული ექო შენივე ხმით რომ გპასუხობს, შენი თავი ღმერთი გგონია, და თუ ღმერთია შემქმნელი ყოვლისა ამ ქვეყანაზე, ეს დედამიწაც შენი ნაოფლარი, შენი ნასისხლარი, შენი ნაჯაფარი, შენი შექმნილი გგონია. და როდესაც ასე გგონია, კაცი ხარ მაშინ. აი, ახლა, მე საგუშაგოს მაღალ სათვალთვალო კოშკზე ვდგავარ და ზუსტად ასე მგონია, და მე მინდა, ისე ბედნიერი ვიყო, რომ სულ ასე მეგონოს. მე არ ვიცი, რას ფიქრობენ ეს ახალგაზრდები, რომლებიც ჩემთან ერთად დგანან ამ მაღალ სათვალთვალო კოშკზე, მაგრამ მე მინდა, რომ ამათაც ასე იფიქრონ...
– შერბინა, რაზე ფიქრობ? – ვეკითხები შერბინას, რომელსაც მობეზრდა იქით მხარეს ცქერა, სკამზე ზის და ავტომატის ლულას აპრიალებს სახელოთი.
– აბა, რა ვიცი, რაზე ვფიქრობ, ამხანაგო ლეიტენანტო, ვფიქრობ უბრალოდ, – მიპასუხა მან ისე, რომ თავი არც აუწევია.
– მაინც რაზე ფიქრობ?
– რა უნდა ვიფიქრო, მალე სამსახურის ვადა მიმთავრდება, ეს ორი წელი ჩემთვის წყალში ჩაყრილი ორი წელია.
– რატომ, შერბინა?
– როგორ თუ რატომ?! არც ერთი ჯაშუში, არც ერთი გასროლა, დიდი დიდი თვეში ერთხელ საგანგაშო შუშხუნა გავისროლოთ, გავვარდებით ცოფიანებივით, ბოლოს, ან დათვი, ან ტურა, ან ქათამი, სულაც მავთულზე შემომჯდარი ყვავი აღმოჩნდება. ეს არის და ეს.
შარშან ძლივს ორი უნამუსო თურქი დავიჭირეთ, ვიფიქრე, ავშენდით-მეთქი, იმათაც პოლიტიკური თავშესაფარი მომთხოვეს.
– ამ ორ წელიწადში ამდენი რამე რომ ისწავლე, ამდენი მეგობარი რომ შეიძინე, ამდენი ხალხი რომ გაიცანი, ეს არაფერია?
– მაგას ორი წელიწადი რად უნდა, ამხანაგო ლეიტენანტო, საკმარისი იყო თქვენსავით ორი თვით ჩამოვსულიყავი და ამ ორ თვეში, რაც ჩამოთვალეთ, ყველაფერს მოვასწრებდი, – თქვა შერბინამ და, როგორც იქნა, ამომხედა.
– კი მაგრამ, ყველამ რომ ასე იფიქროს, საზღვარი ვიღამ დაიცვას, შერბინა? – ვკითხე მე და შევეცადე, ხმის ინტონაციით რაც შეიძლება მეტი იდეური დატვირთვა მიმეცა შეკითხვისათვის.
– მაგას ვინ ამბობს, ამხანაგო ლეიტენანტო, საზღვარი ყველამ უნდა დაიცვას, აკი ვიცავთ კიდევაც. მე იმას ვამბობ, რომ მოწყენილობაა, არაფერი არ ხდება.
– მერე, ასე არა ჯობს? – არ მოვეშვი შერბინას.
– არ ვიცი, ამხანაგო ლეიტენანტო, ალბათ, ასე ჯობს, მაგრამ მე მაინც ისე მირჩევნია.
– მაინც როგორ?
– აი როგორ, ვინმე რომ გადმოვიდეს, დავიჭირო, დედა ვუტირო, ცხვირით მიწა ვახვნევინო, ვუთხრა, სად მოძვრები, ღორო, შენ საბჭოთა კავშირი ლილახანა ხომ არ გგონია. აქ შერბინა დგას საზღვარზე, გენაცვალე, საფრთხობელა კი არა, დედას გიტირებ, შე ნაბიჭვარო! – შერბინა წამოდგა და თვალები გაუბრწყინდა. – ერთი და

ორი, ერთი და ორი შენს ჯაშუშს, არადა სახლში რომ ჩავალ, რა მოვყვე, რა ვუთხრა ხალხს, ეს მაზოლი ცხვირზე ჭოგრიტში ცქერისაგან მაქვსმეთქი?..
აი, თქვენ, ამხანაგო ლეიტენანტო, მწერალი ბრძანდებით, რომ ჩახვალთ თბილისში, რა უნდა დაწეროთ, როცა დასაწერი არაფერი გაქვთ? – მკითხა შერბინამ.
– რატომ არ მაქვს? დავწერ, რომ მსახურობდა საზღვარზე ერთი ბიჭი შერბინა, საცრისოდენა თვალები ჰქონდა, რომ იცინოდა, მიწა ზანზარებდა, კლდეები იმსხვრეოდნენ, მდინარეები კალაპოტს ტოვებდნენ. როცა მრისხანებდა, ზღვა უკან იხევდა, მზე ღრუბელს ეფარებოდა, მის ნაკვალევზე უზარმაზარი ორმოები ჩნდებოდნენ. რასაც ხელს შეახებდა, იფშვნებოდა... ერთი სიტყვით, მისი შიშით საზღვარს ვერავინ გადმოდიოდა და შერბინას ამიტომ ჯაშუშის დაჭერა ოცნებად ჰქონდა ქცეული...
შერბინას გაეღიმა.
– ეგ, რაც ბრძანეთ, პარხომენკოს უფრო მოუხდება.
– მოუხდება და პარხომენკოზე დავწერ.
– იქნებ მართლა იმიტომ არ გადმოდიან, რომ პარხომენკოსი ეშინიათ?! – გაიცინა შერბინამ.
– აბა, შენ რა გეგონა?
შერბინამ უნდობლად ამომხედა, მერე ხელი ჩაიქნია და ავტომატის წმენდა განაგრძო...
– შენ რაღას ფიქრობ, ჯაყელო?
ჯაყელი გაღმა მხარეს თვალს არ აცილებდა და რაღაცას იწერდა სამორიგეო ჟურნალში.
– მე იმას ვფიქრობ, ბატონო ვლადიმერ, ის კრეტინი ასკერი რას მემალება, რომ მემალება, ხომ იცის, რომ ვხედავ! – თქვა ჯაყელმა და ჟურნალი დახურა. პარხომენკო, როგორც ყოველთვის, ქვევითაა და სისტემას ამოწმებს.
პარხომენკო რას ფიქრობს, არ ვიცი, ალბათ, ჯაყელიც არ მეუბნება რას ფიქრობს, მაგრამ ბევრს რომ ფიქრობენ, ცხადია, მთელი დღე შეუძლიათ უხმოდ ისხდნენ ჭოგრიტთან, უყურებენ გაღმა მხარეს, ყველა ძაღლი, ყველა კაცი, ყველა კატა, ქათამი, ძროხა თუ ხე, ალბათ, თავიანთ სახლსა და კარს აგონებთ. ამიტომ ხშირად სევდიანები არიან. ალბათ ამიტომ ენატრება შერბინას ჯაშუში... ვინ იცის?!
მე მეორე თვეა აქ ვარ და უკვე შემეპარა საზღვარზე ერთფეროვანი სამსახურის სევდა. წარმოუდგენლად ძნელია საზღვარზე რამის დაწერა. სული ისე ღრმად აქვთ ამ ახალგაზრდებს, ასი არტეზიული ჭის ამოთხრა უფრო ადვილია, ვიდრე მათ სულში ჩახედვა და იმ წყაროს მიგნება, იქ, სულის ფსკერზე რომ ჟონავს.
სათვალთვალო კოშკის კუთხეში მწვანე ნათურა აინთო. ჯაყელმა ელსმენი აიღო.
– ამხანაგო ლეიტენანტო, მაიორი გთხოვთ!
ელსმენს ვიღებ.
– გისმენთ, ამხანაგო მაიორო!
– ამხანაგო ლეიტენანტო, აქ რომელიღაც ქარხნის დელეგაციაა ჩამოსული ექსკურსიაზე, საზღვრის დათვალიერება სურთ, გთხოვთ, გაუწიოთ ექსკურსიამძღოლობა. მე არ მცალია, შიფრს ვკითხულობ.
– ახლავე გეახლებით!
– გმადლობთ. აქ არიან, საგუშაგოს ეზოში, გელოდებიან! – ჩხარტიშვილმა ელსმენი დაკიდა.
– მოემზადეთ, ბიჭებო, მალე ექსკურსანტებს მოგიყვანთ! – ვუთხარი შერბინას და ჯაყელს.

– გააწყალეს გული, საქმე არა აქვთ! – თქვა შერბინამ.
მე კიბეს ჩავყევი.
საგუშაგოს ეზოში ათამდე ექსკურსანტი იდგა, მათ შორის ერთი ნამდვილად დირექტორი იყო, ორი ქალბატონი ახლდათ, ერთი ბავშვიანი, ძალიან მსუქანი, დირექტორის გვერდით იდგა და მკლავზე ეყრდნობოდა. მეორე ქალი შედარებით ახალგაზრდა იყო, კისერზე ორი ფოტოაპარატი ეკიდა და ხელში ბლოკნოტი ჰქონდა მომარჯვებული. ჯგუფს რომ მივესალმე, ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა და ორთავე აპარატიდან ორ-ორჯერ გადამიღო სურათი. ყველას სათითაოდ ჩამოვართვი ხელი. ყველამ სახელი მითხრა, დირექტორმა – გვარი.
– ქალბატონო, თქვენ ეგ აპარატები და ბლოკნოტი აქ დატოვეთ, ისე წამობრძანდით! – ვუთხარი მეორე ქალბატონს.
დაბნეულმა ქალბატონმა აპარატები და ბლოკნოტი პირდაპირ ბალახზე დააწყო, მერე სასოებით გახედა.
– ნუ გეშინიათ, არავინ წაიღებს.
– არა, იმიტომ კი არა, მიწაზე რომ დავაწყვე.
– არც გაცივდება!
დელეგაციას წინ გავუძეხი. პირდაპირ სასაზღვრო ხაზთან მივიყვანე ჯგუფი და ექსკურსიამძღოლის მოვალეობის შესრულებას შევუდექი.
– ჩვენი საგუშაგოს ისტორია იწყება 1922 წლის 20 დეკემბრიდან, დღიდან მისი დაარსებისა, – დავიწყე მე. – საგუშაგო სანიმუშო საგუშაგოდ ითვლება. აქ ბევრმა მესაზღვრემ ისახელა თავი, დაკავებულია უამრავი ჯაშუში, საზღვრის დამრღვევი, რომლებიც ფარულად შემოდიან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. 41 წლიდან ვიდრე 45 წლამდე ამ უბანზე დაკავებულია 248 სახელმწიფო საზღვრის დამრღვევი, აქედან 85 ძალიან საშიში ჯაშუში, უცხოეთის დაზვერვისა.
– რაო, რა გვინდაო? – მკითხა დირექტორმა.
– სიკვდილი და არგადარჩენა! – უპასუხა ცოლმა.
– საზღვარი გადის ამა და ამ პარალელზე, ამა და ამ ვერტიკალზე, გადახრილია ამდენი და ამდენი გრადუსით და როგორც ხედავთ, ერთი ძმა გამოღმა ცხოვრობს, მეორე – გაღმა.
– არ ენატრებათ ერთმანეთი? – მკითხა ვიღაცამ.
– როგორ არა, ძალიან ენატრებათ! – ვუპასუხე მე.
– გადმოსვლა არ უნდათ ჩვენსკენ? – მკითხა იმავე კაცმა.
– როგორ არ უნდათ, სულ ყელგამობდღვნილი გვეხვეწებიან გამოგვიშვითო და ჩვენ არ ვუშვებთ!
– რატომ, კაცო, გამოუშვით, მე შენ გეტყვი, ვერ მივიღებთ, ვერ ვაჭმევთ, ვერ ვასმევთ და ვერ დავხურავთ, თუ რა?! – დამარიგა ჭკუა დირექტორმა.
– ასე ყველა რომ გადმოვუშვათ, ჩვენ სად წავიდეთ, ბატონო?
მაშინ ჩვენ უნდა გადავიდეთ იქით. – ვუპასუხე მე.
– იქით გადამსვლელის დედა ვატირე, ჩემდათავად! – თქვა დელეგაციის ერთმა წევრმა.
– გადასვლაზე გამახსენდა, აქედან რომ გადაირბინოს კაცმა, თუ მოასწრებთ დაჭერას? – მკითხა უაპარატოდ დარჩენილმა ქალმა.
– მე მგონი კი.
– მაინც რომ გაგასწროთ?
– ვესვრით!
– იმათ ტერიტორიაზე გაქვთ მოკვლის უფლება? – არ მომეშვა უაპარატო.

– არა, მაგრამ, მაინც ვესვრით.
– ზღვით?
– რა ზღვით?
– ზღვით რამდენ ხანში გასცურავს კაცი, აი, პლაჟზე რომ ჩავიდეს და უცებ იქით ქნას პირი, რამდენ ხანში გასცურავს?
– გააჩნია, კარგი მოცურავე ხუთ წუთში თურქეთშია!
– თუ დაინახეთ?
– ვესვრით, სულ ერთია, ზღვაშია, ხმელეთზეა, ვესვრით.
– ღამე თუ გაცურა?
– თქვენ, ქალბატონო, წასვლა თუ გინდათ, რას იკლავთ თავს ამ ზღვაში ცურვით და მავთულებში ბღოტიალით, აიღეთ ერთი ასმანეთიანი საგზური და წადით... – ვურჩიე უაპარატოს.
– არა, ბატონო, მე ისე ცნობისმოყვარეობით, თორემ... რა მჭირს იქ დასარჩენი, მშვენიერი ხელფასი მაქვს, – დაიბნა უაპარატო.
კოშკისკენ წავედით. გზაში პარხომენკო შემოგვხვდა პირდაბჩენილი აკბარით. ტანგოს მერე აკბარი ჩააბარეს, ორი ტანგოს ხელა.
– ამხანაგო ლეიტენანტო, სოფლის საგუშაგოს სახელმწიფო საზღვარზე შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. რიგითი პარხომენკო! – მომახსენა მან, თან ძაღლს ძლივს აკავებდა.
– შეგეჩვია აკბარი? – ვკითხე პარხომენკოს.
– დღეს არ უკბენია! – გამიღიმა პარხომენკომ და ძაღლს ლოყაზე ხელი მოუთათუნა. ძაღლი ყურდაცქვეტილი იჯდა და გვერდზე გადმოგდებული ენა ფეხებამდე წვდებოდა.
– შეიძლება პირში ხელი ჩავუყო? – იკითხა დირექტორის ბავშვმა და მარჯვენა მკლავი დაიკოტავა.
– ჩაყოფა კი შეიძლება, ცოტა ამოყოფა გაგიჭირდება! – აუხსნა პარხომენკომ.
მარჯვენადაკოტავებული ბავშვი დედამ ყურით მოქაჩა და ზურგს უკან აიფარა. სათვალთვალო კოშკს მივადექით.
– ჯაყელო! ახსენი ხუფი! – ავძახე მე.
ხუფი აიხადა.
– სამ-სამი ამოხვალთ, მეტი ვერ დაეტევით. – ავუხსენი ექსკურსანტებს.
პირველი დირექტორი და ორი ქალბატონი ამობრძანდნენ, რა თქმა უნდა, ბავშვით. მეც ავედი. ჯაყელი გაიჭიმა.
– ამხანაგო ლეიტენანტო!..
– თავისუფლად, ჯაყელო! გაახედეთ ჭოგრიტში სტუმრები და აუხსენით, სად რა არის! – ვუბრძანე მე.
ჯაყელმა ჭოგრიტი გადასცა უაპარატოდ დარჩენილ ქალბატონს და დაიწყო:
– ჩვენს ქვემოთ, ხელმარჯვნივ, თქვენ ხედავთ მეჩეთს მინარეთით, აფსუს, რომ შეგაგვიანდათ, თორემ ნახევარი საათის წინ მოლა იდგა მინარეთზე და ლოცულობდა...
– როგორ ადის ამ სიმაღლეზე? – იკითხა დირექტორის ცოლმა.
– კიბე აქვთ შიგნით დაყოლებული, – აუხსნა ჯაყელმა.
– ამ სიმაღლეზე რომ ახვალ, იწამებ ღმერთს, აბა რა იქნება! – თქვა უაპარატოდ დარჩენილმა, ჭოგრიტი მოიშორა და ძალიან ლირიკულად მოჭუტა თვალები.
– რაც უფრო მაღლა ადიხარ, მით უფრო ნაკლებად გწამს ღმერთი, ქალბატონო! – უთხრა ჯაყელმა.

– მართლა? – წარბები აქაჩა უაპარატომ.
– დიახ, ასეა, და რაც უფრო დაბლა ხართ, მით უფრო გწამს ღმერთი. აი, პარხომენკო დაბლაა და მოლასთან ერთად ლოცულობს ხოლმე. მე და შერბინა კი – არა, – თქვა ჯაყელმა და შერბინას გადახედა. შერბინამ თანხმობის ნიშნად გაუღიმა.
– როგორ, აქეთაც ლოცულობს მოლა? – იკითხა დირექტორის ცოლმა.
– რა თქმა უნდა!
– აქვს მერე უფლება? – იკითხა დირექტორმა.
განცვიფრებულმა ჯაყელმა და შერბინამ შემომხედეს, მე თვალი ჩავუკარი.
– უფლება არა აქვს, მაგრამ მაინც ლოცულობს, – გაშალა ხელები ჯაყელმა.
– მერე ჩვენ რა ზომებს ვღებულობთ? – იკითხა გაჯავრებულმა დირექტორმა.
ბიჭებმა ისევ შემომხედეს. მე ისევ თვალი ჩავუკარი. ბიჭები მიხვდნენ, სრულ თავისუფლებას ვანიჭებდი და თავი აიშვეს.
– ჩვენ რა ზომები უნდა მივიღოთ? – დაიწყო შერბინამ, – ამას წინათ, ნოტა გავუგზავნეთ თურქეთის მთავრობას, ვწერდით: უთხარით თქვენს მოლას, ჩვენსკენ ნუ იხედება ლოცვის დროს, თუ მაინცდამაინც, თვალები აუხვიეთო. თურქეთის მთავრობამ ასე გვიპასუხა: მიუხედავად საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა, თქვენს მოთხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთ, რადგან მოლამ თქვა, იმ სიმაღლეზე თვალახვეულს რა ამიყვანსო. რადგან ჯერჯერობით ვერ ვიშოვეთ ისეთი მოლა, რომელსაც თვალახვეული შეეძლოს მინარეთზე ასვლა, ამიტომ თქვენ თქვენი მღვდელი მოაყენეთ მაქედან და რამდენიც უნდა იყვიროსო, – დაამთავრა შერბინამ დიპლომატიური მოლაპარაკება.
დირექტორმა ჯერ შერბინას შეხედა ეჭვის თვალით, მერე – ჯაყელს, ჯაყელს რომ არ გასცინებოდა, ჭოგრიტში დაიწყო ყურება, მე კი ზურგი შევაქციე ორთავეს და უაპარატო ქალს ვუხსნიდი რაღაცას.
– აი, იმ სახლში სოფლის მამასახლისი ცხოვრობს, იმ სახლში – მასწავლებელი, ის ლამაზი გოგონა, ეზოში რომ დგას, მისი ცოლია, – ჩამოართვა სიტყვა შერბინას ჯაყელმა.
– თუ ხედავთ აქედან, როგორ ეპყრობიან ქალებს? – იკითხა დირექტორის ცოლმა.
– ძალიან ცუდად, აი, ამ სოფლის მასწავლებელს ხარი არ ჰყავს, გაზაფხულზე შეაბამს ცოლს უღელში და მიწას ახვნევინებს. გუშინწინ ჯამაგირის დღე ჰქონდათ. მთვრალი მოვიდა და სულ სველი ბაწრით სცემა ცოლი. ამბობენ, ბავშვებს ყურებს აჭრის და ჩირად ახმობსო, სოფელი სავსეა უყურო ბავშვებით, – დაამთავრა ჯაყელმა, და თავგასიებულ ბავშვს ქალამანივით ყურზე ხელი მოუთათუნა.
– მერე პასუხს არავინ აგებინებს? – იკითხა ბავშვის შეშინებულმა დედამ.
– რას ამბობთ, პირიქით, თითო ყურში თითო ლირას აძლევენ! – დაადო ცეცხლის ფასი ყურებს ჯაყელმა.
უაპარატო ქალი მიხვდა, დაგვცინიანო და ქვევით ჩასვლა მოითხოვა. შერბინამ ხუფი ასწია. პირველი უაპარატო ქალბატონი დაიძრა ქვევით და დანარჩენებიც მიჰყვნენ.
– შერბინა, შენ და ჯაყელს ცოტა გრძელი ენები ხომ არ გაქვთ? – ვკითხე შერბინას, ექსკურსანტები რომ გავისტუმრე.
– გვაქვს, ამხანაგო ლეიტენანტო! – გამეჭიმა ის.
– მაგისთვის, რომ ნაობახში სვამენ, თუ იცით?
– ვიცი, ამხანაგო ლეიტენანტო!
– შენ თუ იცი, ჯაყელო? – ვკითხე ჯაყელს.
– როგორ არ ვიცით, ამხანაგო ლეიტენანტო, მაგის გულისთვის უკვე ორჯერ ვიჯექით მე და შერბინა! – გაიღიმა ჯაყელმა.

რაღა უნდა მეთქვა, თავი გავიქნიე და ექსკურსანტებს დავედევნე.
* * *
გახსოვს, 1955 წელს, ტყვარჩელში, ახიბლარას ქვანახშირის მაღაროში ვმუშაობდი ერთი თვე. მაშინ მაღაროელზე მძიმე პროფესია თუ არსებობდა, არ მეგონა. 1962 წელს წნორელ მწყემსებს ვახლდი ლებაისკარში, და ახიბლარას მაღაროში გატარებული დღეები სამოთხეში ღმერთის კალთის ქვეშ გატარებულ დღეებად მომეჩვენა. მესაზღვრეობა კი ისეთი რამ ყოფილა, ჩემო სარგის, ლებაისკარი თვითონ მაღალი ღმერთის სავანედ მომეჩვენა. მესაზღვრეს არ სძინავს, მესაზღვრე არ სვამს, მესაზღვრეს სცივა, მესაზღვრეს სცხელა, მესაზღვრეს სტკივა, მესაზღვრეს სწყურია. ძილი ენატრება მესაზღვრეს, ხალხში ყოფნა ენატრება, სამოქალაქო ტანსაცმელი ენატრება; ავადმყოფობას ნატრობს მესაზღვრე და არ ხდება ავად. მე და შენ რაღაც ორ სტრიქონს დავწერთ და ქვეყანა ჩვენი გვგონია. ჰონორარს ვითხოვთ, ტაშს, პრესას, შეხვედრებს, იუბილეს, საგზურს, დაწინაურებას, თავზე ხელის სმას, ტელევიზორს, ინტერვიუს და, ბოლოს, მთაწმინდას: მესაზღვრე არაფერს არ ითხოვს. გმირობას ჩაიდენს მესაზღვრე, თუ შეაქებენ, ხომ კარგი.
– Служу Советскому Союзу!
აგინებ, მაინც:
– Служу Советскому Союзу!
დგება, იცვამს და მიდის. გადახტომა არ შეუძლია, ხტება, კლდეზე ასვლა არ შეუძლია, ადის, ცურვა არ იცის, მიცურავს... მესაზღვრე სულ სხვა რაღაც არის, მესაზღვრეში ერთი გრძნობაა განვითარებული უკიდურესობამდე მძაფრად, გრძნობა, რომელსაც საზღვარი არ აქვს, ეს არის მამულის დაცვის, მიწის სიყვარულის, მზის სიყვარულის, მდინარის, ხევის, ზღვის, ხისა და ბალახის, ყანისა და ვენახის, ციხისა და ტაძრის ჯვარისა და ხატის დაცვის, იარაღით ხელში დაცვის, უსიტყვო თავდადების მოვალეობის გრძნობა. ეს არის მესაზღვრე.
ასეთი კაცია ჩხარტიშვილი.
* * *
დღეს მეუღლე ჩამოუვიდა ჩხარტიშვილს სოხუმიდან, ძალიან სანდომიანი და ლამაზი ქალი. ფინჯან ჩაიზე მიმიპატიჟეს
ვზივარ ჩხარტიშვილის პატარა ოთახში და, ოჯახურ სითბოს დანატრული, ღუმელთან გაწოლილ ფისოსავით ვნაბავ თვალებს, ვნებივრობ და ფინჯანიდან ამოსულ ჩაის სურნელსა და ორთქლს ვსუნთქავ. ფილტვები ისე მევსება ამ სურნელითა და ორთქლით, რომ ამოსუნთქვა აღარ მინდა. ოთახის კუთხეში მდგარ ჭრელსაბანგადაფარებულ საწოლს რომ ვუცქერი, რული მეპარება. ჩხარტიშვილი ჩაფიქრებული ზის და ფინჯანში კოვზს ურევს მონოტონურად. არაფერს ამბობს, იგი საერთოდ არასოდეს არაფერს ამბობს, თუ არ ჰკითხავ. მისი ცოლი ოთახის მეორე კუთხეში ზის, მუხლებზე მკლავებდასვენებული და ისიც ქმარივით უხმოდ თვალყურს გვადევნებს. საოცრად ლამაზი, სევდიანი და მორჩილი თვალები აქვს.
– ქალბატონო ნინო, მობრძანდით, ჩვენთან დაჯექით! – ვთხოვე მე.
– არა უშავს, მე აქედან გიყურებთ, თქვენ მიირთვით! – მპასუხობს იგი და ქმარს თვალს არ აცილებს.
– მოდი, ნინა, დაჯექი! – ეუბნება ჩხარტიშვილი.
– ყავას მოვხარშავ და მოვალ! – ამბობს ნინო და სამზარეულოში გადის.
– ცოდვაა, ძალიან მეცოდება. თხუთმეტი წელია ჩემი ცოლია, თითქოსდა კარგი ქმარი ვარ, ჯამაგირს კაპიკ-კაპიკ ვაძლევ, მე აქ რაში მჭირდება, საგზურს ვუღებ ყოველ წელს, საზღვარგარეთაც იყო სამჯერ. ბათუმში ახალი ბინა მივიღეთ, ავეჯი ვიყიდე

რიგის, გოგო მუსიკალურ ტექნიკუმში გვყავს, ღვინოს მე არ ვსვამ და არაყს, შარშან დაბადების დღეზე კაბა ვუყიდე, ჩამეკრა გულში და ტირილი დაიწყო. ვეკითხები: – რა გატირებს-მეთქი. ხმას არ იღებს, მეკვრის და ტირის, ეტყობა, სხვა რაღაც სჭირდება ქალს, გარდა იმისა, რომ ქმარი ჰყავს და არაფერი არ აკლია, კიდევ რაღაც, დასწყევლოს ღმერთმა, სიყვარული თუ სჭირდება, თავზე უფრო მიყვარს, რაღაც სჭირდება ქალს კიდევ. ეტყობა, ისე ვარ მოწყობილი, რომ რაღაც მაკლია და ვერ ვხვდები, თვითონ კი არაფერს მეუბნება, არაფერი მაკლიაო, ამბობს, ბედნიერი ვარო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ არ არის ბედნიერი, ტყუილს ამბობს, მეცოდება, ძალიან მეცოდება, – ჩხარტიშვილმა კონიაკი დამისხა, თვითონაც დაისხა და მომიჯახუნა.
– რას იტყვით, ბატონო ვლადიმერ? – მკითხა მან.
მე მხრები ავიჩეჩე და კონიაკი მოვსვი.
– რა გითხრა, ჩემო ალიოშა, მთელი მსოფლიოს მწერლები კაცობრიობის გაჩენის დღიდან ამაზე წერენ და ეძებენ, რა სჭირდება ქალს, რა აკლია ქალს, რა ჰქვია იმ რაღაცას, რაც შენ და მე გვაკლია, და ვერ ვგრძნობთ, არის თუ არა სიყვარული ის, რაც ჩვენ გვგონია, და დღემდე პასუხი ვერ გაუციათ, აბა, რა ვიცი?!
– თქვენ მაინც რა გგონიათ? – მკითხა მან.
ოთახში მისი მეუღლე ნინო შემოვიდა და თითო ფინჯანი თურქული ყავა დაგვიდგა.
– მიირთვით, ჩაის არ სვამთ, იქნებ ყავა გესიამოვნოთ, – თქვა მან და ისევ კუთხეში დაჯდა.
– მოდი, ჩემთან დაჯექი! – უთხრა ჩხარტიშვილმა.
ქალი მივიდა და გვერდით დაუჯდა, ჩხარტიშვილმა მხარზე ხელი მოხვია და თავისკენ მოიზიდა.
– კარგი, ალიოშა, რამ გაგაგიჟა! – უთხრა ქალმა, გვერდზე გაიწია და გაწითლდა.
– აი, ხომ ხედავთ, ბატონო ვლადიმერ? – მითხრა მან და უხერხულად გაიღიმა, – რაღაც გვაკლია.
– ყველაზე მარტივი, ყველაზე უბრალო, ყველაზე პრიმიტიული ქალიც კი, ჩემო ალიოშა, მამაკაცის გონების სფეროს მიღმა დგას.
ამიტომ ტყუილად ნუ მოვიკლავთ თავს. მაინც არაფერი გამოვა. თქვენი სადღეგრძელოა, ქალბატონო ნინო! – ვთქვი მე და დავლიე.
– მადლობელი ვარ! – თქვა ქალბატონმა ნინომ და კონიაკით სავსე ქმრის ჭიქა მომიჯახუნა. ვიდრე დადგამდა, ერთი წამით დაფიქრდა, მერე უცებ გადაჰკრა და ცარიელი ჭიქა ქმრის წინ დადგა.
– მაგისთვის არ შეიძლება, – ბოდიშის მოხდით თქვა.
– ერთი ჭიქა რას უზამს? – ვკითხე მე.
– მესაზღვრე ნაგაზივითაა, ერთი ჭიქა და ყნოსვას დაკარგავს. – გაიღიმა მან. მე ჩხარტიშვილს შევხედე.
– ერთი ჭიქა არაფერს ნიშნავს, ყნოსვაზე არ მოქმედებს, ორი ჭიქა კი ბევრია, დამისხი, ნინა, შენს სადღეგრძელოს დავლევ! – სთხოვა ჩხარტიშვილმა.
ნინომ დაუსხა. ჩხარტიშვილმა ჭიქა აიღო.
– ბატონო ვლადიმერ! – დაიწყო მან. – მე მინდა ჩემი ნინას სადღეგრძელო შევსვა. არ მეხერხება სადღეგრძელოების თქმა, მით უმეტეს, ლამაზი სადღეგრძელოების. ნინო რომ გავიცანი, დღესასწაული იყო. შეფობა ჰქონდა ამათ სკოლას ჩვენს სასწავლებელზე. უმცროსი ლეიტენანტი უნდა გავმხდარიყავი. მოვიდნენ ყავისფერკაბიანი, თეთრწინსაფრიანი და ვარდისფერბაბთიანი გოგონები. ბევრნი იყვნენ. ყველანი ცეკვავდნენ. რაზმის ორკესტრი ვალსს უკრავდა.

მაშინ ვეცეკვე და თავბრუ დავახვიე, იმდენი ვატრიალე. ერთი თვის შემდეგ მითხრა, საფლავში ჩაგყვებიო; საფლავი რაა, ისიც არ მქონდა მაშინ, მაინც წამომყვა. მამამისმა დუელში გამიწვია, როგორც მცირეწლოვანი გოგონას მაცდუნებელი. დუელზე „ვოროშილოვსკი სტრელოკის“ სამკერდე ნიშნით მივედი. შეეშინდა და შემირიგდა. იმ დღიდან თხუთმეტი წელი გავიდა. შარშან უბედურება შეგვემთხვა. ჩვენს სოფელში ამ რამდენიმე წლის წინ კაცი ჩამოვიდა, დიდებული უსტა, რაც ამ სოფელში ლამაზი სახლებია, სულ მისი აშენებულია. ჩამოვიდა და სოფლის ხატად იქცა. ერთიმეორეზე ლამაზ სახლებს აშენებდა. სოფელმა გვთხოვა, კომლად ჩაგვიწერეთო. ღმერთს გეფიცებით, არ მინდოდა, მწვანე თვალები ჰქონდა, გველის. რომ იღიმებოდა, მარტო ტუჩები უღიმოდა, თვალები და სახე ისევ ისე ქვასავით გაყინული ჰქონდა. არ მინდოდა, სოფელმა მოითხოვა და მივიღეთ სოფლის წევრად, კომლად დასახლდა. ერთი წელი როგორც ანგელოსი, ისე დაფრინავდა სახლის ერთ სახურავიდან მეორეზე, აშენებდა, აგებდა, ღებავდა, ღობავდა, ალამაზებდა და ამშვენებდა სოფელს. ერთხელ მოვიდა ჩემთან, მეუბნება.
– ამხანაგო მაიორო, გუშინ ქვრივ ფერიდეს სახლის ბალავარს რომ ვამაგრებდი, ეზოს ბოლოში შევნიშნე, სასაზღვრო ღობის ქვეშ, ღვარს მიწა გაუთხრია ისე, რომ კაცი გაეტევა. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ამოავსეთო. – ვუყურებ, მიღიმის, ისევ გველის მწვანე ღიმილით. რა ვქნა? წავედი, ვნახე. მართალია. ამოვავსეთ ნაღვარევი. მადლობა გამოვუცხადე ბრძანებით, წარჩინებული მესაზღვრის ნიშანზე წარვადგინე. შემოდგომაზე, მანდარინი რომ გაყვითლდა ბაიასავით, ფერიდეს სახლი მზად ჰქონდა, სვეტების შელესვაღა აკლდა. ფერიდესთან ავედი. ვიფიქრე, ვნახავ, რა ხდება-მეთქი. ფერიდე წმინდანივით ქალია. ჰოდა, ავედი. ვხედავ, უსტა ზის და არაყს წრუპავს, ფერიდე ხელსაქმობს.
– ამხანაგო მაიორო, დაბრძანდით! – მეუბნება, – ერთი ხელი ჭადრაკი ვითამაშოთ. დავჯექი. არაყი დამისხა.
– ფერიდეს სახლის ჭერს გაუმარჯოს! – თქვა მან.
დავლიე. არ უნდა დამელია; მაინც დავლიე.
– ახლა, – მეუბნება, – ვითამაშოთ. თეთრები გნებავთ თუ შავები?
– შავები! – ჭადრაკს ცუდად ვთამაშობ, ვიფიქრე შავები ჯობია, ჯერ ერთი, პეტროსიანი სულ შავებით იგებს, მერეც მეორე, რასაც თეთრები ითამაშებენ, ზუსტად იმას ვითამაშებ-მეთქი. დავიწყეთ. მეათე სვლაზე შევატყვე, მჩაგრავს. ამ ტილიანმა როგორ უნდა მომიგოს-მეთქი, ვიფიქრე და გუნებაში ღმერთს ვთხოვე: ოღონდ ახლა მომაგებინე და რაც გინდა დამავალე-მეთქი. გამიგონა ღმერთმა. ათი ხელი მოვუგე ზედიზედ. ხმას არ იღებდა, ოღონდ ეს კი იყო, საათზე იცქირებოდა ხშირ-ხშირად. თორმეტს რომ ათი წუთი აკლდა, ახალი პარტია დავიწყეთ.
შავებით თამაშობდა. ხუთ წუთში სვლა არ მქონდა. ექვს წუთში დედოფალი წაიღო. შვიდ წუთში ჩანგალი გამიკეთა და კუ ამართვა. რვა წუთში ჩემს მხედარს ლაგამი ამოსდო და მეათე წუთზე ისე დამაშამათა, სირცხვილისაგან რა მექნა, არ ვიცოდი.
– კიდევ ვითამაშოთ! – ვთხოვე მე.
– ათით ერთია, ამხანაგო მაიორო, თქვენს სასარგებლოდ. ხვალ გავაგრძელოთ, – თქვა მან და ადგა.
– ძილი ნებისა! – დაგვემშვიდობა მე და ფერიდეს.
– ძილი ნებისა! – დავემშვიდობე მე.
– ფერიდე, დილით ადრე მოვალ, ხელსაწყოს შენთან ვტოვებ, – უთხრა და გავიდა. მეც დავემშვიდობე ფერიდეს და გავედი. სოფლის წყაროსთან დავცილდით ერთმანეთს. საათს დავხედე, პირველის ათი წუთი იყო, განწესის გამოცვლის დრო.

– ძილი ნებისა, ამხანაგო მაიორო! – მეუბნება.
– ძილი ნებისა, იაკობაშვილო! – ვეუბნები. ერთი გული მქაჩავს, დარჩი, არ წახვიდე, უთხარი, რომ გველივით მწვანე, ცივი თვალები აქვს და არ ენდობი. მეორე გული მქაჩავს, ორასი გრამი დალეული გაქვს, ჩხარტიშვილო, ეჭვი შენი პროფესიაა, მაგრამ ნამეტანის უფლება არ გაქვს. ახლა არ მახსოვს, მგონი, გამომშვიდობებისას ვაკოცე კიდევაც. საგუშაგოზე დავბრუნდი, ჯგუფები განვაწესე, მერე სახლში შევედი და ნინოს ვეუბნები:
– იაკობაშვილი გველია, ათი ხელი ჭადრაკი განგებ წამიგო, ბოლოს გამაბითურა.
– დაიძინე! – მეუბნება, – წაგება და მოგება და-ძმანი არიან!
პირველად ჩემს სიცოცხლეში არ დავუჯერე. მაკაროვი გამოვიღე სეიფიდან და პირველ ხაზზე წასასვლელად მოვემზადე.
ჩხარტიშვილმა კონიაკი დამისხა, თვითონ ცივი ყავა მოსვა.
– არ გინდა, ალიოშა! – სთხოვა ცოლმა.
– მოიცა, ნინა, ხომ იცი, პირველად ვყვები, ბატონმა ვლადიმერმა უნდა იცოდეს.
– არ გინდა, ალიოშა! – შეემუდარა ცოლი.
– მინდა! – ისე თქვა ჩხარტიშვილმა, მივხვდი, ეს ბოლო თქმა იყო.
ფარნის აღება ვერ მოვასწარი, მორიგე მოვარდა და მომახსენა:
– ამხანაგო მაიორო, სისტემა ამუშავდა ქვრივის ზონაში.
გულში დენმა გამიარა, რომ არ წავქცეულიყავი, მაგიდას დავეყრდენი ორთავე ხელით.
– ნინა, მიშველე! – ვთქვი და გავვარდი.
მთელი საგუშაგო ფეხზე იდგა. ფერიდეს ეზოს ბოლოში ვიღაცას ჯიქურ ეცადა გასვლა.
– შუშხუნები! – ვიყვირე მე. წითელმა და თეთრმა შუშხუნებმა დღესავით გაანათეს საზღვარი. პისტოლეტით ხელში გავვარდი მავთულხლართისაკენ. ჩემს წინ კაცი გარბოდა. ინტუიციით მივხვდი, რომ ის იყო. შვიდივე ტყვია დავწვი. იგი გარბოდა ჩემს წინ თხუთმეტიოდე მეტრში და მე ტყვია არ მქონდა, რომ მომეკლა. მის სიკვდილს აღარ დავეძებდი, არ მქონდა ტყვია, რომ თავი მომეკლა. სუნთქვა აღარ მყოფნიდა, მივდევდი და ვხედავდი, როგორ მშორდებოდა დამფრთხალი ლანდი. წუთიც და ის კაცი გაუჩინარდებოდა. მაშინ დავემხე პირქვე და მიწა შევჭამე. მე ვტიროდი, როგორც არაკაცი, გაბითურებული და შერცხვენილი. უცებ მომესმა ავტომატის ჯერი, მოკლე ჯერი. თავი ავწიე, ლანდმა ორთავე ხელი წელზე იტაცა და შეტორტმანდა. მოკლე ჯერს გრძელი მოჰყვა და ლანდი გულაღმა ამოტრიალდა.
– ალიოშა, ადექი, ალიოშა, ადექი, ალიოშა, ადექი! – ჩაქუჩის დარტყმებივით ჩამესმა ყურში. და მე ავდექი. მერე მახსოვს, როგორ მოვათრევდი გვამს სოფლის შარაზე, და როგორ მომყვებოდა უკან ჩემსკენ ზურგშექცეული, ავტომატმომარჯვებული კაცი. მეტი არაფერი მახსოვს, – თქვა ჩხარტიშვილმა და კონიაკი დაასხა, ამჯერად თვითონ დალია. ნინო თავჩაღუნული იჯდა.
– კაცი შენ ყოფილხარ! – ვუთხარი მე და ჭიქა მივუჯახუნე.
– ის კაცი ნინა იყო! – თქვა ჩხარტიშვილმა.
ნინო ადგა და ოთახიდან გავიდა.
– ვერ მოუნელებია, კაცისმკვლელი ვარო, ერთადერთ ნუგეშად ის აქვს, რომ ჩემთვის გააკეთა! – თქვა ჩხარტიშვილმა.
– მერე? – ვკითხე მე.
– რა მერე? – კითხვითვე მიპასუხა ჩხარტიშვილმა.
– რა მოხდა მერე?

– მერე, ის იაკობაშვილი, გვარგამოცვლილი, ისეთი ჯაშუში აღმოჩნდა, რომ მე და ჩემი ცოლი დაგვაჯილდოვეს. ნინას სადღეგრძელოს მოგახსენებდით, ბატონო ვლადიმერ. ცოლად რომ მომყავდა, დავასახლებდი მეგონა, კაცისმკვლელი გავხადე. ვერ მოინელა, დღე არ არის, არ იტიროს, ღამე არ არის, არ წამოხტეს ლოგინიდან. არ ვიცი, როგორ ვანუგეშო, სხვა მის ადგილზე, დაიკიდებდა იმ ორდენს და პროფკავშირის კრება რომ პროფკავშირის კრებაა, იმის პრეზიდიუმს არ გააცდენდა. ეს ჩემი ცოდვით სავსე კი ზის და ტირის, არ ვიცი პირდაპირ, რა ვქნა. ნინა, მოდი აქ, ნინა, ბატონ ვლადიმერს სიტყვა აქვს სათქმელი! – დაუძახა ჩხარტიშვილმა.
ნინო შემოვიდა და ოთახის კუთხეში დაჯდა ისევ ჩუმად, როგორც თავიდან და საოცრად ლამაზი, მორჩილი, ცრემლით სავსე თვალები ყურადღებით მომაპყრო.
– ქალბატონო ნინო, – დავიწყე მე და ფეხზე ავდექი. – მე, ქალბატონო ნინო, მე იმ დღეს ვლოცავ, როდესაც თქვენ... ბატონო ალიოშა, თუ შეიძლება, როგორც ჩემს დას, თქვენს მეუღლეს ვაკოცო? – ვთქვი მე და მივხვდი ძალიან სასაცილო ვიყავი.
ჩხარტიშვილმა გამიღიმა და თავი დამიქნია. მე მივედი ქალბატონ ნინოსთან, მხურვალე საფეთქლებზე ხელი მოვკიდე და შუბლზე ვაკოცე. მერე ადგილზე დავბრუნდი და სიგარეტი გავაბოლე. ქალბატონი ნინო აღარ ტიროდა, იღიმებოდა, მაგრამ თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.
– სულ ვეუბნები, შენ კაცისმკვლელი არა ხარ, ის კაცი კაცი არ იყო-მეთქი! – მითხრა ჩხარტიშვილმა.
მე უაზროდ გავიცინე და ავდექი.
– ნახვამდის! – ვთქვი.
– ძილი ნებისა! – მითხრა ჩხარტიშვილმა. – ბატონო ვლადიმერ, როგორ ბრძანეთ წეღან? ყველაზე მარტივი, ყველაზე უბრალო, ყველაზე პრიმიტიული ქალიც კი მამაკაცის გონების სფეროს მიღმა დგასო, არა?!
მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.
* * *
ოთახი, რომელშიც მე ვცხოვრობ, ადრე სამეურნეო ოთახი იყო.
მრეცხავი ქალი ამ ოთახში ზეწრებს, ბალიშისპირებსა და საცვლებს უუთოვებდა ჯარისკაცებს. ტანსაცმელს ჯარისკაცები თვითონ იუთოვებენ. ჩემს ჩამოსვლასთან დაკავშირებით ოთახში დიდი არაფერი ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ ერთი ძველი სავარძელი და ერთი საწოლი შემოიტანეს. მაგიდა ისევ ის დარჩა, უსაშველოდ გრძელი, გახურებული უთოს კვალით აჭრელებული, საწერი ქაღალდი მე თვითონ ჩამოვიტანე, მაგრამ ჩხარტიშვილმა იმდენი დამახვედრა, მაგიდის მეორე თავში დაზვინულს რომ ვუყურებ, ძალაუნებურად მეცინება. ჩხარტიშვილი რამდენჯერაც შემოვა ჩემთან, იმდენჯერ თვალს გააპარებს ქაღალდის ზვინისაკენ, აბა თუ მოაკლდაო. და მეც, ჩხარტიშვილის ხათრით, იძულებული ვარ, ყოველდღე მოვაკლო ამ ზვინს გარკვეული რაოდენობა და ჩუმად გადავყარო. მაგრამ რამდენი? ორ თვეში ამის გადაყრას მე კი არა, მთელი მწერალთა კავშირი ვერ მოასწრებს.
ამ წერილს, სარგის, ჩხარტიშვილის ქაღალდზე ვწერ, ვუზივარ გრძელ მაგიდას თავში, ყველასაგან მიტოვებულ თამადასავით და იმის დარდი მკლავს, ბოლო ყანწისა არ იყოს, ამ ქაღალდს რა გამოცლის. ღამის სამი საათია. ვდგები და ფანჯარას ვაღებ. ჩემი ფანჯარა პირდაპირ ზღვას უყურებს. წყნარი ღამეა, ცა სავსეა ვარსკვლავებით, ზღვა თითქმის არ იძვრის, ისე მშვიდად სუნთქავს, ძინავს ზღვას. მარტო მოტორის მონოტონური გუგუნი არღვევს სიწყნარეს. ეს პროჟექტორების მკვებავი მოტორია. მთავარი პროჟექტორი უზარმაზარი ციკლოპის თვალივით ანთია, აი ახლა, მისი შუქი ზღვის ნაპირზე წევს, რამდენი კენჭია სანაპიროზე, დაითვლი. შუქი ცახცახებს,

ზანტად იძვრის ნაპირიდან და უცებ ვეებერთელა თეთრი ზეწარივით ეფინება ზღვას. ამ დროს ზღვა ერთი პეშვი წყალივით ხელისგულზე ციმციმებს და რა ხდება ზედ, ყველაფერს ხედავ. მერე პირდაპირ საზღვრის გასწვრივ წვება შუქი. ახლა იგი ნაწვიმარზე ალაპლაპებულ შარას გავს, ზღვაში შემავალ, უშველებელ, დაუსრულებელ შარას, და უცნაური სურვილი მებადება, გავიდე, დავადგე ამ შარას ფეხშიშველი და ვირბინო, ვიდრე არ დამთავრდება. დასაწოლად ვემზადები. ვიღაც კარზე მიკაკუნებს. მიკვირს, ვინ უნდა იყოს ამ შუაღამეზე. კარს ვაღებ. ჩხარტიშვილი დგას კარებში.

– ბატონო ვლადიმერ, ჭოროხიდან დარეკეს. კაცის კვალია აღმოჩენილი ნაპირზე. სათვალთვალო პუნქტები უნდა გავაძლიეროთ, მე და ჩემი ლეიტენანტები კვალს გავყვებით, თქვენ თქვენს ბიჭებთან ერთად ზღვის ნაპირს გაუწევთ ინსპექციას!

– გასაგებია, ამხანაგო მაიორო!

– ბიჭები უკვე მზად არიან!

– გასაგებია!

– ფრთხილად და წყნარად, არავითარი ხმაური და პანიკა. შეუდექით სამსახურს!

– არის შევუდგე სამსახურს!

ჯაყელი, შერბინა და პარხომენკო ეზოში დამხვდნენ. მეორე ჯგუფი უკვე ეზოდან გადიოდა, ზღვის ნაპირზე გავედით, სამ მესაზღვრეს სადგომიდან მოტორიანი ნავი გამოჰქონდა. მივეხმარეთ და ზღვამდე ჩავატანინეთ. სამთავე ჩასხდა, ერთმა ღვედი მოქაჩა და მოტორი ათუხთუხდა, ნავმა ცხვირი ასწია და სიბნელეში შესცურა. პროჟექტორებმა ზღვა სარკესავით გაანათეს, მთავარი პროჟექტორი ისევ სანაპიროზე გაწვა და ანთებული თვალი მიაპყრო კლდოვან ნაპირს.

პროჟექტორის შუქს გავყევით, წინ პარხომენკო მიდიოდა.

– ეძებე, აკბარ, ეძებე, გენაცვალე! – ეჩურჩულებოდა პარხომენკო.

ყურებდალურსული აკბარი დაძრწოდა ნაპირზე და კენჭს არ უშვებდა დაუყნოსავს. ავტომატმომარჯვებული ჯაყელი პირდაპირ ზღვის პირს მიჰყვებოდა, შერბინა – პლაჟის კლდოვან დასასრულს, მე შუაში ვიდექი, ცოტა უკან; ასე რომბისებურად მივდიოდით. კლდეს მივადექით. ამის იქით პროჟექტორის შუქი მკვდარი იყო, შავი, უზარმაზარი კლდე პირდაპირ ზღვაში შედიოდა, მარჯვნიდან ბილიკი გასდევდა, ბილიკი უდაბურ კატაბარდებში იკარგებოდა. მივყევით ბილიკს. ახლა წეროებივით ერთ მწკრივად მივდიოდით. ისე ბნელოდა, ერთმანეთს ვეღარ ვხედავდით. მხოლოდ ბარდების გლეჯის ხმითა და მძიმე სუნთქვით ვხვდებოდით, ვინ სად იყო. ფარნები ავანთეთ.

ეს ღამე, სარგის, საშინლად ჰგავდა კუკუდამალობანას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს იყო სიკვდილისა და სიცოცხლის თამაში და არავინ იცოდა, რომელი გაიმარჯვებდა. ამ ტყეში იმალებოდა კაცი, რომელიც სიცოცხლის ფასად უნდა გვეპოვნა, და ის კაციც, ალბათ, სიცოცხლის ფასად აპირებდა ჩვენი ხელიდან დაძრომას.

პარხომენკოს ხმა აღარ მესმოდა, იგი წინ წასულიყო.

– ჯაყელო, სად ხარ? – ფრთხილად ვეძახი.

– აქ ვარ, ამხანაგო ლეიტენანტო! – მპასუხობს სადღაც ქვევიდან.

– პარხომენკო სად არის?

– წინ წავიდა, ძაღლით, თუ კვალს მიაგნო, ნიშანს მოგვცემს!

– შერბინა?

– შერბინა სადღაც ზევით არის!

– შერბინა! – ვეძახი.

ხმას არავინ მცემს. – დასწყევლოს ღმერთმა, სად წავიდა?
– ეი, შერბინა! – დაუძახა ჯაყელმა.
– ეი! – გაისმა პასუხი შორიდან.
– სად წასულა ეს უპატრონო, იმ კლდეებში რა უნდა, თხა ხომ არ არის! – თქვა ჯაყელმა, – ეი, ეი, ჩამოდი, ჩამოდი! – შეუძახა ისევ.
პასუხი არავინ გასცა. ისევ დავიძარით წინ, მივბობღავ უზარმაზარ ლოდებზე, ბარდი და ეკალი ტანსაცმელს მგლეჯს, უკან მქაჩავს.
– ეი, ჯაყელო, სად ხარ?!
– აქ ვარ! – მესმის სულ ქვევიდან. – რა შორს წასულა. – ვფიქრობ. აბა ერთი შერბინას დავუძახო.
– შერბინა! – პასუხს არავინ მცემს.
პარხომენკოს სულ ერთია, ხმას ვერ მივაწვდენ. ერთად უნდა გვეარა, მაგრამ აქ ერთად როგორ ივლი? შიშმა ამიტანა, ჯერ შემრცხვა, მერე თავს შევუძახე, არაფერმა მიშველა, უფრო შემეშინდა. „მაკაროვი“ ბუდიდან ამოვიღე და ისევ დავიძახე:
– ეი, შერბინა, ჯაყელი, პარხომენკო! სად ხართ, ხმა გამეცით!
– ეჰეჰეჰე! – მიპასუხა ვიღაცამ. უკვე ვეღარ ვარჩევდი, რომელი იყო. ამ კლდეებს და ბარდებს რომ გავალ, კოლმეურნეობის მანდარინის ბაღია, ცოტას შევიმუხლებ, გამშრალ პირსაც გავისველებ. ბიჭები უკვე იქ იქნებიან. ლოდზე შევდექი და ფარნით ჩემს გარშემო ადგილი მოვსინჯე; წინ პატარა ბოგირი იყო, კლდიდან გადმოვარდნილ ჩანჩქერზე გადებული. ამას გავალ და ბაღი იწყება, შვებით ამოვისუნთქე. უცებ ჩემს ზემოთ რაღაც ჩამოიშალა, ჩამოინგრა და გრიალით დაეშვა დაბლა. „ქვა მოწყდა“, – გამიელვა თავში და კლდეს ამოვეფარე. ვეებერთელა ქვამ გვერდით ჩამიქროლა და გრიალით დაეხეთქა სადღაც ქვევით, ზღვის პირას.
– ეჰეი, გაგიჟდით! – იკივლა ქვევიდან ჯაყელმა.
– ეჰეი! – გამოეხმაურა პარხომენკო და მას აკბარის ბოხი, ზარივით ხმა შეუერთდა.
– ეჰეი! – ვიყვირე მეც და ფარანი ზევით ავიშვირე. ჩამიჩუმი არ ისმოდა.
– შერბინა! – დავიძახე ფრთხილად. ხმა არავინ გამცა.
– შერბინა! – დავიძახე ხმამაღლა. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.
ბინა... ბინა... ბინა... სამჯერ მიპასუხა ექომ.
საშინელი წინათგრძნობისაგან ჟრუანტელმა დამიარა.
– შერბინა! – ვიყვირე, რაც შემეძლო ხმამაღლა. ისევ მხოლოდ ექომ მიპასუხა. პირი გამიშრა, ნერწყვი ძლივს გადავყლაპე.
– ჯაყელო! – ვიყვირე უცებ. – ჯაყელო, ამოდი ჩემთან!
– ეჰე, მოვდივარ! – მიპასუხა ჯაყელმა ქვევიდან.
– მალე, მალე მოდი!
ხუთ წუთში ჯაყელი ჩემთან გაჩნდა.
– შერბინა არ არის! – ვუთხარი მე.
– როგორ თუ არ არის? – მკითხა მან.
– არ არის!
– შერბინა! – დაიძახა ჯაყელმა და ყური მიუგდო. ხმა რომ არავინ გასცა, გაკვირვებულმა შემომხედა.
– შერბინა! – ისევ დაიძახა ჯაყელმა და ისევ მიუგდო ყური, – შერბინა, შერბინა, სად ხარ, გამოდი, შერბინა, შერბინა, ნუ მაიმუნობ, გამოდი, პეტრო, პეტრო!.. – და უცებ ჯაყელი გაშრა, ავტომატი დააგდო და კლდეზე ასვლა დაიწყო. – შერბინა, შერბინა, სად ხარ?! – დროდადრო იძახდა იგი.
– ჯაყელო, დაბრუნდი! – ვუბრძანე მე. მან ყურადღება არ მომაქცია. გზა განაგრძო.

– შერბინა, შერბინა! – იძახდა იგი შეშინებული ხმით. ბარდებიდან აკბარმა გამოყო თავი, მას პარხომენკო მოჰყვა.
– რა ამბავია, ამხანაგო ლეიტენანტო? – მკითხა მან, სულს ძლივს ითქვამდა.
– შერბინა დაიკარგა!
– როგორ დაიკარგა? – მკითხა მან.
ზევიდან ჯაყელი ჩამოფორთხდა.
– არ არის! – თქვა მან.
– როგორ არ არის? – ჰკითხა პარხომენკომ.
– ძაღლი აუშვი, ეძებოს! – უთხრა ჯაყელმა და ქვევით გაიქცა.
პარხომენკომ ძაღლი აუშვა.
– ეძებე, აკბარ, შერბინა, ეძებე! – უთხრა მან.
ძაღლი სიბნელეში გაქრა.
– შერბინა, შერბინა, შერბინა. პეტრო, პეტრო! – ისმოდა ჯაყელის ხმა. მერე უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა, წუთს, საათს თუ ორ საათს, მე მთელ ცხოვრებად მომეჩვენა, ბოლოს სიჩუმე დაირღვა, ქვევით, ზღვის პირას აკბარი ყეფდა, იგი არ ყეფდა ისე, როგორც ასწავლიან საზღვარზე. მოკლედ, გარკვევით, სამჯერ. იგი ყეფდა, როგორც ნაცემი და ყოველ დაყეფებას საზარელ ყმუილს აყოლებდა.
შერბინა ორ დიდ ქვას შორის იწვა გულაღმა, ზეწარივით თეთრი, თეთრი და ქვედა ტუჩის კუთხეში სულ ცოტა სისხლი მოჟონავდა, მის წინ მუხლებზე დაჩოქილი ჯაყელი გახსნილ მკერდზე ფრთხილად უსვამდა ხელს და ჩურჩულით ელაპარაკებოდა: – რაო, ბიჭო, პეტრო, გტკივა, პეტრო? ხმა ამოიღე, ბიჭო, პეტრო, შენი ჭირიმე, პეტრო, თქვი რამე, რა მოგივიდა, ამოიღე ხმა, გაახილე თვალი, ჩემო შერბინა, არ გრცხვენია, ლომი არა ხარ, ბიჭო? ამოიღე ხმა, შენი ჭირიმე, მითხარი რამე, შერბინა, შერბინა, შემხედე, ბიჭო, ჯაყელი ვარ, შენი ძმა, ჯაყელი, აგერ, პარხომენკოც აქ არის, პეტრო... – ჯაყელი ტიროდა, ტიროდა ბავშვივით, ზლუქუნებდა და ეხვეწებოდა, შერბინას ხმა ამოეღო და თვალები გაეხილა, შერბინა კი იწვა უსიტყვოდ, დახუჭული ქუთუთოები უთრთოდა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა საფეთქლებზე.
– ბიჭო პეტრო, მითხარი რამე! – ეხვეწებოდა ჯაყელი და საფეთქლებზე ხელისგულით ცრემლებს უმშრალებდა. უცებ შუშხუნა გავარდა. ყველამ მაღლა ავიხედეთ, შუშხუნა წამით ვარსკვლავივით დაეკიდა ცაზე, მერე ტაატით დაეშვა დაბლა და ისედაც გაფითრებული სახეები თეთრად გაუნათა ბიჭებს.
– ბიჭო, გაახილე თვალი, ნახე, დაიჭირეს, თეთრი შუშხუნაა, ბიჭო პეტრო, გაახილე თვალი, დედას გაფიცებ... – ჯაყელი უკვე ხმამაღლა ტიროდა, არავის აღარ ერიდებოდა. ტიროდა პარხომენკოც. მე მუხლები და ხელები მიკანკალებდა და რომ არ წავქცეულიყავი, იქვე სილაზე დავჯექი.
– წითელი შუშხუნა ისროლე! – ვუბრძანე პარხომენკოს. პარხომენკომ დამბაჩა ამოიღო ბუდიდან, მაღლა ასწია და გაისროლა. ერთი, მეორე, მესამე, და უცებ ცა სისხლისფრად განათდა. ეს იყო განგაშის ნიშანი, პარხომენკო კი იდგა და ისროდა, ისროდა განუწყვეტლივ.
ჩვენს გარშემო ნელ-ნელა თითო-თითოდ, მხარზე ავტომატგადაკიდებული მესაზღვრეები იკრიბებოდნენ, არავინ არაფერს არ ამბობდა და არავინ არაფერს არ კითხულობდა.
ყველაფერი დღესავით ნათელი იყო. ორ დიდ ქვას შორის, ქუდმოხდილი მესაზღვრეების მჭიდრო წრეში, გაუნძრევლად იწვა ოცი წლის ბიჭი, პეტრო შერბინა. მისი სხეული თანდათან გამოიყო სიბნელეში, თანდათან უფრო მკაფიო და უფრო

ხილული გახდა და ბოლოს მთლიანად გამოიკვეთა, ლამაზი, შავთმიანი, გაფითრებული ისე, თითქოს ნათელი დადგომოდეს. ცა უცებ გაბაცდა და ყველა ვარსკვლავი უცებ ჩაქრა. საზღვარზე გათენდა.
* * *
საწოლზე გაუხდელად ვიწექი. არაფერზე არ ვფიქრობდი, აბსოლუტურად არაფერზე, ჩემს წინ უზარმაზარი სიცარიელე იწვა და ამ სიცარიელეში ისე დავცურავდი, რომ ხელის მოსაკიდებელი, ფიქრის შესაჩერებელი და აზრის მისაგები არაფერი იყო. კარი გაიღო და ჩხარტიშვილი შემოვიდა. იგი დაჯდა სავარძელში და სიგარეტი ამოიღო. ლოგინზე წამოვჯექი, სიგარეტი მომაწოდა. გავაბოლეთ. ნერვიულად წევდა, არაფერს ამბობდა, ასე იჯდა მთელი ხუთი წუთი და სიგარეტს ქაჩავდა. ბოლოს წამოდგა, გაიხედ-გამოიხედა, საფერფლე რომ ვერ იპოვა, პირდაპირ მაგიდაზე დააჭყლიტა სიგარეტი და ცერით გასრისა.
– ის ნაბიჭვარი კლუბშია, ბატონო ვლადიმერ, თუ შეგიძლიათ, დაკითხეთ. მე არ შემიძლია, მეშინია, არ შემომაკვდეს, – თქვა მან და ისეთი თვალებით შემხედა, უარი ვერ ვუთხარი. ქაღალდი ავიღე და კლუბისაკენ წავედი.
იგი იჯდა ბაიასავით ყვითელი და თვალებჩასისხლიანებული, ქერა იყო და ძალზე ახალგაზრდა. 18-19 წლის იქნებოდა. მე რომ დამინახა, ფეხზე წამოდგა და ჩამოვარდნილი შარვალი ხელით აიქაჩა. არაფერი რომ არ ვუთხარი, ისევ დაჯდა. მაგიდას მივუჯექი, კალამი ამოვიღე ჯიბიდან, წინ სიგარეტებით სავსე კოლოფი დავიდე და თავი მაღლა არ ამიღია, ისე ვკითხე:
– გვარი! – მითხრა.
– სახელი! – მითხრა.
– მამის სახელი! – მამის სახელიც მითხრა. ჩავიწერე და სიგარეტს მოვუკიდე.
– შეიძლება სიგარეტი? – მკითხა. ახლოს მივუწიე. ადგა, აიღო, მადლობა მითხრა, ხარბად დაარტყა ნაფაზი, წავიდა და თავის ადგილზე დაჯდა. ბევრჯერ მიმიცია შეკითხვები კაცისათვის ჩემს ცხოვრებაში, საათობით მისმენია ხალხისათვის, დაკითხვით კი არავინ დამიკითხავს, ეს პირველი კაცი იყო, რომელსაც ვკითხავდი, და ახლა არ ვიცოდი, როგორ და რით დამეწყო... თავი ავწიე და თვალებში მივაშტერდი. ხელები მუხლისთავებზე ეწყო და ორთავე ერთად უკანკალებდა, ყვრიმალებზე ბუსუსები ეყარა.
– მცივა, – თქვა მან, თითქოს თავს იმართლებსო და უხერხულად გაიღიმა. მარცხენა თვალი ჩალურჯებული ჰქონდა.
– შიშისაგან გაკანკალებს! – ვუთხარი მე.
მან თავი დახარა და არაფერი მიპასუხა.
– თვალზე რა მოგივიდა? – ვკითხე.
– თქვენმა ჯარისკაცმა დამაკერა, უნდა ვუჩივლო, – თქვა მან და შესივებულ თვალზე ხელი მოისვა.
– ვისთან უნდა უჩივლო? – ვკითხე მე.
– პროკურორთან!
– რომელ პროკურორთან?
– საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორთან! – თქვა მან და ისევ მოისვა ხელი შესივებულ თვალზე.
– გენერალური პროკურორი ვერაფერს გიშველის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იჩივლე! – დავარიგე მე.
იგი მიხვდა, რომ დავცინოდი და წამოხტა.
– ეს ქვეყანა ჩალით ხომ არ გგონიათ დახურული?! – იყვირა მან.

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

– დაეგდე, ჩალით რომ იყოს დახურული, ვინ დაგიჭერდა?!
იგი ცივად დაჯდა.
– რამდენი წლის ხარ? – ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ.
– ცხრამეტის. შეიძლება წყალი დავლიო?
წყალი დავუსხი, მოვიდა, სულმოუთქმელად დალია და ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა.
– მშობლები თუ გყავს?
– მყავს!
– სად არიან?
– სახლში!
– იციან, სად ხარ?
– არა.
– რატომ?
– ორი წელია სახლიდან წასული ვარ, დამოუკიდებელ ცხოვრებას ვეწევი.
– საიდან მოდიხარ?
– ოდესიდან.
– სასაზღვრო ზონაში როგორ შემოდი?
– არ ვიცი. რუკაზე ასეა – ჭოროხი და მერე უცებ თურქეთი, ღამეს დაველოდე, ჭოროხი გამოვცურე, ნაპირზე რომ ამოვედი, მაყვლის ბარდებში ჩავწექი. მერე ორმა მესაზღვრემ ჩამიარა, რუსულად ლაპარაკობდნენ და მივხვდი, რომ შევცდი... თურქეთი უფრო შორს ყოფილა.
– მერე?
– მერე ავდექი და სულ პირდაპირ ვიარე, ერთი საათი ვიარე დაახლოებით. უცებ წითელი შუშხუნა ავარდა. მივხვდი, რომ აღმომაჩინეს და გავიქეცი. ვირბინე, სანამ შემეძლო, მერე ძალა გამომელია და დავწექი, დავწექი და თვალები დავხუჭე, ვგრძნობდი, რომ მიახლოვდებოდით.
– სად მიდიოდი?
– ამერიკაში.
– თურქეთზე გავლით?
– თურქეთზე გავლით!
– კი მაგრამ, სამშობლო? – ვკითხე მე.
– რომელი სამშობლო? – მკითხა აგდებულად.
– შენი სამშობლო!
– დავიღალე ამ ჩემი სამშობლოთი, – წამოხტა იგი. – სკოლაში სამშობლო, სახლში – სამშობლო, რადიოში – სამშობლო, ტელევიზორში – სამშობლო. ჩემი სამშობლო იქაა, სადაც ბედნიერი ვიქნები!
– აქ უბედური ხარ?
– დიახ, აქ უბედური ვარ, მშობლებს ჩემი არ ესმით, მე – მათი, ყველაფერს მიკრძალავენ, ჩემს პირად ცხოვრებაში ერევიან, ჩემს სულში ხელებს აფათურებენ, პირადი ცხოვრება არა მაქვს, მუდამ ვიღაცის თვალს და ხელს ვგრძნობ, თავისუფლება მინდა მე, რაც მე მსურს, ის მინდა ვაკეთო...
– ამერიკაში, რაც გსურს, იმას გააკეთებ?
– დიახ! იქ რაც უნდათ, იმას აკეთებენ, როგორც უნდათ, ისე ცხოვრობენ.
– იქ მოკლეკაბიანი ლამაზი გოგონებია. შეიკი, კონიაკი, ჯინი, კალვადოსი, ღამის კაბარეები, ლიმუზინები, დოლარები... – შევაშველე მე.
– დიახ, დოლარები! – გამაჯავრა მან.

– დგას ხე ბროდვეიზე, ფოთლების მაგივრად დოლარები ასხია, ახვალ, მოკრეფ და შენია, არა?
– დიახ, ჩემია! – ისევ გამაჯავრა მან.
ისე მომინდა მივსულიყავი და ყური ამეხია, რომ ხელისგულიც კი მომეფხანა, მაგრამ თავი შევიკავე.
– რა განათლება გაქვს? – ვკითხე და სიგარეტს მოვუკიდე.
– საშუალო!
– რამე პროფესია გაქვს?
– არა!
– მუშაობ სადმე?
– არა!
– ფული გაქვს?
– არა!
– რომელიმე უცხო ენა თუ იცი?
– არ ვიცი!
– მერედა, სად მიდიხარ, შე კრეტინო, უცხოეთში პურს ვინ მოგიტეხავს, წყალს ვინ მოგაწვდის, თუ გგონია, ხელისგულზე გატარებენ! ზუსტად იმდენ დღეში ამოგხდება შიმშილით სული, რამდენ დღესაც შეუძლია ადამიანს უჭმელი გაძლოს...
მან თავი ჩაღუნა, ხმას აღარ იღებდა.
ვუცქეროდი ამ გზადაბნეულ, გაბრიყვებულ, გადაგვარებულ ტიპს და გული ხან ბოღმით, ხან სიბრალულით მევსებოდა. იგი საოცრად მაგონებდა ერთ ახალგაზრდა მორფინისტს, რომელიც ხშირად მხვდებოდა ჩემი სახლის სადარბაზოში, გაბრუებული, მივარდნილი, გაოგნებული და რომელიც დაახლოებით ასე მელაპარაკა, როდესაც სახლში შევიყვანე და ჭკუის დარიგება დავუწყე. იგი ჩიოდა, რომ მშობლებმა ვერ გაუგეს, რომ ცხოვრებას აზრი არა აქვს, რომ ყველაფერი არარაობაა და რომ ერთადერთი საშველი ამ ცხოვრებაში თავდავიწყებაა... და ახლა, როდესაც ვუცქეროდი ამ ბაიასავით ყვითელ ახალგაზრდას, საშინელმა ეჭვმა შემიპყრო.
– აბა, სახელოები აიწიე! – ვუბრძანე.
– რატომ? – მკითხა მან და შეცბა.
– აიწიე სახელოები! – გავუმეორე ბრძანება.
– რა საჭიროა? – გამიძალიანდა ის.
– აიწიე სახელოები! – ვთქვი მე და ფეხზე წამოვდექი.
მან უხალისოდ დაიწყო სახელოების დაკოტავება და რომ წამოიშიშვლა მკლავები, ვენებზე ნანემსარები დავინახე.
– რა არის ეს? – ვკითხე.
– სისხლნაკლული ვარ, გლუკოზას ვიკეთებ! – თქვა მან და თვალი გამიშტერა.
– მორფინისტი ხარ! – ვუთხარი მე.
– ავადმყოფი ვარ! – თქვა მან და თვალი ამარიდა.
– ავადმყოფი კი არა, მორფინისტი ხარ, გაზულუქებული, ნაბიჭვარი, მორფინისტი!
ხმას არ იღებდა, იჯდა თავდახრილი და ღილებს იკრავდა ათრთოლებული თითებით.
– იცი, შენი გულისთვის როგორი ბიჭი დაგვეღუპა? – ვკითხე მე და ვიგრძენი ხმა ამიკანკალდა.
– მე არაფერი არ ვიცი, მე არავინ მომიკლავს, რა გინდათ ჩემგან? გამიშვით! – დაიწყო მან ტირილნარევი ხმით.

– მე გეკითხები, იცი თუ არა, როგორი ბიჭი დავკარგეთ შენი გულისთვის? – გავუმეორე კითხვა.
– რას მიზამენ ახლა, დამხვრეტენ? მე ხომ არ მომიკლავს, მე არაფერი არ ვიცი, რას მიზამენ, მითხარით?!
– არ ვიცი, რას გიზამენ, მე პროკურორი არ ვარ.
– მე ხომ ჯაშუში არ ვარ, მე ისე მივდიოდი და დამიჭირეს, რა გინდათ ჩემგან, გამიშვით და წავალ...
– ჩემი ნება რომ იყოს, სულ კინწისკვრით გაგაგდებ, ისე გაგაგდებ, უკან ვერ მოიხედო, მაგრამ ვაი, რომ ჩემი ნება არ არის! – ვუთხარი მე.
– არსად არ წავალ, ოღონდ გამიშვით და სახლში წავალ, ჩემს სახლში წავალ, – ატირდა იგი და თავი გაძვალტყავებულ ხელებში ჩაფლა.
ვაცალე ტირილი. ცოტა რომ დამშვიდდა, სიგარეტი მივაწოდე, ხარბად გააბოლა.
– თუ გიყვარს ვინმე ან რამე ამქვეყნად? – ვკითხე მე.
იგი ხმას არ იღებდა.
– მიპასუხე, თუ გიყვარს?
მან თავი დამიქნია.
– ვინ? – ვკითხე მე.
იგი დიდხანს იხსენებდა, ვინ და რა უყვარდა ქვეყანაზე და ვერ გაიხსენა, ან გაიხსენა და თქმა შერცხვა.
– არავინ არ გიყვარს შენ ქვეყანაზე, ეგოისტი ხარ, შენი თავის გარდა არავინ არ გიყვარს! – ვუთხარი და ავდექი.
მან ისევ დაიწყო ტირილი. გარედან რაღაც ჩოჩქოლი მომესმა. უცებ ოთახში ჯარისკაცი შემოვიდა.
– ამხანაგო ლეიტენანტო, ერთი წუთით გამოდით, თუ შეიძლება! – მითხრა მან. სახე გაფითრებული და შეშინებული ჰქონდა. სასწრაფოდ გავედი გარეთ. კლუბის წინ ოცამდე ჯარისკაცი გუგუნებდა, წინ ჯაყელი იდგა. მე რომ დამინახეს, დადუმდნენ.
– რაშია საქმე? – ვიკითხე მე და მესაზღვრეებს გადავხედე. არავინ ხმას არ იღებდა.
– რაშია საქმე, ჯაყელო? – ვკითხე ჯაყელს.
ჯაყელი თავდახრილი იდგა. კითხვით რომ მივმართე, თავი ასწია და ცრემლით სავსე თვალები მომანათა.
– ამხანაგო ლეიტენანტო, მოგვეცით პატიმარი! – თქვა მან და ნერწყვი გადაყლაპა.
– შენ ხომ არ გაგიჟდი, ჯაყელო? – ვკითხე მე.
– ამხანაგო ლეიტენანტო, მოგვეცით პატიმარი! – გაიმეორა იმავე ხმით ჯაყელმა ისე, თითქოს ჩემი კითხვა არ გაეგოს.
– ჩქარა ჩხარტიშვილს დაუძახე! – გადავუჩურჩულე ჩემს გვერდით მდგომ ჯარისკაცს, იგი სასწრაფოდ გაიქცა ჩხარტიშვილის ბინისაკენ.
– აბა, დაიშალეთ! – ვუბრძანე მესაზღვრეებს.
ადგილიდან არავინ დაძრულა.
– ვის ეუბნებიან, დაიშალეთო. აბა, ახლავე დაიშალეთ!
– ამხანაგო ლეიტენანტო, მოგვეცით პატიმარი! – გაიმეორა ჯაყელმა, და მე მივხვდი, რომ ბრძანებით ვერაფერს გავხდებოდი.
– ჯაყელო, წაიყვანე შენი ამხანაგები და წადით ყაზარმაში, ხომ იცით, რომ შეუძლებელს მთხოვთ. არ შეიძლება, წადი, ჯაყელო, წაიყვანე ბიჭები!
ჯაყელი ჯიუტად იდგა და თვალს არ მაცილებდა. არ ვიცოდი, რა მექნა. ვგრძნობდი, რომ კიდევ წუთი, ბიჭები შეცვივდებოდნენ კლუბში და ძალით გამოათრევდნენ

პატიმარს და უცებ შვებით ამოვისუნთქე – გულამოვარდნილი ჩხარტიშვილი მოვარდა და გვერდით ამომიდგა.
სულს ძლივს ითქვამდა.
– რა ამბავია? – იკითხა მან და ისე გადახედა ჯარისკაცებს, შიშისაგან მე დამიარა ჟრუანტელმა.
– ახლავე დაბრუნდით თქვენ-თქვენ ადგილებზე, ზურგისააკენ! – გასცა მან ბრძანება.
ჯარისკაცები აჩოჩქოლდნენ და შეყოყმანდნენ.
– ზურგისააკენ! – იღრიალა ჩხარტიშვილმა და დამუშტული მკლავები ჰაერში ამართა. ოცეული, როგორც ერთი, შეტრიალდა ზურგისაკენ.
– ყაზარმაში ნაბიჯით იარ!
ოცეული მოწყდა ადგილიდან და გაჭიმული, სამწყობრო ნაბიჯით გაემართა ყაზარმისაკენ. მხოლოდ თავდახრილი ჯაყელი იდგა ადგილზე გაუნძრევლად.
– ჯაყელო, ზურგისაკენ იყო ბრძანება! – თქვა მაიორმა ჩხარტიშვილმა.
ჯაყელს თავი არ აუწევია, მაიორმა მე გადმომხედა, ნერვიულობისაგან ყვრიმალები უთრთოდა. იგი ნელი ნაბიჯით მივიდა თავდახრილ ჯაყელთან და მისი თავი მხარზე მიისვენა, მერე ხელი მოუთათუნა ლოყაზე.
– წადი, ჯაყელო, შენს ოთახში, წადი, დაისვენე, წადი, დამიჯერე, რაც არ შეიძლება, არ შეიძლება. რომ შეიძლებოდეს, შენზე ადრე მე ვიზამდი მაგ საქმეს. – ჩხარტიშვილი ძალიან წყნარად და მშვიდად ელაპარაკებოდა ჯაყელს. თან ლოყაზე უსვამდა ხელს. ჯაყელმა ფრთხილად გაინთავისუფლა თავი ჩხარტიშვილის მკლავებიდან, უხმოდ შეტრიალდა და წელმოწყვეტილივით წავიდა ყაზარმისაკენ.
... ახლა შუაღამეა, ისევ ყველასაგან მიტოვებულ თამადასავით ვუზივარ ჩემს უსაშველოდ გრძელ, გავარვარებული უთოთი ამომწვარ მაგიდას და წერილს გწერ, ჩემო სარგის, ჯერჯერობით ეს არის და ეს. მეტი რა მოგწერო, დანარჩენს, რომ ჩამოვალ, მაშინ მოგიყვები, ახლა კი ნახვამდის. პასუხს ნუ მომწერ, რადგან ერთ კვირაში სამსახურს მოვრჩები და შეიძლება ვერ ჩამომისწროს.
მომიკითხე ყველა, ვისაც ვახსოვარ, გკოცნი. შენი ძმა, ვლადიმერ მდინარაძე.
ოთახში ორნი ვწევართ – მე და პარხომენკო. ძნელაძის ჯგუფი საგუშაგოდ არის წასული. ვწევართ და არაფერს ვამბობთ. ასეა შერბინას დაღუპვის დღიდან. არც საგუშაგოზე, არც სასადილოში, არც ყაზარმაში, არც მეცადინეობაზე, არაფერს ვამბობთ, თუ ვამბობთ, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ისეთ ამბებს და წინადადებებს ვარჩევთ, შერბინას რომ არ ეხებოდეს. და მაინც ყველა ამბავი, ყველა წინადადება, ძალაუნებურად, შერბინათი მთავრდება, ამიტომ დუმილს ვარჩევთ. ახლაც ვწევართ და ვდუმვართ. ვიცით ორთავემ, რომ ცალ-ცალკე მაინც შერბინაზე ვფიქრობთ. ახალ სიგარეტს ვუკიდებ და ფანჯარაში ვიხედები. ალვის მაღალი კენწეროები ჩანან ფანჯარაში შეყვითლებული ფოთლებით, გვიანი შემოდგომაა. ვდგები და ფანჯარას ვაღებ, ოთახი სიგრილითა და ზღვის სუნით ივსება. ვიცვამ და გარეთ გავდივარ. ეზოში არავინ არის. მარტო წელზევით გახდილი რიაბოვი ტრიალებს ღერძზე. სამზარეულოსკენ მივდივარ. სამორიგეოს ჩავუარე. სარკმელში შევიხედე, მწერალი და მაიორი მაგიდას უსხედან და რაღაცაზე ლაპარაკობენ. ვერ შემამჩნიეს. სამზარეულოს შემოვუარე და უკანა ეზოში გავედი. ფიჭვის ძირას დაყრილ თივაზე მერაბია წევს და მისთვის შეუფერებლად მსხვილ ჯაჭვს ლოკავს. მერაბია უკვე ორი თუ სამი თვის არის, უცებ გაიზარდა, თავისუფალ დროს ჯარისკაცები დაასეირნებენ და ათამაშებენ ხოლმე, ხანდახან აბრაზებენ. მტრისას მაშინ მერაბია, ბრჭყალები და კბილები სამართებელივით აქვს. უსაშველოდ მალე იზრდება მერაბია, ლიმონათს კაცივით, ორ ფეხზე შემდგარი სვამს და

კმაყოფილებისაგან კვნესის. მე სხვაზე ხშირად ვარ მერაბიასთან, შაქარს ვაჭმევ ყოველთვის, მცნობს და ამიტომ ყველაზე მშვიდად ჩემთან არის. სულ ხელებში შემომყურებს, ბურტყუნებს, გორავს, მლოკავს. რომ დამინახა, წამოდგა, უკანა თათებზე შედგა და ჩემსკენ წამოვიდა. მივედი, ჩავცუცქდი და შაქარი მივეცი. ისე გემრიელად ახრამუნებს, ერთ ნატეხს მეც ვიდებ პირში.
– რას შვები, მერაბია, როგორ ხარ? – ვეკითხები.
– შაქარი მომეცი! – მეუბნება. ვაძლევ.
– ამხელა ჯაჭვი არ გაწუხებს? – ვეკითხები.
– კიდევ მომეცი შაქარი! – მეუბნება. ვაძლევ.
– შერბინა რომ იყო, მაშინ მეტი შაქარი გქონდა, ორთავე გაჭმევდით.
ხომ გახსოვს შერბინა? – ვეკითხები. არაფერიც არ ახსოვს.
– შაქარი მომეცი! – მეუბნება, ორ ნატეხს ვაძლევ ერთად. მიწაზე გორდება, თათებს პლაკავს – მომფხანეო. ვფხან.
– სულელი ხარ შენ, მერაბია, ერთი გრამი ტვინი არ გაქვს თავში, არაფერი არ იცი, არაფერი არ გახსოვს. დედა გახსოვს?
– კიდევ მომეცი შაქარი! – მთხოვს. უკანასკნელ ნატეხს ვაძლევ.
– დედა არ გახსოვს? დედა, ალიონზე რომ მოგიკალით, მაშინ შერბინა ტიროდა. არ გახსოვს? – ვეკითხები.
– მეტი აღარ გაქვს შაქარი? – მეკითხება.
– სულელი ხარ შენ, მერაბია, ნუთუ მართლა არაფერი არ იცი, არაფერი არ გახსოვს, თუ გახსოვს და ვერ ამბობ? იქნებ გახსოვდა და დრო რომ გავიდა, დაგავიწყდა, ა, მერაბია?
– აღარა გაქვს შაქარი? – მეკითხება.
– კარგი, შერბინა არ გახსოვს, დედის დავიწყება ასე შეიძლება? – ვეკითხები.
– თუ გაქვს, მომეცი შაქარი! – შაქარი უნდა.
– თუმცა რა, უკეთესია, თუ არ გახსოვს, შენთვისაც უკეთესია და ჩემთვისაც უკეთესია. შენთვის იმიტომ, რომ არ იცი, დედა თუ მოგიკლეს. ჩემთვის იმიტომ, რომ არ იცი, მე რომ მოგიკალი, მაგრამ მე არ მომიკლავს, მერაბია, გეფიცები, არ მომიკლავს, უბრალოდ, იქ ვიყავი და ვუყურებდი... ჰოდა, შენთვისაც კარგია და ჩემთვისაც, რომ არაფერი არ იცი, არაფერი არ გახსოვს, მაგრამ მე რომ მახსოვს? დედაშენიც რომ მახსოვს? დედაჩემიც რომ მახსოვს? მამაჩემიც რომ მახსოვს? შერბინაც რომ მახსოვს? რა ვქნა, მითხარი, მერაბია, ყველაფერი რომ მახსოვს?!
– არ მაძლევ შაქარს? – მეკითხება.
– აღარა მაქვს, მერაბია, და რა გიყო? სულელი ხარ შენ, სულელი, ერთი გრამი ტვინი არ გაქვს თავში. – მერაბია თავს აკანტურებს.
მიწაზე ვჯდები მის გვერდით და თბილ მუცელს ვფხან. მერაბია თვალებს ნაბავს.
– სულელი ხარ შენ, მერაბია, სულელი.
– რას აკეთებ აქ, ჯაყელო? – მესმის ზურგს უკან. ფეხზე ვდგები.
ჩემს წინ მწერალი დგას.
– არაფერს, ამხანაგო ლეიტენანტო, შაქარს ვაჭმევ მერაბიას!
– დიდი გახდა შენი მერაბია!
– ძალიან გაიზარდა!
– რატომ დაარქვი მერაბია?
– აბა, რა ვიცი, უცებ დავარქვი, ერთ ჩემს ნაცნობს ერქვა...
– დათვს გავდა ის შენი ნაცნობი?
– პირიქით, სულ არ გავდა, ხასიათით გავდა.

– იმასაც შაქარი უყვარდა?
– არ ვიცი, ალბათ, უყვარდა!
– შენ რომ წახვალ, რა ეშველება შენს მერაბიას?
– რა უჭირს, მალე დავავიწყდები.
– რაც უფრო გაიზრდება, უფრო შეგეჩვევა.
– შეიძლება. ცოტა ხანს გაუჭირდება, მერე დავავიწყდები.
– ჯაყელო, რატომ არ ისვენებ? – მკითხა უცებ მწერალმა.
– არ მინდა დასვენება, ამხანაგო ლეიტენანტო.
– წუხელ ხომ მორიგეობდი?
– დიახ.
– მერე არ გეძინება?
– არ მინდა დასვენება, ამხანაგო ლეიტენანტო.
მწერალი დაფიქრდა, ჯიბეები მოიჩხრიკა.
– სიგარეტი ხომ არ გაქვს? – მკითხა. მივაწოდე და ასანთი გავკარი, მოუკიდა, მერე მერაბიას გვერდით, თივაზე დაჯდა, ახლა მან დაუწყო მუცლის ფხანა. მერაბია გაიტრუნა.
– ჯაყელო, სახლში წასვლა არ გინდა? – მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.
– სახლში წასვლა ვის არ უნდა, ამხანაგო ლეიტენანტო? – გამეღიმა მე.
– ჩხარტიშვილს ველაპარაკე, ერთი კვირით შვებულება მოგცა, ხვალ დილით წახვალ, წადი სახლში და დაისვენე ერთი კვირა.
– გმადლობთ, ამხანაგო ლეიტენანტო!
– კარგად დაისვენე!
– გმადლობთ, ბატონო ვლადიმერ!
– მადლობა ჩხარტიშვილს უთხარი.
– ვეტყვი, ბატონო ვლადიმერ!
იგი წამოდგა, მხარზე ხელი მომხვია და ყაზარმისაკენ წამიყვანა ნელი ნაბიჯით. კარებთან რომ მივედი, გაჩერდა, მეც გავჩერდი. ასე ვიდექით დიდხანს. სიგარეტი გადააგდო და უცებ ახალი მთხოვა. მივაწოდე და ისევ მოვუკიდე. მერე შეტრიალდა და ზღვისაკენ წავიდა.
ირიჟრაჟა. თბილისის სადგურის მოედანს ორი სახვეტი მანქანა მიჰყვებოდა გუგუნით. მათ უკან კიდევ ორი სარწყავი მანქანა მოდიოდა ნელი სვლით და ქშენით, წყლის შადრევნებით. უზარმაზარ თეთრეშვებიან ზღვის ლომებს ჰგავდნენ. მათ ნაკვალევზე ასფალტი სარკესავით თამაშობდა. მატარებლიდან ვაგონის დახუთული და მჟავე სუნი ჩამომყვა. შუბლი უთოსავით მიხურდა. ერთ-ერთი მანქანა რომ მომიახლოვდა, რატომღაც, არ მოვერიდე. ჩექმები დამისველდა და სახეზე შადრევნის შხეფები მეცა. სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა. ღრმად ჩავისუნთქე. ფილტვები გრილი, სუფთა და ნოტიო ჰაერით ამევსო. სიამოვნებისაგან თავბრუ დამეხვა, უცებ ქუდი მოვიხადე და ასე ქუდმოხდილმა გავიარე მეორე მანქანის შადრევანში, თავიდან ფეხებამდე გავიწუწე. მძღოლმა მანქანა გააჩერა, ფანჯრიდან თავი გადმოჰყო.
– ეე, სიმონ, დაგარტყა? – მკითხა მან და ცხვირწინ ხელი გამიქნია.
– გამარჯობა, ჯიგარო! – ვუთხარი მე და მის ჰაერში გაშვერილ ხელს ჩემი ხელი შევაგებე, მაგრად ჩამოვართვი.
– აბა, შენა ყოფილხარ, აი?! – სინანულით მითხრა მან, ხელი გამომართვა, საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიდო, დაატრიალა, დაუსტვინა და მანქანა დაძრა.

– მე ვარ, მე, ჯიგარო! – გავუღიმე და ხელი დავუქნიე წასულს.
– მე ვარ, მე! – სადგურის ქუჩით ვეშვები დაბლა ნინოშვილის გადაკვეთამდე.
– გამარჯობათ, მგზავრებო, გამარჯობათ, თბილისელებო, სად გარბიხართ, ჯერ ხეირიანად არც კი გათენებულა. მე ხომ არ გამირბით, გაწუწულს რომ მხედავთ. ცაში რას იყურებით, წვიმს გგონიათ? არა, არც წვიმს, არც წვიმდა, არც აპირებს წვიმას. შეხედეთ, რა მოწმენდილი ცაა, სარკეს ჰგავს დალოცვილი, მაშ, არ იკითხავთ, რაზე ვარ სველი? აი, ასევე მწვანე სამხრეებით, მწვანე ქუდითა და ლურჯი ჩემოდნით პირდაპირ ზღვიდან ამოვედი. ტალღამ ამომაგდო. აბა, როგორ გინდოდათ, წყლიდან მშრალი ამოვსულიყავი? წყლიდან მშრალი ვინ ამოსულა, მე რომ ამოვიდე!
– გამარჯობათ, ნინოშვილის ქუჩის მეეზოვეებო, ეს თქვენ მოაქუჩეთ შემოდგომის ფოთლები და თქვენ მოუკიდეთ ცეცხლი? ფრთხილად, თბილისი არ დამიწვათ, ჩემი თბილისი, თორემ დედას გიტირებთ.
გამარჯობა, ნინოშვილის ორმოცდაათო ნომერო! ჯერ არ წაქცეულხარ? ისევ გიდგას სული? შენს გამძლეობას გაუმარჯოს! გამარჯობა, ჩემი ეზოს რკინის ალაყაფო, დარუბანდის ციხის კარს რომ ჰგავხარ, როგორ ჩამოგვარდნია მხარი; გამარჯობა, ჩემო ონკანო, გამარჯობათ, რიგში ჩამდგარო კასრებო, ჩაიდნებო, დოქებო, ბოთლებო, ქილებო... ბოლო რომელია, ვინ არის ბოლო?! მე თქვენს შემდეგ ვარ! გამარჯობათ, ბეღურებო, რას ფართიფურთობთ ონკანის გარშემო, პირს იბანთ? რამ შეგაშინათ, რას აცვივდით აკაციაზე, ვერ მიცანით? მე ვარ, ავთო ჯაყელი; გამარჯობა, ძია რუბენის სახელოსნოვ, ეგ როგორ დაგემართა, ძია რუბენ, ვიტრინაში შუქი დაგრჩენია ანთებული, ვაჰ, ვაჰ, ამ თვეში ხომ სინათლის ფულის აბაზით მეტის გადახდა მოგიწევს! გამარჯობათ, საათებო, ჯიბის საათებო, მაჯის საათებო, კედლის საათებო, როგორა ხართ, ხომ კარგად ხართ? ხომ კარგად მუშაობთ? აუ, რა დრო გასულა, რაც არ მინახავხართ, წელიწადნახევარი გასულა! რა ბევრი დროა, საათებო, რა ბევრი დროა, აფსუს, უჩემოდ რამდენი გივლიათ; გამარჯობა, სარეცხო, გაქათქათებულო სარეცხო, გამარჯობა, პერანგო, რაღაც ვერა გცნობ, ვინა ხარ, ახალი ბინადარი ხარ? რა პატარა და სასაცილო ხარ, ვისი ხარ, პერანგო? გამარჯობა, დადუნა. ხომ ტკბილად გძინავს? გამარჯობა, კიბევ, ჩემო კბილებჩამტვრეულო კიბევ, რა გახდა ორი მოკლე ფიცარი, კბილები რომ ჩაგიდგან! გამარჯობა, კარო, ლურჯად შეღებილო კარო, სამწარწერიანო კარო! გამარჯობა, ჩემო ელექტროღილაკო. არ შემარცხვინო, დენი ხომ არის? დარეკე, ზარო, დარეკე, შენი ჭირიმე, გაიღე, კარო, სეზამ, გაიღე!!!
– გამარჯობა, ვანიჩკა ბიძია!
– გამარჯობა, ბიჭო ავთო!
* * *
საღამოს, უცხო ენების ინსტიტუტის წინ უამრავი ვაჟები დგანან, თერთმეტი საათის შესრულებას ელოდებიან. თერთმეტ საათზე ლექციები მთავრდება. დგანან ბიჭები, ვაკის პარკის რკინის ღობის გასწვრივ და ელიან. დგანან ცალ-ცალკე, ერთმანეთის მოშორებით, ზოგი მანქანით, ზოგი უმანქანოდ. საათებზე იცქირებიან, ზოგს ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს სეირნობს. მოვა, სიგარეტს გიკიდებს, თითქოს არაფერიაო, საკუთარი საათი აქვს, მაგრამ სიგარეტს რომ გაუწვდი ცეცხლის მოსაკიდებლად, თვალი მაინც შენი საათისაკენ გაურბის, საკუთარ საათს არ ენდობა. თერთმეტს რომ თხუთმეტი წუთი აკლია, პირველი გოგონა აღებს უცხო ენების ინსტიტუტის კარს, მორბის, პალტოს გზადაგზა იცვამს, მანქანებს არ ერიდება, აქეთ-იქით იცქირება. ეს ყველაზე სულწასულია. წუთით დგება. უცებ ვაჟების გრძელ ჯაჭვს ვინმე გამოეყოფა და გოგონასაკენ მოდის, თავდაჭერილად, ვითომ აქ არაფერიაო, ვითომ არ ეჩქარება, ვითომ მაინცდამაინც არ უხარია, ისინი ერთმანეთს ხვდებიან.

მერე იწყება დაუსრულებელი დენა გოგონებისა, საოცრად ლამაზი გოგონებისა, მოდიან მდინარესავით, ყვავილების მდინარესავით, ფერად-ფერადები და სურნელოვანნი, წითელი, ყვითელი, ქერა, წაბლისფერი, ვერცხლისფერი, ალისფერი, შავი, ყურყუმა შავი, მოლურჯო თმებით, მოკლე კაბებით, ჩექმების, წვრილქუსლა ფეხსაცმელების, ბრტყელცხვირა ფეხსაცმელების, მოკასინების, ქოშების ბაკუნით, მხარზე ათასფერჩანთაგადაკიდებულები მოდიან, უერთდებიან შავ კოსტუმებზე ქათქათა თეთრსაყელოგადმოწყობილი თბილისელი ბიჭების ნაკადს. ერთხანს ასე, ორ სხვადასხვა ფერის ნაკადად მიედინებიან ამ ფართო და ლამაზ ქუჩაზე, მერე ირევიან ერთმანეთში, მოედანთან მორევივით ტრიალებენ და ნელ-ნელა, პატარ-პატარა ნაკადებად იღვრებიან უამრავ ქუჩებსა, შესახვევებსა და ჩიხებში. მიედინებიან და აპურებენ სიყვარულის წყურვილით გავარვარებულ, ათრთოლებულ და ხახაგამშრალ თბილისს.

* * *

– გამარჯობა, დადუნა!

შემომხედა, წარბები გაკვირვებით აზიდა, ვერ მიცნო. არ ვიცოდი, რა მექნა, ქუდი მოვიხადე და უხერხულად გავუღიმე.

– ჯაყო, ვაიმე, ჯაყო! – დადუნამ ხელები მომხვია და ლოყაზე მაკოცა. – საიდან, ჯაყო? როგორა ხარ? ღმერთო, რა სასაცილოა, გავგიჟდები, აბა ქუდი დაიხურე! – დავიხურე.

დადუნა გვერდზე გადგა.

სახეზე ხელები აიფარა და ისე მიყურებდა.

– გენერალი, მწვანე გენერალი. Хороший наблюдательный пункт! – თქვა მან და გადაიკისკისა. ჩვენს გარშემო ხალხი იღიმებოდა.

უხერხულობა ვიგრძენი.

– წავიდეთ აქედან, დადუნა! – ვთხოვე და მკლავში ხელი გავუყარე.

– ჯაყო, ჩემო ჯაყო, საიდან, ბიჭო? ღმერთო, რა სასაცილო ხარ, როდის ჩამოდი?

– დილით!

– რამდენი ხნით?

– ერთი კვირით. – დადუნა ისევ გვერდზე გადგა და გადაიკისკისა.

– მწვანე გენერალი!

– როგორ ხარ, დადუ? – ვკითხე მე, სიცილი რომ გაათავა.

– ძველებურად! – მიპასუხა და მკლავი მკლავში გამიყარა.

– როგორ ძველებურად? – ვკითხე მე.

– ძველებურად. ვსწავლობ, თმას და თვალებს ვიღებავ, წარბებს ვიქნი, კინოში დავდივარ...

– კიდევ?

– კიდევ? – დადუნა დაფიქრდა. – კიდევ წიგნებს ვკითხულობ.

ზაფხულში პოლონეთში ვიყავი, ტურისტული საგზურით. კიდევ რას ვაკეთებ? ვცეკვავ, ვმღერი, ცოტას ვსვამ კიდევაც, დაბადების დღეებზე! – დადუნამ ჩამოთვლა დაამთავრა.

– კიდევ რას აკეთებდი ამ წლინახევრის განმავლობაში? – ვკითხე მე. დადუნამ გაკვირვებით ამომხედა.

– აკი ჩამოგითვალე, სხვა რა უნდა მეკეთებინა?

– მე არ გახსოვდი? – დადუნამ ისევ ამომხედა, მერე დაფიქრდა.

– არ ფიქრობდი ჩემზე? – გავუმეორე კითხვა და შევჩერდი.

– შენზე? – დადუნამ ხელი გამიშვა, ჩემ წინ დადგა, ყელი მოიღერა და დიდხანს მიყურა. ჩანთა მოიხსნა მხრიდან და მაღალყელიანი ჩექმების გასწვრივ კედლის

საათის ქანქარასავით იქნევდა. ჩანთა ჩექმის ყელს ხვდებოდა და ზუსტად საათის ხმას გამოსცემდა. თითქოს წუთებს ითვლიდა, ერთი, ორი, სამი, თფუ, დასწყევლოს ღმერთმა, ისევ ჯარისკაცის ჩვევა, სამს ვერ გავცილდი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...
– შენ თუ ფიქრობდი ჩემზე? – მკითხა უცებ და ჩანთა გააჩერა.
– მე, აბა, მეტს რას ვაკეთებდი? სულ შენზე ვფიქრობდი, – ვთქვი და გავწითლდი. გავწითლდი და მიხაროდა, რომ დადუნა თავდახრილი იდგა და ჩემს სიწითლეს ვერ ხედავდა.
– მერე, ერთი წერილი ვერ მომწერე? – მკითხა მან თავაუღებლად.
– არ მიყვარს წერილების წერა, დადუ! – ვთქვი მე გულწრფელად. დადუნას გაეცინა.
– ბიჭო, ერთხელ ვიყავი „საქართველოს ქალის“ ყდაზე და შვიდასი ჯარისკაცის წერილი მივიღე და შენ ამბობ, წერილების წერა არ მიყვარსო! ცნობილია, რომ მსოფლიოში არსებული წერილების 99 პროცენტსა და 9 მეათედს ჯარისკაცები წერენ.
– დადუნა, დედას გეფიცები, ბაბუაჩემისათვისაც არ მიმიწერია წერილი! – ვიმართლე თავი.
– წამოდი, წამოდი, შენ თუ ბაბუაშენსა და ჩემს შორის განსხვავებას ვერ ხედავ, რა თქმა უნდა, არ მომწერდი, – თქვა დადუნამ, მკლავზე ხელი წამავლო და წამათრია. უხალისოდ გავყევი.
– მე მეგონა, დადუნა... ჩვენი ჯვარზე ერთად ყოფნის შემდეგ...
– რა, ჩვენი ჯვარზე ერთად ყოფნის შემდეგ?
– ის, რომ წერილებს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.
– რატომ?
– იმიტომ, რომ... – ენა დამება, რა მეთქვა, არ ვიცოდი.
– რატომ? ჯვარზე ჯვარი დავიწერეთ? რა მოხდა ჯვარზე?
– მე მეგონა, რომ... – ავბლუკუნდი მე.
– მე კი მეგონა, რომ ჩვენი ჯვარზე ყოფნის შემდეგ ჩვენს ურთიერთობას ჯვარი დაესვა, – თქვა დადუნამ და გაჩერდა.
– კარგი, მე დეგენერატი ვარ, შენ რატომ არ მომწერე წერილი?! – ვიყვირე მე მოულოდნელად და დადუნას მხრებში ვტაცე ხელი.
დადუნას სახეზე გაკვირვება გამოესახა და ჩანთა გაუვარდა ხელიდან.
– რატომ, რატომ?! – დადუნა დაიხარა, ჩანთა აიღო და ნელი ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას. უკან ავედევნე. უნივერსიტეტის პირდაპირ ვიყავით. ქუჩის საათს ავხედე, თორმეტს ათი წუთი აკლდა. დადუნამ ქუჩა გადასერა და ვარაზის ხევს დაჰყვა.
– დადუნა! – მხარზე ხელი შევახე. გაჩერდა.
– დადუნა! – დადუნა ხმას არ იღებდა. შემოვატრიალე და თვალებში ჩავხედე. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.
– დადუნა, ჩემო დადუ! – ვუთხარი ჩურჩულით და ჩემსკენ მოვიზიდე. მომყვა.
– მაპატიე, დადუნა, თუ გიყვარვარ, მაპატიე! – შევემუდარე მე. დადუნამ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და გაშლილი თმები მის მხრებზე დაწყობილ ხელებზე ცეცხლივით დამეფინა. ჟრუანტელმა დამიარა ტანში.
– დადუ, ჩემო დადუ! – ავლუღლუღდი მე, მერე მკერდზე მივიკარი და გიჟივით კოცნა დავუწყე თვალებზე, ლოყებზე, ტუჩებში, ყელზე. დადუნა წინააღმდეგობას არ მიწევდა. მკლავებჩამოშვებული, მოდუნებული იდგა და თვალები დაეხუჭა.
– Рразойдись! – მომესმა უცებ ქუჩის მეორე მხრიდან. ცივად გავუშვი ხელი და იქითკენ გავიხედე, საიდანაც ხმა მომესმა. უნივერსიტეტის ბაღში, ზედ კიბის თავთან გრძელ სკამზე ოთხი ბიჭი იჯდა და ხარხარებდა. ჯერ ბრაზი მომივიდა, მერე უცებ

გამახსენდა სამხედრო ფორმა რომ მეცვა და გამეღიმა. ბიჭებს ხელი დავუქნიე და წინ წასულ დადუნას დავედევნე. გმირთა მოედნამდე ისე ჩავედით, ხმა არ ამომიღია.
– ტაქსს დაველოდოთ! – ვუთხარი დადუნას, მხარზე ხელი მოვხვიე და გავაჩერე, დადუნა გაჩერდა.
– მითხარი რამე, დადუნა! – ვთხოვე. მან სევდიანი თვალებით შემომხედა.
– რა გითხრა, ჯაყო? – მკითხა მან და მე მომეჩვენა, რომ მის ხმაში რაღაც სიცარიელე იყო, რომ ამ წუთში სულ ერთი იყო, რას ვეტყოდი ან რას მეტყოდა. მომეჩვენა კი არა, იმდენად დარწმუნებული ვიყავი ამაში, რომ შემეშინდა.
– მითხარი, დადუ, გიყვარვარ თუ არა? – ვკითხე ძალიან ფრთხილად და გული პასუხის მოლოდინში შემეკუმშა.
– არ ვიცი, ავთო, არ ვიცი! – თქვა მან და თავი გაიქნია.
– მაინც მითხარი, გიყვარვარ თუ არა?
– შენ როგორ ფიქრობ, ავთო? – მკითხა მან.
– მე არაფერს არ ვფიქრობ და არც ვიცი, მითხარი, გიყვარვარ თუ არა?
– არა! – თქვა უცებ დადუნამ.
– არ მჯერა! – ვთქვი მე და თვითონვე გამიკვირდა, რატომ არ მჯეროდა.
– მაშინ, მიყვარხარ! – გაიღიმა დადუნამ.
– არც ეს მჯერა! – ჯიუტად ვთქვი მე. დადუნამ მხრები აიწურა.
– ან ერთი უნდა დაიჯერო, ან მეორე, აქ მესამე არ არსებობს! – და მე მივხვდი, რომ სწორედ მესამე არსებობდა, დადუნასათვის ამ წუთში სულ ერთი იყო, რომელს დავიჯერებდი, იგი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ ამ სულელურ საუბარს ბოლო მოღებოდა.
ათამდე მანქანას ავუწიე ხელი, არც ერთმა არ გამიჩერა.
– ჯარისკაცებს არ უჩერებენ, ცოტა გვერდზე მიდექი! – მითხრა დადუნამ.
გვერდზე მივდექი, დადუნას ხელის აწევა არ დასჭირვებია. უცებ შავი გაპრიალებული „ვოლგა“ მონუსხულივით დაერჭო მის წინ. კარი გაიღო, მძღოლი გიჟივით გამოვარდა, ხელები გაშალა და დადუნასაკენ გამოქანდა.
– ვაა, დადუნა, შენ გენაცვალე, ნატვრისთვალი ხარ? აბა, მალე, ახლა შენთან ვიყავი, დედაშენმა თქვა, ჯერ არ მოსულაო. მალე, მალე! – ვაჟმა ხელი სტაცა დადუნას და მანქანისაკენ გააქანა.
– მოიცა, გივი, მარტო არა ვარ, ნუ მიმათრევ, სულელო, მოიცა!
– გაუძალიანდა დადუნა.
– ვინ გახლავს? – გაუკვირდა გივის.
– ამხანაგია! – თქვა დადუნამ და ჩემსკენ გამოიხედა.
– ეგ სალდათი?
– ჯაყოა ეგ!
– რომელი ჯაყო?
– ავთო!
– ვინა?
– ავთო!
– წამოიღე!
– მოიცა, კაცო!
– მოიცა არ ვიცი მე, ეგ შენი სალდათი წამოიღე და წამოდი. მეგობარო, მობრძანდით!
– დამიძახა მან. მივედი. ვაჟმა მანქანის უკანა კარი გამოაღო და მე და დადუნა ძალით შეგვტენა შიგ. მერე სირბილით მივიდა საჭესთან, კარი მოიჯახუნა, მოტორი ჩართო. –

წავედიით! – იყვირა და მანქანა ცოფიანივით მოსწყდა ადგილს. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ წინ გოგონა ეჯდა, ქერათმიანი.
– ვიტა, შენა ხარ? – გაუხარდა დადუნას.
– მე ვარ! – ვიტა გადმოიხარა და დადუნას აკოცა.
– სად მივყავართ ამ გადარეულს?
– ვიცი, სად მივყავართ? ლოგინიდან წამომაგდო. შენთან ვიყავით ახლა.
– სად მიგყავართ, ბიჭო? – ჰკითხა დადუნამ გივის.
– „წამოდიი ერთად ვიაროთ, მსოფლიო შემოვიაროთ...“ – წაიმღერა გივიმ და საჭეზე დოლი გააჩაღა.
– სად მიგყავართ ამ შუაღამისას, აღარ იტყვი? – ჰკითხა ვიტამ.
– ახლავე გეტყვით! – თქვა გივიმ, თავი მოაბრუნა ჩვენსკენ და გაგვიღიმა. ძალიან ლამაზი იყო, ოდნავ კეხიანი ცხირი ჰქონდა და ფართოდ გაღიმებული პირი ბროლივით თეთრი კბილებით ჰქონდა გამოჭედილი. – დღეს ნელის დაბადების დღეა, ის მოაწყო, რას ეძახით თქვენა? ალაფურშეტ! სწორად ვამბობ? – იკითხა გივიმ და თვალი ჩამიკრა.
– სწორად ამბობ! – უთხრა დადუნამ.
– აბა, სხვა რა გინდა? – ჰკითხა გივიმ.
– გვიანია, გივი, დედა გაგიჟდება!
– დედაშენმა იცის, რომ არ იცოდეს კიდევაც, რისი გეშინია, არმია გახლავს! – თქვა მან და ისევ ჩამიკრა თვალი.
– ჰო, მართლა, გაიცანი! – გავახსენდი დადუნას.
– გივი! – მითხრა მან და ხელი გამომიწოდა.
– ავთანდილი! – ჩამოვართვი მეც ხელი.
– ვიტა, შენც გაიცანი რა? – სთხოვა დადუნამ.
– ვიცნობ! – ვთქვი მე.
– საიდან? – გაუკვირდა ვიტას.
– თქვენ ვიტა არა ხართ? აი, აქ, ლოყაზე, ხალი გქონდათ, – გავახსენე მე.
– კი, მქონდა, მაშინ ხალები მოდაში იყო. მაინც საიდან მიცნობთ?
– ჯაყოა ეგ, არ გახსოვს ჩემთან?
– უი, მართლა?! – შემობრუნდა ვიტა ჩემსკენ. თვალები მოჭუტა და დამაკვირდა.
– მართლა! – გავუღიმე მე.
– რა გჭირთ? – შეწუხდა უცებ ვიტა.
– რა მჭირს? – შევწუხდი მეც და დადუნას გადავხედე.
– ეგ რა გაცვიათ?
– ხოო, ჯარში ვარ! – ვთქვი მე და გულზე მომეშვა.
– ააა! – გააგრძელა ვიტამ. – მანქანა სოლოლაკის აღმართზე ავარდა და მახარაძის ქუჩის დასაწყისში გაქვავდა. მე და ვიტა ერთმანეთს შევასკდით.
– გიჟი ხარ, ნამდვილი გიჟი! – წყენით უთხრა ვიტამ გივის და თმები გაისწორა.
– ცეტი ვარ, ცეტი! – კმაყოფილებით თქვა გივიმ და მანქანიდან გადმოვიდა. მესამე სართულზე ავედით. ალაფურშეტი დაწყებული იყო. გივიმ ფეხით შეაღო კარი, შუა ოთახში დადგა და მკლავები გაშალა: „ტრულაილას ფული რად უნდ	aa, ტრულაილა თვითონ ფულიააა!“ – ნახევრად ბაიათის ხმაზე წამოიწყო მან.
– ვა, შენ გენაცვალე, გივი მოვიდა! – გაუხარდა ვიღაცას.
– მოდით, გოგოებო! – მიგვიპატიჟა გივიმ, – ერთი ნახეთ, რა ხალხი მოვიყვანე! ვიტას და დადუნას გამოჩენას არანაკლები აღტაცებით შეხვდნენ. მე ყველა გაკვირვებითა და მორიდებული მიცქერდა.

თავისუფალი სავარძლები მოგვართვეს და ალაფურშეტი გაგრძელდა. თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი და ვიდრე ჩემს სასაცილო მდგომარეობას შევეჩვეოდი, ჩემს გვერდით, დაბალ მაგიდაზე მდგარი კონიაკით სავსე ჭიქა გადავკარი და სიგარეტს ცეცხლი მოვუკიდე, იქვე, ვეებერთელა შანდალში აციმციმებული, მკლავისსიმსხო, ვარდისფერი სანთლიდან. კონიაკმა ცოტათი დამამშვიდა და ძარღვები გამითბო. ოთახისა და მის ბინადართა შესწავლა დავიწყე. ჩემს პირდაპირ გელა იჯდა, გვერდით ისევ მკლავებდაბერილი მუტრუკი, ანზორი ეჯდა. ოთახის კუთხეში პოეტი ქალი, მზია იჯდა, თეთრი შალი მოესხა მხრებზე, ფეხი ფეხზე გადაედო და გემრიელად აბოლებდა სიგარეტს. მზიას გვერდით იზიდა იჯდა, ტახტზე ფეხმორთხმული და ყავას სვამდა. დანარჩენები უცნობები იყვნენ. ძალიან უსიამო გრძნობამ შემიპყრო. ისევ დავისხი კონიაკი და გადავკარი. დადუნა თვალს არ მაცილებდა. კონიაკი რომ გადავკარი, მოვიდა და გვერდით დამიჯდა.
– ჯაყო, არ გინდა, ნუ დათვრები! – მთხოვა მან.
– არა, დადუნა, შენს თავს ვფიცავ, არ დავთვრები! – გავუღიმე მე. – თავს უხერხულად ვგრძნობ და იმიტომ ვსვამ, ახლა ვნანობ, რომ წამოვედი, მაინც როგორ მიყურებენ.
– ყურადღებას ნუ აქცევ, ისე, მართალი გითხრა, დიდი უცნაური კაცი ხარ, ვითომ არ შეგეძლო ეს სამხედრო ფორმა გაგეხადა და ისე შემხვედროდი?!
– რატომ უნდა გამეხადა? – ვკითხე მე გაკვირვებულმა.
– ჰო, კარგი, კარგი, დაწყნარდი, არ უნდა გაგეხადა, ოღონდ გთხოვ, თავი შეიკავო.
– გეფიცები, ხმას არ ამოვიღებ, მით უმეტეს, რომ ერთხელ გალახული ვყავარ იმ მუტრუკს.
– კარგია, თუ გახსოვს. ეს შენი ჩამოსვლისა იყოს, ჯაყო! – მითხრა მან, გამიღიმა და სავსე ჭიქა შუბლზე მომიჯახუნა. მეც გავუღიმე და თავი დავუკარი.
მაგნიტოფონი ძალიან ნელ და მელოდიურ ბლუზს უკრავდა. ნახევრადჩაბნელებულ, მკრთალ, ლურჯი ფერებით განათებულ ოთახში სიგარეტების კვამლი ქარისაგან გაწეწილი თეთრი ღრუბელივით დაბორიალობდა. რამდენიმე წყვილი ცეკვავდა. ძალიან, ძალიან ხმადაბლა საუბარს ხანდახან გივის მოულოდნელი წამოძახილი ან ხმამაღალი სიცილი არღვევდა.
– ნელი! – დაუძახა დადუნამ ძალიან მაღალ და ლამაზ გოგონას. იგი ღიმილით წამოვიდა ჩვენსკენ, თვალები ქართულ ფრესკასავით უსაშველოდ დიდი და სევდიანი ჰქონდა. მოვიდა და ჩვენს პირდაპირ დადგა. ფეხზე წამოვდექი.
– ბრძანდებოდეთ! – გამიღიმა მან. სასწრაფოდ დავჯექი.
– გაიცანი, ნელი, ეს ჯაყოა, ავთანდილ ჯაყელი, ჩემი მეგობარი! – თქვა დადუნამ.
– ვიცი! – თქვა ნელიმ და ისევ გაიღიმა.
მე ისევ წამოვდექი.
დადუნამ სამი ჭიქა შეავსო კონიაკით.
– ჯაყო, დღეს ნელის დაბადების დღეა, დალოცე. – მითხრა დადუნამ და ჭიქა მომაწოდა. ჭიქა ჩამოვართვი.
– კიდევ ას წელიწადს იცოცხლეთ, ნელი! – ვთხოვე მე.
– ბევრია! – მითხრა მან.
– რამდენი წლის ბრძანდებით? – ვკითხე მე.
– ოცის! – თქვა ნელიმ. დადუნამ გაიცინა. ნელიმაც გაიცინა.
– ოცდაერთის! – გაასწორა შეცდომა ნელიმ. დადუნამ ისევ გაიცინა.
– რაც არ უნდა იცინო, მეტს აღარ მოვუმატებ! – უთხრა ნელიმ.
– მაშინ კიდევ 79 წელს იცოცხლეთ! – ვუთხარი მე და დავლიე.
– გმადლობთ! – თქვა ნელიმ, დალია და ჩვენს გვერდით დაჯდა.

– თქვენ ჯარში ხართ? – მკითხა მან უცებ.
– დიახ!
– კარგია ჯარში ყოფნა?
– რა თქმა უნდა!
– რატომ?! – დაინტერესდა ნელი.
რატომ? გავიფიქრე მე, მერე შუბლი მოვისრისე, რატომ არის ჯარში ყოფნა კარგი? როგორ ავუხსნა ახლა იმას, რატომ არის ჯარში ყოფნა კარგი.
– უფასო ბინა... უფასო ტანსაცმელი... უფასო კვება დღეში სამჯერ... უფასო იარაღი... პარსვა... აბანო და საპონიც! – გამახსენდა მე. ნელიმ გადაიკისკისა.
– ეი, რა გაცინებთ მანდ, ჩვენც გაგვაცინეთ! – იყვირა ოთახის მეორე ბოლოდან გივიმ და ჩვენსკენ წამოვიდა.
– ჯარის ამბებს გვიყვება! – უთხრა დადუნამ.
– რა ხდება ჯარში? – მკითხა ახლა გივიმ.
– ჯარის იდეურ-პოლიტიკური დონე მაღალია, დისციპლინა – მტკიცე, შეიარაღება – ბრწყინვალე, მზად ვართ, გამანადგურებელი, საპასუხო დარტყმა ვაგემოთ ნებისმიერ აგრესორს! – მოვახსენე მე.
– შენ გენაცვალე, რომ დამამშვიდე, თორემ რაც ამერიკელები მთვარეზე დასხდნენ, ცოტა შევშინდი, ზევიდან არ დაგვარტყან-მეთქი! – გაუხარდა გივის.
– ნუ გეშინია, სამყაროში ზევით-ქვევით არ არსებობს. ვინც მთვარეზეა, იმათთვის ჩვენც ზევითა ვართ, – ვანუგეშე გივი.
– ვიეტნამში რა ამბებია, გენერალო? – მკითხა გელამ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ძალიან ირონიულად მიღიმოდა და მის გვერდით მჯდარ ცხვირაპრეხილ გოგონას განუწყვეტლივ ეჩურჩულებოდა რაღაცას. მივხვდი, რომ დამცინოდა. ის საღამო არ დავიწყებია, გავიფიქრე, მაგრამ არ შევიმჩნიე, ვითომ ვერ გავიგონე, კონიაკი დავისხი და პირთან მივიტანე.
– ხომ არ იცით ვიეტნამში რა ამბებია? – გამიმეორა კითხვა გელამ. ვიღაცამ გაიცინა. ჭიქა ხელში შემაცივდა, დადუნას შევხედე, მუდარით მიცქერდა და თვალებით მთხოვდა, შენი ჭირიმე, შარშანდელი არ გაიმეოროო. კონიაკი დავლიე და ჭიქა დავდგი.
– ბატონ გელას ვთხოვთ, ლექსი წაგვიკითხოს! – მივუბრუნდი ნელის. გელას სახე მოებრიცა მოულოდნელობისაგან. - გელა, მიდი რა?! – გამოიგლიჯა ყელი ნელიმ.
– მიდი რა, გელა, შენი ჭირიმე!
– გელა, „სიზმარი“!
– „თეთრი იასამანი“, გელა!
– „ყაყაჩოს ცრემლი“! – წავიდა დაკვეთები გელას მისამართით.
– აღარ ვწერ ლექსებს! – თქვა გელამ.
– რატომ? – ვკითხე მე. დადუნამ ისე მიპწკინა ბეჭზე, ერთი დაბღავლება ქვეყანას მერჩია, მაგრამ თავი შევიკავე.
– პროზაზე გადავედი! – მითხრა მან ნიშნის მოგებით.
– ვიცოდი, რომ გადახვიდოდით! – ვუთხარი მე.
– რაზე შემატყვეთ? – მკითხა მან.
– ლექსებზე! – ვუთხარი მე. გელა წამოდგა, მეც წამოვდექი.
– ე, ჰემინგუეი, დაჯექი! – წამოდგა გივი. – შენც დაჯექი, სუვოროვ! – მითხრა მან და მხარზე ხელი დამადო. მივხვდი, რომ არ დავმჯდარიყავი, დამსვამდა. ალბათ, გელაც იგივეს მიხვდა და უხმოდ დავჯექით ორთავე.

– გოგო, რა უბედურებაა ამ სათითურებით რომ გვასმევ, სტრეპტომიცინია? – მიუბრუნდა გივი ნელის. – მოიტანე დიდი ჭიქა და მაქეიფე.
– აზიატი ხარ, გაუთლელი! – უთხრა ნელიმ და წამოდგა.
– ახლავე გათლილი ჭიქა მომიტანე, თორემ ამ სათამაშო ჭიქებს სულ ფანჯარაში გადაგიყრი! – დაემუქრა გივი. ნელიმ ორი თლილი ჭიქა მოიტანა, გივიმ ორთავე ჭიქა პირამდე აავსო.
– კარგი რა, გივი, სულ ასე იცი, აუცილებლად უნდა აურიო, ვისაც როგორ უნდა, ისე დალიოს! – თქვა მომღერალმა კუკურიმ.
– არავის არ ვაძალებ, ჩემო იანკუკურა, ვისაც როგორ უნდა, და რა უნდა, ის დალიოს. თქვენ დალევთ? – მკითხა მან.
– რატომაც არა! – ვუთხარი მე.
– აი კაცი! – თქვა გივიმ და ჭიქა მომიჯახუნა.
– თქვენს ჩამოსვლას და ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! – თქვა გივიმ და ჭიქა გამოსცალა.
– გაუმარჯოს! – ვთქვი მე და ნელ-ნელა დავუწყე წრუპვა კონიაკს. ჯერ მკერდი შემიხურა კონიაკმა, მერე თანდათან საფეთქლებისაკენ წავიდა, შუბლზე სიმხურვალედ დამეღვარა. თვალები დავხუჭე. ასე ვიყავი ერთხანს და როდესაც თვალები გავახილე, შემეშინდა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა, კუთხეში მდგარი როიალის სახურავზე სპილოები ამოძრავდნენ, ჭაღი შექანდა, მკლავებდაბერილს გავხედე. იგი ჯერ ისევ ისე იჯდა, არ დაპატარავებულიყო. გელა ვიტას ეკამათებოდა რაღაცაზე, ყური მივუგდე, ვიღაცის სტატიაზე ლაპარაკობდნენ..
– არ უნდა დაეწერა!.. – ამბობდა გელა.
– რატომ? – ედავებოდა ვიტა.
– იმიტომ რომ, არ უნდა დაეწერა, ისიც ცენტრალურ პრესაში.
– რაზე ლაპარაკობენ? – ვკითხე გივის.
– ერთმა ჩვენმა მეგობარმა, გურამი ჰქვია, შენ, ალბათ, არ იცნობ, სტატია გამოაქვეყნა ცენტრალურ გაზეთში. კრიტიკული სტატია.
– რის შესახებ? – ვკითხე მე.
– ყველაფრის შესახებ.
– მაინც?
– როგორ გითხრა, ყველაფერზე – გოგოები რომ პაპიროსს წევენ, ქართველები რომ მოსკოვში ყვავილებს ჰყიდიან, მექრთამეობა რომ მომძლავრდა. აბა, რა ვიცი, ყველაფერზე; ცა და ქვეყანა, ძაღლი და მამაძაღლი რომ დისერტაციებს იცავს, იმაზეც წერს, სამი მანქანა რომ აქვს კაცს, ოთხი აგარაკი, ხელფასი ასი მანეთი და კაციშვილი რომ არ ეკითხება საიდანო, ამასაც წერს, მოკლედ, ჩეხავს რა! ერთი მაგის დედაც ვატირე, კისერი უტეხიათ. მოდი, ჩვენ დავლიოთ, – თქვა გივიმ, ჭიქა გამივსო, თვითონაც შეივსო და ისევ მომიჯახუნა, – ხომ არ წაგიკითხავს?
– წავიკითხე! – ვუთხარი მე და ჭიქა მოვსვი.
– თქვენც წაიკითხეთ? – მომიბრუნდა უცებ ვიტა.
– დიახ! – ვუპასუხე და სიგარეტს მოვუკიდე.
– მოგეწონათ?
– ძალიან!
– ესეც მე ვარ? – მიუბრუნდა ვიტა გელას.
– ნახე შენც ავტორიტეტი! – თქვა მკლავებდაბერილმა და ცალყბად გაიღიმა.
მე სისხლი ამივარდა ტვინში, მაგრამ თავი შევიკავე.
– კაცი რომ თავის ქვეყნის ნაგავს გარეთ გაიტანს, თქვენ ეს დიდ სასახელო საქმედ მიგაჩნიათ? – მკითხა გელამ და სიგარეტი საფერფლეს დააჭყლიტა.

– კი! – ვუპასუხე მე.
– შენც ასე ფიქრობ? – მიუბრუნდა გელა ვიტას.
– შენ გინდა, რომ ყველამ შენსავით იფიქროს? – შეუბრუნა კითხვა ვიტამ.
– სხვასაც აქვს ნაკლი, მაგრამ არ წერს! – თქვა მკლავებდაბერილმა და გელას გადახედა.
– მით უარესი მათთვის! – ჩაერია ლაპარაკში მზია, პოეტი ქალი.
– ნაკლის დაფარვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნაკლი არ არსებობს, თავის მოტყუებაა, მეტი არაფერი.
– არ არის სავალდებულო, ქვეყანამ გაიგოს, რომ ოჯახში მახინჯი შვილია, – თქვა გივიმ. – მეც მაქვს მანქანა, აგარაკიც და ფულიც, მაგრამ არაფერს არ ვაშავებ, არავის არაფერს ვთხოვ. პირიქით, იქით ვეხმარები.
– საიდან გაქვს? – ჰკითხა მზიამ.
– საიდან და მამაჩემს აქვს!
– მამაშენს საიდან აქვს, არ ეკითხები?
– მამაჩემს რომ ეგ ვკითხო, სახლიდან გამაგდებს, გიჟი კი არ ვარ! – გაიცინა გივიმ და კონიაკი მოსვა.
– მაგაზე არ არის ახლა ლაპარაკი, – ჩაერია საუბარში კუკური. – მაგას თავის დროზე ყველა იტყვის დაკითხვაზე, აქ საკითხი სამშობლოს სიყვარულს ეხება.
– შენ ამბობ, რომ გურამს სამშობლო არ უყვარს? – ჰკითხა ვიტამ.
– ვერაფერი სამშობლოს სიყვარულია საქვეყნოდ თავი მოსჭრა შენს ქვეყანას. ცხადია, რომ კარგი მეტია, ვიდრე ცუდი, აიღე და კარგი წერე, თუ გიყვარს სამშობლო.
– ნუ გახდით ახლა ერთ ქეციან სტატიას საკამათოდ და ნუ გაბერავთ. აი, ვის უყვარს სამშობლო, წავიდა ჯარში და იცავს! – თქვა დადუნამ ღიმილით და სამხრეებზე ხელი დამარტყა.
– დავიჯერო, ჩემზე უფრო უყვარს სამშობლო მაგას? – იკითხა გელამ და ოთახს მოავლო თვალი. ყველას გაეცინა.
– ალბათ, უყვარს! – თქვა მკლავებდაბერილმა.
ისევ მომაწვა სისხლი ტვინში. დადუნას შევხედე, ისიც იღიმებოდა.
– სამშობლოს ენის ტლიკინი არ უყვარს, სამშობლოს საქმე უყვარს!
ადრე რომ მეგონა, ის არ ყოფილა სამშობლოს სიყვარული. სამშობლოს სიყვარული სულ სხვა რამე ყოფილა!
– მაინც რა ყოფილა? – დაინტერესდა გელა.
მე ისევ დავისხი კონიაკი და მოვსვი.
– თქვენ როგორი სამშობლო გიყვართ? – ვკითხე უცებ გელას.
გელა ჯერ დაიბნა, სავარძელში აწრიალდა, მერე დაფიქრდა და დინჯად დაიწყო.
– მე უნაკლო სამშობლო მიყვარს. ყოველ შემთხვევაში, მინდა, უნაკლო რომ იყოს. ყველაფერს კარგს მივესალმები და ყველაფერი ცუდი მეზიზღება.
– გეზიზღებათ? – ვკითხე მე.
– ძალიან!
– მერე სად უშვებთ ამ ცუდს?
– ყოველ შემთხვევაში, გურამივით ჭუჭყიანი საცვალი არ გამომიფენია ეზოში საქვეყნოდ გასაშრობად და არ ვყვირი, რაც ცუდი ხდება, ჩვენი ბრალიაო. ჩემი რა ბრალია, თუ ვიღაც მორფს იკეთებს და კაცს კლავს, ყველამ თავის თავს მოუაროს.
– ჭუჭყიან საცვალს თუ გარეცხავ, მერე რა უჭირს, თუ გამოაფენ!
– მე მრეცხავი არა ვარ, პოეტი ვარ! – თქვა გელამ და ახალ სიგარეტს მოუკიდა.
– ჯობია, მრეცხავი იყო! – ვუთხარი მე და კონიაკი გადავყლაპე.

მკლავებდაბერილი სავარძლიდან წამოიწია.
– დაჯექი! – უბრძანა გივიმ და ჩვენს შუა ჩადგა, – თუ კამათია, კამათი იყოს!
მე არ გავნძრეულვარ.
– შენ არ იცი, გივი, ამოვიდა ყელში ამ იდიოტის ჭკუის სწავლება.
უკვე მეორე წელია, მეორე დაბადების დღეს გვიფუჭებს, – თქვა მკლავებდაბერილმა და დაჯდა.
– ჯარში გასწავლეს, ამხანაგო გენერალო, სამშობლოს ასეთი სიყვარული? – მკითხა სახეშეცვლილმა გელამ და ისე გაიღიმა, მივხვდი, სიამოვნებით დამაფშვნიდა მის გვერდით მდგარ ვაშლით სავსე ბროლის ვაზას.
– ჯარში! – ვუპასუხე მე და ზუსტად ისეთივე აზრმა გამიელვა იმავე ბროლის ვაზის მიმართ.
– მაინც რაო, თქვენ როგორი სამშობლო გიყვართ?
– ყველანაირი!
– მაინც, მაინც?! – არ მომეშვა გელა.
– ყველანაირი, ცუდი, კარგი, მახინჯი, ლამაზი, მშიერი, მაძღარი, შიშველი და შემოსილი, ბედნიერი და უბედური... ყველანაირი...
– რატომ ასე, ჯაყო? – მკითხა უცებ გაკვირვებულმა დადუნამ.
– იმიტომ, რომ სამშობლო, კონსტანტინე სიმონოვის თქმის არ იყოს, ხაჭაპური არ არის, მარტო ყველი რო გიყვარდეს შიგ და ქერქი არა, არც ქიშმიშიანი ნამცხვარია სამშობლო, ქიშმიში რომ ამოარჩიო შიგ და დანარჩენი გადაყარო, სამშობლო ყველაფრიანად უნდა გიყვარდეს – ქერქიანად, ნახშირიანად, ნაცრიანად, მტვრიანად, ნაკლითა და უნაკლოდ, ყველიანად და ქიშმიშიანად. ავადმყოფი, რომელიც უმალავს ექიმს ავადმყოფობას, კვდება! – მე აღელვებისაგან პირი გამიშრა და კონიაკი დავისხი ისევ.
– არ გინდა, ჯაყო, გეყოფა, თუ გიყვარვარ! – მთხოვა დადუნამ და ჭიქას ხელი დააფარა.
– გაუშვი, დალიოს! – უთხრა გივიმ და დადუნას ხელი ჭიქას მოაცილა. მე ჭიქა ავიღე და ავდექი.
– სამშობლოს სიყვარულის სადღეგრძელოა? – მკითხა მკლავებდაბერილმა მუტრუკმა. ხმა არ გავეცი, ჯიბეში ჩავიყავი ხელი და შუაზე გაკეცილი ქაღალდი ამოვიღე.
– ლექსია? – მკითხა შეშინებულმა დადუნამ. ვისაც ჩემი პირველი ლექსი ჰქონდა მოსმენილი, გულიანად გაეცინა. ვაცალე, ვიდრე დაწყნარდებოდნენ და როდესაც ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, დავიწყე:
„დედა!
ჩემო საყვარელო დედა, წერილი და ამანათი მივიღე შენგან, წერილზე ლაქებია. გიტირია. რა მჭირს სატირალი? ომში ხომ არ ვარ?! გათავდეს ეს მეორე წელიც და ჩამოვალ. რომ იცოდე, რა კარგად ვარ, აკი გწერდი კიდევაც, ძალიან კარგად ვარ-მეთქი, არც მწყურია, არც მშია, არც მცივა, კინო მე არ მაკლია და ცეკვა. ყოველ კვირას მიშვებენ ქალაქში. ზღვა გვერდით მაქვს და მთა. აქ ყველაფერი ერთადაა – ზღვაც, მთაც, ბარიც, ზამთარიც, ზაფხულიც, გაზაფხულიც და შემოდგომაც. მეგობრები კარგი მყავს და მეთაურებიც, შენი შვილი პეტრო შერბინა ყველას უყვარს, წარჩინებული მესაზღვრე ვარ. ჯერ ჯაშუში არ დამიჭერია. მაიორი ჩხარტიშვილი დამპირდა, თუ ორს დაიჭერ, ერთს სახლში გაგატან დედაშენ მარია პავლოვნასთანო. ჰა, დედი, რას იტყვი, ჩამოვიყვანო? ჩვენი ძაღლი დაბერდა უკვე, დავაბათ ეზოში და ვაყეფოთ და ვაყეფოთ. აქ ისეთი მეგობრები მყავს, სულ მზესა და მთვარეს ჩემზე

იფიცებენ. იძახიან, ნეტავი დედაშენს, რა შვილი გაუზრდიაო, ჩვენ რომ შენისთანა შვილები ვყავდეთ ჩვენს მშობლებს, რა უჭირთო. ადრეც გწერდი, ერთი ქართველია, ჯაყელი, მეორე – ჩვენებური პარხომენკო, ჩვენმა კოლმეურნეობამ რომ ბუღა ჩამოიყვანა ჩერნიგოვიდან იმას ჰგავს, სურათს გიგზავნი. სამნი ვართ. შავი ჯაყელია, დანარჩენს მიხვდები. ეს საქართველო, თედორეს ქსენია რომ გიყვებოდა, ის არ გეგონოს, სულ ტყუილია, დედა, ახლა რომ მაგონდება, მრცხვენია კიდევაც. ამ ჩაის და მანდარინს, პურს რომ სჭირდება, ათი იმდენი შრომა უნდა, ღვინოს – კიდევ მეტი. ქართველები რბილი ხალხია, ჭკვიანი, ალერსიანი, სიმღერა უყვართ. დედის გინებისათვის შეიძლება კაცი მოჰკლან. ამხანაგი უყვართ. ამხანაგის გულისთვის სახლს გაყიდიან, ოღონდ შენც სამაგიერო სიყვარულს გთხოვენ. ეს ჯაყელიც ასეთია. მომკლა, ყოველდღე მზის ამოსვლას და ჩასვლას მაყურებინებს – მზე უყვარს. ქსენია არ შემოუშვა სახლში, დედი, სულ ტყუილებს გიყვებოდა. ჯაყელს დედა არ ჰყავს, შენი სურათი რომ ვაჩვენე, ასე მითხრა, სულ დედაჩემს ჰგავსო, ტყუილს ამბობ-მეთქი, რომ ვუთხარი ასე მითხრა – თვალებით ჰგავსო. ალბათ, მართლაც ჰგავხარ. აბა, ტყუილს რატომ იტყვის. დედას იფიცებს ხოლმე. როდესაც დედას იფიცებს, მაშინ არ ტყუის. ქართველები თუ დედას იფიცებენ, ხატზე დაფიცებას უდრის. კიდევ მეტს. თავისი ქვეყანა სიგიჟემდე უყვართ, საქართველოს სადღეგრძელოს რომ ამბობენ, ხანდახან ტირიან კიდევაც. სამოთხესავით ქვეყანაა, დედი, საქართველო, სამოთხესავით, მაგრამ ერთი ჩემს ტრამალზე მარბენინა ახლა, ერთი ჩემს პურის ყანაში მაგორავა. რომ იცოდე, როგორ მენატრები! წინ ამანათი მიდევს, პურს ჩვენი ბეღლის სუნი აქვს, არაჟანს – ჩვენი ძროხის სუნი, მურაბას – ჩვენი ალუბლის ბაღის სუნი, ხახვს – ჩვენი ბოსტნის სუნი, ძეხვს – ჩვენი სხვენის სუნი და თვითონ ამანათს ჩვენი სახლის სუნი აქვს, სკოლიდან მომავალს, კვამლის სუნთან ერთად ნიავი რომ შემაგებებდა ხოლმე. ორი თვეღა დარჩა, ჩემო თბილო და ჩემო ტკბილო დედი. ჩამოვალ და ჩავაბარებ ინსტიტუტში. მომიკითხე მეზობლები.
გკოცნი შენი შვილი პეტრო შერბინა“.
წერილი ფრთხილად დავკეცე, ჯიბეში ჩავიდე, კონიაკი შევსვი ბოლომდე და დავჯექი. ოთახში უხერხული სიჩუმე იდგა.
– ასეთი უნიჭო წერილი ჯერ არ მომისმენია! – დაარღვია სიჩუმე გელამ.
– ეს შერბინა უკრაინიდან ჩამოვიდა. წვიმაში, თოვლში, ნიაღვარში, ტალახში, სიცხეში, უკუნეთში და სკვარამში იწვა, დახოხავდა, დარბოდა, იდგა და საზღვარს იცავდა... – ვთქვი მე.
– ვინც საზღვარზეა, ყველა ასე იქცევა! – თქვა მკლავებდაბერილმა.
– არ არის სავალდებულო, ყველანი ჯარში ვიყოთ, ზოგი აქ ვემსახურებით სამშობლოს.
– თქვენ რით ემსახურებით პირადად? – ვკითხე მე.
– მე სხვასავით კრეტინი არ ვყოფილვარ, ჩავაბარე მისაღები გამოცდები და ვსწავლობ. კრეტინი აშკარად ჩემი მისამართით იყო თქმული.
ისევ გადავყლაპე წყენა.
– შერბინამ ეს წერილი 28 სექტემბერს დაწერა. შერბინას მეგობრები უყვარდა, დედა უყვარდა, სამშობლო უყვარდა. შერბინას მზე უყვარდა, შერბინამ დათვი იტირა, შერბინას სიცოცხლე უყვარდა და ისე მოკვდა, არ დაუკვნესია, უხმოდ ტიროდა. 29 სექტემბერს, ღამით, დაიღუპა შერბინა. და მე ახლა შერბინას სადღეგრძელო მინდა ვთქვა! – ვთქვი მე და ფეხზე წამოვდექი. ჩემდა გასაოცრად ყველანი წამოდგნენ ფეხზე.
– რა მოუვიდა? – მკითხა გივიმ.

– ოცდაცხრაში, ღამით, აი, ისეთი კაცი, რომელსაც თქვენ ჭუჭყიან საცვალს ეძახით და გარეცხვა გეზარებათ, იმიტომ რომ მრეცხავები არ ხართ, საზღვარზე გადასვლას აპირებდა და იმის დასაჭერად ჩატარებული ოპერაციის დროს დაიღუპა შერბინა.
– წასულიყო ის კაცი, რას იჭერდით? – თქვა ვიღაცამ და მე ვიგრძენი, რომ წონასწორობას ვკარგავდი.
– წასულიყო, არა? თქვენ მიგაჩნიათ, რომ უნდა წასულიყო. ერთი გაიძვერათი ნაკლები იქნებოდა, ხომ? ამას მიაჩნია, რომ სამშობლო ხაჭაპურია, ამას მიაჩნია, რომ ვინც უმაღლესში არ სწავლობს, კრეტინია, ამას არ აინტერესებს ფული საიდან მოაქვს მამამისს, თქვენ არ გაინტერესებთ იმ ნაბიჭვარს რატომ ჰქონდა მორფისაგან დაგლეჯილი ვენები, თქვენ არ გაინტერესებთ, რატომ მოკვდა შერბინა... თქვენ არ გაინტერესებთ, ვინ რას აკეთებს, თქვენ რას მიკეთებთ, თქვენ?!
აი შენ, მაგალითად, რომ გადაგიდვია ფეხი ფეხზე და აბოლებ პაპიროსს, შენ, რომ მიჯდომიხარ მაგ როიალს და ელოდები, როდის მოვა შენი რიგი, შენ, ბაირონივით რომ წევხარ სავარძელში და წერ, როგორ უჭირავს ყანჩას ცალ ფეხში დედამიწის სფერო, შენ, რომ დაგიბერია მკლავები და აგდიხარ მაგ სავარძელში... რას აკეთებთ?! ეს არის თქვენი სიყვარული?!. ეს არის? მიმიფურთხებია მე თქვენთვის! – ვთქვი მე და ჭიქა იატაკზე დავანარცხე.
უცებ დავინახე, როგორ წამოდგა სავარძლიდან მკლავებდაბერილი და როგორ წამოვიდა ჩემსკენ. მას არავინ არ აკავებდა. უცებ ისევ დარეკა საფეთქელში უზარმაზარმა ზარმა და გულაღმა გადავვარდი მოფარდაგულ იატაკზე.
– ახია მაგაზე! – გავიგონე ვიღაცის ხმა და უცებ ყველაფერი გაქრა. ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა.
გონს რომ მოვედი და თვალი გავახილე, ყველა ნივთი თავის ადგილზე იდგა, მუსიკა დუმდა, ოთახი ორად იყო გაყოფილი. ერთ კუთხეში მე ვეგდე იატაკზე, დადუნა დაჩოქილი იყო ჩემს წინ და გახეთქილი ტუჩიდან სისხლს მწმენდდა, მის გვერდით გივი იდგა და მარჯვენა მჯიღს მარცხენა ხელისგულით ისრესდა, ოთახის მეორე კუთხეში კი სავარძელზე გადასვენებულ ანზორს ასულიერებდნენ. მივხვდი, გივის ნამუშევარი იყო. წამოვდექი და შევბარბაცდი. გივიმ ხელი შემაშველა. ოთახს მოვავლე თვალი და ჩემკენ მოპყრობილი, შეწუხებული და გაკვირვებული თვალები რომ დავინახე, შემრცხვა, ისე შემრცხვა, რომ ტირილი მომინდა, მაგრამ თავი შევიკავე, სისხლიანი ნერწყვი გადავყლაპე ცრემლთან ერთად და შუბლზე გამოჟონილი ცივი ოფლი მოვიხოცე სახელოთი.
– რას გვერჩოდი, ბიჭო, სულში რომ ჩაგვაფურთხე ყველას? – მკითხა გივიმ.
– ბოდიშს ვიხდი... – ვთქვი მე და ისევ მომინდა ტირილი.
– ბოდიში უშველის ამას? – თქვა გივიმ და სავარძელზე მისვენებული ანზორასაკენ გაიხედა.
– ბოდიშს ვიხდი, მაპატიეთ, თუ შეიძლება. – ვთქვი მე და გაფითრებულ დადუნას ქუდი ჩამოვართვი. – წავალ მე, მეტს აღარ შეგაწუხებთ.
– ამის მეტს რაღას შეგვაწუხებ! – თქვა ვიღაცამ.
– წავალ მე, მშვიდობით! – ვთქვი და კარისაკენ წამოვედი.
არავის არაფერი უთქვამს, ყველანი დუმდნენ. მე კი ძალიან, ძალიან მინდოდა, ვინმეს რამე ეთქვა, სულ ერთია, რას მეტყოდა, ოღონდ რამე ეთქვა; მაგრამ არავინ არაფერს არ ამბობდა. კარი გამოვიხურე. ქუჩაში რომ გამოვედი, სუფთა ჰაერმა გახურებული სახე გამიგრილა და უცებ თავბრუ დამეხვა. იქვე, ხის ძირში, პირდაპირ ტროტუარზე ჩამოვჯექი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი, რადგან არაფერზე არ ვფიქრობდი. თავში უზარმაზარი ცივი სიცარიელე მედგა.

მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. არ ამიხედია, დარწმუნებული ვიყავი, რომ დადუნა იყო და რატომღაც არ მესიამოვნა მისი ხელი მხარზე.
– შენ რა ჩქარი ყოფილხარ, ბიჭო! – მითხრა უცებ ხელმა. ავიხედე, თავზე გივი მადგა და მიღიმოდა. – შემოდი, გელოდებით.
– არა, წავალ! – ვთქვი მე და წამოვდექი.
– შემოდი, არც ისეთი მახინჯები ვართ, შენ რომ გგონია!
– უნდა წავიდე!
– გაგაცილებ.
– არა, მარტო წავალ.
– მანქანით წაგიყვან, წავიდეთ ქსოვრელებთან მე და შენ, დუდუკებზე ვიქეიფოთ შამპანურებით დილამდე, წავიდეთ, თუ ძმა ხარ...
– გმადლობთ, არ შემიძლია, უნდა წავიდე, ნახვამდის!
– ნახვამდის! – მითხრა მან და ხელი გამომიწოდა. მეც გავუწოდე, ძალიან თბილი ხელი ჰქონდა. დიდხანს არ მიშვებდა.
– ერთი თხოვნა მაქვს, იმ ბიჭის წერილი მაჩუქე!
თვალებში შევხედე.
– მაჩუქე, თუ კაცი ხარ, უარი არ მითხრა, – გამიმეორა მან. ჯიბეში ხელი ჩავიყავი, წერილი ამოვიღე და გადავეცი.
– მადლობელი ვარ! – თქვა მან და წერილი ჩამომართვა, არაფერი ვუთხარი. შევტრიალდი და დაბლა დავეშვი, უკან არ მომიხედია, მაგრამ ვგრძნობდი, ვიდრე კუთხეს არ მივეფარე, იდგა და მიყურებდა.
* * *
ვანიჩკა ბიძიას არ ეძინა, მელოდა. იგი მაგიდას უჯდა და თავისთავს ჭადრაკს ეთამაშებოდა. მე რომ შევედი, თავი არ აუღია. მოწინააღმდეგეს ბოდიში მოუხადა, – ეს სვლა არ უნდა მეთამაშაო, მხედარი უკან დააბრუნა და მხოლოდ შემდეგ შემომხედა. ჩემი გახეთქილი ტუჩი რომ დაინახა, მწარედ გაეღიმა.
– ეს რა მოგსვლია, ბიჭო?
მე ლოყაზე და ყბაზე ხელი ავიფარე.
– ვინ დაგხატა ასე, ბიჭო? – მკითხა მან.
– გამლახეს! – ვთქვი მე.
– გაგლახეს? – გაუკვირდა ვანიჩკა ბიძიას.
– ჰო, მცემეს!
– ერთი შენი ნაცემი კაცი მაჩვენა, სულ შენ როგორ გცემენ? – ეწყინა ვანიჩკა ბიძიას – რა ვქნა!
– ვინ გცემა?
– ისევ იმან!
– ვინ იმან?
– აი, ორი წლის წინ რომ მცემა დადუნასთან.
– ისევ ღვინო შეასხი?
– არა, ახლა ღვინო არ შემისხამს, მთელი ოჯახი გავლანძღე, თავის სტუმრებიანად, მიმიფურთხებია თქვენთვის-მეთქი, ვუთხარი და ჭიქა თავზე დავაფშვენი.
– რატომ?
– არ ვიცი!
– მართალი იყავი?
– მე მგონია, ჰო!
– მერე?

– მერე არაფერი, ბოდიში მოვუხადე და წამოვედი.
– ბოდიშს რაღაზე იხდიდი?
– მე მგონი, სულ მართალი არ ვიყავი!
ვანიჩკა ბიძია დადუმდა და ჭადრაკს მიუბრუნდა.
– დაჯექი! – მითხრა მან.
მე ჭადრაკს მივუჯექი და პოზიციას დავაკვირდი, ვანიჩკა ბიძია იგებდა. უხერხული დუმილი იდგა.
– ის გელა და მისი მკლავებდაბერილი მუტრუკი ამხანაგი კარგი ხალხი არ უნდა იყვნენ! – დავარღვიე დუმილი მე.
– შენ რა იცი, კარგი და ცუდი რა არის? – მკითხა ვანიჩკა ბიძიამ და ლაზიერით ქიში გამომიცხადა.
– გელა ცუდ ლექსებს წერს!
– ცუდი ლექსების წერა ცოდვა არ არის!
– თავი გენიოსი ჰგონია!
– არც ეგ არის ცოდვა.
– ის მეორე კრეტინია.
– კრეტინობა, მით უმეტეს, არ არის ცოდვა.
– დამცინოდნენ, სულ ამხანაგო გენერალოს მეძახდნენ.
ვანიჩკა ბიძიამ ფორმაზე შემავლო თვალი და გაეღიმა.
– ითამაშე! – მითხრა მან.
– წაგებულია! – ვუთხარი მე.
– მხედარი ჩამოაფარე და არ იქნება წაგებული! – მასწავლა მან.
ჩამოვაფარე.
– არ გიფიქრია, რომ ხანდახან შენც შეიძლება იყო სასაცილო? – მკითხა ვანიჩკა ბიძიამ და სვლა გააკეთა პაიკით.
– კი! – ვუპასუხე მე.
– მაშ, რატომ გგონია, რომ შენ კარგი კაცი ხარ და ისინი ცუდები. შენ იცი, კარგი კაცი რა არის? ან ვინ არის? – მკითხა ვანიჩკა ბიძიამ და ხელით მანიშნა, სვლა გააკეთეო.
მეც წავწიე პაიკი უაზროდ.
– ეგ ცუდი სვლაა! – გამაფრთხილა ვანიჩკა ბიძიამ.
– ვიცი, მაგრამ სხვა სვლას ვერ ვხედავ!
ვანიჩკა ბიძიამ ფიგურები ერთი ხელის მოსმით აკრიფა და მაგიდაზე დაყარა.
– ეგ არის უბედურება, რომ სხვა სვლას ვერ ხედავ! – თქვა მან.
– კითხვაზე პასუხს რატომ არ მცემ, რა არის კარგი კაცი?
– თქვენ ხართ კარგი კაცი, – ვუთხარი გულწრფელად.
ვანიჩკა ბიძია დაფიქრდა.
– შენ რომ მოგწონვარ, ეგ ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ კარგი კაცი ვარ.
– რატომ? – ვკითხე მე.
ვანიჩკა ბიძიამ კეფა მოიფხანა და გაიღიმა.
– იმიტომ, რომ შენ ჯერ კიდევ საეჭვო გემოვნება გაქვს, შეიძლება ცუდიც. კარგი ყველას თავისებურად ესმის, ბიძია, ავთო. ერთი კვირის წინ თხუთმეტი თუმანი ვიპოვე. ავიღე და მილიციას ჩავაბარე, მეორე დღესვე გაზეთში გამწერეს „მისაბაძი მაგალითის“ რუბრიკის ქვეშ. – „მოქალაქე ი. ს. კოტინოვმა ფული იპოვა და მთავრობას ჩააბარაო“, ესე იგი, არ მოიპარაო, გესმის შენ?! ქურდი რომ არ ვარ, ამისათვის მადლობა მითხრეს. ერთი თვის წინ ერთმა ჩემმა ნაცნობმა, ეზოს რომ ბარავდა, ერთი პატარა ქოთანი იპოვა, ნიკოლოზის ოქროს თუმნიანებით სავსე.

იმანაც მილიციას ჩააბარა. აწონეს. ცხრაასი გრამი გამოვიდა. არც გაზეთში გაუწერიათ, არც არაფერი, ერთი კვირა დაჭერილი ჰყავდათ. სანამ დანარჩენ ას გრამსაც არ მოიტან, არ გაგიშვებთო. გაიგე ახლა, რა არის კარგი კაცი და რა არის ცუდი კაცი?! – თქვა ვანიჩკა ბიძიამ და წამოდგა.
მეც წამოვდექი და ჩემი ლურჯი ჩემოდნის ჩალაგება დავიწყე.
– რა დროს ეგ არის, დაიდე მაგ გახეთქილ ტუჩზე ცივი ტილო და დაწექი.
– უნდა წავიდე, ვანიჩკა ბიძია! – ვუთხარი მე.
– სად? – მკითხა გაკვირვებულმა.
– საზღვარზე!
– როგორ თუ საზღვარზე? აკი ერთი კვირით ჩამოდი?!
– კი მაგრამ, ამ წუთში ძალიან მომინდა საზღვარზე წასვლა, სხვა ახლა არაფერი არ მინდა!
– ხომ არ გაგიჟდი, ბაბუაშენს და შურას რა ვუთხრა. ერთი დღით ჩამოვიდა, იმისათვის, რომ გაელახათ, და უკან წავიდა-მეთქი?!
– ნუ ეტყვით, რომ ვიყავი, რა მნიშვნელობა აქვს, ნახევარ წელიწადში სულაც დავბრუნდები!
ვანიჩკა ბიძია საწოლზე ჩამოჯდა.
– იქნებ გადაიფიქრო, ბიჭო?
– არა, ვანიჩკა ბიძია, ნუ მთხოვ, შენი ჭირიმე, სულ ერთია, წავალ.
– რამე ხომ არ გეწყინა, ბიძია, ჩემგან? – მკითხა მან და თვალები ცრემლით აევსო.
– რას ამბობთ, ვანიჩკა ბიძია, პირიქით, თქვენი ძალიან მადლობელი ვარ! – ვუთხარი მე, მივედი და ლოყაზე ვაკოცე.
– ახლა რითი წახვალ, ბიჭო? – თქვა მან და თვალები მოისრისა.
– რამეს ვნახავ.
– წადი, ბიძია, წადი! – თქვა ვანიჩკა ბიძიამ დუმილის შემდეგ და თავი დამიქნია.
ჩემოდანი ავიღე და კარი გავაღე. ცოტა ხანს შევჩერდი კარებში, მერე უცებ მოვბრუნდი და ვკითხე:
– ვანიჩკა ბიძია, როგორ ფიქრობთ, მე როგორი კაცი ვარ? – ვკითხე და გავწითლდი, გული ამიფართხალდა პასუხის მოლოდინში, ხელებზე ოფლმა გამომჟონა.
ვანიჩკა ბიძია დაფიქრდა, მერე თავისი საოცარი ღიმილით გამიღიმა და ლურჯი თვალები ააფახულა.
– ჯერ შენ კაცი არა ხარ, ავთო, ბიძია, ბიჭი ხარ, კარგი ბიჭი, საკარგკაცოდ გამზადებული ცომი, ოღონდ ცოტა მოზელა გაკლია.
– მე თუ კიდევ მოზელა მაკლია? – ვთქვი მე, დაჟეჟილ ყბაზე ხელი მოვისვი და გულზე მომეშვა.
– ჯერ სადა ხარ! – გამიღიმა ისევ ვანიჩკა ბიძიამ.
– ნახვამდის, ვანიჩკა ბიძია!
– კარგად იყავი, ჩემო ბიძიკო!
კარი გავიხურე და კიბეზე დავეშვი.
ჭადრისა და აკაციის ფოთლების საბანში გახვეული ნინოშვილის ქუჩა, გრილ ნიავზე ნამთვრალევი კაცივით იშმუშნებოდა. ფარდებჩამოფარებულ სარკმლებში ნათურები რიგ-რიგობით ინთებოდა. თბილისი იღვიძებდა.
სოფელში რომ შევედი, ბნელოდა. სოფელში, როგორც წესი, ადრე იძინებენ. ამიტომ მაღალი, ლამაზი ოდები ჩაბნელებული იყო, მხოლოდ აქა-იქ ენთო შუქი. ნაწილში არავინ მელოდა. არც მე მეჩქარებოდა მაინცდამაინც და მთავარ შარას ნელი ნაბიჯით მივყვებოდი. გზის ორთავე მხარეს მანდარინების გადმოზნექილი მუქი მწვანე

ტოტებიდან დამალული ბავშვებივით მიცქერდნენ მჯიღისსიმსხო, ოქროსფერი ნაყოფები. ვერ მოვითმინე, ღობეზე გადავძვერი და ჯიბეები ავივსე. სოფლის საბჭოს გავუარე, სკოლასთან მარჯვნივ უნდა შემეხვია და საგუშაგომდე ათი ნაბიჯიღა მრჩებოდა, მაგრამ რატომღაც მარცხნივ გადავედი და ვიწრო შუკით აღმართს ავყევი. არ ვიცი, როგორ მივადექი ფერიდეს ჭიშკარს. გული გასკდებოდა მეგონა, ისე მიცემდა. გავიხედ-გამოვიხედე. არავინ ჩანდა, არავინ მხედავდა. მაშინ ფრთხილად ავწიე ჭიშკრის ურდული და ფეხაკრეფით შევედი ეზოში. კიბეს მივადექი. ქვედა სართულზე ბნელოდა. ზევით ერთ ოთახში შუქი ენთო. ჩემოდანი კიბის ქვეშ დავდგი და ნელა ავყევი საფეხურებს. აივანზე ავედი და კარებთან შევდექი, დაძაბულობისაგან სუნთქვა შემეკრა. მუხლებში მომისავდა და გული გამიჩერდა.
– ფერიდე! – ვთქვი ხმამაღლა. თავბრუდახვეულმა ხელი კარის სახელურს ჩავავლე. ცივმა სახელურმა ოდნავ გამომაფხიზლა.
– ფერიდე! – გავიმეორე მე და სმენად ვიქეცი.
ხმა არავინ გამცა.
– ფერიდე! – დავიძახე უფრო ხმამაღლა და ჩემდა უნებურად სახელურს მივაწექი. კარი ჭრიალით გაიღო, შევკრთი, ოთახში შევდგი ფეხი. კარი მივიხურე და ზურგით მივეყრდენი. ოთახში არავინ იყო. ტახტზე ქალის თავშალი ეგდო, იქვე გაშლილი წიგნი იდო და ბუხარში ახლად შეწყობილი შეშა ბრიალებდა.
– ფერიდე! – ვთქვი ისევ და ოთახს თვალი მოვავლე. ფერიდე არსად ჩანდა.
– ფერიდე, სად ხარ, გამოდი, ნუ მემალები! – ვთქვი მუდარით და კარს მოვცილდი. მაგიდასთან მივედი, სკამი გამოვწიე და დავჯექი.
– ფერიდე, მე ვარ, ავთანდილ ჯაყელი. ავთანდილი ვარ, ფერიდე, გამოდი, გნახავ და წავალ, დედას გეფიცები!
– რა გინდა, ბიჭო, რატომ მოდი?! – მომესმა მეორე ოთახში გამავალი კარის იქიდან ფერიდეს ყრუ ხმა. და ვიგრძენი, როგორ გამეხსნა სუნთქვა, როგორ დამიყუჩდა გული, როგორ დამიბრუნდა მუხლები და როგორ გამითბა ხელისგულები.
– გამოდი, ფერიდე, გნახავ და წავალ, დედას გეფიცები. მეტი შენგან არაფერი არ მინდა! – ვთხოვე მე და უცებ ოთახში შემოვიდა ფერიდე ისე, როგორც ზღაპარში ზღვიდან ამოდის ალი და ციდან ჩამოდის ანგელოზი. იგი შემოვიდა ძალიან ფრთხილად, თვალს არ მაცილებდა, ისე მივიდა ბუხართან, კუთხეში ხატივით დაჯდა და ლამაზი, გრძელი მკლავები მუხლებზე დაიწყო.
– რა გინდა, ბიჭო? – მკითხა მან.
ადგომა დავაპირე, მაგრამ ვერ ავდექი.
– ხომ გითხარი, მოვალ-მეთქი? – ვუთხარი და პირი გამიშრა. წყალი დავისხი და მოვსვი.
– მე ხომ გთხოვე, არ მოხვიდე-მეთქი? – მითხრა მან.
– ვერ შევძელი, ფერიდე, მოვედი, გნახე და წავალ.
– ხომ მნახე, ადექი ახლა და წადი!
– ნუ გამაგდებ, ფერიდე, ცოტა ხანს ვიქნები კიდევ.
– აკი თბილისში წახვედი?
– ვერ გავძელი თბილისში... შენ მომენატრე!
– სტყუი!
– მაშ, რატომ ჩამოვედი?
– არ ვიცი.
– თუ არ იცი, გაიგე, შენი გულისთვის ჩამოვედი!
ფერიდეს გაეღიმა.

– რატომ იღიმები? – ვკითხე მე.
– სტყუი და იმიტომ ვიღიმები.
– არ ვსტყუი. წინათ მეგონა, რომ მომწონდი, ახლა მივხვდი, რომ მყვარებიხარ!
ფერიდემ ისევ გაიღიმა.
– როდის მოასწარი, ბიჭო, ჩემი შეყვარება?
– ორი წელია, ფერიდე... ორი წელია თურმე მიყვარხარ.
– ასე რატომ მელაპარაკები, ბიჭო, რომ დავიჯერო, მერე რას აპირებ? ხომ იცი, ასე ხუმრობა ქალთან არ შეიძლება?! – თქვა ფერიდემ და სახეზე ღიმილი გაუქრა.
– ფერიდე, დედას გეფიცები, არ გეხუმრები. ძალიან მიყვარხარ, ფერიდე, ძალიან!
– მერე, მე არ მეკითხები?
– რომ გეკითხები, იმიტომ მოვედი!
– ჰოდა, გაიგე, მე ჯერ ის ერთი სიყვარული არ მომინელებია და ბაწარში თავს ნუ გამაყრევინებ, სოფელში თავს ნუ მომჭრი, ნუ მოდიხარ ჩემთან, ხალხს იმაზე რატომ აძლევ სალაპარაკოს, რაც არ არსებობს?
– არავის დავუნახივარ, ფერიდე, შენს თავს ვფიცავარ, ცუდს არაფერს გკადრებ. თუ გინდა, გამოვალ ახლა და მთელი სოფლის გასაგონად ვიყვირებ, რომ მიყვარხარ.
– ბიჭო, ავთო, თუ ფიქრობ, რას ლაპარაკობ?! ხომ გთხოვე, ასეთი თვალებით ნუ მიყურებ-მეთქი. შენ ჯერ პატარა ხარ. ჩემს სიყვარულს შენ ვერ მოერევი, ნუ მიზამ მაგას, ნუ დამღუპავ, ნუ გადამრევ, ნუ მომკლავ, მეყოფა მე ჩემი უბედურება... – ფერიდეს ხმა აუთრთოლდა და თვალები ცრემლით აევსო.
მე ავდექი, მივედი მასთან და როგორც ხატს, ისე დავუჩოქე.
– ფერიდე, ჩემო ფერიდე, მიყვარხარ, ფერიდე, ყველაზე უფრო მიყვარხარ ქვეყანაზე, ჩემს თავზე უფრო მიყვარხარ, არა ვარ პატარა, არ გატყუებ, ფერიდე, არ დაგღუპავ, ფერიდე, ოღონდ დამიჯერე, ოღონდ შემიყვარე... – მე დავემხე ფერიდეს მუხლებზე, ათრთოლებულ ხელებს ვუკოცნიდი.
– დაწყნარდი, ბიჭო, დაწყნარდი, ავთო, მჯერა, ბიჭო, მჯერა, ოღონდ ნუ იზამ მაგას, ნუ, დაფიქრდი, ბიჭო, ნუ დამღუპავ, ბიჭო, ცოდვა ვარ, ცოდვა... – ფერიდემ მარჯვენა ხელი გაინთავისუფლა.
ნაზად, ძალიან ნაზად მისვამდა თავზე მის წინ მუხლებზე დამხობილს და, მე ავტირდი სიხარულისა და ბედნიერებისაგან. ცოტა რომ დავწყნარდი, ფერიდეს ავხედე. იგი იღიმებოდა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა გაფითრებულ ლოყებზე.
– წადი, ავთო, შენს ადგილზე დაჯექი.
მე ავდექი და მაგიდას მივუჯექი. ფერიდე თავის ადგილას დარჩა. დიდხანს ვუცქირეთ ერთმანეთს.
– ხომ გთხოვე, ბიჭო, ასეთი თვალებით ნუ მიყურებ-მეთქი! – თქვა ფერიდემ და სახეზე ხელები აიფარა. – მე ვიცი, რატომ გაგიშვეს შენ თბილისში. ისიც ვიცი, შერბინა როგორ დაიღუპა. ყველაფერი ვიცი. ვიცი, რომ კარგი ბიჭი ხარ, ისიც ვიცი, შენ ახლა რაღაც გაკლია, ძალიან გაკლია, იქნებ სიყვარული... იქნებ სხვა რამეს ეძებ, ბიჭო, და ჩემი სიყვარული იპოვე გგონია, ამიტომ მეშინია შენი... აი, ეს არ ვიცი. ისიც არ ვიცი, მართლა ჩემი გულისთვის დაბრუნდი თუ არა. ვაითუ შენც არ იცი... ვაითუ არ იცი, ბიჭო ავთო!.. – ფერიდეს ისევ აუთრთოლდა ხმა და მხრები აუცახცახდა.
მე წამოვდექი. ფერიდემ ხელები ჩამოიღო სახიდან...
– არ მოხვიდე!
– ფერიდე...
– დამტოვე, ავთო, მარტო დამტოვე, წადი, წადი, ახლა მარტო ყოფნა მინდა.
– ფერიდე, თუ შეიძლება, კიდევ მოვიდე შენთან? აი, ასე, მოვალ, გიყურებ და წავალ.

– წადი, ავთო, ახლა ნურაფერს მკითხავ, ოღონდ ახლა წადი. სხვა დროს მკითხე, სხვა დროს გეტყვი, ახლა წადი, მარტო დამტოვე! – ფერიდემ ისევ ჩარგო თავი ხელებში.
– ნახვამდის, ფერიდე! – ვთქვი მე და კარი გავაღე.
– წადი, ავთო, თუ ღმერთი გწამს, წადი!
* * *
შერბინას სიკვდილის შემდეგ ჩემს განწესში ახალწვეული გადმოიყვანეს კომენდატურიდან, დაბალი, ჩაფსკვნილი ბიჭი. იგი ფრთხილად შემოვიდა ოთახში და დამნაშავესავით დადგა შერბინას საწოლთან. მე და პარხომენკო ჩემს საწოლზე ჭადრაკს ვთამაშობდით.
– გამარჯობათ! – თქვა მან და ოთხკუთხედი ხის ჩემოდანი ფეხებთან დაიდგა.
მე და პარხომენკომ თავები დავუქნიეთ და თამაში განვაგრძეთ.
– მე თქვენს განწესში ვიქნები. ზუდოვმა გამომგზავნა, მაიორ ჩხარტიშვილის დავალებით! – თქვა მან ძალიან წყნარად.
მე და პარხომენკომ ისევ თავები დავუქნიეთ. პარხომენკომ თამაშს თავი დაანება და ფეხზე წამოდგა.
– რა გვარი ხარ? – ჰკითხა და ჩექმიდან ქუდამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა.
– ლუგავოი, ვალოდია პეტრეს ძე.
– საიდან?
– სერპუხოვოდან!
– სწავლება გაიარე?
– რა თქმა უნდა!
– აბა, მოდი აქ! – უთხრა პარხომენკომ და მაგიდას მიუჯდა.
ლუგავოი მიუახლოვდა.
– დაჯექი, დაჯექი!
ლუგავოი გაკვირვებული თვალებით უმზერდა პარხომენკოს.
პარხომენკომ მარჯვენა ხელზე მაჯის ღილი შეიხსნა და იდაყვით მაგიდას დაეყრდნო.
– მომეცი ხელი! – უბრძანა პარხომენკომ.
ლუგავოი ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ მერე თვითონაც გაიხსნა ღილი და მაგიდას იდაყვით დაეყრდნო. მისი მჯიღი პარხომენკოს მჯიღში ისე ჩაიმალა, ცერის მეტი აღარაფერი უჩანდა.
– ჯაყელო, დაითვალე! – ახლა მე მიბრძანა პარხომენკომ.
– სამი, ორი, ერთი, – დავითვალე მე და ორი მკლავი ელვის სისწრაფით აძაგძაგდა მაგიდაზე, გავიდა საოცრად დაძაბული ერთი წუთი, მეორე. პარხომენკო მოხარშულ კიბოსავით გაწითლდა. ლუგავოი კი გაფითრდა. კიდევ რამდენიმე დაძაბული წამი გავიდა. პარხომენკოს ცერისსიმსხო ძარღვი დააჯდა შუბლზე. ვიფიქრე, კიდევ წუთი და გასკდება. კიდევ ოდნავ, კიდევ, კიდევ და ლუგავოის ხელმა თითქმის ნახევარი მანძილი გაიარა... პარხომენკომ შხუილით ამოუშვა ჩასუნთქული ჰაერი და ჭერეხზე ამოგდებული თევზივით პირდაფჩენილმა ხმაურით შეისუნთქა ჰაერის ახალი ნაკადი, და ეს იყო მისი დიდი შეცდომა. ლუგავოიმ ჩასუნთქვა არ აცალა, სხეული შვილდივით მოზიდა, დაიძაბა, დაიჭიმა და პარხომენკოს ხელმა შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც დაიწყო უკანსვლა. ლუგავოი კიდევ უფრო გაფითრდა და ცისფერი თვალები სისხლისფერი გაუხდა. მკლავები საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა, და მოხდა სასწაული, პარხომენკოს ვეება მკლავი მაგიდისაკენ დაიხარა. ჯერ ოდნავ, მერე უფრო სწრაფად და უცებ მოწყვეტილად და ბრახვანით დაენარცხა მაგიდას.
– არის! – ვთქვი მე.

ლუგავოი ადგა და აკანკალებული ხელით შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა. გაფითრებული პარხომენკო უხმოდ იჯდა და წაქცეულ ხელისგულს დასცქეროდა გაშტერებული. მძიმედ სუნთქავდა.
– ვინ ხარ? – ჰკითხა მან ჩამწყდარი ხმით ლუგავოის.
– სერპუხოვოს ჩემპიონი ვარ სიმძიმეების აწევაში! – უთხრა ლუგავოიმ და დამნაშავესავით გაუღიმა.
– მერე, ვერ მითხარი, დალოცვილო? კინაღამ ბრმა ნაწლავი გამისკდა! – თქვა პარხომენკომ და წელათრეული საწოლს დაუბრუნდა.
– ეგ არაფერი, შენ ჩემზე ღონიერი ხარ, მე უბრალოდ მაჯა მაქვს ნავარჯიშები, – მოეფერა ლუგავოი.
– ძაღლების გეშინია? – ჰკითხა უცებ პარხომენკომ.
– არა! – უპასუხა გაკვირვებულმა ლუგავოიმ.
– არადა, რადგან ასეთი ღონიერი და გულადი ხარ, დღეიდან შენ ათრევ აკბარს! – გადააბარა ძაღლი პარხომენკომ.
– თქვენი ნებაა! – გაუღიმა ისევ ლუგავოიმ.
– ახლა გავეცნოთ ერთმანეთს. მე პარხომენკო ვარ, ეს ჯაყელია, ჩვენი უფროსი! – უთხრა პარხომენკომ. – ჩვენ უკვე ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი, მიდი, ჯაყელი გაიცანი!
ლუგავოი გამეჭიმა. მხედრული სალამი მომცა და ხელი გამომიწოდა. ჩამოვართვი. ხელი ძალიან დაკუნთული, მაგრამ თბილი და ნაზი ჰქონდა. ოდნავ უთრთოდა.
– ახლა დაისვენე, საღამოს მორიგეობა გვიწევს, – ვუთხარი მე და ისევ მივუჯექი ჭადრაკს. პარხომენკო წინ დამიჯდა და მიტოვებულ პოზიციას დაუწყო აღდგენა. ლუგავოი შერბინას საწოლზე დაჯდა და ჩექმების გახდა დაიწყო. პარხომენკომ საწოლის ჭრიალი რომ გაიგონა, გველნაკბენივით შეკრთა და შემომხედა. მე თვალი ავარიდე, მან საფეთქლები დაიზილა, ადგა, მაგიდასთან მივიდა, წყალი დაისხა, დალია და უცებ ლუგავოის მიუბრუნდა.
– ვალოდია! – თქვა მან.
– გისმენ! – უპასუხა ლუგავოიმ გაკვირვებით. ჩექმის გახდა შეწყვიტა.
– ვალოდია, მანდ ნუ დაწვები! – ლუგავოიმ გაკვირვებით ამოხედა პარხომენკოს.
– მანდ ნუ დაწვები, თუ ძმა ხარ, ეგ საწოლი... ეგ საწოლი... მანდ არავინ არ წვება და არ ჯდება, ეგ ეგრე უნდა იყოს ყოველთვის... ეგ საწოლი შერბინასია!
ლუგავოი სწრაფად წამოდგა და ლოგინს სწორება დაუწყო.
– არ გეწყინოს, ვალოდია, შერბინა, ხომ იცი, ვინ იყო? აი, მოდი, ჩემს საწოლზე დაწექი, დაისვენე. მე წავალ და ზუდოვს ახალ საწოლს გამოვართმევ. არ გეწყინოს, თუ კაცი ხარ!
– რას ამბობთ, ბიჭებო, ბოდიშს ვიხდი, მე არაფერი არ ვიცოდი, მისი საწოლი თუ იყო... მაპატიეთ, ბიჭებო...
ლუგავოი საოცრად დაბნეული გვიყურებდა ხან მე, ხან პარხომენკოს. მე ბურთი მომაწვა ყელში და, რომ არ მეტირა, კედლისკენ მივბრუნდი. პარხომენკომ კიდევ ერთი ჭიქა წყალი დალია და ოთახიდან გავიდა. ლუგავოი კი შუა ოთახში იდგა ცალ ფეხზე ჩექმაგახდილი და დიდი, ლურჯი თვალები ბოდიშითა და ცრემლით ჰქონდა სავსე.
* * *
ივლისის სულთამხუთავი, მთვარიანი ღამეა. მე, პარხომენკო და ლუგავოი საკინძეშეხსნილები ვსხედვართ საფარში. ღამის ხელსაწყო არ გვჭირდება, გაღმა სოფელი ხელისგულივით ჩანს. სამივე საკუთარ ფიქრებში ვართ წასული. ლუგავოის

ყურდაცქვეტილი, ენაგადმოგდებული აკბარი ფეხებში უწევს და ქლოშინებს. საზღვრის ცხოვრება ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. ისევ სიწყნარე, ისევ სიმშვიდე. ერთი კვირის წინ წვიმა იყო კოკისპირული, მთელი სასაზღვრო ზოლი ჩამოგვირეცხა, ხელახლა გასათოხნი და დასაფარცხი გაგვიხდა საკონტროლო ხაზი. ახლა კი ისეთი სიცხეა, ისეა გადაფიჩინებული ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ღამეა, სად შევრგო თავი, არ ვიცი. ჩვენს მწერალს დიდი ხანია დაუმთავრდა თავისი შემოქმედებითი მივლინება და სახლში წავიდა. ის მაინც იყოს, საინტერესო ამბებს გვიყვებოდა, გვართობდა; არ ვიცი, ტყუილს ყვებოდა თუ მართალს, საინტერესოდ კი ყვებოდა. დიდი ზარ-ზეიმით გავაცილეთ, ორკესტრიც უკრავდა, საღამოს კონცერტი გავუმართეთ, ცეკვებიც იყო. იმ დღეს საოცარი ამბავი მოხდა. ჩვენს კონცერტზე ფერიდე მოვიდა, არც უცეკვია, არც უმღერია, არც გაუცინია, უბრალოდ, იჯდა და გვიყურებდა. ვცდილობდი, სულ იმის ახლოს მეტრიალა, მაგრამ თვალებით მანიშნა, არ მომეკაროო. რა გზა მქონდა. მეც დავჯექი კლუბის მეორე კუთხეში, დავჯექი და თვალს არ ვაცილებდი. რა თქმა უნდა, მხედავდა, მერე ადგა და წავიდა. მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ ვერ გავბედე. შუაღამემდე ვიზეიმეთ, ზეიმის დასასრულს, მდინარაძე სცენაზე ავიდა და გამოსამშვიდობებელი სიტყვა გვითხრა. თქვენი მადლობელი ვარო, ბევრი რამ მასწავლეთო, ამას დავწერო, იმას დავწერო, ამას ვიზამო, იმას ვიზამო, შერბინაზე დავწერო, თქვა... რა უნდა დაწეროს, რაც არაფერი მომხდარა, ალბათ, ნახევარზე მეტს ტყუილებს დაწერს, ვინ ამოწმებს. თუმცა რა, დაწეროს, კარგი იყოს, მართალს ჰგავდეს და დაწეროს, მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! თურქებმა თეთრი შუშხუნა გაუშვეს. შხუილით ავარდა ცაში და საზღვარს ფარანივით დაეკიდა, მერე ზიგზაგებით წამოვიდა, შუა გზაში ჩაქრა და სადღაც ჩირგვებში ჩავარდა. აკბარი ფეხზე წამოიჭრა.
– დაწექი! – უბრძანა ლუგავოიმ. ძაღლი უხმოდ დაემორჩილა.
თურქებმა კიდევ ერთი შუშხუნა გაუშვეს.
– რა ჭირი ეცათ, ჩვენ გვაშინებენ თუ თავისიანებს? – მკითხა პარხომენკომ და შუშხუნის ფრენას თვალი გააყოლა.
– რაღაცას ეძებენ! – დავასკვენი მე.
– მე მგონი, ერთმანეთს აღვიძებენ! – თქვა ლუგავოიმ.
– ადექით, ჩვენი უბანი დავათვალიეროთ! – ვთქვი მე და წამოვდექი. სამთავე ავდექით. ლუგავოი ძაღლით წინ წავიდა. ბოგირზე რომ გავედით, თურქებმა ისევ გაუშვეს შუშხუნა.
– რაღაც ამბავია! – ვთქვი მე, – ხომ არ დავრეკოთ საგუშაგოზე?
– დარეკვა რად უნდა, არ ესმით თუ რა? – თქვა პარხომენკომ.
ავტომატი გადმოიღო მხრიდან და წინ წავიდა. ღელეს გადავახტი და სასაზღვრო ბოძთან მივედი. ყურმილი ჩავრთე.
– მორიგე გისმენთ!
– ჯაყელი ვარ, თურქები შუშხუნებს ისვრიან!
– ვიცი, სხვებმაც დამირეკეს.
– რა ვქნათ?
– უთვალთვალეთ, მეტი არაფერი!
ყურმილი გამოვრთე. ჩვენი უბნის საზღვრამდე მივედით. ყველაფერი რიგზე იყო, უკან დავბრუნდით. ის იყო კვლავ საფარში უნდა ჩავმსხდარიყავით, რომ თურქებმა ისევ გაუშვეს შუშხუნა. შუშხუნა ძალიან დაბალზე გასკდა და ზედ ჩვენი კოშკის პირდაპირ ჩაეშვა შიშინით.

– რამ გააცოფათ ეს შობელძაღლები! – თქვა პარხომენკომ და თავის ადგილზე მოიკალათა. ჩვენ ჩვენი ადგილები დავიკავეთ. „თავს იქცევენ, თუ რა არის?!“ გავიფიქრე და უკანასკნელი სიგარეტი ამოვიღე. ორი თვე ჩვენი მწერალი სულ „კენტს“ გვაწევინებდა, სად ჰქონდა მაინც ამდენი, აფსუს?! ახლა მომცა ერთი ცალი... ასანთი გავკარი და უცებ მოვარდნილმა გრილმა ნიავმა ჩამიქრო. ცას ავხედე, თეთრი, გაწეწილი ღრუბელი ზღვისკენ მიიჩქაროდა. ჯერ მესიამოვნა, მერე გავიფიქრე, ზენა ქარია და ახლა თუ კიდევ მთის წყალი მოვარდა, რა გათოხნის და დაფარცხავს საკონტროლო ზოლს-მეთქი. ისევ დაბერა გრილმა და სასიამოვნო ნიავმა.
– იფ, იფ, ძლივს არ მოვითქვი სული?! – თქვა კმაყოფილმა პარხომენკომ და გულ-მკერდი უფრო გაიღეღა. მერე გადმომხედა და შემახსენა:
– „სოროკი“ არ დაგავიწყდეს!
მე ღრმა ნაფაზი დავარტყი სამჯერ და სიგარეტი პარხომენკოს გადავეცი. პარხომენკო სულმოუთქმელად ეცა „პრიმას“ და გადაფიჩინდა.
– თფუ, დასწყევლოს ღმერთმა, სიგარეტი კი არა, კავერნაა! – თქვა მან, სული რომ მოითქვა და დარჩენილი ნამწვავი ლუგავოის გადასცა.
– მე რა, საფერფლე ვარ? ცოტა მეტი ვერ გაიმეტე? – აბუზღუნდა ლუგავოი, მაგრამ მაინც ჩამოართვა ნამწვავი და დიდი სიფრთხილითა და ტუჩების პრანჭვით მოწრუპა.
– სიგარეტი ძაღლი არ არის, სახლიდან რომ გამოგეკიდოს, ყიდვა უნდა, გენაცვალე! – დაამადლა პარხომენკომ ჩემი სიგარეტი.
ისევ დაუბერა ნიავმა, ახლა საკმაოდ ძლიერად.
– ეს ქარი არ მომწონს; დავიღუპეთ, თუ გაწვიმდა! – თქვა ლუგავოიმ.
– ოღონდ ნუ გაწვიმდება, და უბეროს რამდენიც უნდა! – თქვა პარხომენკომ და ქუდი მოიხადა.
ისევ დაუბერა ქარმა და ოფლიან სახეზე ახლად მოთოხნილი მიწა შემოგვაყარა. პარხომენკომ გადააფურთხა, მე თვალები მიწით ამევსო და ამეწვა.
- რა ოხრობაა, საიდან მოვარდა?! - ვთქვი და თვალების სრესა დავიწყე.
- ცეცხლი, ბიჭებო! - იყვირა უცებ ლუგავოიმ და ფეხზე წამოიჭრა.
წამოვდექი მეც. ჩვენი კოშკის პირდაპირ, იქ, სადაც ნახევარი საათის წინ თურქების შუშხუნა ჩავარდა, ცეცხლი გიზგიზებდა და ყვითელი კვამლი სვეტად ამოდიოდა.
- პარხმონეკო, შუშხუნა! - ვუბრძანე მე.
პარხომენკომ დამბაჩა დააძრო ბუდიდან.
- რომელი? - მკითხა მან.
- წითელი!
შუშხუნა ისე წავიდა, თითქოს ცა გახიაო და წითლად გაანათა საზღვარი. სასაზღვრო ბოძს ვეცი და ყურმილი შევაერთე ხაზთან.
- მორიგე გისმენთ!
- ჯაყელი ვარ!
- რა ამბავია მანდ, ვინ ისვრის?
- მომეცი მაიორი, ხანძარია!
წუთიც და მაიორს ველაპარაკები.
- ამხანაგო მაიორო, მოგახსენებთ რიგითი ჯაყელი, ხანძარია!
- სად?
- პირდაპირ, ჩვენი კოშკის ძირში.
- ვის მხარეზეა?
- ვფიქრობ, ნეიტრალურზე!
- დარეკეთ სხვა უბნებზე, მოვდივარ!

ხუთ წუთში ჩხარტიშვილი აღმართს შემოუდგა სირბილით. ვიცი ჩხარტიშვილია, მაინც ვუღერებ ავტომატს და ვეკითხები:
- სდექ, ვინ მოდის?!
- ჩხარტიშვილი ვარ!
- პაროლი! - ჩხარტიშვილმა სიმწრისაგან გადააფურთხა.
- თოლია! პასუხი? - მკითხა ახლა მან ისე, რომ არ შეჩერებულა.
- ყაყაჩო!
- სად არის? - მომვარდა ის. ჩვენება აღარ დამჭირდა, ცეცხლი არაჩვეულებრივი სისწრაფით ედებოდა გადამხმარ კატაბარდებს და უკვე საზღვრისპირა აშოლტილ ნაძვებსა და ალვებს ლოკავდა. ზენა ქარი უსაშველოდ ძლიერდებოდა.
- ამ გაზინთულ ბოძებს თუ მოედო, დავიღუპეთ, სახლებიც ამოიდაგება. მომეცი ყურმილი! - მივეცი. სასწრაფოდ შეუერთა ხაზს.
- გამოაცხადეთ განგაში! ზუდოვს უთხარით, დინამიტი ხელყუმბარები წამოიღოს მალე. ჩემი ოფიცრები სად არიან? კასრები, კასრები სწრაფად!
ერთ წუთში მთელი საზღვარი ფეხზე დადგა. ცეცხლი კი ღვივდებოდა და ღვივდებოდა. ზენა ქარი სულ გაგიჟდა, ცეცხლი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა, ალმა ბოძებს მოაღწია და პირველი სასაზღვრო ბოძი კვარივით აინთო. გაღმა, საზღვრისპირა სახლის ყავარი ქაღალდივით აბრიალდა, გაისმა ქალის განწირული კივილი და ძაღლების ყმუილი - იქითა მხარეს, ასკერები ბარებითა და კასრებით ხელში მოჩვენებებივით დარბოდნენ, მოსახლეობა საზღვარს მოაწყდა.
- ყველანი მდინარესთან! - გასცა ბრძანება ჩხარტიშვილმა.
ჩავცვივდით მდინარეში და წეროებივით დავმწკრივდით. კასრებმა სწრაფად დაიწყეს ხელიდან ხელში გადასვლა. ცეცხლი კი გრიალებდა, შიშინებდა, წიოდა, ქარი გიჟივით დათარეშობდა საზღვარზე, უზარმაზარი ნაძვები ზღაპრული კელაპტრებივით ინთებოდნენ და ლაწანით წვებოდნენ გაღმა-გამოღმა. ქარი მუქ-ყვითელ კვამლს სახეში გვცემდა. უკვე ვეღარ ვხედავდი, ვისგან ვიღებდი კასრს და ვის ვაწოდებდი, კვამლი თვალებსა და ფილტვებს მიღრღნიდა. გაშმაგებული ხალხი, ზოგი კასრით, ზოგი ნიჩბით, ზოგი კიდევ შიშველი ხელებით ებრძოდა გადარეულ ალს, რომელიც გველივით დაძვრებოდა კატაბარდებში და ხან იქ და ხან აქ ამოასისინებდა ენას ახალი სიძლიერით. სასაზღვრო ბოძები მთლიანად ცეცხლში იყო გახვეული და ხანძარი ახლა ფერიდეს ღობეზე გადმოსულიყო. უცებ ჩემს თავზე უზარმაზარი ცეცხლის სვეტი გადმოწვა და გრუხუნით გადაატყდა აკელაპტრებულ ნაძვს.
- ფრთხილად! - იკივლა ვიღაცამ.
ყველაფერი ერთმანეთში აირია.
- უშველეთ სახლებს!
- კედლებს შეასხით წყალი!
- დინამიტი!
- ბოძები, ბოძები ააფეთქეთ!
- პარხომენკო!
- ლუგავოი!
- ჯაყელო!
- პეტროვ!
- სიდოროვ!
აღარაფერი არ მახსოვს, გაცოფებული ხარივით დავრბოდი. ხან ვის ვართმევდი კასრს, ხან ვის. წვიმა, ღმერთო წვიმა! - ვინატრე გულში და ცას ავხედე, ცა დახურული

იყო, არ ვიცი, ღრუბლით, არ ვიცი, კვამლით. ქარი გრიალებდა. ვიღაცას ბარი წავართვი და გაშმაგებით დავუწყე მიწას თხრა, ვთხრიდი და ვაყრიდი ცეცხლს. მაგრამ სად? ცეცხლი იყო ყველგან - ხეზე, მიწაზე, წყალზე, ცაზე. ცეცხლი იყო ყველგან, ცეცხლი გრიალებდა, ცეცხლი კიოდა... ბღაოდა საქონელი, ყმუოდნენ ძაღლები... ქართული, ლაზური, თურქული, რუსული, ყველაფერი ერთმანეთში აირია... და უცებ რაღაც მომწყდა მხრიდან და ბარდებში გადავარდა. ავტომატი, ავტომატი, გამიელვა თავში. შუა ცეცხლში გადავეშვი და ავტომატს დავემხე. სუნთქვა შემეკრა და გარუჯული თმის სუნი მეცა, ვიღაცის ძლიერმა ხელმა ამიტაცა და ცეცხლიდან გამომიყვანა, მიწაზე დამსვა და რაღაც მომახვია.
„წვიმა, წვიმა, ღმერთო!“ - ვინატრე და აზრი სადღაც შორს, ძალიან შორს გამიცურდა. ჯერ უზარმაზარ ხანძრად ენთო, მერე თანდათან მომცილდა, დაპატარავდა, წავიდა, წავიდა, წერტილად იქცა და ბოლოს სულ ჩაქრა...
* * *
თვალი რომ გავახილე, თავზე პარხომენკო და ლუგავოი მადგნენ. პარხომენკო ლოყაზე თავის ვეებერთელა ხელს მითათუნებდა და გაღიმებული ტიროდა.
- რა მოგივიდა, ბიჭო, გამოიხედე, კაცი არა ხარ? შეხედე, ვინ არის?! - შევხედე, გვერდით ფერიდე იდგა და ისიც გაღიმებული ტიროდა.
- რა მოხდა? -ვკითხე მე. წამოვდექი და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ კოკისპირულად წვიმდა.
- შეხედე, ბიჭო, სადა ვართ, შეხედე! - მეუბნებოდა პარხომენკო და სულელივით იღიმებოდა. თავს ძალა დავატანე. დავატანე და ჟრუანტელმა დამიარა.
- აი ამის გადარჩენაში ეხმარებოდი! - მითხრა პარხომენკომ და მუგუზლად ქცეულ სახლზე მიმითითა. - მაინც არაფერი არ ეშველა, უთოში ჩასაყრელადაც არ გამოდგება.
ჩვენ ოთხთავე - მე, ფერიდე, პარხომენკო, ლუგავოი, მთელი ჩვენი სოფელი და საგუშაგო თურქების ტერიტორიაზე ვიდექით, საზღვრისპირა სახლის ეზოში, რომელიც ახლა ნახშირად ქცეულიყო და საოცრად ჰგავდა შავებში გამოწყობილ, მიწაზე დამხობილ მის პატრონ დედაკაცს.
კოკისპირულად წვიმდა... ჩვენს წინ მთელი გაღმა სოფელი იდგა, ათასი მადლიერი და ცრემლიანი თვალები გვიყურებდა. ჩვენს შორის მანძილიც კი აღარ იყო, ერთმანეთის სუნთქვა და გულისცემა გვესმოდა. ჩემს წინ, ჩემი ყველაზე ძველი ნაცნობი მასწავლებლის ცოლი, ლამაზი, ხალიანი გოგონა იდგა და ძალიან, ძალიან შეფარული ღიმილითა და სიყვარულით მიმზერდა.
- გამარჯობა, გოგო!
- გაგიმარჯოს, ჯუმა მოგაფერი!
- მიცანი, გოგო?
- გიცანი. ჩემო ჯუმა მოგაფერი, ავთანდილი ხარ, ჯაყელი!
- შენ რა გქვია, გოგო?
- მევნუნე მქვია მე.
- ხომ არ გვემდური, გოგო მევნუნე?
- რას ამბობ, ჯუმა მოგაფერი, თქვენ რომ არა, მთელი სოფელი დაიწვებოდა.
- შეშინდით, მევნუნე?
- ჩვენ რაღა გვიჭირს აწი, ჯუმა მოგაფერი, შენ ხომ არ დაიწვი?
- არა უშავს, მევნუნე, გამივლის.
- რა გახდა, ჯუმა მოგაფერი, მაინცდამაინც, ქვეყანა უნდა დაიწვას, ასე ახლოს რომ გხედავდე ჩემს სისხლსა და ხორცს?
- წავიდეთ, ავთო! - მითხრა წყნარად პარხომენკომ.

მე შემოვტრიალდი და ჩვენს სოფელს გავხედე, სულ ათ ნაბიჯზე იყო იგი - ასე ახლობელი და ასე მაცოცხლებელი. ჩხარტიშვილი ღელისპირას იდგა გამურული, ტანსაცმელშემომწვარი, შემოფლეთილი და თვალს არ გვაშორებდა. ნელი ნაბიჯით დავიძარით, მხარში პარხომენკო და ლუგავოი მედგნენ. მას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ გამიღიმა და დამწვარ ხელებზე დამხედა. ახლა ისევ მოვტრიალდი და გაღმა სოფელს გავხედე. მთელი ჩვენი სოფელი და ჩვენი საგუშაგო დინჯი, წყნარი ნაბიჯით ბრუნდებოდა სახლში, დაღლილი, დაქანცული, გამურული, დაგლეჯილი და მაინც საოცრად კმაყოფილი. კასრებით, თოხებით, ბარებითა და ნაჯახებით შეიარაღებული მოდიოდა და მოაბოტებდა სასაზღვრო ღელეში, ამოდიოდა გორაკზე და ჩხარტიშვილის უკან დგებოდა უხმოდ და მდუმარედ. ეს იყო საოცარი სანახაობა. გამოღმა სოფელი ამ დღეს შეწუხებულ მშობელს ჰგავდა, რომელიც გათხოვილი, ავადმყოფი შვილის სანუგეშოდ იყო წასული და ვალმოხდილი შინ ბრუნდებოდა. წვიმდა კოკისპირულად. დამწვარი, ფერფლად და ნახშირად ქცეული საზღვარი შიშინით ქრებოდა და ბოლავდა. ძაღლები აღარ ყმუოდნენ. ძაღლები ყეფდნენ. სოფელში თენდებოდა.

* * *

სექტემბრის მიწურულსა და ოქტომბრის დამდეგს ზღვის სანაპირო - გაღმაც და გამოღმაც სავსეა მეთევზეებით. ისინი დილიდან საღამომდე დგანან ზღვისპირას, ერთმანეთისაგან ორი, სამი მეტრის მოცილებით, თავს ზევით, შურდულივით მოხდენილად იქნევენ ლარს და სტყორცნიან შორს, შორს ზღვაში. ლარს ბოლოში თევზის ფორმის უჟანგავი ფოლადი და სამწვერა ანკესი აქვს გამობმული. ჩაეშვება თუ არა ანკესი წყალში, მეთევზეები უმალ კრეფენ ლარს და ოდნავ წელში წახრილები სწრაფად ქაჩავენ სანაპიროსაკენ. სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში სარგანა მოდის, სარგანა წვრილ სტავრიდასა და ხამსას მოსდევს. მოუვლის სამი მხრიდან და ნაპირისაკენ მოერეკება, ნაპირთან მომწყვდეულს დაერევა და მაშინ უნდა უყუროთ ზღვას. ზღვა დუღს, განწირული ხმასა და სტავრიდა ლამის ნაპირზე ამოცვივდეს, სარგანა კი ტრიალებს მშიერი მგელივით ნაპირთან მომწყვდეულლ დაერევა და მაშინ უნდა უყუროთ ზღვას. ზღვა დუღს, განწირული ხამსა და სტავრიდა ლამის ნაპირზე ამოცვივდეს, სარგანა კი ტრიალებს მშიერი მგელივით ნაპირთან მომწყვდეული თევზის ქარავანში და ზღვა დუღს, დუღს სახინკლე ქვაბივით. სწორედ ამ დროს გამოდიან სოფლელები ნაპირზე თავიანთი ლარებით, სტყორცნიან ადუღებულ ზღვაში და ყიჟინით მოათრევენ ნაპირზე ანკესზე წამოგებულ ლურჯზურგა და თეთრმუცელა მაჯისსიმსხო სარგანას.

ჩემი კოშკიდან ზღვა და მთელი სანაპირო ხელისგულივით ჩანს. ჩვენი საგუშაგოს პლაჟზე, პატარა პირსის ქვეშ, ორი მოტორიანი ნავი დგას, ორი ნავი დედაშვილივით, ერთი დიდი, სათევზაო, მეორე პატარა - საგუშაგო. საგუშაგო ნავი ჩვენია, ამ ნავით ყოველ დილა-საღამოს ზუდოვი და ლეიტენანტი კოროლიოვი ინსპექციას უწევენ სანაპიროს; დიდი ნავი კოლმეურნეობისაა. კოლმეურნეობას მეთევზეთა ბრიგადა ჰყავს, ბრიგადირი ალი ხორავაა. წლევანდელ ზაფხულს მისი ნავი უქმად ეგდო პირსის ქვეშ, ნესტისაგან ორი გვერდითი ფიცარი დაულპა და საღებავი თითქმის მთლიანად ჩამოცვივდა.

ამ დილით ხამსისა და წვრილი სტავრიდის ულევი ქარავანი მოაწყდა ნაპირს. დამფრთხალი თევზი პირდაპირ ჭოროხზე ამოდიოდა, ბავშვები წივილ-კივილით დადგაფუნებდნენ ადუღებულ ზღვაში და პეშვებით ყრიდნენ თევზს ნაპირზე. სარგანას პირველი ქარავანი გამოჩნდა სოფლის სანაპიროსთან. გამოჩნდა და უცებ გაბრუნდა. აწი დაიწყება, ივლის და ივლის სარგანა, სულ ახლოს მოვა ნაპირთან.

ჭოგრიტით ვუმზერ კოშკიდან, როგორ უტრიალებს გარშემო ალი ხორავას ბრიგადა გვერდზე წამოწოლილ ნავს. ორი იმ დამპალ ფიცრებს უცვლის, ორი თეთრად ღებავს, თვითონ ალი ხორავა და მუჰამედა ვანილიში ქვიშაზე გაშლილ უზარმაზარ, მოსასმელ ბადეს კემსავენ. ალბათ, სულ მალე ალი ხორავას ბრიგადა ღამ-ღამობით ზღვაში გამოსვლას დაიწყებს. ღამით ზღვაში გასვლას მაიორ ჩხარტიშვილის ნებართვა სჭირდება. ალი ხორავა მივა მაიორთან და... რა უნდა სთხოვოს ისეთი ალი ხორავამ მაიორს, რომ მაიორმა უარი უთხრას. ალი ხორავა უმადური კაცი არ არის, დილამდე ივლის ზღვაში, ალი ხორავა ჯერ ზღვიდან გაწბილებული არ დაბრუნებულა, რასაც დაიჭერს, ამორჩეულს საგუშაგოს სამზარეულოს მიართმევს. ალი ხორავა რომ ზღვაში გადის, ჩვენს საგუშაგოს „უხა“ და შემწვარი თევზი არ აკლია. ამიტომ დგანან ახლა ჩემს გვერდით პარხომენკო და ლუგავოი და ღმერთს სთხოვენ, მალე გავიდეს ზღვაში ალი ხორავა.

* * *

- საღამო მშვიდობისა, ჯაყელო ავთანდილ!
- საღამო მშვიდობისა, ალი ბატონო!
- გავიგე, დღეს ღამით არ მორიგეობ!
- არ ვმორიგეობ, ალი ბატონო!
- და საერთოდ ზეგ სამხედრო სამსახურს ამთავრებ, სახლში მიდიხარ!
- მივდივარ, ალი ბატონო!
- გიხარია?
- ძალიან მიხარია!

ალი ხორავა პირსზე ჩამოჯდა და ფეხები დაბლა ჩაკიდა. თუთუნი ამოიღო, ჩიბუხში ჩატენა, მოუკიდა და აამწლაკუნა.

- სარგანა მოვიდა - თქვა ალიმ და თავისი ჭკვიანი თვალებით ქვევიდან ამომხედა.
- ვნახე, ალი ბატონო, ამ დილით, დავინახე, თამაშობდა.
- დღეს ღამით ზღვაში გავდივარ.
- მთელი ბრიგადა?
- ბრიგადა ჯერ ადრეა, თევზი შორის არის, თქვენი ნავით მივდივარ, ლარით უნდა მოვსინჯო.
- მარტო გადიხართ, ალი ბატონო?
- არა, მარტო არ გავდივარ, შენ მომყვები!
- მე? მე როგორ?
- ჩხარტიშვილმა თქვა, შენ წამოხვალ ჩემთან ერთად.
- თვითონ ჩხარტიშვილმა თქვა?
- არა, მე ვთხოვე.
- რატომ მე, ალი ბატონო?

ალი დაფიქრდა, მერე ისევ ამომხედა ქვევიდან ზევით.

- მომწონხარ. ჩემი ხელობა უნდა გასწავლო. 12 საათისათვის მზად იყავი. ლარს მე წამოგიღებ. ნახვამდის.
- გმადლობთ, ალი ბატონო!

ალი წამოდგა, ჩიბუხი ხელისგულზე დაიფერთხა, ბეტონის კიბეზე დაეშვა და ნაპირს გაჰყვა მძიმე ნაბიჯით.

* * *

ზღვაზე ბილიკივით გაწოლილ პროჟექტორის შუქს მივყვებოდით. ალი ნავის ქიმზე იჯდა, ჩემსკენ ზურგშექცევით, მე - მოტორთან. ზღვა ოდნავ ღელავდა და დროდადრო შუაზე გახლეჩილი ტალღის შხეფები სახეში მცემდა, თევზი თამაშობდა

პროჟექტორის სხივზე, ცეკვავდა, ხანდახან ამოვარდებოდა, თითქოს გადახტომას აპირებდა ამ თეთრ ბილიკზე და ტყაპანით ეცემოდა სულ ახლოს, გვერდზე. ალი ხორავამ ხელი ასწია, მოტორი გამოვრთე, ნავმა ერთხანს კიდევ იარა ინერციით, მერე გაჩერდა, სოფლისაკენ ქნა პირი და მუქ ლურჯ ტალღაზე რწევა დაიწყო. ალი ხორავამ ლარი გადმომცა, თვითონაც გაშალა თავისი ლარი. პროჟექტორმა თავი დაგვანება და ახლა სადღაც ჩვენგან შორს დაიწყო ბორიალი. ძალიან სუსტი და გრილი ნიავი ჰქროდა. ალი ხორავამ ბოხჩა გახსნა, შემწვარი სტავრიდა, კეცის მჭადი და ერთი ბოთლი არაყი დაალაგა ნავის ფსკერზე.
- წავიხემსოთ! - თქვა მან.
- ჯერ გვეთევზავა, ალი ბატონო! - ვუთხარი მე.
- ჯერ ადრეა, თევზი რიჟრაჟზე მოდის! - სულ პატარა ყანწი არყით აავსო, უხმოდ დალია, ისევ გაავსო და გადმომცა, მერე სტავრიდას კუდი მოტეხა და დააყოლა. მეც უხმოდ დავლიე და დარჩენილი სტავრიდა დავითრიე. ისევ აავსო ალიმ ყანწი.
- მაშ, მიდიხარ და გიხარია? - მკითხა მან.
- არა, ცოტა გულიც მწყდება! - მოვუბოდიშე ალის.
- გული რაღაზე გწყდება, ბიჭო?
- გული ბევრ რამეზე მწყდება, ალი ბატონო! - ვუთხარი მე და მხოლოდ ახლა დავიწყე ფიქრი, თუ რაზე მწყდებოდა გული...
გული ბევრ რამეზე წყდება ავთანდილ ჯაყელს. ორი წლის ნათევ ღამეებზე წყდება გული, ორი წლის ნათელ დღეებზე წყდება გული, შერბინაზე წყდება გული ავთანდილ ჯაყელს, პარხომენკოზე, ჩხარტიშვილზე, მერაბიაზე; იმ დამწვარ სახლზე წყდება გული ავთანდილ ჯაყელს, გაღმა სოფელში რომ დაიწვა, მასწავლებლის ცოლზე წყდება გული - მევნუნეზე; ათას რამეზე წყდება გული, ზღვაზე წყდება გული, თვითონ ალი ხორავაზე... და ფერიდეზე, მაგრამ ალი ხორავას რაში აინტერესებს, რაზე წყდება გული ავთანდილ ჯაყელს?!
- გული ბევრ რამეზე მწყდება, ალი ბატონო! - გავიმეორე მე და თვალი ავარიდე. ალიმ არაყი დალია და ახლა მე ამივსო ყანწი. ჩამოვართვი და სულმოუთქმელად გადავყლაპე, რატომღაც დათრობა მომინდა.
- რამდენი წლისა ხარ შენ, შვილო? - მკითხა მოულოდნელად ალიმ.
- ოცის ვხდები!
- ოცი ცოტა არ არის! - თქვა ალიმ და ჩიბუხი ამოიღო. - წელან მაინც არ მითხარი, რაზე გწყდება გული, ჯაყელო! - მკითხა მან და თავი მაღლა ასწია. მთვარის შუქზე მისი ხმელი, დაკუნთული და დაღარული სახე ნაცრისფერი ქვისაგან უხეშად გამოკვეთილ ქანდაკებას ჰგავდა.
საშინელმა ეჭვმა გამიელვა თავში და გული დამწვა.
- ალი ბატონო, რაღაც გინდათ მითხრათ და არ მეუბნებით! - ვუთხარი მე ძალიან ფრთხილად.
ალი არ ელოდა ასეთ კითხვას და ოდნავ შეკრთა, მერე ჩიბუხი გატენა და ცეცხლით გააჩაღა.
- მე შენგან ველი თქმას, შვილო, დიდი ხანია ველი.
- რის თქმას, ალი ბატონო? - ვკითხე მე და ვინატრე, ნეტავ არ მითხრას, რის თქმას ელის ჩემგან-მეთქი...
- ის გოგო, უბედური გოგოა... - თქვა ალიმ და ხმაში ჟანგი შეეპარა.
მუხლებში სისუსტე ვიგრძენი. ბოთლი ავიღე და არაყი დავისხი.
- ამის სათქმელად წამომიყვანე, ალი ბატონო, ზღვაში? ამას სახლში ვერ მეტყოდი? - ვკითხე და ათრთოლებული ხელით არაყი გადავკარი.

- ზღვა ჩემი სახლია, ავთანდილ ჯაყელო, ზღვა ერთადერთი სულიერია დედამიწის ზურგზე, რომელსაც ყურები არ აქვს. ზღვა სუფთაა, უმტვერო, უნაგვო. ზღვა ადამიანის ტვინს და სულს რეცხავს და ნაგავი ნაპირზე გააქვს. შეხედე, ზღვა რა სუფთაა! - თქვა მან, ნავიდან ხელი გადაყო და ერთი პეშვი წყალი ჰაერში აიქნია. ფოსფორიანი შხეფები ციცინათელებივით აენთნენ სიბნელეში. - რასაც გეტყვი, ზღვასავით მართალია და რასაც მეტყვი, ზღვასავით მართალი უნდა იყოს! - თქვა მან. მე ისევ ავიღე ბოთლი და არყის დასხმა დავაპირე, ალიმ ბოთლი გამომართვა და ზღვაში მოიქნია.
- მე ამ ზღვასავით მართალი მივსულვარ ფერიდესთან და ამ ზღვაზე სუფთა გამოვსულვარ იქიდან! - ვთქვი მე.
- სოფელმა არ იცის, სოფელი ვერ ხედავდა, რას აკეთებდი შენ შიგნით, ფერიდეს სახლში! - თქვა ალიმ.
- ჩემს დედას გეფიცებით, ალი ბიძია, თუ ფერიდესთვის რამე მეკადრებინოს, - ვთქვი მე და ცრემლები ყელში მომაწვა.
- ფერიდე ჩვენი სოფლის სინდისია, ფერიდე ჩვენი სოფლის შვილია და ვინც ფერიდეს შავს გახდის, ჩვენი სოფლის სინდისი და შვილი უნდა გახდეს! - თქვა ალი ხორავამ.
- მე ფერიდე სიცოცხლეზე უფრო მიყვარს... - ხმა ამითრთოლდა.
- როდის მოასწარი ამდენი სიცოცხლე და ამდენი სიყვარული, შვილო?
მე არ ვიცოდი, როდის მოვასწარი ამდენი სიცოცხლე და სიყვარული, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ წუთში მეტი სიყვარული, მეტი სიცოცხლე მე არც შემეძლო და არც მჭირდებოდა...
- ალი ბიძია, ალი ბატონო... - დავიწყე მე. პირი გამიშრა, ხმა ჩამიწყდა, ენას ვეღარ ვაბრუნებდი. ზღვაში ხელი გადავყავი, ერთი პეშვი ამოვიღე და ხარბად დავლიე. მლაშე წყალმა ყელი ჩამწვა.
- შენ, ჩემო შვილო, მთელი ცხოვრება წინ გაქვს, ფერიდემ კი ნახევარი ცხოვრება დაამთავრა. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ის კი ქვრივია. ფერიდეს პატრონი უნდა, შენ თვითონ საპატრონო ხარ, ფერიდეს ნამდვილი სიყვარული სჭირდება, შენ ჯერ სიყვარული ლამაზი ქალი გგონია, ფერიდე სოფლელი გოგოა, ქალაქში იგი შენთვის უცხო გახდება. მე ვიცი, შენ წმინდა ბიჭი ხარ, ალალი და პატიოსანი, მაგრამ შენ ჯერ აღელვებულ ზღვაში არ შესულხარ და ზღვას ჯერ შენთვის სული არ უთხოვია. ჯერ შენ ვეშაპის კუჭში არ გაგივლია და მოუხარშავი არ გამოსულხარ იქიდან. მე გთხოვ, მოერიო შენს ოც წელიწადს და წახვიდე შინ, კეთილად და მშვიდობით წადი, შვილო, გულს ნუ აყვები, ვიდრე გვიანი არ არის. ყველაფერს თავისი ბადალი ჰყავს ქვეყანაზე და ბადალმა ბადალი უნდა მოძებნოს! - ალი ხორავამ ცას ახედა. - ხომ ხედავ, როგორ დასდევს მთვარე დედამიწას დღე და ღამე. ეს დალოცვილი კი ყოველ დილით მაცოცხლებელი მზის ამოსვლას ელოდება, - ალი ხორავა დადუმდა.
- ალი ბატონო, ალი ბიძია, თქვენი ჭირიმე, - დავიწყე მე და ვცდილობდი, არ ავტირებულიყავი. - ფერიდე ჩემთვის ყველაფერია, ალი ბიძია, მე ქვეყანაზე არაფერი არ გამაჩნია. ფერიდე მიყვარს, ძალიან, მე სხვანაირი, უფრო დიდი სიყვარული არ ვიცი, მე რომ ფერიდე დავკარგო... - ალი ბატონო, ნუ იზამთ მაგას, ნუ შემიშლით ხელს, ნუ დამღუპავთ, ალი ბიძია... - ძლივს დავამთავრე მე, მერე თავი მუხლებში ჩავიყავი და ავტირდი. დიდხანს ვიყავი ასე, მერე თავზე ალის ძლიერი ხელი ვიგრძენი, იგი, როგორც ქუჩაში ნაპოვნ გზააბნეულ, უპატრონოდ დარჩენილ და ატირებულ ბავშვს, ისე მეფერებოდა.

- არა, ბიძია, არა. მე ვისი დამღუპველი ვარ, ან ვისი ხელის შემშლელი. უბრალოდ, გამოცდილი კაცი ვარ, ამინდის ცნობა ვიცი და გეუბნები, ავთანდილ ჯაყელო, ხვალ გრიგალი ამოვარდება, ზღვა გადაირევა, ნაპირებს წალეკავს და ფრთხილად იყავი, არ დაგახრჩოს-მეთქი. სუ, ბიძია, არ გრცხვენია? აბა, დაქოქე შენი მოტორი, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვბრუნდები უთევზოდ ზღვიდან. აბა, მიდი, ჩართე მოტორი და ჰაიდა ნაპირისაკენ, ერთ საათში ქარი ამოვარდება!
* * *
ალი ხორავა, შენ გამოცდილი კაცი ხარ, შენ იცი, რომ ხვალ გრიგალი ამოვარდება, ზღვა გადაირევა, ნაპირებს წალეკავს და შეიძლება დაახრჩოს ავთანდილ ჯაყელი; მაგრამ ავთანდილ ჯაყელი შევა ამ ზღვაში, ავთანდილ ჯაყელს მოსთხოვს ზღვა სულს და ავთანდილ ჯაყელი არ მისცემს სულს ზღვას; არც ვეშაპის კუჭში მოიხარშება ავთანდილ ჯაყელი. ავთანდილ ჯაყელის ნავი ნაპირისაკენ მიდის. ალი ხორავა, ავთანდილ ჯაყელი მადლობელია შენი!!!
* * *
ოთახში რომ შევედი, პარხომენკოსა და ლუგავოის მკვდრებივით ეძინათ. ტანზე გაუხდელად წამოვწექი საწოლზე და ხელები თავქვე ამოვიდე. თავი ისე დამიმძიმდა, ხელებს გამისრესდა მეგონა. საფეთქლები მიხურდა და ყურებში გაბმული წივილი მედგა. თვალები დავხუჭე. წინ ათასმა ნაცნობმა სახემ გამირბინა. არავიზე ფიქრი არ მინდოდა და თვალები გავახილე. არაფერი შეცვლილა, არაფერი განსხვავებაა... თვალწინ კვლავ ათასი ნაცნობი სახე და სურათი დარბოდა. ისევ დავხუჭე თვალები. ახლა ეს სურათები და სახეები აჭრელდა, აფერადდა და თავბრუდამხვევი სისწრაფით დატრიალდა ჩემს გარშემო ისე, როგორც ის შვიდსპილოშებმული კარუსელი, ორი წლის წინ. ოღონდ ამჯერად მე ნავში ვიჯექი, ყველა დანარჩენებიც ნავებში ისხდნენ და გადარეული ზღვა გვისროდა ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით. ნავები რიგ-რიგობით იკარგებოდნენ აბობოქრებული ზღვის ტალღებში, მერე კვლავ ამოყოფდნენ თავს აქაფებულ ტალღაზე, ტალღა ნაფოტივით ისროდა მათ ჰაერში.
დედა... მამა... აბო... ბაბუა... ვანიჩკა ბიძია... დადუნა... მერაბია... ფერიდე... შერბინა... მევნუნე... ადიოდნენ მაღლა, მაღლა, ვარსკვლავებამდე. მერე მოწყვეტილი ვარსკვლავებივით ცვიოდნენ ზღვაში და რიგ-რიგობით მეკარგებოდნენ, ქრებოდნენ, იძირებოდნენ. ბოლოს მარტო ჩემი ნავიღა შერჩა ტალღას, ვეება ტალღას, რომელიც ისე მაღლა ავიდა, ისე ახლო მივიდა ვარსკვლავებთან, რომ მე სითბო ვიგრძენი და ხელები გავიწვდინე მათკენ. ეს არ იყო სიზმარი, ეს იყო ნახევრად ცხადი, ნახევრად სიზმარი, რადგან მე აშკარად ვიგრძენი, როგორ გამომეცალა ფეხქვეშ ნავი და ტალღა, როგორ შევრჩი ლურჯ და ვარსკვლავიან ცას, გაწვდილი ხელების ანაბარა... მერე მე შემეშინდა ამ ვეებერთელა სიმარტოვისა ამ ვეებერთელა სიცარიელეში და თვალები დავხუჭე. ახლა მე ვეღარაფერს ვხედავდი. მხოლოდ ვგრძნობდი, როგორ შემიდგა ქარი მხრებში, როგორ მათამაშებდა, როგორ დამაფრენდა ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე, როგორ დავყავდი სიცოცხლეჩამქრალ პლანეტებს შორის, როგორ ეძებდა ქარი ისეთ ვარსკვლავს, რომლისთვისაც შეეძლო ჩემი ბედი, ჩემი სიცოცხლე მიენდო...
* * *
ფერიდე ბაღში იდგა და კალთაში დაკრეფილ მანდარინებს ფრთხილად აწყობდა ხეზე მიყუდებულ გოდორში. გამარჯობა არ მითქვამს, ისე მივედი და გოდრის გვერდით დავჯექი, პირდაპირ ბალახზე. არც ფერიდეს უთქვამს რამე მანდარინები ჩაცალა გოდორში და გოდრის იქითა მხარეს დაჯდა ისე, რომ მხოლოდ ერთმანეთის მუხლებზე დაწყობილ ხელებს ვხედავდით.

- დღეს, ნაშუადღევს მივდივარ! - ვთქვი მე.
ფერიდემ არაფერი მიპასუხა. იგი მშვიდად ფცქვნიდა მანდარინს.
- წუხელ ალი ხორავამ გამიყვანა ზღვაში.
- სარგანა მოვიდა, - თქვა ფერიდემ.
- ჰო, სარგანა მოვიდა, ოღონდ სათევზაოდ არ გავუყვანივარ, სალაპარაკოდ გამიყვანა.
ფერიდემ მანდარინის ფცქვნა შეწყვიტა. შევატყვე, სმენად იქცა. განგებ არაფერი ვთქვი. სიგარეტი ამოვიღე და გავაბოლე.
- რაო, ალი ხორავამ? - ვეღარ მოითმინა ფერიდემ.
- ახლი ხორავა ჭკვიანი კაცია. ალი ხორავამ ყველაფერი იცის. - მე დავფიქრდი, ფერიდეს ხელებს მოუთმენლობა დაეტყო, თითები მანდარინის ქერქს სრესდნენ და წიწკნიდნენ. - ალი ხორავამ თქვა, - განვაგრძე მე, - ფერიდე ჩვენი სოფლის შვილია და ჩვენი სოფლის სინდისიაო, თავი დაანებე ფერიდეს, შენს ოც წელიწადს მოერიე, გულს ნუ აჰყვები, რაც შენ სიყვარული გგონია, ეგ სიყვარული არ არის. ჯერ შენ პატარა ხარო.
ფერიდემ მთლიანად დაგლიჯა მანდარინი, მერე ფეხებთან დაგდებული ხმელი ჯოხი აიღო და ახლა იმას დაუწყო მტვრევა.
- ალი ხორავა ჩემთანაც იყო! - თქვა ფერიდემ.
- რა მინდაო, ალი ხორავამ? - ვკითხე მე და გული ყელში მომებჯინა.
- ალი ხორავას უნდა, რომ ფერიდე ბედნიერი იყოს, ალი ხორავამ შენზე ყველაფერი იცის, რომ შენ კარგი ბიჭი ხარ, რომ შენ ობოლი ბიჭი ხარ, ახალგაზრდა ხარ და ალი ხორავას ეშინია, რომ შენ ჩემს სიყვარულს ვერ მოერევი...
- შენ თუ გეშინია, ფერიდე? - ვკითხე მე და პასუხის მოლოდინში პირი გამიშრა.
- მეშინია, - თქვა ფერიდემ, დიდი ხნის შემდეგ.
ძლივს გადავყლაპე ნერწყვი და რომ არ დავმხრჩვალიყავი, მანდარინი გაუფცქვნელად ჩავკბიჩე და მოვწუწნე.
- რატომ, ფერიდე?
- არ ვიცი, ავთო.
- რაო ალი ხორავამ, კიდევ რა თქვა? - ვკითხე ფერიდეს.
- ალი ხორავამ ღმერთი დამაფიცა და მთხოვა, თუ გიყვარს ის ბიჭი, თუ ატყობ რომ, მართლაც, უშენოდ არ შეუძლია, წაყევი, ნუ გააწბილებ, ის თუ არა, შენ იყავი მისი პატრონიო... ასე თქვა ალი ხორავამ. - ფერიდე დადუმდა.
მოულოდნელობისაგან აღარ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი.
- შენ რა უთხარი, ფერიდე, ალი ხორავას? - ვკითხე ხმის კანკალით და ნერვიულობისაგან სიგარეტი ხელში ჩამატყდა.
- მე ვუთხარი ალი ხორავას... - ფერიდე დაფიქრდა, ხელები უთრთოდა, რაღაცის თქმას აპირებდა და ვერ ბედავდა, რაღაცის ეშინოდა.
- თქვი, ფერიდე, რა უთხარი ალი ხორავას? - შევემუდარე მე.
- წადი, ავთანდილ ჯაყელო, წადი, შენს ცხოვრებას მიხედე, ნუ ჩამადენინებ იმას, რისიც სიკვდილზე უფრო მეშინია, წადი, თუ ღმერთი გწამს... - ფერიდეს ხმაც აუთრთოლდა.
- ფერიდე, მე არ ვიცი, რას ეძახით შენ და ალი ხორავა ნამდვილ სიყვარულს, ვიცი, რომ ასე ჯერ არავინ მყვარებია, ვიცი, რომ უშენოდ არ შემიძლია ყოფნა და სხვა სიყვარული მე არ ვიცი.
- რა გინდა, ბიჭო, ჩემგან, რას მერჩი, ეს ერთი წელია ძილი აღარ არის ჩემთვის და მოსვენება. რატომ გინდა რომ ცეცხლს მივცე ეს სახლი და მერე ზღვაში გადავვარდე! რა დაგიშავე, ბიჭო?

- ფერიდე, შენ თქვი, რომ არ გიყვარვარ, შენ თქვი, სხვა ნუ მეტყვის, სხვისი არ მჯერა, თქვი, რომ არ გიყვარვარ და ახლავე ავდგები და წავალ.
- წადი, ავთო, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, წადი!..
მე ავდექი და უხმოდ წამოვედი ჭიშკრისაკენ. ჭიშკარს რომ ვხურავდი, ფერიდესკენ გავიხედე. მას თავი მუხლებში ჩაერგო და მხრები უცახცახებდა.
საგუშაგოზე ასეთი წესი გვაქვს - არც ერთ სამსახურ მოხდილს არ უშვებენ უსადილოდ.
იმ დღეს ჩემს პატივსაცემად ძალიან გემრიელი სადილი გააკეთეს, ღვინის კისელი მოადუღეს, საპარადო ფორმა ჩამაცვეს და ოფიცრების მაგიდასთან დამსვეს სასადილოში... სამი სადღეგრძელო დაილია კისელით. პირველი - ჩვენი დიადი სამშობლოს შეიარაღებული ძალებისა. მეორე - დედამიწის ზურგზე ყველაზე სამაგალითო საგუშაგოსი, ჩვენი საგუშაგოსი და მესამე - ჩემი კეთილი მგზავრობისა.
საპასუხო სიტყვაში საზეიმო ფიცი დავდე, რომ საომარი მდგომარეობის შემთხვევაში, სამშობლოს პირველსავე დაძახილზე, თოფით ხელში დავდგებოდი ჩემი მეგობრების გვერდით. მერე თითო-თითო პანღური მივიღე ყველა მეომრისაგან.
ჯერი ოფიცრებზე მიდგა. კოროლიოვი და პავლოვი ცოტა ოფიციალურად გამომეთხოვნენ, ხელი ჩამომართვეს მაგრად და გამიღიმეს. ჩხარტიშვილი განზე იდგა და ალერსიანი თვალებით მიღიმოდა.
- მიდიხარ, ბიჭო? - მკითხა მან, როდესაც გავეჭიმე.
- მივდივარ, ამხანაგო მაიორო!
- წადი, ბიძია, დარჩი-მეთქი რომ გითხრა, მაინც არ დარჩები და რა აზრი აქვს, წადი! - გამიღიმა მან. მერე მომიახლოვდა, მხრებზე ხელი მომხვია და გადამკოცნა, - ბედნიერი იყავი!
- გმადლობთ, ამხანაგო მაიორო!
- ზუდოვ, გამოიყვანეთ ვილისი! - უბრძანა მაიორმა. ზუდოვი ვილისის მოსაყვანად გაიქცა. მაიორი სამორიგეო ოთახისაკენ წავიდა.
- ამხანაგო მაიორო! - დავუძახე გაუბედავად.
მაიორი მობრუნდა.
- რა იყო, ჯაყელო?
- ნება მომეცით მოგმართოთ, ამხანაგო მაიორო! - ისევ გავეჭიმე მე.
- თქვი რა გინდა, ოღონდ თავისუფლად დადექი, თუ კაცი ხარ.
- ერთი თხოვნა მაქვს.
- თქვი, რა გინდა?
- ამხანაგო მაიორო, მომეცით მერაბია!
- ვინ? - გაუკვირდა ჩხარტიშვილს.
- მერაბია, დათვი!
- როგორ მოგცეთ?
- მომეცით, გამატანეთ!
- სად გაგატანო, ჯაყელო, დათვი, სახლში? - უფრო გაუკვირდა მაიორს.
- ახლა ზამთარი მოდის, ვიცი, ზუდოვი დაკლავს მაგას და მწვადებს ააშიშხინებს საახალწლოდ. გამატანეთ, ამხანაგო მაიორო, ბათუმის ზოოპარკს ჩავაბარებ.
მადლობას გეტყვიან.
მაიორი დაფიქრდა.
- ბათუმის ზოოპარკს?
- დიახ! - მაიორი ისევ დაფიქრდა.

- გორობოვ! - დაიძახა მან. ვიღაცა გაიქცა გორობოვის მოსაყვანად. გორობოვი მზარეული იყო. - ეს კარგი აზრი მოგვიდა, ზოოპარკს ჩავაბაროთ. - გორობოვი მოიყვანეს.
- გორობოვ, წადი დათვი მოიყვანე, ჯაყელი წაიყვანს და ზოოპარკს ჩააბარებს.
- ამხანაგო მაიორო, სასოებით გავასუქე...
- რასაც გიბრძანებენ, ის გააკეთე!
გორობოვი წელათრეული წავიდა.
ძლივს შევკუჭეთ მერაბია ვილისში, აქეთ-იქით პარხომენკო და ლუგავოი მოუსხდნენ ყარაულებად, მე კი, როგორც საპატიო პირი, წინ დავჯექი. ვილისი დაიძრა და ნელი სვლით გავიდა საგუშაგოს საზეიმოდ გაფეთქილ რკინის ჭიშკარში.
მერაბია გზაში ბურტყუნებდა და დროდადრო კეფას მლოკავდა.
- ჯაყელო, გვარი გამოიცვალე, ან ზაპაშნი დაირქვი, ან დუროვი, თუ რა გვარია ის, დათვები რომ ჰყავს? - იკრიჭებოდა ლუგავოი.
- რის ბათუმის ზოოპარკი, რა ბათუმის ზოოპარკი, სისულელე არ ჩაიდინო და არ ჩააბარო! - მაფრთხილებდა პარხომენკო.
- აბა რა ვქნა?
- მე ხომ ვიცი, გაისადაც ვერ მოეწყობი უმაღლესში, იყიდე ერთი დაირა და იარეთ თბილისის ქუჩებში, გაკეთდები! - ახორხოცდა პარხომენკო
- ყოჩაღ, იდიოტი ხარ! - შევაქე მე.
- იდიოტი რომ არ იყო, ეს აქოთებული დათვი სად მიგყავს? - მკითხა პარხომენკომ.
შლაგბაუმთან მივედით.
- აბა, ბიჭებო, ჩამოდით, გეყოფათ გაცილება! - გავეცი ბრძანება.
ბიჭები ჩამოვიდნენ. მერაბია ძლივს გადმოვათრიეთ ვილისიდან.
- მშვიდობით, ჯაყო!
- მშვიდობით, ბიჭებო!
- არ დაგვივიწყო, ბიჭო!
- რა გატირებთ, თქვე უპატრონოებო!
- მოიწერე წერილი!
- აბა რას ვიზამ?
- შეტრიალდი ახლა!
- შენ არ დამარტყა პანღური, პარხომენკო, ძალიან დიდი ვირი ხარ!
- ნელა ამოგარტყამ, არ გეწყინოს!
- ვირისაგან წიხლი რა საწყენია!
- მიდიხარ არა, შენი სული ვატირე?!
- აბა მშვიდობით, ბიჭებო!
- ნახვამდის, ჯაყო!
- აუ, შენ ვინ ყოფილხარ, აჰა ცხვირსახოცი. ჩაჯექი ახლა ვილისში.
- ნახვამდის, ჯაყო!
- დაქოქე, სიდოროვ!
ვილისი ბრაზიანი ძაღლივით აღრინდა, მერე უკან დაიხია, ბენზინის სუნი და ბოლი მომაფრქვია და უცბად გაქანდა სოფლისაკენ მიმავალ გზაზე.
* * *
მერაბია ჯერ უკან გაიქაჩა, რომ არ მივუშვი, დაჯდა, ტორებით ჯაჭვის წართმევა დამიპირა და კბილებით ღრღნა დაუწყო.
- ადექი, სულელო, მაგვიანდება! - ვუთხარი მერაბიას. მერაბიამ ყურიც არ გააპარტყუნა. მაშინ ჯიბიდან შაქრის ნატეხი ამოვიღე და დავანახვე, მერაბიამ

დრუნჩი აათამაშა და კისერი წაიგრძელა. უკან დავიხიე, მერაბია ფეხზე წამოდგა და ტორები გამომიწოდა, ისევ დავიხიე უკან. მერაბია მიწაზე დაეშვა და ძუნძულით გამომედევნა.
- რაო, უქრთამოდ არ მომყვები?
მერაბია ისევ დაჯდა, მივუახლოვდი და დაფჩენილ პირში შაქარი ჩავუდე, სიამოვნებისაგან დაიკვნესა.
- წამოდი ახლა! - ვუთხარი და ჯაჭვი მოვქაჩე. მორჩილად გამომყვა გვერდით. დიდხანს მივდიოდით ასე. გზადაგზა ამომხედავდა, აბა, კიდევ თუ მომცემს შაქარსო. ღელესთან შევისვენე და ცივი წყალი პირზე შევისხი, შაქარნაჭამი მერაბია ხარბად დაეწაფა წყალს. მერე მოვიდა და გვერდით მომიწვა. ცოტა ხანს უხმოდ იწვა. მერე თავი წამოსწია და ცივი დრუნჩი ხელზე შემახო. ისეთი თვალებით მიყურებდა, მივხვდი, შაქარი მოუნდა. ამოვიღე ჯიბიდან და მივეცი, შაქართან ერთად ჩემი ხელიც ჩაიდო პირში და ძალიან ფრთხილად მომიჭირა კბილები, ალბათ, მადლობა მითხრა.
- არაფრის! - ვუთხარი მე. რომ გაათავა, ისევ ამომხედა.
- კიდევ თუ გაქვს? - მკითხა.
- მაქვს, შე სულელო, მთელი ჯიბე მაქვს, ნუ გეშინია, მე არ შევჭამ, შენთვის მინდა. თუ იცი, მერაბია, სად მიმყავხარ?
- არაფერი არ ვიცი! - მითხრა თვალებით.
- ბათუმის ზოოპარკში უნდა ჩაგაბარო. იცი რა არის ზოოპარკი?
- არა, პირველად მესმის! - გააპარტყუნა ყურები და თავი აქეთ-იქით გააქნია მერაბიამ.
- ჰოდა, თუ არ იცი, გაიგებ, მიგიყვან, დაგამწყვდევენ რკინის გალიაში, კარგს გაჭმევენ, კარგს გასმევენ, კვირაობით ბავშვები მოვლენ მშობლებთან ერთად, გიყურებენ, იცინებენ, იხტუნავებენ შენს გარშემო, კანფეტებს შემოგიყრიან გალიაში, ოღონდ არ მოტყუვდე, კბილი არ მოიტეხო, ხანდახან უბრალო ქვას გაახვევენ ქაღალდში და იმას შემოგიგდებენ, არ უნდა გეწყინოს, ბავშვობაში მეც ვაკეთებდი ამას. ცოტა მოგწყინდება, მარტო იქნები, მაგრამ რას იზამ, შეიძლება მალე მეორე მერაბიაც მოიყვანონ და შემოუშვან შენს გალიაში. მერე უფრო იოლად წავა შენი საქმე, გინდა ზოოპარკში?
- შაქარი მინდა! - ამომხედა მერაბიამ. მივეცი. ისევ მადლობა გადამიხადა.
- რატომ არ გინდა, სულელო?! დიდი კაცი გახდები, შენს სანახავად ქვეყანა ივლის, მინისტრივით იცხოვრებ, უბილეთოდ და უსაშვოდ კაცს არ მოუშვებენ შენთან. შენს გვერდით წითელ დაფას ჩამოკიდებენ შენი პორტრეტით და ზედ თეთრი ასოებით დააწერენ:
ეს გახლავთ კავკასიური მურა დათვი, მერაბია. ცხოვრობს აჭარის მთებშიც, ერთი წლისაა. ტყვეობაში ცოცხლობს 10-12 წელიწადს, თავისუფლებაში - 15-16 წელს. იკვებება ბალახით, ხის ფესვებით, ბოსტნეულით, გარეული ხილით, თაფლით. ნახვის საათები პირველიდან ხუთამდე. ახლოს ნუ მიხვალთ. გალიაში ხელს ნუ შეყოფთ, ნუ გააღიზიანებთ.
ზოოპარკის ადმინისტრაცია.
- რა ჯობია ასეთ ცხოვრებას, ა, რას იტყვი? ტყესა და ღრეში ხეტიალს, აქ ყოფნა არ გირჩევნია? ღირს ორი-სამი წლის ცხოვრებისათვის ტყეში ბორიალი? რა იცი, ვინ გადაგეკიდება. ტყის დათვად შენ აწი მაინც არ გამოდგები, ისე ხარ გაზრდილი. აქ არც მონადირე შეგაწუხებს, არც ძაღლი და არც მამაძაღლი. მიგდებ ყურს? მერაბია გაკვირვებული მისმენდა. ისევ მივეცი შაქარი. მერაბია ზურგზე გადაგორდა და ამომხედა.

- ახლავე მოგფხან. დიდი ზარმაცი ვინმე ხარ, შაქრისა და ფხანის მეტი არაფერი არ გინდა. - მკერდზე მოვფხანე, თვალები დახუჭა და აკრუსუნდა.
- წავალთ ახლა მე და შენ, მერაბია, ჩაგაბარებ ზოოპარკს, დაგემშვიდობები, მერე შეიძლება ერთი წლის შემდეგ ისევ წამოვიდე ბათუმში და გინახულო. მიცნობ, მერაბია?
- გიცნობ, ოღონდ კარგად მომფხანე და გიცნობ, - მთხოვა მერაბიამ.
- გაგიჟდება ხალხი, გალიაში რომ შემოვალ შენთან და შენ რომ ხელების ლოკვას დამიწყებ.
- გაგიჟდება, გაგიჟდება, - ბურტყუნებდა მერაბია.
საათს დავხედე - მთელი ერთი საათი გასულიყო.
- აბა, ადექი, მერაბია! - ვუთხარი და ფეხზე წამოვდექი, მერაბია ადგა და ისევ ცივ წყალს დაეწაფა. გული რომ იჯერა, ღელეში შეტოპა და წყალს აღმა აჰყვა, მეც წყალში ჩავდექი გალაპლაპებული ჩექმებით და მივყევი. გაღმა გავიდა და წაბლის ნეშოს დაუწყო ყნოსვა, მერე რაღაც უცნაურად დაიღმუვლა და დაგორდა, ხუთ წუთს გორაობდა. ტორებით მიწას დაუწყო ბდღვნა. დრუნჩს რგავდა ამოთხრილ მიწაში და ფრუტუნებდა. დიდხანს იგიჟა, იკვნესა, იგორავა, იბურდღუნა, ბოლოს, დაღლილი მძიმედ დაეშვა მიწაზე, თავი წინა თათებზე დაიდო და ისეთი თვალებით დამიწყო მზერა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა.
- რა იყო, მერაბია, რა მოხდა? - ვკითხე მე.
მერაბიამ არ იცოდა, რა მოხდა. იგი მძიმედ სუნთქავდა და თვალები სისხლით ჰქონდა სავსე. არავინ არაფერი არ იცოდა, მხოლოდ ტყემ და მერაბიას სისხლმა იცოდა რა ხდებოდა. ფრთხილად მივედი მერაბიასთან და ყელზე ჯაჭვი შევხსენი, მერაბია არ განძრეულა. ავდექი, ჯაჭვი გვერდზე გადავაგდე და ხელები დავიფერთხე. მერაბია ადგილიდან არ იძვროდა, მხოლოდ კვლავ მძიმედ სუნთქავდა.
- წადი, მერაბია, წადი ტყეში! - ვუთხარი მე. - ადექი და წადი.
მერაბიამ არაფერი თქვა. მაშინ ჯიბიდან დარჩენილი შაქარი ამოვიღე და წინ დავუყარე, არც გაუხედია შაქრისაკენ. გამოვბრუნდი, ჩემოდანი ავიღე და შარაზე გავედი. მერაბია უცებ წამოდგა და დამნაშავესავით, დარცხვენილი გამომყვა.
- წადი, მერაბია, წადი, ტყეში, აღარ მიმყავხარ ზოოპარკში, წადი და შენ თვითონ მიხედე შენს თავს!
მერაბია შეჩერდა, მე ხელი დავუქნიე და წავედი. რომ მოვიხედე, ისევ უკან მომდევდა. გავჩერდი, მომიახლოვდა. წინ ჩავუცუცქდი, ყურებში ხელი მოვკიდე და დრუნჩზე ცხვირი მივადე.
- ესეც ასე, ხომ დაგემშვიდობე, წადი ახლა! - ტყისაკენ შევუბრუნე თავი და ზურგზე ხელი დავარტყი. წამოვდექი, თვითონაც წამოდგა და უკანა თათებზე დადგა. ჩემი სიმაღლე იყო, კაცივით უკანა თათებზე შემდგარი.
- გადამრევ შენ, მერაბია, კარგი, გადაგეხვევი, ოღონდ ფრთხილად! - ხელები გავშალე, მერაბია გულში ჩავიკარი და ზურგზე ხელი მოვუთათუნე, თვითონაც მომითათუნა და ყურში რაღაც მითხრა, ლორწოიანი დრუნჩით. მხრით მოვიწმინდე ყური და მერაბიას ხელი ვკარი.
- წადი ახლა, მერაბია, ნუ ამატირებ ამხელა მუტრუკს, წადი!
მერაბია ოთხზე დაეშვა და ნელი ნაბიჯით წავიდა, მერე თანდათან მოუმატა, ძუნძულზე გადავიდა და ბოლოს დაოთხილი შევარდა ტყეში, ისე შევარდა, უკანაც არ მოუხედავს. ხუთი წუთი ვიდექი ასე, იქნებ მობრუნდეს-მეთქი, მაგრამ მერაბია არ მობრუნებულა, მხოლოდ ხმელი ტოტების მტვრევა და ლაწანი მესმოდა ტყეში. ბოლოს ისიც მიწყნარდა. არავინ არ იცოდა, რა მოხდა იმ ერთ წუთში კელენდერეს

ღელესთან, არც მე, არც წაბლის ნეშომ, არც მერაბიამ. მხოლოდ მერაბიას სისხლმა და მოშრიალე ტყემ იცოდა, რა მოხდა ამ ერთ წუთში ღელესთან...
სამასი მეტრიც არ მექნებოდა გავლილი, რომ უცებ ავტომატის გრძელი ჯერი გავიგონე. მუხლები მომეკვეთა.
-ტრა-ტა-ტა-ტა, - განმეორდა ავტომატის ჯერი, მერე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გიჟივით წამოვხტი და იქითკენ გავვარდი, საიდანაც ავტომატის ხმა მომესმა. წაბლის ტყით დაფარული ფერდობი ავირბინე და ტრიალ მინდორზე გავვარდი, გავიხედ-გამოვიხედე. მინდორის მეორე ბოლოში, ზედ სასაზღვრო ღობის პირას დაოთხილი მესაზღვრე რაღაცას დაეძებდა. სულმოუთქმელად მივირბინე მასთან, ამომხედა და გამიღიმა... იაშინი იყო, ჩვენი საგუშაგოს მესაზღვრე.
- რა მოხდა, იაშინ? - ვკითხე მე და ფეხზე წამოვაყენე.
- ცარიელ გილზებს ვეძებ! - მითხრა მან და მუხლების ფერთხვა დაიყო.
- რატომ ისროლე?
- სისტემას ვამოწმებ. ვხედავ, ტყიდან გამოვიდა, ჩემსკენ მოდის, პირდაპირ, მერე წამოდგა ორ ფეხზე და მოდის. შეხედე რამხელაა, კიდევ კარგი, დავინახე, თორემ ჩემი ბურდღაც არ იქნებოდა ახლა, შეხედე, შეხედე! გამახედა მან სასაზღვრო ღობის ახლოს, ღვარისაგან გათხრილ ხევში, ჩამხობილი ეგდო მერაბია და ღიად დარჩენილი პირიდან სისხლი ჟონავდა.
- ახლა ბიჭები მოვლენ! - თქვა იაშინმა და ისევ გამიღიმა.
- რატომ მოჰკალი, ბიჭო? - ვკითხე მე და თავი ძლივს შევიკავე, რომ სიფათში არ მელეწა.
- როგორ თუ რატომ მოვკალი, ვხედავ, ვეებერთელა დათვი მოდის...
- ეს სადაური დათვია, შე იდიოტო, ეს ხომ მერაბიაა!
იაშინს გაოცებისაგან ყბა ჩამოუვარდა და მიწაზე დაჯდა. მეც დავჯექი. სიგარეტი ამოვიღე, ერთი იაშინს მივეცი, მეორე მე გავაბოლე. ზევიდან ხმაური მომესმა, ავიხედე, მესაზღვრე ბიჭები მორბოდნენ. ავდექი.
- ჯაყელო, მე არ ვიცოდი... - წამოდგა გაფითრებული იაშინი.
- შენ რას გერჩი, ჩემი ბრალია! - ვუთხარი მე, შემოვტრიალდი და დაბლა დავეშვი. ბათუმისაკენ მიმავალ ავტობუსში ჩავჯექი და ნახევარ საათში ბათუმში ვიყავი. მატარებელი ღამის 12 საათზე გადიოდა. დარჩენილი ხუთი საათი ქალაქში ვიბორიალე, სად წავსულიყავი, რა მექნა, არ ვიცოდი. ძლივს თერთმეტ საათამდე გავძელი, ბოლოს მივედი სადგურში, გამცილებელს ვთხოვე, ვაგონში ავეშვი ერთი საათით ადრე. კუპეში შევედი და გაუხდელად დავეგდე ჩემს საწოლზე.
* * *
მატარებელი მოულოდნელად დაიძრა და ბიძგი ვეებერთელა ჯაჭვის ჟღრიალივით გადაეცა შემადგენლობის ერთი თავიდან მეორეს. შემდეგ კიდევ ერთი ძლიერი ბიძგი და ვაგონები გაბმული ჭრიალითა და ბორბლების ნელი, მაგრამ რიტმული კაკუნით დაიძრნენ აღმოსავლეთისაკენ. საწოლზე წამოვჯექი. კუპე ცარიელი იყო და გამიხარდა. კარი გაიღო, კუპეში გამცილებელმა შემოიხედა.
- ახალგაზრდავ, საწოლი არ გნებავთ? - მკითხა მან.
- არა! - ვუთხარი მე.
- ბოდიში! - თქვა მან.
- ქალბატონო, ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება, ნურავის შემოუშვებთ ამ კუპეში, - ვთხოვე მე.
- იძინეთ, ბატონო, მთელი შემადგენლობა თავისუფალია, ოღონდ კარი ჩაიკეტეთ.
- გმადლობთ!

- სად გაგაღვიძოთ?
- არსად!
- ძილი ნებისა!
- გმადლობთ!
გამცილებელი გავიდა, ისევ წამოვწექი საწოლზე და თვალები ვაგონის ჭერში დიდი ბეჭდის თვალივით ჩასმულ, ლურჯ ნათურას მივაპყარი. მატარებელმა სვლას უმატა და ახლა ბორბლების გაბმული გუგუნი მხოლოდ იქ ირღვეოდა, სადაც ლიანდაგები გადაბმულია. შემდეგ მატარებელი ისეთი სისწრაფით წავიდა, რომ ეს არითმიაც რიტმად იქცა და გეგონებოდათ, მატარებელი გახურებული დოლის ხმაზე მიჰქრისო. გონება ძალაუნებურად აჰყვა მატარებლის რიტმს და შუბლზე მოწოლილი ვეებერთელა მძიმე ფიქრი გამექცა, ისე გამექცა, რომ ვეღარ ვეწეოდი. დაღლილობა და მთელი დღის განცდები საფეთქლებს მწვავდა.
რული მომადგა საიდანღაც, დაუკითხავად მიბნელებდა აზრს და თვალებს მიხუჭავდა, მათრობელა ძილი მაწვებოდა კეფაში და მივყავდი სადღაც შორს, ჩემთვის უცნობ მხარეში. აშკარად ვგრძნობდი, რომ მისი მორევის თავი აღარ მქონდა. კიდევ ერთხელ გავახილე თვალი და ავხედე ლურჯ ნათურას, იგი ჯერ გათეთრდა, მერე გაყვითლდა, მერე ისევ გალურჯდა და მთელი კუპე ლურჯი გახდა. ლურჯი, როგორც ზღვა, ოღონდ მსუბუქი, ძალიან მსუბუქი და მე თვალდახუჭულმა შევცურე ამ სილურჯეში.
... იგი, როგორც ათი წლის წინ, ისეთი ლამაზი, თეთრი, ცისფერთვალა და მხრებზე შავთმადაყრილი მოვიდა. ღრუბელივით თეთრი და მსუბუქი კაბა ეცვა, ძალიან გრძელი, ფეხები არ უჩანდა. ასე გეგონებოდათ, ღრუბელზე დგას და თვითონაც ღრუბელიაო. მოვიდა და თავისი თბილი ხელი შუბლზე შემახო.
- გამარჯობა, შვილო!
- გამარჯობა, დედა!
- როგორ ხარ, შვილო?
- არ ვიცი, დედა, ალბათ კარგად!
- კარგად ხარ?
- ხანდახან კარგად ვარ, ხანდახან ცუდად.
- ყველა კაცი ასეა, შვილო, მარტო ცუდი და მარტო კარგი არ არსებობს.
- ალბათ, ასეა.
- ხომ არ გიჭირს რამე, შვილო?
- მიჭირს. დედა, როგორ არ მიჭირს!
- მაინც რა გიჭირს, შვილო, ნუ დამიმალავ?
- რომ არ ვიცი, დედა, რა მიჭირს. ბევრი რამ მიჭირს. ბევრი რამის გაგება მიჭირს, მინდა, გავიგო რაღაც, მგონია, გავიგე და უცებ ვხვდები, რომ ვერაფერიც ვერ გავიგე. მგონია, მიყვარს და უცებ ვხვდები, რომ არ მიყვარს, ან მგონია, არ მიყვარს და უცებ ვხვდები, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. ან მგონია, არ მეშინია, მაგრამ მივალ და თურმე მაშინ ვკვდები შიშით, ან პირიქით, შიშით ვკვდები და აღმოჩნდება, რომ საშიში არაფერია. ჰოდა, ყველაფერი ამის გაგება მიჭირს, დედა...
- კიდევ დიდხანს გაგიჭირდება, შვილო, ჯერ პატარა ხარ.
- რაღა პატარა ვარ, დედა, ოცი წლის ვხდები.
- ოცი წელი ბევრი არ არის, შვილო.
- არც ცოტაა.
- არც ცოტაა... მაგრამ იმდენი არაა, რომ არ გიჭირდეს, კარგია, რომ გიჭირს.
- კარგია?

- კარგია, შვილო!
- შენ არ გიჭირს, დედა?
- მე ახლა აღარ მიჭირს, შენხელა რომ ვიყავი, მიჭირდა, ახლა აღარ მიჭირს.
- მერედა, ცუდია რომ არ გიჭირს?
- ცუდია, შვილო!
- არ ვიცი, დედა, არაფერი არ ვიცი, უშენობაც მიჭირს, ძნელია უშენობა.
- ვიცი რომ ძნელია, და ამიტომ მოვედი.
- ხომ აღარ წახვალ, დედა?
- ჯერ არა, ჯერ უნდა გავიგო, რას ფიქრობს ჩემი სისხლი, რას აპირებს, საით მიედინება და რისთვის იღვრება.
- ვერ გავიგე, რას მეკითხები დედა?
- შენ უნდა იცოდე უკვე, საით მიდიხარ, რას აპირებ, რა უნდა გამოხვიდე, კაცი თუ პირუტყვი!
- მე ჯერ არ ვიცი, რა უნდა გამოვიდე, მე ჯერ მხოლოდ მინდა!
- რა გინდა, შვილო, ის მითხარი!
- მე მინდა, დედა... მე მინდა, ბაბუასავით ვაჟკაცი ვიყო...
- ცოტაა, შვილო!
- მე მინდა, მამაჩემივით გულწრფელი და ალალი ვიყო...
- ცოტაა!
- ვანიჩკა ბიძიასავით პატიოსანი ვიყო...
* * *
- მერაბიასავით სიყვარული ვიცოდე, მინდა...
* * *
- ალი ხორავასავით ჭკვიანი მინდა ვიყო...
* * *
- საქმისათვის შერბინასავით უხმოდ სიკვდილი შემეძლოს.
* * *
- ჩხარტიშვილივით ძლიერი და ერთგული ვიყო მინდა...
* * *
- შენსავით სათნო ვიყო მინდა, დედა. ეს ყველაფერი ერთად ვიყო მინდა... ბევრია, დედა?
- ბევრია, შვილო, მოერევი ყველაფერს ამას?
- მოვერიო მინდა!
- ეგ ყველაფერი, რაც მითხარი, სხვა არის შენში, შენ საკუთრად შენი მითხარი, რა გინდა?
- მე, დედა... მე ჯერ სიცოცხლე მინდა, დიდხანს სიცოცხლე მინდა, ყველაფერს ამას რომ მოვერიო, და კიდევ ოცნება მინდა, ბევრი ოცნება მინდა, ოღონდ ახლა ვერ ვამბობ, გესმის? მატარებელი კივის, გვირაბში შედის, სიბნელეა, აი, შენც ძლივს გხედავ, გავალთ და გეტყვი, კიდევ რა მინდა...
- დაწყნარდი, შვილო, მე უკვე ვხვდები, რა გინდა. მე წავალ ახლა.
- არ წახვიდე, დედა, ნუ დამტოვებ, მაშინ ვიღას ვუთხრა, რაც მინდა?
- შენ ოღონდ თქვი და მომსმენი უამრავია, შვილო.
- არ წახვიდე, გეხვეწები, დედა!..
- ჩემი დარჩენა არ შეიძლება, უნდა წავიდე, შვილო!
- აღარ მოხვალ, დედა?

- როგორ არ მოვალ, ყოველთვის მოვალ, როდესაც გაგიჭირდება, შენ ოღონდ მინატრე და მოვალ.
- ნახვამდის, დედა!
- თავს მოუარე, არ დამღუპო, შვილო!!!
- ნუ გეშინია, დედა!
მან ისევ შემახო შუბლზე თავისი თბილი ხელი და სიზმარივით უეცრად გაქრა, გაქრა, და უზომო სითბო დამიტოვა, სითბო, რომელიც ოცი წლის წინ მაჩუქა და დღემდე მომყვა, როგორც ჩემი სისხლის მაცოცხლებელი სითბო.
თვალები გავახილე. ისევ უსაზღვრო სილურჯეში ვცურავდი, მერე სილურჯე თანდათან აიზიდა ვაგონის კედლებიდან, ობობასავით აკრიფა სხივები და ჭერში ბეჭდის თვალივით ჩასმულ ნათურაში მოკალათდა. ჩემს მოპირდაპირე საწოლზე ვიღაც ქალი იჯდა, მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი და ფანჯრის მიღმა გატეხილ ღამეს გასცქეროდა.
- სადა ვართ, ქალბატონო? - ვკითხე და ისევ დავხუჭე თვალები.
- გვირაბიდან გავედით! - თქვა მან.
* * *
... გვირაბიდან გავედით, გვირაბიდან გავედით, გვირაბიდან გავედით, აგუგუნდა საფეთქელში ასი ათასი ზარი... გვირაბიდან გავედით, გვირაბიდან გავედით... აკივლდა ასი ათასი მატარებელი... გვირაბიდან გავედით, გვირაბიდან გავედით... აკივლდა ასი ათასი მატარებელი, გვირაბიდან გავედით, გვირაბიდან გავედით, აკივლდა ხმა, ასი ათასი საყვირი და ბოლოს მაღალ სამრეკლოზე დაკიდებული დიდი ზარის გაბმულ გუგუნად იქცა.
გვირაბიდან გავედით, ბომ, ბომ, ბომ... ღმერთო, ნუთუ ესეც სიზმარია?! რატომ მიქციე ყველაფერი სიზმრად, ცხადი მაჩვენე, ღმერთო, ცხადი!
გველნაკბენივით წამოვვარდი საწოლიდან, კუპეში ჩემს გარდა არავინ იყო. ლურჯი შუქი თანდათან ქრებოდა და ფანჯრიდან განთიადის მკრთალი სხივი შემოდიოდა. მატარებელი კივილით მიჰქროდა აღმოსავლეთისაკენ. დედამიწაზე თენდებოდა.
გულრიფში - თბილისი, 1969 წელი.

https://www.facebook.com/groups/ELLIB/